ქართველური ენათმეცნიერების სერია
THE SERIES OF THE KARTVELIAN LINGUISTICS

ქეთევან მარგიანი რამაზ ქურდაძე მაია ლომია
Ketevan Margiani Ramaz Kurdadze Maia Lomia

ევიდენციალობის კატეგორია ქართველურ ენებში

The Category of Evidentiality in the Kartvelian Languages

თბილისი 2019 Tbilisi

სამეცნიერო პროექტი – **„ევიდენციალობის კატეგორია ქართველურ ენებში“** (FR - № 217300) – განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორებს და შესაძლებელია არ ასახავდეს რუსთაველის ფონდის შეხედულებებს.

The scientific project – **"The Category of Evidentiality in the Kartvelian Languages"** (FR - № 217300) – was implemented with the financial support of Shota Rustaveli National Science Foundation. All the ideas expressed herewith are those of the authors, and may not represent the opinion of the Foundation itself.

პროექტი განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

დამტკიცებულია გამოსაცემად ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს მიერ

უფასო გამოცემა

© ქეთევან მარგიანი, რამაზ ქურდაძე, მაია ლომია
ISBN 978-9941-9668-8-0 (ყველა წიგნი)
ISBN 978-9941-9668-9-7 (წიგნი I)

უაკ (UDC) 811.353'36
მ – 295

ანოტაცია

„ევიდენციალობის კატეგორია ქართველურ ენებში“ კომპლექსური გამოკვლევაა, რომელიც მოიცავს ერთ-ერთი უნივერსალური ლინგვისტური კატეგორიის, ევიდენციალობის, მიხედვით ქართველური ენების სისტემურ აღწერასა და ანალიზს.

წინამდებარე მონოგრაფია ინტერდისციპლინური ხასიათის ნაშრომია. კვლევა განხორციელდა აღწერით-სტატისტიკური, კომპარატივისტული, დისტრიბუციული განაწილებისა და სუბსტიტუციის მეთოდების გამოყენებით. მიღებული შედეგები მნიშვნელოვანია სპეციალისტებისთვის, რომლებსაც აინტერესებთ: ქართული სალიტერატურო ენის ისტორია, ქართველურ ენათა ტიპოლოგია ისტორიულ-შედარებითი პროცესებისა და ენობრივი მსოფლხედვის გათვალისწინებით. ნაშრომის თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებებს განსაზღვრავს მისი გამოყენება სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო დანიშნულებით.

ნაშრომი განკუთვნილია ჰუმანიტარული დარგის სპეციალისტებისა და სტუდენტებისათვის.

Annotation

"The Category of Evidentiality in the Kartvelian Languages" is a complex research embracing systematic description and analysis of Kartvelian languages based on such universal linguistic category as evidentiality.

The given monograph represents interdisciplinary research which has been implemented using descriptive-statistical, comparative, distributional and substitution methods.The obtained outcomes are aimed at specialists interested in the following issues: the history of the literary Georgian language, the typology of Kartvelian languages based on historical-comparative processes and linguistic vision. The theoretical and practical values of the research will be defined by its usage for scientific and educational purposes.

The paper is aimed at specialists and students in the humanitarian field.

სარჩევი

წინასიტყვაობა 9
Preface 12

შესავალი 15
1. ევიდენციალობის რაობა 16
2. ევიდენციალობა და ინფორმაციის წყაროები 22
3. ევიდენციალობის კატეგორია ქართველურ ენებში: საკითხის კვლევის ისტორია (მოკლე მიმოხილვა)..... 24
4. ევიდენციალობის ტერმინის საკითხი უცხოურ და ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში 29
5. ევიდენციალობის სტატუსის საკითხი ქართველურ ენებში 33
5.1. ევიდენციალობის სტატუსის შესწავლის ისტორიისათვის ქართულში..... 33
5.2. ევიდენციალობის სტატუსის შესწავლის ისტორიისათვის სვანურსა და ზანური ჯგუფის ენებში 37
5.3. ევიდენციალობის სტატუსის განსაზღვრა ქართველურ ენებში 39
6. ევიდენციალობის გენეზისის პრობლემა ქართველურ ენებში 60

თავი I – ევიდენციალობის გამოხატვის მორფოლოგიური საშუალებები..... 69

1. ევიდენციალური – არამოდალიზებული და მოდალიზებული მწკრივების ტერმინთა რეინტერპრეტაციის საკითხი ქართველურ ენებში 70
2. პერფექტულ ევიდენციალურ მწკრივთა ჩამოყალიბების დინამიკა ქართველურ ენებში 87
2.1. ევიდენციალური პერფექტი 87
2.2. პერფექტულ ზმნურ ფორმათა ჩამოყალიბების გზა ქართველურ ენებში 91
2.3. სვანური მოდალიზებული პერფექტული მწკრივები..... 97
3. სალიტერატურო ენისგან განსხვავებული ევიდენციალური ზმნური ფორმების ადგილი ქართველური ენების მწკრივთა სისტემაში..... 101
3.1. სვანური მონაცემების ანალიზი 102
3.2. მეგრული მონაცემების ანალიზი..... 104
3.3. ლაზური მონაცემების ანალიზი 109
4. ევიდენციალურ ზმნურ ფორმათა სეგმენტაციისა და მორფოლოგიური მარკერის გამოყოფის საკითხი ქართველურ ენებში 115
4.1. სვანური მასალის ანალიზი 116
4.2. მეგრული მასალის ანალიზი 123
4.2.1. ნო- პრეფიქსიან მიმღეობათა სემანტიკა.. 125
4.2.2. აწმყოს წრის მწკრივები და ნო-პრეფიქსიანი ფორმები 131
4.2.3. ფორმათა ტრანსფორმაცია 133
5. მოდალიზებული (ეპისტემიკური) ევიდენციალური მწკრივების ფორმაწარმოება და სემანტიკა სვანურსა და მეგრულში 136
5.1. სვანური მასალის ანალიზი 137
5.2. მეგრული მასალის ანალიზი 155

6. ევიდენციალობისა და ეპისტემიკური მოდალობის ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში 172
7. გრამატიკული დრო ქართველურ ენათა ევიდენციალურ მწკრივებში 180

თავი II – ევიდენციალობის გამოხატვის სინტაქსური საშუალებები 193
1. პირობით-შედეგობითი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია ევიდენციალობის თვალსაზრისით ქართველურ ენებში 194
2. რიტორიკული შეკითხვა ევიდენციალობის თვალსაზრისით ქართველურ ენებში 203
2.1. რიტორიკული შეკითხვა ევიდენციალობის თვალსაზრისით ქართულ სალიტერატურო ენაში..... 204
2.2. ევიდენციალური რიტორიკული შეკითხვის ამსახველი მეგრული, ლაზური და სვანური მასალები 210
3. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი ევიდენციალობის თვალსაზრისით ქართველურ ენებში 216
3.1. სხვათა სიტყვის (-მეთქი, -თქო, -ო) ნაწილაკების შემცველი მეტყველების აქტი ევიდენციალობის თვალსაზრისით ქართულში 216
3.2. სხვათა სიტყვის ნაწილაკების შემცველი მეტყველების აქტი ევიდენციალობის თვალსაზრისით მეგრულსა და ლაზურში 227
3.3. ვერბალური ევიდენციალობის გამოხატვა პირდაპირი ნათქვამითა და -ოღუ/-ოუ (-„მცა“) ნაწილაკიანი კონსტრუქციებით სვანურ ენაში 231
3.3.1. ნაწილაკიანი პირდაპირი ნათქვამის სპეციფიკა 231
3.3.2. ევიდენციალობის გამოხატვის პრინციპი დაქვემდებარებული ციტირების დროს 240

3.3.3. პირდაპირი ნათქვამის „-როქუ“, „ესერ“ ნაწილაკთა დისტრიბუცია პირთა მიხედვით.. 245
3.3.4. ვერბალური ევიდენციალობის ქართულისებური კონსტრუქციით გამოხატვის ტენდენცია სვანურში 247
3.3.5. -ოღუ (/-ოუ/-უ/-უ „-მცა“) ნაწილაკიანი კონსტრუქციებით გამოხატული ვერბალური ევიდენციალობა 257
4. კონსტრუქციით გამოხატული ვერბალური ევიდენციალობა ქართველურ ენებში 266

თავი III – ევიდენციალობის გამოხატვის ლექსიკური საშუალებები და თარგმანთან დაკავშირებული საკითხები 277

1. სვანურ-მეგრულ-ლაზური არამოდალიზებული ევიდენციალური იმპერფექტული ზმნური ფორმების გადმოცემის საშუალებები სალიტერატურო ქართულში ...278
2. მოდალიზებული ევიდენციალური (ეპისტემიკური) მნიშვნელობების გადმოცემის საშუალებები ქართველურ ენებში 283
3. ევიდენციალური პერფექტი I-ის ფუნქციები ქართველურ ენებში და მათი ინგლისურ ენაზე თარგმნის საკითხი 290

დასკვნები 295
Summary 305
Conclusions 441
ლიტერატურა 452
წყაროები და ლექსიკონები 475
შემოკლებათა განმარტებანი 479
ინფორმატორები 487
დანართი 493
საძიებელი 525

წინასიტყვაობა

ევიდენციალობა უნივერსალური კატეგორიაა და უკავშირდება კოგნიციას, თუმცა, პირველ რიგში, მაინც ლინგვისტური კვლევის ობიექტია, რადგან ყოველგვარი ფსიქოლოგიური აღქმის ანალიზი ენობრივი გამოხატულებით იწყება. წინამდებარე ნაშრომი მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – *„ევიდენციალობის კატეგორია ქართველურ ენებში" (FR - № 217300)* – ფარგლებში. მასში მოცემულია ევიდენციალობის კატეგორიის კვლევის შედეგები ოთხივე ქართველური ენის – ქართულის, სვანურის, მეგრულის და ლაზურის – სინქრონიულ მონაცემთა შედარება-შეპირისპირების, ქართული სალიტერატურო ენის განვითარების დიაქრონიული ეტაპებისა და ქართული ენის დიალექტების ემპირიული მასალის გათვალისწინებით. საანალიზო კატეგორიის კომპლექსური განხილვა ქართველური ენების მიხედვით ერთ-ერთი **აქტუალური საკითხია.**

აღნიშნული პროექტის ფარგლებში პირველად განხორციელდა არა მხოლოდ ქართველური ენების შედარება-შეპირისპირება, არამედ მეგრულისა და ლაზურის ანალიზი ევიდენციალობის თვალსაზრისით.

მონოგრაფიაში განხილულია ევიდენციალობის კატეგორიის გამომხატველი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა:

1. *ტერმინის საკითხი ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში;*

2. *ევიდენციალობის სტატუსის განსაზღვრა ქართველურ ენებში;*
3. *ევიდენციალური მწკრივების ტერმინთა რეინტერპრეტაციის საკითხი ქართველურ ენებში;*
4. *პერფექტული ევიდენციალური მწკრივების ჩამოყალიბების დინამიკა ქართველურ ენებში, ძველი ქართული სალიტერატურო ენის მონაცემების გათვალისწინებით;*
5. *სალიტერატურო ენისგან განსხვავებული ევიდენციალური ზმნური ფორმების ადგილი ქართველური ენების მწკრივთა სისტემაში;*
6. *ევიდენციალურ ზმნურ ფორმათა სეგმენტაციისა და მარკირების საკითხები ქართველურ ენებში;*
7. *მოდალიზებული ევიდენციალური მწკრივების ფორმაწარმოება და სემანტიკა ქართველურ ენებში;*
8. *ევიდენციალობისა და ეპისტემიკური მოდალობის ურთიერთმიმართების საკითხი ქართველურ ენებში;*
9. *ევიდენციალობისა და გრამატიკული დროის მიმართების საკითხი ქართველურ ენებში;*
10. *რიტორიკული შეკითხვის, სხვათა სიტყვის და პირობით-შედეგობითი ჰიპოტაქსური კონსტრუქციების შეფასება ევიდენციალობის თვალსაზრისით;*
11. *ევიდენციალური ლექსიკური სტრატეგიების აღწერა-აღნუსხვასა და თარგმანთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხები.*

ზემოჩამოთვლილი თემების სისტემურმა დამუშავებამ შექმნა ქართველურ ენებში ევიდენციალობის ავთენტურობის მტკიცების საფუძველი.

მონოგრაფიის ზოგადთეორიული ჩარჩო შემუშავდა საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ქართველ და უცხოელ ავტორთა თეორიული ნააზრევის გათვალისწინებით. კვლევა დაემყარა ვრცელ ემპირიულ მასალას – ბეჭდურად გამოცემულ ქართულ, სვანურ, მეგრულ, ლაზურ ტექსტებს, ქართველურ ენათა განმარტებით და თარგმნით ლექსიკონებს, ელექტრონულ ბაზებს, 2017-2019 წლებში სვანეთში, სამეგრელოსა და ლაზეთში, მათ შორის თურქეთის ლაზეთში, განხორციელებული ლინგვისტური ექსპედიციების ანგარიშებს. შევსებული მასალის საფუძველზე გადააზრიანდა და დაზუსტდა არსებული დებულებები და, ამასთან ერთად, გაჩნდა ახალი საკითხების წარმოჩენისა და განხილვის საჭიროება.

ამგვარმა მიდგომამ განსაზღვრა მონოგრაფიის თეორიულ-პრაქტიკული ღირებულება და მნიშვნელოვნად გაზარდა დასკვნების სანდოობის ხარისხი. საბოლოო შედეგი განაპირობა საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობამაც.

ქართველურ ენათა ტიპოლოგიური ენობრივი სურათის წარმოჩენა ევიდენციალობის კუთხით მნიშვნელოვანია როგორც ზოგადი ენათმეცნიერების, ასევე ინტერდისციპლინური კვლევების თვალსაზრისითაც.

Preface

Evidentiality is a universal category which is related to cognition. Yet, above all, it is an object of linguistic research, because the analysis of every psychological perception starts with linguistic expression.The given research has been implemented within the project *"The Category of Evidentiality in the Kartvelian Languages" (FR - № 217300),* financed by Shota Rustaveli National Science Foundation. The research outcomes embrace all the four Kartvelian languages – Georgian, Megrelian, Laz and Svan – taking into account the comparison of synchronic data, the diachronic stages of development of the literary Georgian language and the empirical material of Georgian dialects. A complex discussion of the category under analysis with regard to Kartvelian languages is one of the topical issues.

Within the framework of the given project, for the first time in history, we have not only implemented comparative and contrastive study of the Kartvelian languages, but also analyzed Megrelian and Laz with regard to evidentiality.

The monograph focuses on the following topical issues referring to evidentiality:

1. *The issue of the term "Evidentiality" in Georgian and foreign scholarly literature;*

2. *The status of evidentiality in the Kartvelian languages;*
3. *Reinterpretation of terms related to evidential screeves in the Kartvelian languages;*
4. *The dynamics of development of perfective evidential screeves in the Kartvelian languages, taking into account the data of Old Georgian literary language;*
5. *The place of non-literary evidential verbal forms in the Kartvelian screeves systems;*
6. *The issues of segmentation and marking of evidential verbal forms in the Kartvelian languages;*
7. *Formation and semantics of modalized evidential screeves in the Kartvelian languages;*
8. *The relationship between evidentiality and epistemic modality in the Kartvelian languages;*
9. *The relationship between evidentiality and grammatical time in the Kartvelian languages;*
10. *Evaluation of rhetorical questions, reported speech and conditional-resultative hypotactic constructions from the viewpoint of evidentiality;*
11. *Problems related to description of evidential lexical strategies and translation of evidential constructions.*

Systematic study of the above-mentioned issues has proved the authenticity of evidentiality in the Kartvelian languages.

The general theoretical framework of the monograph has been worked out in accordance with international standards, taking into account the theoretical approaches of Georgian and foreign authors. The research has embraced ample empirical material – printed Georgian, Svan, Megrelian and Laz texts, explanatory and translation dictionaries of the Kartvelian languages, electronic databases, reports of linguistic expeditions implemented in 2017-2019 in Svaneti, Samegrelo and Laz-speaking area, including the Laz region of Turkey. Based on the obtained material, accurate and revised conclusions have been obtained and the need for identification and discussion of new issues has been outlined.

The above-mentioned attitude has defined the theoretical-practical value of the monograph and significantly increased the degree of reliability of conclusions. The final outcomes are also due to our participation in local and international conferences.

Representation of the typology of Kartvelian languages from the perspective of evidentiality is significant from the viewpoint of general linguistics and also forms grounds for interdisciplinary research.

შესავალი

1. ევიდენციალობის რაობა

ევიდენციალობა არის კატეგორია, რომელიც გულისხმობს კონტექსტთან მთქმელის სუბიექტური მიმართების გამოხატვას, ანუ ინფორმაცია ინფორმატორისთვის პირდაპირი აღქმის ნაყოფია და იდეალურად სანდო, თუ გარეშე წყაროდან („მეორე/სხვა ხელიდან") მიღებული და, ამდენად, მოვლენის შესახებ „იდეალურ ცოდნას" (DeLancey 1997) დაშორებული. ის ერთგვარი უნივერსალიაა, საერთაშორისო ლინგვისტური პრობლემატიკაა, რაც, ბუნებრივია, ენათმეცნიერთა ინტერესის საგანს წარმოადგენს. მას ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში მიაქციეს ყურადღება და აღწერეს ამერიკელი ინდიელების ენათა მკვლევრებმა ფ. ბოასმა (Boas 1911), ე. სეპირმა (Sapir 1912) და სხვებმა; მოგვიანებით, ევიდენციალობის, როგორც გრამატიკული კატეგორიის, თეორიული საფუძვლები ჩამოაყალიბა რ. იაკობსონმა (Jakobson 1957:4); ავტორი ზმნის გრამატიკულ კატეგორიათა ჩამონათვალში გამოყოფს **დადასტურებულობის** სემანტიკასაც. მისი განსაზღვრებით, **ეს არის კატეგორია, რომელიც მიუთითებს გადმოცემული ფაქტის წყაროზე**. მთქმელი მოვლენის შესახებ გვატყობინებს სხვა პირისგან მიღებული ინფორმაციის (ვერბალური წყაროს), წინასწარი ჭვრეტის ან საკუთარი გამოცდილების (ინფერენციული წყაროს) საფუძველზე. პერცეფცია, რამდენადაც ენათა უმრავლესობაში არამარკირებულია, ევიდენციალობის კატეგორიის დეფინიციაში მოხსენიებული არ არის.

ა. აიხენვალდის განმარტებით, **ევიდენციალობა** – ეს არის გრამატიკული კატეგორია ინფორმაციის წყაროს ჩვენებით, რომლის ძირითადი მნიშვნელობაა, ნახა თუ არა მოუბარმა მოვლენა, არ უნახავს, მაგრამ უამბეს ამის შესახებ ან თავად დაასკვნა საერთო ცოდნის ან ვიზუალური კვალის საფუძველზე. ენებმა შეიძლება განასხვაონ პირველი ან მეორე ხელიდან მიღებული ინფორმაცია, ან ჰქონდეთ სპეციალური მარკერი *ევიდენციალური* და *არაევიდენციალური, დაუდასტურებელი* ან *დადასტურებული* ინფორმაციის დასადგენად (Aikhenvald 2004:1-10).

ევიდენციალობის კატეგორიის არსის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ **ევიდენციალობის კატეგორია უშუალო კავშირშია ნათქვამის სემანტიკასთან, რომელშიც გამოხატულია თავად მთქმელის დამოკიდებულება საკუთარი ნათქვამის მიმართ, ინფორმაციის იმ წყაროზე (პირდაპირზე თუ ირიბზე) მითითების თვალსაზრისით, რომელსაც იგი ეყრდნობა.**

ევიდენციალობის კატეგორია განსაკუთრებული ყურადღების საგანი და საფუძვლიანი შესწავლის ობიექტი გახდა უკანასკნელი 30-40 წლის მანძილზე. სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ეს კატეგორია დადასტურდა ძალიან ბევრ განსხვავებული სტრუქტურის მქონე ენაში. კერძოდ, ა. აიხენვალდის ნაშრომში (Aikhenvald 2004:XII) გამოყენებულია 500-ზე მეტი ენის გრამატიკული აღწერილობის მონაცემი: ბულგარული, მაკედონიური, ალბანური, სომხური, თურქული, სპარსული, ტაჯიკური და კავკასიური ენებიდან – **ქართული, სვანური**, არჩიბული, ლაკური, ბაგვალური და სხვ.

მასშტაბური კვლევის შედეგად (Friedman 1979; 1984; Givón 1982; Chafe & Nichols 1986; Palmer 1986; Willet 1988; Козинцева 1994; Guentchéva 1996; Aikhenvald & Dixon 1998; Lazard 1999; Ницолова 2003; Aikhenvald 2004; Корди 2007;

Ханзен 2007; Сумбатова 2007 და სხვ.) გამოიკვეთა მნიშვნელოვანი შედეგები ამ კატეგორიის ინტერპრეტაციის, ტიპოლოგიური დახასიათებისა და განსხვავებული კონსტრუქციების მქონე ენებში მისი დადასტურების თვალსაზრისით. კავკასიურ ენებში აღნიშნული კატეგორია თავის დროზე საგანგებოდ შეისწავლეს ა. კიბრიკმა (Кибрик 1977), ვ. ფრიდმანმა (Friedman 1979; 1984); კონკრეტულად ქართულში – ვ. ბოედერმა (Boeder 2000), მ. ტოფაძემ, იმავე მ. ტოფაძე-გოიმანმა (Topadze 2008, Topadze Gäumann 2011), სვანურში კი – ქ. მარგიანმა, იმავე ქ. მარგიანი-სუბარმა (მარგიანი-სუბარი 2012).

შემდგომში უფრო მეტად განვითარდა თეორია ევიდენციალობის შესახებ და გაფართოვდა საგნის განხილვის არეალიც. ევიდენციალობის კატეგორია უკვე განიხილებოდა როგორც ნათქვამის გარეგანი მოდალური ჩარჩოს ელემენტი, რომელიც სიახლოვეს ამჟღავნებს პროპოზიციის (ნათქვამის) ეპისტემიკურ შეფასებასთან, რადგანაც მთქმელის მიმართება ინფორმაციის წყაროსთან, ჩვეულებრივ, უკავშირდება საკითხს, დარწმუნებულია თუ არა მთქმელი „მეორე ხელიდან"[1] მიღებული, მის მიერ გადმოცემული ინფორმაციის სანდოობაში, უეჭველობაში; ანუ **ევიდენციალობა, ფართო გაგებით**, გულისხმობს არა მარტო ინფორმაციის გარეშე წყაროს (არაპირდაპირ, ირიბად აღქმულ ინფორმაციას), არამედ კონტექსტში მთქმელის მიერ საკუთარი ნათქვამის მიმართ დამოკიდებულების გამოვლენას სარწმუნოობა-სავარაუდოობის თვალსაზრისით.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ იმ ენათა უმრავლესობაში, რომლებშიც საანალიზო კატეგორია ჩამო-

1 წყარო „მეორე ხელი" გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმაციის სიტყვიერად გადმომცემ კონკრეტულ ან თუნდაც იმპერსონალურ პირს, არამედ ინფერენციასაც.

ყალიბებულია გრამატიკულად ან თუნდაც მხოლოდ ლექსიკურად, მარკირებულია ირიბი ევიდენციალობა, პირდაპირი ევიდენციალობა სპეციალურ აღნიშვნას (მარკირებას) არ საჭიროებს (ირიბევიდენციალურს „სხვა ხელიდან" მიღებულ ინფორმაციას უწოდებენ, ხოლო უშუალო აღქმის შედეგად მიღებულ ინფორმაციას – პირდაპირევიდენციალურს); ამასთან, არ აღინიშნება (თუმცა, როგორც პირდაპირდადასტურებული, განიხილება) ის ინფორმაციაც, რომელიც შედის მთქმელის საერთო (ზოგადი) ცოდნის ფონდში. მოკლედ რომ ვთქვათ, „პირდაპირი ევიდენციალობა უფრო ფართოა, ვიდრე აღქმულობა" (Корди 2007:255); თუმცა დებულება მხოლოდ ირიბი ევიდენციალობის მარკირების შესახებ, როგორც ჩანს, ძირითადად მაინც ინდოევროპულ ენებზე ვრცელდება, ვინაიდან, მაგალითად, ა. აიხენვალდის მიხედვით, ამერიკელ ინდიელთა აბორიგენულ ენათა (ტუიუკუს, ტუკანოს, შიპიბოკონიბოს, ვინტუს...) შორის გვხვდება ისეთი ენებიც, სადაც სავალდებულოა საზოგადოდ ევიდენციალობის ტიპის მარკირება (როგორც პირდაპირის, ისე ირიბის), უფრო მეტიც, ზოგიერთ ენაში ცალ-ცალკე მარკერებით აღინიშნება ვიზუალური ევიდენცია, ყნოსვადი ევიდენცია და ა. შ. (Aikhenvald 2004:63).

ევიდენციალობის გამოხატვის გრამატიზებული თუ არაგრამატიზებული პოტენციალი და საშუალებები სხვადასხვა ტიპის ენაში განსხვავებულია. რიგ ენებში (თურქული ჯგუფის, კავკასიური, ფინურ-უნგრული, ამერიკელ ინდიელთა ენები, აფრიკული ენები და სხვ.) მოცემული (ევიდენციალური) მნიშვნელობები გრამატიკულად სავალდებულოა ნათქვამის გარკვეული ტიპების გასაფორმებლად, ზოგიერთ ენაში კი (მაგალითად, რუსულში, ინგლისურში, გერმანულში...) ეს მნიშვნელობები არ არის გრამატიკულად სავალდებულო; სა-

ჭიროების შემთხვევაში, ისინი გადმოიცემა სინტაქსურად და ლექსიკურად (Козинцева 2007:14). შესაძლოა, რომელიმე ენაში არც იყოს ევიდენციალობის გამომხატველი გრამატიკული თუ ლექსიკური ფორმები; მაშინ ინფორმაცია მისი წყაროსა და უშუალო მომწოდებლის შესახებ გადმოიცემა ვრცელი კონტექსტით (Ницолова 2007:108).

ქართველურ ენებში, ვერბალური ან უშუალოდ კვალზე დამყარებული ინფერენციული ინფორმაციის წყაროს არსებობის შემთხვევაში, მთქმელის მიერ ინფორმაციის სანდოობის შეფასება არ ხდება და მხოლოდ ე. წ. ***უნახაობას ესმება ხაზი*** (უნახავი აქტის შესახებ იხ. შესავალი, §3). გამოცდილებასა თუ ფონურ ცოდნაზე დამყარებული ინფერენციული წყაროს შემთხვევაში კი, პირიქით, ინფორმაცია მთქმელის ვარაუდს გამოხატავს, შესაბამისად, იგი საეჭვოობა-სავარაუდოობის სემანტიკის მატარებელია, ანუ, ევიდენციალობასთან ერთად, შემოდის ეპისტემიკური მოდალობის გაგებაც. ყოველივე ეს აფართოებს ევიდენციალობის კატეგორიის საკვლევ არეალს და გახაზავს *მთქმელის მიმართებას გარეშე წყაროდან (ვერბალობა, ინფერენცია) მიღებულ ინფორმაციასთან;* შესაბამისად, ქართველური ენების მონაცემების მიხედვით, ევიდენციალობის ორი ტიპი განიხილება: **არამოდალიზებული ევიდენციალობა** და **მოდალიზებული (ეპისტემიკური) ევიდენციალობა** (პლუნგიანის ტერმინოლოგიით, იხ. Плунгян 2010).

ამრიგად, განსხვავებული აგებულების ენებში საანალიზო კატეგორია სხვადასხვა საშუალებით (გრამატიკულად, ლექსიკურად, კონტექსტუალურად...) გადმოიცემა, ზოგიერთ ენაში დიფერენცირებულია სემანტიკური ნიშნითაც (უნახაობა – ეპისტემიკურობა), თუმცა ერთი რამ ცხადია: ევიდენციალობის რაობის განსაზღვრისას ყველა ენისთვის (მიუხედავად აგებულებისა) უნივერსალური წესი და სავალდებულო პირობაა **ინფორმაციის წყაროს მარკირების აუცილებლო-**

ბის საკითხი (ლექსიკურად ან გრამატიკულად), საიდანაც ჩანს სწორედ მთქმელის დამოკიდებულება ნათქვამთან, რაც ევიდენციალობის ერთ-ერთი ასევე აუცილებელი კომპონენტია.

2. ევიდენციალობა და ინფორმაციის წყაროები

მკვლევართა მოსაზრებები ინფორმაციის წყაროთა შესახებ მეტ-ნაკლებად განსხვავებულია, თუმცა ძირითადად მაინც გამოყოფენ ინფორმაციის ყველაზე გავრცელებულ სამ წყაროს, რომელთა შესახებაც მთქმელი ამცნობს ან მიანიშნებს მსმენელს: მოვლენის პერცეფცია, ვერბალობა და ინფერენცია (Dendale 1994:4), ანუ: პირდაპირი აღქმა, „გადმოცემითობა" და ლოგიკა (Козинцева1994:95).

ე. კორდის ფორმულირებით, ინფორმაციის წყარო შეიძლება იყოს „გრძნობის ორგანოების მიერ უშუალო აღქმა (პირდაპირი ევიდენციალობა) და არაუშუალო აღქმის (ირიბი ევიდენციალობა) ორი ტიპი: ვერბალური (სხვისგან მიღებული) ინფორმაცია და ინფერენციული – ლოგიკურ დასკვნებზე დაფუძნებული ინფორმაცია, რომელიც, ძირითადად, ემყარება მთქმელისთვის ცნობილ ფაქტებს" (Корди 2007:255).

ევიდენციალობის ცნებისა და მისი წყაროების შესახებ, ევროპული ენების მონაცემთა გათვალისწინებით, არსებული შეხედულებები შემდეგნაირად შეჯამდება: **ევიდენციალობის სემანტიკური ნიშანი ნათქვამში ან არის, ან არ არის**, ანუ:

ა. *პირდაპირი ევიდენციალობა არის სემანტიკურად არამარკირებული (მთქმელს ინფორმაცია მიღებული აქვს უშუალოდ და ამის მითითება არ არის სავალდებულო);*

ბ. ირიბი ევიდენციალობა სემანტიკურად მარკირებულია (შესატყობინებელი ინფორმაცია მთქმელს მიღებული აქვს შუალობითი ფორმით, გარკვეული გ ზის გავლით).

იმ ენებისთვის, რომელთა საანალიზო კატეგორიაში მარკირებულია ირიბი ევიდენციალობა, ხოლო პირდაპირი – არა, მიიჩნევენ, რომ ოპოზიციაში **პირდაპირი ევიდენციალობა ↔ ირიბი ევიდენციალობა** სემანტიკურად ამოსავალი წევრი არის პირდაპირი ევიდენციალობა (Храковский 2007:608).

მიჯნა პირდაპირ და ირიბ ევიდენციალობას შორის, ასევე, მათი მნიშვნელობა და დანიშნულება ერთმანეთს არ ემთხვევა სხვადასხვა ენაში (Козинцева 1994:93). როგორც საერთაშორისო ლინგვისტიკაში საკითხის კვლევის შედეგებიდან ჩანს, გარკვეულ ენებში უშუალო აღქმით მიღებული ინფორმაცია მიიჩნევა პირდაპირევიდენციალურად, მაგრამ უშუალო აღქმის წყაროებიც ენათა მიხედვით განსხვავებულია: მათ დიდ ნაწილში ხუთივე გრძნობა (მხედველობა, სმენა, ყნოსვა, გემო, შეხება) და ზოგჯერ ინტუიციაც ითვლება პირდაპირი აღქმის საშუალებად, თუმცა არსებობს ენები, რომლებშიც მხოლოდ მხედველობით მიღებული ინფორმაცია გამოიხატება პირდაპირევიდენციალური ფორმებით, დანარჩენი კი (სუნი, გემო და ა. შ.) ცოდნის შუალობითად მიღების საშუალებად აღიქმება და მარკირებაც შესაბამისია – ამ წყაროებით მიღებულ ინფორმაციას მთქმელი ირიბევიდენციალურად გადმოსცემს.

ერთადერთი უნივერსალია ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: **პირდაპირ ევიდენციალობას ყოველთვის განეკუთვნება მხედველობის მეშვეობით მიღებული ინფორმაცია;** გრძნობათა სხვა ორგანოებით აღქმული ინფორმაციის შეფასება ევიდენციალობასთან მიმართებით ენებში არაერთგვაროვანია.

3. ევიდენციალობის კატეგორია ქართველურ ენებში: საკითხის კვლევის ისტორია
(მოკლე მიმოხილვა)

ევიდენციალობის, როგორც კატეგორიის, კვლევა ქართველურ ენებში, ძირითადად ქართულ და სვანურ მასალაზე, მე-20 საუკუნის მიწურულს დაიწყო უცხოელი და ქართველი ავტორების მიერ; კვლევის შედეგები, ფაქტობრივად, 21-ე საუკუნის დასაწყისში აისახა სამეცნიერო სტატიებსა და მონოგრაფიებში (Boeder 2000, 2002; Сумбатова 2007; Topadze 2008, Topadze Gäumann 2011; მარგიანი-სუბარი 2010, 2012).

ტერმინი *„ევიდენციალობა“* გვიან გაჩნდა საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში და, შესაბამისად, გვიან შემოვიდა ჩვენთანაც; თუმცა, ქართული სამეცნიერო ლიტერატურა მდიდარია ადრეული პერიოდის კვლევებით, რომლებიც მოიცავენ ევიდენციალობის ცალკეულ საკითხებს ან მის გრამატიკულ გამოხატულებასთან უშუალოდ დაკავშირებულ თემებს, ძირითადად ეს ეხება *თურმეობითობის* პრობლემატიკას.

ქართული გრამატიკული აზრის ისტორიაში ეს საკითხი პირველად ნახსენები აქვს პლატონ იოსელიანს. იგი დააკვირდა მოვლენას, რომელსაც არავინ დასწრებია, რომელსაც მოწმე არ ჰყოლია, რომელიც მთქმელს თავისი თვალით არ უნახავს. მასვე აღნიშნული აქვს, რომ ამის გადმოცემა *თურმე* ნაწილაკითაა შესაძლებელი და *თურმე* ნაწილაკის მნიშვნელობა ზმნის გრამატიკულ დროთა სისტემაშია ჩადებული; კერძოდ, პ. იოსელიანი,

თავისი თხზულების, „პირუკუ-დაწყებითნი კანონნი ქართულისა ღრამმატიკისა“, 69-ე პარაგრაფის მე-3 პუნქტში წერს: *„საუბარსა ენასა შინა ჰხშირად დაერთვიან ზმნათა ლექსნი: თურმე, ხუალმე ანუ ხოლმე. – თურმე იხმარების, ოდესმე ვისმე თუალით არა უნახავს და სმენით არა იცის; გარნა თჳთ მიხდომილ-არს; მიეცემის იგი ზმნათა განვლილთა დროთა მნიშუნელთა, სქესთა შინა უფრორე საზღურებითსა და სათუვოსა, მაგ. თურმე ჰსწერს, თურმე იწერება; თურმე უნდა ჰსწერდეს, თურმე უნდა იწერებოდეს და სხ. . . “*, ქვემოთ, მე-200 პარაგრაფში, პ. იოსელიანი კვლავ უბრუნდება *თურმე* ნაწილაკის გამოყენების საკითხს: *„თურმე იხმარების საუბარსა ენასა შინა დასანიშუნელად საქმეთა მათ, რომელნიცა სხუათაგან გუსმენია და თჳთ არა გჳნახავს, მაგ. თურმე მოსული, თურმე ღმერთი არ გასწირავს, კაცსა შენგან გაწირულსა..... ვეფხ. ტყ.“* (იოსელიანი 1840:70, 127-128).

შემდგომში ეს მოვლენა საფუძვლიანად შეისწავლა აკაკი შანიძემ (შანიძე 1930:123). მნიშვნელოვანი იყო მოგვიანებით მის მიერ შემოთავაზებული მწკრივის ელემენტის, აქტის, გაგება, რაც ა. შანიძის ყველა გრამატიკაში აისახა (1953, 1973, 1980): *„აქტი ანუ საქმე არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, ნახა მოუბარმა ზმნით გამოხატული მოქმედება, თუ არა. ქართულ ზმნას აქვს საშუალება, აღნიშნოს არა მარტო ისეთი მოქმედება, რომელსაც მოუბარი დასწრებია და უნახავს, არამედ ისეთიც, რომელსაც ის არ დასწრებია და არ უნახავს. ამის მიხედვით გვაქვს ორი აქტი: ნახული და უნახავი* (ანუ დასწრებული და დაუსწრებელი)“. ა. შანიძემ, ფაქტობრივად, აღმოაჩინა ევიდენციალური პერფექტის ორი შესაძლო მნიშვნელობა: ***„დაუსწრებელი მოქმედების შესახებ შეიძლება ორგვარად გაიგოს მოუბარმა: სხვისგან გაიგოს ამის შესახებ, ან თვით ნახოს მოქმედების შედეგი და ამ შედე-***

გის მიხედვით გაითვალისწინოს, თუ რა უნდა მომხდარიყო“ (შანიძე 1980:211-212).

პერფექტს და პლუსკვამპერფექტს, რომლებმაც, წყვეტილისაგან განსხვავებით, განივითარეს ევიდენციალური მნიშვნელობები, როგორც მეორეული მნიშვნელობები, აკაკი შანიძემ უწოდა *პირველი თურმეობითი* და *მეორე თურმეობითი* (შანიძე 1980:222-232).

ქართულში პერფექტული ზმნური ფორმების (მწკრივების) ჩამოყალიბების პროცესი და ამ ფორმათა ფუნქციური დანიშნულების საკითხი მორფოსინტაქსურ ჭრილში, დიაქრონიული და სინქრონიული პერიოდების გათვალისწინებით, განხილულია ქართველი და უცხოელი ავტორების – არნ. ჩიქობავას (1944, 1950, 1962ა), დ. გეწაძის (1952), ნ. ნათაძის (1955), ი. ქავთარაძის (1956), ჟ. ფეიქრიშვილის (1974, 2007), დ. ფხაკაძის (1978, 1984), ა. არაბულის (1984), ა. ჰარისის (1981, 1985), ი. მელიქიშვილის (1998), დ. მელიქიშვილის (2001), მ. ბერიძის (2009), გ. შაბაშვილის (2009) – ნაშრომებში. აღსანიშნავია ი. ქავთარაძის დასკვნა, რომლის თანახმადაც, „თურმე“-ს საშუალებით უნახაობის გადმოცემა უსწრებს პერფექტული მწკრივების გაჩენას (1956).

ცნობილია, რომ ქართველურ ენათა კომპლექსური კვლევისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სვანური, მეგრული და ლაზური ემპირიული მასალების შედარებით-შეპირისპირებით ანალიზს. ამ თვალსაზრისით, ჩვენს საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, სრულიად გამორჩეულია ვ. თოფურიას, გ. როგავასა და ი. ქობალავას შრომები. ვ. თოფურიას სახელს უკავშირდება სვანურში ქართული სალიტერატურო ენისგან განსხვავებული მწკრივების გამოყოფა და დახასიათება (1931), რომლებიც ალ. ონიანმა ცალკე სერიაში გააერთიანა და შეცვალა მათი აღმნიშვნელი ტერმინები (1998). მოგვიანებით ეს მწკრივები ევიდენ-

ციალობის თვალსაზრისით იქნა განხილული; იმავდროულად, დადასტურდა და ზმნის პარადიგმას დაემატა არა „თურმეს“, არამედ „ალბათობის“, საეჭვოობა-სავარაუდოობის სემანტიკის ორი სპეციფიკური პერფექტული მწკრივი (მარგიანი-სუბარი 2009ა, 2012). სალიტერატურო ენისგან განსხვავებული უნახაობის გამომხატველი *ნო-* პრეფიქსიანი ზმნები მეგრულში ცალკე, IV სერიად პირველად გამოყო და მორფოლოგიურ-სინტაქსური თვალსაზრისით დაახასიათა გ. როგავამ (1953). ი. ქობალავა დაეთანხმა ამ მწკრივთა გამოყოფის პრინციპებს, თუმცა, ნახულიუნახავი აქტისა და დრო-კილოთა გათვალისწინებით, ახლებურად გაიაზრა მთლიანად მწკრივთა სისტემა მეგრულში; კერძოდ, დაახასიათა ისინი ფუნქციურ-სემანტიკური შესაძლებლობების მიხედვით, რის შედეგადაც შეცვალა ზოგი მწკრივის, მათ შორის *ნო-* პრეფიქსიანი მწკრივების, დასახელება-ტერმინი და დააზუსტა მათი ადგილი სერიებში (ქობალავა 2001:131-136).

ქართველურ ენებში ევიდენციალობის კატეგორიის კვლევამ გააააქტიურა ისეთი პრობლემური საკითხები, როგორებიცაა: ევიდენციალობის მარკირება, გრამატიკულ დროსთან მიმართება, მოდალიზებული ევიდენციალური (ეპისტემიკური) მწკრივების გამოყოფა და სხვ. ამ თვალსაზრისით, გარდა ზემოხსენებული სამეცნიერო ლიტერატურისა, მნიშვნელოვანია მ. მარგველაშვილის, ზ. ჭუმბურიძის, რ. შეროზიას ნაშრომები. მ. მარგველაშვილმა აღწერა და დაახასიათა სპეციფიკური სტრუქტურისა და სემანტიკის ზმნები მეგრულში, ფაქტობრივად, ევიდენციალურ-ეპისტემიკური ფორმები, თუმცა, ნაირსახეობის მიუხედავად, ერთ მწკრივში გააერთიანა და *მყოფადუსრული* უწოდა (მარგველაშვილი 1980). ზ. ჭუმბურიძემ დააზუსტა ამ ფორმათა სტრუქტურა და, საყრდენი ფუძის მიხედვით, მეორე მწკრივიც გამოყო: *პირობითუსრული*, ხოლო *მყოფადუსრულის* ერთ-ერთ სემანტიკურ ნიუანსად შესაძლებლობის, ალბათობის

აღნიშვნა მიიჩნია (ჭუმბურიძე 1986). რ. შეროზია შეეცადა აეხსნა, რამ შეუშალა ხელი ლაზურში *ნო-* პრეფიქსიანი მწკრივების გაჩენა-განვითარებას (შეროზია 2004). ლაზური მასალის ანალიზისთვის მნიშვნელოვანია გ. კარტოზიას მონოგრაფია – „ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში“, თბ., 2005, განსაკუთრებით, მასში მოცემული ზმნის მორფოლოგიის საკითხები, როგორებიცაა: III სერიის მწკრივთა წარმოება და არაინვერსიული თურმეობითები. საყურადღებოა ნ. კაკაბაძის სადიპლომო ნაშრომი – „თურმეობითების წარმოება ჭანურში (ლაზურში)“ (1969) – როგორც ლაზი სპეციალისტის მიერ თავისებური ლაზური ფორმების ქართულად გააზრების ერთ-ერთი წყარო (კაკაბაძე 2018).

მონოგრაფიის ცალკეულ პარაგრაფებსა თუ ქვეპარაგრაფებში გათვალისწინებულია სათანადო საენათმეცნიერო ლიტერატურა და ამა თუ იმ საკითხის კვლევის ისტორია მოცემულია შედარებით უფრო ვრცლად.

4. ევიდენციალობის ტერმინის საკითხი უცხოურ და ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში

ცნობილია, რომ ტერმინი *ევიდენციალობა* მომდინარეობს სიტყვიდან *evidence*[2] *(← ლათ.* evidentia*)*, რაც გულისხმობს მარკირების სპეციალურ საშუალებებს, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ მოუბარი ან სხვა პირი გამონათქვამის ავტორია ან მოწმე (Кобрина 2005:86). ამასთან დაკავშირებით, რ. იაკობსონმა შემოიღო ცნება *შიფტერი*, ანუ მეორეული დონის ენობრივი ერთეული, რომლის მნიშვნელობაში მარკირებულია მითითება თვით მეტყველების აქტზე ან მეტყველების აქტის მონაწილეებზე (Jakobson 1957:4).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ევიდენციალობის აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინი დამკვიდრდა.

მ. ტოფაძე-გოიმანის ნაშრომის, *„ევიდენციალობის გამოხატვა ლექსიკასა და გრამატიკას შორის ქართულში“* (Topadze Gäumann 2011), მიხედვით მოგვყავს შემდეგი ტერმინები: ჰოვარდ არონსონი ბალკანეთის ნახევარკუნძულის სლავურისათვის იყენებს ტერმინს

---

2 დღეისათვის ამ სიტყვას ინგლისურში შემდეგი მნიშვნელობები აქვს: 1. მონაცემები, ფაქტები; დამამტკიცებელი საბუთი; 2. მოწმის ან ბრალდებულის ჩვენება (სასამართლოში მიცემული) (ინგლისურ-ქართული სასწავლო ლექსიკონი, 2019).

სტატუსი, რაც ზმნურ კატეგორიას აღნიშნავს და მისთვის დამახასიათებელია მთქმელის მიერ ნათქვამის შეფასება (Aronson 1977 apud Friedman 1979:339); ევიდენციალურ ფორმებს ასევე უწოდებენ: *მედიატიურ ფორმებს* (Guentchéva 1996), *კონფირმატიულ ფორმებს* (Aronson 1977), *არაკონფირმატიულ ფორმებს* (Friedman 1979:339), *ვალიდაციონალურ ფორმებს* ან *ვერიფიკაციონალურ ფორმებს* (Aikhenvald 2004:15) და სხვ.

საყურადღებოა, ევიდენციალური ფორმების სხვადასხვა თავისებურების გათვალისწინებით გამოყოფილი ტერმინებიც, რომელთაც ო. კობრინას სტატიის მიხედვით (Кобрина 2005) წარმოვადგენთ ქვემოთ; კერძოდ, ინფორმაციის წყაროზე მითითების გარდა, მარკირების საშუალებებს მიეწერება წესები, რომლებიც ინფორმაციის წყაროს ირიბ ბუნებაზე მიგვითითებენ, ამიტომ ამ კატეგორიას *გადმოცემითობას (რუსულად пересказывательность)* უწოდებენ (Молошная 1989:63). ირიბი ინფორმაციის ცნება სხვადასხვა მკვლევრის მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება და, შესაბამისად, განსხვავებული ტერმინებით მოიხსენიება: *ინფერენციულობა/არაინფერენციულობა, აშკარაობა/არააშკარაობა (რუს. очевидность/неочевидность), დაუსწრებლობა (რუს. заглазность), დადასტურებულობა/დაუდასტურებლობა (რუს. засвидетельствованность/незасвидетельствованность;* ამ ბოლო ტერმინს *ევიდენციალობის* რუსულ თარგმანად თვლიან), *დისტანციურობა (+ -), იმპერცეპტივი* (Козинцева 1994:92-93).

კოგნიტური მიმართულების ბოლო შრომებში, კერძოდ, შოტლანდიის კოგნიტური სამეცნიერო საზოგადოების ცენტრის მიერ მომზადებულ გამოცემებში, გამოიყენება ტერმინი *მეტარეპრეზენტაცია* (რეპრეზენტაციათა სპეციალური წესები). ამ მიმართულების ავტორები იზღუდებიან სარეპრეზენტაციო ნაწილში შემავალი ზმნებით, *თქმა-ბრძანების* ზმნებით, მოსაზ-

რების, შეფასების და სხვა ეგრეთ წოდებული „იდეალური" მნიშვნელობებით (Metarepresentations. . . 2000; Клепикова 2002). ნ. კოზინცევა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩამოთვლილთაგან საერთო ტერმინად უნდა ჩაითვალოს ***ევიდენციალობა***, რომელიც მიემართება როგორც *აშკარაობის, კონფირმატიულობის, არაგადმოცემითობის (რუს.* ***непересказывательность****),* ასევე *არააშკარაობის (რუს.* ***неочевидность****), არაკონფირმატიულობის, გადმოცემითობის (რუს.* ***пересказывательность****) შემთხვევებს* (Козинцева1994:93).

დღეისათვის ქართული და სხვა ქართველური ენების შესწავლისა და სწავლების პროცესში გამოიყენება ტერმინი ***ევიდენციალობა***, თუმცა საინტერესოა ევიდენციალობის ცნებასთან დაკავშრებული ქართული ტერმინებიც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (იხ. შესავალი, §3), ქართული გრამატიკული აზრის ისტორიაში პირველად ამ საკითხს შეეხო პ. იოსელიანი (იოსელიანი 1840:70, 127-128). შევნიშნავთ, რომ მას რაიმე სპეციალური ტერმინი არ გამოუყენებია ევიდენციალური შინაარსის მქონე ფორმებისათვის.

ამ მოვლენის თეორიული შესწავლისა და შესაბამისი ტერმინოლოგიის დანერგვის საქმეში განსაკუთრებულია აკაკი შანიძის ღვაწლი. მან მწკრივის ერთ-ერთი ელემენტის – *აქტის* და, ზოგადად, სერიებისა და მწკრივების დამუშავებისას შემოგვთავაზა არაერთი მნიშვნელოვანი ტერმინი (აქტის შესახებაც იხ. შესავალი, §3); აქ კი გავიმეორებთ ევიდენციალობის თვალსაზრისით ღირებულ ტერმინებს, რომლებიც ა. შანიძეს ეკუთვნის; ესენია: *ნახული აქტი* – ეს არის ტერმინი იმ მოქმედებისათვის, რომელსაც მოუბარი პირი დაესწრო, თავისი თვალით ნახა, და *უნახავი აქტი* – ეს არის ტერმინი იმ მოქმედებისათვის, რომელსაც მოუბარი პირი არ დასწრებია, თავისი თვალით არ უნახავს. რადგანაც უნა-

ხავი აქტის მქონე მწკრივები *თურმეს* გაგებას შეიცავენ, ა. შანიძემ ამ მწკრივებისათვის შემოიღო *I თურმეობითისა* და *II თურმეობითის* სახელწოდებანი (შანიძე 1980:211-212, 222-232).

5. ევიდენციალობის სტატუსის საკითხი ქართველურ ენებში

ევიდენციალობის კატეგორიის შესწავლისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი თავად ამ კატეგორიის სტატუსის განსაზღვრაა. ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას იქცევს ევიდენციალობის ენობრივი სტატუსი ქართველურ ენებში. განხილვას ქართულით დავიწყებთ.

5.1. ევიდენციალობის სტატუსის შესწავლის ისტორიისათვის ქართულში

უშუალოდ ევიდენციალობას ქართულში შემდეგი ფრიად მნიშვნელოვანი ნაშრომები ეძღვნება: ვ. ბოედერის *„ევიდენციალობა ქართულში“* (Boeder 2000), მ. ტოფაძის *„ევიდენციალობის გამოხატვის საშუალებები ქართულში“* და მისივე, *„ევიდენციალობის გამოხატვა ლექსიკასა და გრამატიკას შორის ქართულში“* (Topadze 2008, Topadze Gäumann 2011).

ქრონოლოგიური პრინციპის გამო, თავდაპირველად ვ. ბოედერის ნაშრომს განვიხილავთ. ავტორი ზედმიწევნით იცნობს ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურას და მდიდარ ქართულ საილუსტრაციო მასალას, ხოლო ზოგადენათმეცნიერული კუთხით განსწავლულობა საშუალებას აძლევს მას გამოწვლილვით შეისწავლოს საანალიზო საკითხი. ამრიგად, მის სტატიაში ერთ-

გვარად თავმოყრილია ქართველ ავტორთა მიერ შესწავლილი ქართული პერფექტის მორფოსინტაქსური მახასიათებლები და, ამავე დროს, ავტორს წარმოდგენილი აქვს საკუთარი ვარაუდებიც ქართულ ევიდენციალურ ფორმათა შესახებ. განხილული საკითხები ქართული ენის შესახებ ზოგადი ცნობებით იწყება, შემდეგ კი მოცემულია საკითხთა წყება, რაც ევიდენციალობას და მის გამოხატვას უკავშირდება ქართულში; სულ სტატიაში 9 პუნქტია წარმოდგენილი:

1. *ქართულის გენეტიკური ურთიერთობა სხვა ენებთან;*
2. *ქართულ-თურქული ენობრივი კონტაქტები;*
3. *ქართული ზმნის სისტემა;*
4. *ევიდენციალობის მსგავსი სემანტიკური კატეგორიები, ხუთი ქვეპუნქტით: (1) სხვათა სიტყვა, (2) მყოფადი, (3) ევიდენციალური პერფექტის მნიშვნელობის ნაწილაკები, (4) ევიდენციალური ნაწილაკები დიალექტებში, (5) დადასტურებითი ფორმები;*
5. *პერფექტის ევიდენციალური მნიშვნელობანი თანამედროვე ქართულში; ამ პუნქტში ათი ქვეპუნქტია: (1) მოქმედება, რომელსაც მთქმელი არ დასწრებია, (2) ინფერენცია, (3) ადმირატივი, (4) ირონია, (5) სხვისგან მოწოდებული ინფორმაცია (Hearsay), (6) ტრადიცია, (7) ევიდენციალური კითხვითი წინადადება, (8) წინადადებაში ჩართული ევიდენციალური ნაწილები, (9) ევიდენციალურ სახეობათა მნიშვნელობების რეზიუმე, (10) ძველი ქართულის შესახებ*[3]*;*

---

3 ავტორს ეს ქვეპუნქტი ცალკე აქვს გამოყოფილი. ის ეძებს იმ კონკრეტულ მაგალითებს, რომლებშიც პერფექტულ ფორმებს გაუჩნდათ ევიდენციალური მნიშვნელობა ძველ ქართულში. წერს, რომ მაშინ, როდესაც ი. ქავთარაძე უარყოფს რაიმე ევიდენციალურ

6. *პერფექტის არაევიდენციალური გამოყენება, აქ ექვსი ქვეპუნქტია: (1) „თუნდაც ერთხელ“ მნიშვნელობით გამოყენება, (2) დიახ-არა-კითხვებიანი შემთხვევები, (3) უარყოფა, (4) მნიშვნელობათა შეთავსება, მაგალითად, იტერატივის შეთავსება ევიდენციალობასთან, (5) მნიშვნელობები, ვარიანტები, ორაზროვნებანი, (6) პრაგმატული მახასიათებლები;*

7. *აწმყოსთან დაკავშირებული პერფექტის დამატებითი მნიშვნელობანი: აქ სამი ქვეპუნქტია: (1) პერფორმატიული მნიშვნელობა, (2) სურვილები, (3) პირობითი წინადადებანი;*

8. *ევიდენციალობა დიალექტებსა და გენეტიკურად მონათესავე ენებში;*

9. *წინასწარი ჰიპოთეზა* [4].

ასეთია წერილის შინაარსი. მიუხედავად იმისა, რომ ასე დაწვრილებით იხილავს ევიდენციალობის შემთხვევებს ქართულში,

---

მნიშვნელობას ძველი ქართული პერფექტისათვის, გ. ნინუასა და ზ. სარჯველაძის სტატიაში (1985) მოყვანილია მაგალითები, რომლებიც გადმოგვცემენ მოქმედებებს, რომელთაც მოუბარი პირი არ დასწრებია, კერძოდ: *„შენ ჩემი ხატი დაამხუ და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ და შენი ადგილი დაგიტევებიეს და სხუად წარსრულ ხარ“*. ვ. ბოედერის აზრით, ეს ევიდენციალობისათვის არ არის საკმარისი, რადგან აორისტიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ამავე მნიშვნელობით. ამასთანავე, ავტორის აზრით, რეალურად შესაძლებელია ევიდენციალური მნიშვნელობა ძველი ქართულის პერფექტს განევითარებინა თურქულ-ქართული ბილინგვიზმის შედეგად.

4 ამ მონაკვეთში ვ. ბოედერი წარმოადგენს წინასწარ ჰიპოთეზას, რომლითაც ცდილობს ახსნას სტატიაში მოყვანილი ევიდენციალური მნიშვნელობების შესაბამისობა ძველი ქართულის კარგად დოკუმენტირებული პერფექტის რეზულტატიურ მნიშვნელობებთან.

ვ. ბოედერი არაფერს ამბობს ევიდენციალობის კატეგორიის სტატუსზე. ამ მხრივ სტატიაში მინიშნებაც კი არ არის.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა მ. ტოფაძის ნაშრომები: *„ევიდენციალობის გამოხატვის საშუალებები ქართულში“* და *„ევიდენციალობის გამოხატვა ლექსიკასა და გრამატიკას შორის ქართულში“* (Topadze 2008, Topadze Gäumann, 2011). მ. ტოფაძის თვალსაზრისებს ავტორის ბოლოდროინდელი ნაშრომის მიხედვით წარმოვადგენთ, თუმცა ქვემოთ სხვადასხვა საკითხის განხილვისას მის 2008 წლის ნაშრომსაც ვასახელებთ. მ. ტოფაძის ზემოხსენებული 2011 წლის ნაშრომი შემდეგი პუნქტებისაგან შედგება:

1. *ევიდენციალობის თეორიული საფუძველი;*
2. *ევიდენციალობა ქართულში, სადაც შვიდი ქვეპუნქტი გვაქვს: (1) ადრეული გამოკვლევები, (2) ევიდენციალურ ფორმათა სახეები, (3) გრამატიკული სტრატეგიები, (4) პერფექტი, (5) პლუსკვამპერფექტი, (6) მყოფადი, (7) პირობითი;*
3. *ლექსიკური სტრატეგიები; აქ ექვსი ქვეპუნქტია: (1) სხვათა სიტყვის მარკერები, (2) ევიდენციალური ნაწილაკები, (3) თურმე, (4) მგონი, (5) ეტყობა, (6) ჩანს;*
4. *კავშირთაგან ნაწარმოები ინფერენციული და გადმოცემითი მარკერები ორი ქვეპუნქტით: (1) მოდალური ფორმებიდან ნაწარმოები ინფერენციული მარკერები. (2) ინფერენციული მარკერი, ნაწარმოები ნომინალური აფიქსისაგან: -სავით (აცივდასავით // თითქოს აცივდა);*
5. *დასკვნები.*

მ. ტოფაძის მიხედვით, *ევიდენციალობა ქართულში ფუნქციური, სემანტიკური კატეგორიაა.* ინფორმაციის წყაროს მარკირება არ არის სავალდებულო და ეს დამოკიდებულია მთქმელის არჩევანზე. ევიდენციალობა შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა გრამატიკული და ლექსიკური სტრატეგიით. ქართულში არ გვხვდება ევიდენციალობის აშკარა მორფოლოგიური ანუ ზმნური მარკერები უშუალოდ ინფორმაციის წყაროს გამოხატვის ფუნქციით.

5.2. ევიდენციალობის სტატუსის შესწავლის ისტორიისათვის სვანურსა და ზანური ჯგუფის ენებში[5]

რამდენადაც ევიდენციალობის კატეგორია არასალიტერატურო ქართველურ ენებში ქართველ ენათმეცნიერთა მიერ ბოლო დრომდე შესწავლილი არ ყოფილა, შესაბამისად, არც მის სტატუსზე მოგვეპოვება შეხედულებები; საერთაშორისო დონეზე კი, ევიდენციალობის კატეგორიით დაინტერესებულ ლინგვისტთა ნაშრომებში რამდენჯერმე ამ ენათა მონაცემებიც აისახა. მათ შორის, საანალიზო კატეგორიას **სვანურ ენაში** მნიშვნელოვანი გამოკვლევა უძღვნა რუსმა ენათმეცნიერმა ნ. სუმბათოვამ (Сумбатова 2007). იმ ემპირიული მასალის საფუძველზე, რომელიც მოუპოვებია უცხოელ ლინგვისტს, სტატიაში საკმაოდ სრულყოფილად არის განხილული ევიდენციალობის გამოხატვის საშუალებები და თავისებურებები სვანურში, თუმცა სტატუსთან დაკავშირებით მსჯელობა არც ამ ნაშრომში გვხვდება.

5 ცნობილია, რომ ზანური ჯგუფის ენებში მეგრული და ლაზური იგულისხმება.

არსებობს სვანურში ევიდენციალობის კატეგორიის მონოგრაფიული გამოკვლევა (მარგიანი-სუბარი 2012). ნაშრომში, ევიდენციალობის კატეგორიის შესახებ ფუნდამენტური თეორიების გათვალისწინებით, ასევე, დიდძალი ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებულად არის დადასტურებული, რომ ევიდენციალობა სვანურ ენაში გრამატიკული კატეგორიაა; სვანურ ზმნაში გამოიყო ევიდენციალობის სპეციალური მარკერი – სუფიქსი **-VC-** (სინქრონიულ დონეზე ძირითადად **-უნ-**, დიალექტური და ფონეტიკური ხასიათის ვარიაციებით **-ჳნ-**, **-ინ-**, **-ნ-**), რომელიც დადასტურდა სვანური ზმნის პარადიგმის როგორც არამოდალიზებულ (უნახაობის), ასევე მოდალიზებულ (ეპისტემიკურ) ევიდენციალურ მწკრივებში.

აღნიშნულ ნაშრომში ასევე ვრცლად არის განხილული ევიდენციალობის გადმოცემის სხვა საშუალება ენაში: ე. წ. **სხვათა სიტყვა**, რომელიც პირთა მიხედვით მარკირებულია სპეციალური მორფემებით (**-ჳჯ/-იჯ** „-მეთქი, -თქო“, **-როქუ, ესერ** „-ო“), რაც ამ კატეგორიის მორფოსინტაქსურ სტატუსზე მიუთითებს.

ამრიგად, სრულიად თვალსაჩინოა, რომ სვანურ ენაში ევიდენციალობა გრამატიკული კატეგორიაა.

რაც შეეხება ზანური ჯგუფის ენებს, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ცნობილია, ამა თუ იმ კატეგორიის სტატუსის განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ ენობრივი მასალის გამოწვლილვითი ანალიზის შედეგად. როგორც *წინასიტყვაობაში* ვწერდით, ***მეგრულისა*** და ***ლაზურის*** მონაცემების განხილვა-შეფასება ევიდენციალობის თვალსაზრისით სრულად (ლექსიკურ-გრამატიკულ დონეზე) წინამდებარე მონოგრაფიის ფარგლებში პირველად ხდება, ამიტომ, ცხადია, ევიდენციალობის თემატიკასთან დაკავშირებულ ადრინდელ შრომებში სტატუსის საკითხი არ ყოფილა განხილული.

5.3. ევიდენციალობის სტატუსის განსაზღვრა ქართველურ ენებში

როგორც უკვე აღინიშნა, ევიდენციალობა ლინგვისტური კატეგორიაა, რომელშიც მთქმელი ინფორმაციის წყაროზე მითითებით აკეთებს განაცხადს; ეს შეიძლება იყოს რაიმე მოვლენის შესახებ პირდაპირი ან ირიბი ცოდნა, რომელიც მიღებულია დასკვნის, სხვისი ნათქვამის, ვარაუდის, აღქმის საფუძველზე. ევიდენციალობა მსოფლიოს ენათა გარკვეულ ნაწილში მორფოლოგიურადაა რეალიზებული, მაგალითად, გადმოცემულ ინფორმაციას სპეციალური მარკერები გამოხატავენ ბრაზილიასა და კოლუმბიაში გადაშენების გზაზე მყოფ ენაში, რომელსაც ტარიანა ჰქვია (Aikhenvald 2004:1-3), დანარჩენი ენები ინფორმაციის წყაროს გადმოსაცემად იყენებენ სხვადასხვა ევიდენციალურ სტრატეგიას. ბალკანეთის ნახევარკუნძული და კავკასია არის ორი დიდი არეალი, სადაც ევიდენციალობა ზმნურ სისტემაშია კოდირებული (De Haan 2005b:319 apud Topadze Gäumann 2011). გერმანიკულ ენათა უმეტესობასა და ფრანგულში ევიდენციალობა გამოხატულია მოდალური ფორმებით, რომელთაც შეძენილი აქვთ მეორეული მნიშვნელობები (De Haan 2005a:315 apud Topadze Gäumann 2011). ევიდენციალურ ფორმათა მთავარი წყარო ლექსიკურ კატეგორიათა გრამატიკალიზაციაა, მაგალითად, *თქმა-ბრძანების* და *სხვათა სიტყვის* მარკერების მქონე აღქმის ზმნებისა. ზოგ ენაში ევიდენციალური მნიშვნელობები განვითარებულია როგორც გრამატიკულ დროთა და კილოურ ფორმათა მეორეული მნიშვნელობები ზმნურ პარადიგმაში. ასეთ გაფართოებულ მნიშვნელობებს ა. აიხენვალდი უწოდებს ***ევიდენციალურ სტრატეგიებს***. ის მათ ***მკაცრად მიჯნავს წმინდა ევიდენციალური ფორმებისაგან*** (Aikhenvald 2004:105).

ზემოთქმულის მიხედვით, **ასეთ დასკვნას ვიღებთ: თუ ევიდენციალური შინაარსის გადმოსაცემად სპეციალური ნიშანი, მარკერი მოეპოვება ენას, მაშინ ევიდენციალობა გრამატიკული კატეგორიაა, ხოლო უამისოდ გადმოცემული ევიდენციალური შინაარსი ჩვეულებრივ იმ გრამატიკული ფორმის, კატეგორიის, ან სიტყვის გაფართოებული მნიშვნელობაა, რომელსაც ის ახლავს და მათ, შესაბამისად, მორფოლოგიური ან ლექსიკური ევიდენციალური სტრატეგიები ეწოდება.**

ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რა სურათია სამხრეთკავკასიურ – ქართულ, სვანურ, მეგრულ, ლაზურ ენებში. ეს ენები მორფოლოგიურად მდიდარი სტრუქტურისაა და, ნათესაობის მიუხედავად, მორფოლოგიური კატეგორიების გადმოცემა-გამოხატვის თვალსაზრისით, ზოგჯერ სხვაობენ, რასაც მათი სტატუსი განაპირობებს; კერძოდ ის, რომ ქართული სალიტერატურო ენაა, დანარჩენი სამი კი (სვანური, მეგრული, ლაზური) არასალიტერატურო ენებია. ასეთ შემთხვევაში, ზეპირმეტყველებაზე[6] დამყარებული არასალიტერატურო ენები სულ უფრო მეტად იყენებენ ენის შინაგან პოტენციას უნივერსალური კატეგორიების გამოსახატავად და, ლექსიკური ომონიმიის თავიდან აცილების მიზნით, მიისწრაფვიან გრამატიკალიზაციისაკენ.

ქართველურ ენებში ზმნური ევიდენციალობა მოიცავს **უნახაობასაც** (მოქმედების უნახავი აქტი) და **საეჭვოობა-სავარაუდოობასაც** (ინფორმაციის სანდოობის შეფასება). ამ მნიშვნელობათა გამოხატვის ბაზა პირობითად სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს:

ა. *ოთხივე ქართველური ენისთვის საერთო ევიდენციალური პერფექტული მწკრივები (ინვერსიული თურმეობითები).*

6 იგულისხმება სპონტანური (წინასწარმოუმზადებელი) მეტყველება.

ბ. ოთხივე ქართველური ენისთვის დამახასიათებელი ანალიზური (აღწერითი) წარმოება მოდალიზებული (ინფერენციული) ევიდენციალური მნიშვნელობის გამოსახატავად.

გ. მხოლოდ არასალიტერატურო (უდამწერლობო) ენებისთვის დამახასიათებელი ევიდენციალური პერფექტული, ნამყო, იმპერფექტული და მოდალიზებული (ინფერენციული) მწკრივები.

***შენიშვნა 1**:*

*ნაშრომში ანალიზი, ძირითადად, წარმოდგენილია მხოლოდ გარდამავალი ზმნების მიხედვით, გარდა ერთეული შემთხვევებისა, როცა გარდაუვალი ზმნების მოხმობა აუცილებელია განსხვავებული ვითარების გათვალისწინებით. აღნიშნულ სტრატეგიას საფუძვლად უდევს ის ფაქტი, რომ განვითარების გზა (სტატიკურობიდან დინამიკურობამდე, რეზულტატიურობიდან უნახაობამდე) თავიდან სწორედ **გარდამავალ ზმნებს** შეეხოთ: „სტატიკურ ზმნათა ინვერსიაქმნილმა, გადინამიკურებულმა (დინამიკურად გადააზრებულმა) ფორმებმა გააგრძელეს აქტიურ დინამიკურ ზმნათა პარადიგმა... წარმოიშვა პერფექტულ დროთა ფორმები: გამიკეთებიეს = გაკეთებული მაქვს, მაგრამ პარადიგმის გაგრძელება და შევსება ასე მარტივად არ დასრულებულა... ეს შეეხო არა მხოლოდ გარდამავალ ზმნებს, არამედ მოიცვა ქართული ზმნის უღლების მთელი სისტემა: კერძოდ, ანალიზური, აღწერითი წარმოების სტატიკურმა ფორმებმა – დახატულ ვარ – დახატულ ვიყავ – დახატულ ვიყო ტიპისამ მოგვცა გარდაუვალი დინამიკური ზმნის აწმყოს, ნამყოსა და მყოფადის რეზულტატიური სინთეტური ფორმები: დავხატულ ვარ, დახატულ ხარ, დახატულ არს > დახატულა, საიდანაც შემდგომ იმავე მიზეზით, რაც ზემოთ დავასა-*

ხელეთ, განვითარდა უნებლიობის, „თურმეობითობის", უნახაობის შინაარსი" (მელიქიშვილი 2001:23-24).

აღნიშნულის გათვალისწინებით, აგრეთვე იმიტომაც, რომ ოთხი ენის მონაცემების განხილვა ორივე ტიპის (გარდამავალი და გარდაუვალი) ზმნების მიხედვით მეტად მოცულობითია და, რაც მთავარია, საბოლოო დასკვნების თვალსაზრისით, არაფერს ცვლის, ნაშრომში გაანალიზებული ემპირიული მასალა მოიცავს მხოლოდ გარდამავალ ზმნებს, თუმცა, ცხადია, ჩვენ მიერ შემოთავაზებულ მწკრივთა დასახელებებში (ევიდენციალური პერფექტი, ევიდენციალური იმპერფექტი...) იგულისხმება ორივე ტიპის ზმნები, როგორც გარდამავალი, ასევე გარდაუვალი, ისევე, როგორც ტერმინ „თურმეობითის" შემთხვევაში: როცა ქართულ თურმეობითებს მოიხსენიებენ ინვერსიულ მწკრივებად, ცხადია, მოიაზრებენ მწკრივის თავისებურებას გარდამავალი ზმნების მიხედვით, მაგრამ არავის მოუვა აზრად, რომ ამ მწკრივში გარდაუვალი ზმნები არ განიხილოს.

არასალიტერატურო ენების ზემოხსენებული უპირატესობის გამო (მისწრაფება გრამატიკალიზაციისაკენ) ევიდენციალობის კატეგორიის სტატუსის განსაზღვრას სვანურის, მეგრულისა და ლაზურის მონაცემების განხილვა-გათვალისწინებით დავიწყებთ (იხ. ზემოაღნიშნული გ პუნქტის ჩამონათვალი):

მოდალიზებული ევიდენციალური პერფექტული მწკრივები

ევიდენციალური პერფექტი III (EvidPrft III)

სვანური

(1) ხ-ე+ჲრ-ი
^{Ind}O$_{3}$-წერა-PM (EvidPrft III)
„ალბათ უწერია / [და]ნაწერი აქვს მას ის“

ევიდენციალური პერფექტი IV (EvidPrft IV)

სვანური

(2) ხ-ე+ჲრ-რლ
^{Ind}O$_{3}$-წერა-PM (EvidPrft IV)
„ალბათ ეწერა / [და]ნაწერი ჰქონდა მას ის“

არამოდალიზებული ევიდენციალური ნამყოს მწკრივები

ევიდენციალური ნამყო I[7] (EvidAor I)

ლაზური

ხოფურ-ჩხალური
(3) ჭარ-ელ+ერენ
წერა.AOR-V:CLTC.PRS.S3.SG (EvidAor I)

7 მწკრივთა სახელდებისას *„ნამყო“*, დაკონკრეტების გარეშე, უტოლდება „ნამყო ძირითადს“.

ვიწურ-არქაბული, ათინურ-ართაშენული

(4) ჭარუ-დორენ

წერა.AOR-V:CLTC.PRS.S3.SG (EvidAor I)

„დაწერა თურმე"/„დაუწერია" (სიტყვასიტყვით: „დაწერა არის თურმე")

ნ. კაკაბაძის თარგმანით: „დაუწერია "/„დაწერა თურმე" (კაკაბაძე 2018:289-290; 296-297)

გ. კარტოზიას თარგმანით: „დაუწერია " (კარტოზია 2005:96)

ევიდენციალური ნამყო II (EvidAor II)

ლაზური

ხოფურ-ჩხალური

(5) ჭარ-ელ+ერეტუ

წერა.AOR-V:CLTC.IMPF.S3.SG (EvidAor II)

ვიწურ-არქაბული, ათინურ-ართაშენული

(6) ჭარუ-დორტუნ

წერა.AOR-V:CLTC.IMPF.S3.SG (EvidAor II)

„დაწერა თურმე" (სიტყვასიტყვით: „დაწერა იყო თურმე")

ნ. კაკაბაძის თარგმანით: „დაეწერა თურმე/დაწერა თურმე" (კაკაბაძე 2018:291, 298)

გ. კარტოზიას თარგმანით: „დაეწერა, დაწერა" (კარტოზია 2005:96).

არამოდალიზებული ევიდენციალური იმპერფექტული ზმნური პარადიგმები (მწკრივები)

ევიდენციალური იმპერფექტი I (EvidImpf I)

სვანური

(7) ხ-ა̈-ჲრ-უნ-ა
IndO3-SPRS-წერა-EVD-PM (EvidImpf I)
„თურმე აწერდა (ზედ), /თურმე უწერდა ის მას, მას“

მეგრული

(8) ნო-ჭარუ-ე-(ნ)
EVD-წერა-EVD-PRS.S3.SG (EvidImpf I)
„წერს/წერდა თურმე“ (= „ნაწერავა“)

ევიდენციალური იმპერფექტი II (EvidImpf II)

სვანური

(9) ლჳ+მ-იჲრ-ჳ̈ნ [ლი])
PTCP-წერა-EVD-[V:CLTC] (EvidImpf II)
„წერდა თურმე“

მეგრული

(10) ნო-ჭარუ-ე-დ-უ
EVD-წერა-EVD-EM-IMPF.S3.SG (EvidImpf II)
„წერდა თურმე“ (= „ნაწერიყო“)

ლაზური

ხოფურ-ჩხალური
(11) ჭა(რ)უპტ-ერენ
წერა.IMPF-V:CLTC.PRS.S3.SG (EvidImpf II)

ვიწურ-არქაბული და ათინურ-ართაშენული
(12) ჭა(რ)უპტუ-დორენ
წერა.IMPF-V:CLTC.PRS.S3.SG (EvidImpf II)
„თურმე წერდა“ (= „ნაწერიყო“)

მოდალიზებული ევიდენციალური (ეპისტემიკური) მწკრივები

ევიდენციალურ-ეპისტემიკური აწმყო (EvidEpist PRS)

სვანური

(13) ა̈-ɑრ-უნ-ი
NV-წერა.PRS-EVD-PM (EvidEpist PRS)
„ალბათ წერს“

მეგრული

(14) ჭარუნდას იცუაფუ/იცი
წერა.Conj PTCL:CLTC (EvidEpist PRS)
„ალბათ წერს“ (სიტყვასიტყვით: „წერდეს იქნება“)

ევიდენციალურ-ეპისტემიკური მყოფადი (EvidEpist FUT)

სვანური

(15) ად-ბდრ-ნ-ე
PRV-წერა.FUT-EVD-PM (EvidEpist FUT)
„ალბათ დაწერს“

ევიდენციალურ-ეპისტემიკური იმპერფექტი I
(EvidEpist IMPF I)

სვანური

(16) ა̈-ჲრ-უნ-რლ
NV-წერა.IMPF-EVD-PM (EvidEpist IMPF I)
„ალბათ წერდა“ (/„წერდა იქნება“)

მეგრული

(17) ჭარუნდუკო იცუაფუდუ/იციდუ
წერა. Cond PTCL:CLTC (EvidEpist IMPF I)
„ალბათ წერდა“ (სიტყვასიტყვით: „წერდა იქნებოდა“)

ევიდენციალურ-ეპისტემიკური იმპერფექტი II
(EvidEpist IMPF II)

სვანური

(18) ად-ბდრ-ნ-ა
PRV-წერა.IMPF-EVD-PM (EvidEpist IMPF II)
„ალბათ დაწერდა“

სვანურში, მეგრულსა და ლაზურში სპეციფიკური, ქართულისგან განსხვავებული, მწკრივების სემანტიკა (უნახაობა/საეჭვოობა-სავარაუდოობა) კარგად ჩანს ნეიტრალურ პარალელურ ფორმებთან შედარება-შეპირისპირებით:

ს ვ ა ნ უ რ ი

(19) ხ̈ადრდა (**უწყვეტელი/იმპერფექტი**) (IMPF)
აწერდა (ზედ)
შდრ.:
(20) ხ̈ადრუნა (**ევიდენციალური იმპერფექტი I**) (EvidImpf I)
„თურმე აწერდა (ზედ), /თურმე უწერდა ის მას, მას“

(21)) ̈ადრდა (**უწყვეტელი/იმპერფექტი**) (IMPF)
წერდა
შდრ.:
(22) ლგმიდრ̈უნ /ლგმიდრუნე ლი (**ევიდენციალური იმპერფექტი II**) (EvidImpf II)
„წერდა თურმე“

(23) ̈ადრი „წერს“ (**აწმყო**) (PRS)
შდრ.:
(24) ̈ადრუნი „ალბათ წერს“ (**ევიდენციალურ-ეპისტემიკური აწმყო**) (EvidEpist PRS)

(25) ჩუ̈ადრი „დაწერს“ (**ნეიტრალური/კატეგორიული მყოფადი**) (FUT)
შდრ.:
(26) ადიდრნე/ჩუადიდრნე/„ალბათ დაწერს“(**ევიდენციალურ-ეპისტემიკური მყოფადი**) (EvidEpist FUT)

(27) ჲდრდა „წერდა“ (**უწყვეტელი/იმპერფექტი**) (IMPF)
შდრ.:
(28) ჲდრუნრლ „ალბათ წერდა“ (**ევიდენციალურ-ეპისტემიკური იმპერფექტი I**) (EvidEpist IMPF)
(29) ხოდრა „უწერია/[და]ნაწერი აქვს მას ის“ (**ევიდენციალური პერფექტი I**) (EvidPrft I)
შდრ.:
(30) ხედრი „ალბათ უწერია/[და]ნაწერი აქვს მას ის“ (**ევიდენციალური პერფექტი III**) (EvidPrft III)

(31) ხოდრჲნ „ეწერა/[და]ნაწერი ჰქონდა მას ის“ (**ევიდენციალური პერფექტი II**) (EvidPrft II)
შდრ.:
(32) ხედრრლ „ალბათ ეწერა/[და]ნაწერი ჰქონდა მას ის“ (**ევიდენციალური პერფექტი IV**) (EvidPrft IV)

მ ე გ რ უ ლ ი

(33) ჭარუნს „წერს“ (**აწმყო**) (PRS)
შდრ.:
(34) ნოჭარუე(ნ) (**ევიდენციალური იმპერფექტი I**) (EvidImpf I)
„წერს/წერდა თურმე“ (=„ნაწერავა“)

(35) ჭარუნდუ „წერდა“ (**უწყვეტელი/იმპერფექტი**) (IMPF)
შდრ.:
(36) ნოჭარუედუ (**ევიდენციალური იმპერფექტი II**) (EvidImpf II)
„წერდა თურმე“ (= „ნაწერიყო“)

(37)ჭარუნს „წერს“ (**აწმყო**) (PRS)
შდრ:

(38) ჭარუნდას იცუაფუ/იცი „ალბათ წერს“ **(ევიდენციალურ-ეპისტემიკური აწმყო)** (EvidEpist PRS)

(39) ჭარუნდუ „წერდა“ **(უწყვეტელი/იმპერფექტი)** (IMPF)
შდრ:
(40) ჭარუნდუკო იცუაფუდუ/იციდუ „ალბათ წერდა“ **(ევიდენციალურ-ეპისტემიკური იმპერფექტი I)** (EvidEpist IMPFI)

ლ ა ზ უ რ ი

(41) ჭარუ „დაწერა“ **(ნამყო)** (AOR)
შდრ:
(42) ჭარ-ელ+ერენ / (43) ჭარუ-დორენ **(ევიდენციალური ნამყო I)** (EvidAor I)
„დაწერა თურმე“ (სიტყვასიტყვით: „დაწერა არის თურმე“)

(44) ჭარუ „დაწერა“ **(ნამყო)** (AOR)
შდრ:
(45) ჭარ-ელ+ერეტუ / (46) ჭარუ-დორტუნ **(ევიდენციალური ნამყო II)** (EvidAor II)
„დაწერა თურმე“ (სიტყვასიტყვით: „დაწერა იყო თურმე“)

შენიშვნა 2:

ევიდენციალურ ნამყო I-სა და ევიდენციალურ ნამყო II-ს შორის დროული თვალსაზრისით ისეთივე მიმართებაა, როგორიც ინვერსიულ I და II თურმეობითებს შორის; ამ ფორმათა ქართულ შესატყვისად ამიტომ იყენებენ ხშირ შემთხვევაში ნ. კაკაბაძე და გ. კარტოზია ინვერსიულ I და II თურმეობითებს. ზუსტი სემანტიკური ნიუანსის დადგენა შესაძლებელია კონსტრუქციაში მხოლოდ სხვა ზმნურ ერთეულთან მიმართებით.

(47) ჭარუპტუ „წერდა“ **(იმპერფექტი)** (IMPF)
შდრ:
(48) ჭა(რ)უპტ-ერენ /(49) ჭარუპტუ-დორენ **(ევიდენციალური იმპერფექტი II)** (EvidImpf II)
„თურმე წერდა“ (სიტყვასიტყვით: „ნაწერიყო“)

შენიშვნა 3:

სვანურში, მეგრულსა და ლაზურში ევიდენციალობის მარკერისა და სპეციალური მწკრივების გამოყოფის შესახებ მსჯელობისათვის იხ. თ. I, §1, 4, 5.

დასკვნა 1:

არასალიტერატურო ქართველურ ენებში დასტურდება სალიტერატუროსაგან განსხვავებული

- ***მოდალიზებული პერფექტული მწკრივები*** *(სვანურში; იხ. მაგალითები: (1), (2).*
- ***არამოდალიზებული ნამყოს მწკრივები*** *(ლაზურში; იხ. მაგალითები: (3), (4), (5), (6).*
- ***არამოდალიზებული იმპერფექტული მწკრივები*** *(სვანურში, მეგრულსა და ლაზურში; იხ. მაგალითები: (7), (8), (9), (10), (11), (12).*
- ***მოდალიზებული ევიდენციალურ-ეპისტემიკური მწკრივები*** *(სვანურსა და მეგრულში; იხ. მაგალითები: (13), (14), (15), (16), (17), (18).*

სვანურში ზემოგანხილულ ევიდენციალურ მოდალიზებულ და არამოდალიზებულ ზმნათა სალიტერატურო ქართულისგან განსხვავებული ფორმები (გარდა ინვერსიული ეპისტემიკური პერფექტებისა) მარკირებულია სპეციალური სუფიქსით: **-VC-**,

რომლის ძირითადი სახე სინქრონიულ დონეზე არის **–უნ-**, ხოლო დიალექტურ-ფონეტიკური ვარიაციებია **-ჳნ-, -ინ-, -ნ-**).

მეგრულში უნახაობის გამომხატველი ევიდენციალური ზმნური ფორმები (არამოდალიზებული) **მარკირებულია CV- – -V / ნო- – -ე კონფიქსით.**

მეგრულსა და **ლაზურში** ევიდენციალური ზმნური (მოდალიზებული და არამოდალიზებული) ფორმების გადმოსაცემად შექმნილია **სპეციალური მწკრივები.**

როგორც აღვნიშნეთ, ოთხივე ქართველურ ენაში დასტურდება ერთნაირი – საერთოქართველური ენობრივი ფორმებიც არამოდალიზებული და მოდალიზებული ევიდენციალური მნიშვნელობების გადმოსაცემად; ესენია:

ა. *პერფექტული ზმნური მწკრივები*

ბ. *ანალიზური (აღწერითი) წარმოება*

ა. *ევიდენციალურმა პერფექტულმა მწკრივებმა – ტრადიციული სახელწოდებით I თურმეობითმა და II თურმეობითმა (resp. ევიდენციალური პერფექტი I, ევიდენციალური პერფექტი II), ოთხივე ქართველურ ენაში განვითარების ერთნაირი გზა გაიარა. ეს გზაა სტატიკური ზმნების გადაარიანება და ინვერსია, რომელიც სქემაზე შეიძლება შემდეგნაირად გამოისახოს:*

სტატიკურობა → დინამიკურობა-რეზულტატიურობა → უნახაობა

სვანური გარკვეულ საფეხურამდე მიჰყვება ამ გზას, მაგრამ არის განსხვავებაც: საანალიზო მწკრივთა უპრევერბო ფორმები სპეციალური სუფიქსის გარეშე ენის განვითარების თანამედ-

როვე ეტაპზეც მხოლოდ რეზულტატიურობას და ექსპერიენციულობას გამოხატავენ; სტატიკურ ზმნათა რეზულტატიურად გადააზრიანებულმა ფორმებმა გარკვეულწილად შეინარჩუნეს თავდაპირველი მნიშვნელობა და არ განივითარეს უნახაობის გამოხატვის ფუნქცია; ენამ ევიდენციალობისთვის ამ მწკრივებშიც გაიჩინა მარკერი (-ენ-) და ამით თავი აარიდა ფორმათა დამთხვევას; რაც შეეხება პრევერბიან ფორმებს, არც მათ შესწევთ ოდენ რეზულტატიურობის გადმოცემის უნარი და, კონტექსტისგან დამოუკიდებლად, ყოველთვის ევიდენციალობას გამოხატავენ.

შენიშვნა 4:

პერფექტული ზმნური ფორმების განვითარებისა და ჩამოყალიბების შესახებ მსჯელობისათვის იხ. თ. I, §2.

ბ. ანალიზური (აღწერითი) წარმოება მოდალიზებული ევიდენციალური მნიშვნელობის გამოსახატავად ქართულ სალიტერატურო ენაში გაჩენილია სინქრონიულ ეტაპზე. დანარჩენ ქართველურ ენებში სალიტერატურო ენიდან შევიდა. ხშირ შემთხვევაში მეგრულისთვის, ზოგჯერ ლაზურისთვისაც, დამახასიათებელია ქართულთან საერთო ლექსიკური მოდალური ერთეულები, მცირეოდენი ფონეტიკური ვარიაციით.

(50) ქართული: ხვალ ალბათ მოთოვს.
შდრ:
(51) მეგრული: ჭუმე *ალბეთ* დოთუნს.
(52) ლაზური: ჭუმან *ჰელბეთ* თიი მოხთასიონ.

შენიშვნა 5:

ლექსიკური საშუალებებით არამოდალიზებული და მოდალიზებული ევიდენციალობის გადმოცემის შესახებ მსჯელობისათვის იხ. თ. III.

დასკვნა 2:

ქართველურ ენებში – ქართულში, მეგრულსა და ლაზურში – საერთოქართველური ორგანული წარმოების პერფექტულ ევიდენციალურ მწკრივებში (ინვერსიულ თურმეობითებში) **ევიდენციალობის სპეციალური მარკერი არ გამოიყოფა.**

სვანურ ენაში კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ მწკრივთა უპრევერბო ფორმათათვის **ჩამოყალიბდა სპეციალური მარკერი** და ფორმობრივად გაიმიჯნა ორი მნიშვნელობა: რეზულტატიურობა და უნახაობა.

ოთხივე ქართველურ ენაში გადმოიცემა ევიდენციალობა (როგორც მოდალიზებული, ასევე არამოდალიზებული) აღწერითად, **ლექსიკური საშუალებებით**.

საბოლოო დასკვნამდე კიდევ ერთხელ გვინდა დავუბრუნდეთ ქართულის ვითარებას. ზემოთ (იხ. 5.1. ევიდენციალობის სტატუსის შესწავლის ისტორიისათვის ქართულში) განვიხილეთ ვ. ბოედერისა და მ. ტოფაძე-გოიმანის ნაშრომები (Boeder 2000, Topadze Gäumann 2011), რომლებიც ქართულში ევიდენციალობას ეხება. როგორც აღვნიშნეთ, ვ. ბოედერის ნაშრომში არაფერია ნათქვამი ევიდენციალობის სტატუსზე, ხოლო მ. ტოფაძე-გოიმანის ნაშრომში ევიდენციალობა ქართულში შეფასებულია სემანტიკურ კატეგორიად, რომელსაც გრამატიკულ-ლექსიკური საშუალებები გამოხატავენ.

გრამატიკული საშუალებებიდან ამ შემთხვევაში გამოყენებულია *მყოფადის, ხოლმეობითის (პირობითის), პირველი თურ-*

მეობითისა და მეორე თურმეობითის მწკრივები[8]. თავისთავად, მწკრივის შესახებ ჩვენ ვიზიარებთ ა. შანიძის მოსაზრებას, რომ **მწკრივი გრამატიკული კატეგორიაა** (Шанидзе 1941, შანიძე 1980). ასეთ შემთხვევაში ჩნდება კითხვა, ხომ არ შეიძლება ზმნური ევიდენციალობაც განხილულ იქნეს გრამატიკულ კატეგორიად ქართულში? ვფიქრობთ, ამ კითხვას დადებითი პასუხი ვერ გაეცემა, რადგან უნახავი მოქმედების გამომხატველ ფორმას არა აქვს გრამატიკული ნიშანი; ამასთან, მწკრივია გრამატიკული კატეგორია და არა მწკრივის შემადგენელი ელემენტი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, აქტი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ევიდენციალური მნიშვნელობა შეიძლება გადმოიცეს იმ მწკრივებითაც, რომლებიც საერთოდ არ შეიცავენ უნახავ აქტს, როგორც მწკრივის ელემენტს (მაგალითად, ხოლმეობითი). მაშასადამე, კონკრეტული მწკრივის ფორმები, გრამატიკული ფორმები, მხოლოდ საშუალებები ყოფილა ევიდენციალური მნიშვნელობების გადმოსაცემად.

ის ფაქტი, რომ პერფექტული მწკრივები მხოლოდ გრამატიკული სტრატეგიებია ქართულში ევიდენციალობის გადმოსაცემად, ა. აიხენვალდს მრავალგზის აქვს ნახსენები თავის ნაშრომში (Aikhenvald 2004:113, 324 და სხვ.), ამასვე იზიარებს მ. ტოფაძე-გოიმანი, რომლის დასკვნითაც, ევიდენციალობა ქართულში ფუნქციური, სემანტიკური კატეგორიაა.

სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს სხვა თვალსაზრისებიც; კერძოდ, აღნიშნულია, რომ, როგორც წესი, ენებში ხდება უნახაობის სემანტიკის გრამატიზაცია (Willet 1988; Palmer 1986). ოპოზიციაში – პირდაპირი ევიდენციალობა ↔ ირიბი ევიდენციალობა – მორფოლოგიურად მარკირებულია

8 დასახელებულ ავტორთა (ვ. ბოედერი, მ. ტოფაძე-გოიმანი) ნაშრომებში ევიდენციალობის გადმოსაცემად მოხმობილი მყოფადის ზოგიერთი მაგალითი შეიძლება დასაზუსტებელი იყოს.

ეს უკანასკნელი, მორფოლოგიურ მარკირებაში კი იგულისხმება ზმნის სისტემაში საანალიზო სემანტიკის ინტეგრაცია და პერფექტის სისტემასთან დაკავშირება (Izrovski 1997:6); საინტერესოა ე. კორდის მოსაზრებაც: „ფრანგული ენა მიეკუთვნება იმ ენათა რიცხვს, რომლებშიც ევიდენციალობის კატეგორიის მნიშვნელობები გამოხატულებას პოვებენ როგორც მორფოლოგიაში, ასევე ლექსიკაში, სინტაქსთან ერთად. ზოგიერთი მნიშვნელობის სწორედ მორფოლოგიური გამოხატულება გვაძლევს უფლებას ვისაუბროთ ენაში მოცემული გრამატიკული კატეგორიის არსებობის შესახებ“ (Корди 2007:256); მკვლევარი მორფოლოგიურ გამოხატულებაში გულისხმობს სწორედ ფრანგულ ზმნურ ფორმებს – აწმყოს პირობითსა და ნამყოს პირობითს (გარკვეულწილად მყოფადსაც) და მათ თვლის მორფოლოგიურ მარკერებად: „ევიდენციალობის გამოხატვის საშუალებად, **მორფოლოგიური მარკირების გარდა**, ევიდენციალური მნიშვნელობები ფრანგულში შეიძლება მარკირებული იყოს ლექსიკურადაც“ (Корди 2007:288-289).

რასაკვირველია, გასათვალისწინებელია ზემოხსენებული მსჯელობა, რომლის მიხედვითაც ზმნის ფორმა (ჩვენს შემთხვევაში, მწკრივი) ცხადდება გრამატიკულ მარკერად და ამის საფუძველზე კატეგორიასაც შეიძლება მიეცეს გრამატიკული კვალიფიკაცია, მაგრამ ქართულში საქმე სხვაგვარადაა: პერფექტული მწკრივები მხოლოდ ევიდენციალურ შინაარსს არ გამოხატავენ. ამის დამადასტურებელი მაგალითები ნათლად აქვს წარმოდგენილი ვ. ბოედერს თავის სტატიაში (Boeder 2000). თუ მაინც განვაცხადებთ, რომ ქართულში პირველი თურმეობითის მწკრივი ევიდენციალობის გრამატიკული მარკერია (*წასულა* შდრ.: *წავიდა*), მაშინ ასევე შესაძლებელია ქართულში პირველი თურმეობითის მწკრივი შედეგობითობის

(რეზულტატიურობის) გრამატიკული მარკერი იყოს (პარიზში *ყოფილხარ?* შდრ.: პარიზში *იყავი?).* ამიტომ, ქართულში, ზმნური ევიდენციალობის სტატუსთან დაკავშირებით, უფრო მართებულად ზემოთ წარმოდგენილი მ. ტოფაძე-გოიმანის თვალსაზრისი მიგვაჩნია.

ევიდენციალობის გამოხატვა სინტაქსურ დონეზე

ევიდენციალობა ქართველურ ენებში **სინტაქსურ დონეზეც** გადმოიცემა. კერძოდ, *სხვათა სიტყვა* გვაქვს მხედველობაში. ასეთ დროს სპეციფიკურ სინტაქსურ კონსტრუქციებში სხვათა სიტყვის მარკერები (მორფემები) გამოიყენება სამივე პირში, სვანურში დამატებით ცალკე მდგომი ნაწილაკიც გვხვდება:

ქართულში: **-მეთქი** (I), **-თქო** (II), **-ო** (III)
სვანურში: **-გჯ-/-იჯ-** (I-II), **-როქუ** (III), **ესერ** (III)
მეგრულში: **-მაქი** (I), **-შო** (II), **-ა** (III)
ლაზურში: **-მა** (I), **-შო** (II), **-ა** (III)

აღსანიშნავია, რომ ქართულ სალიტერატურო ენაში უკვე VI საუკუნის ძეგლებში დასტურდება **-ო** სუფიქსი, რომელიც მესამე პირის პირდაპირ ნათქვამს გამოხატავს და რომლის ფუნქციაა ინფორმაციის წყაროზე მინიშნება.

დასკვნა 3:

ოთხივე ქართველურ ენაში *სხვათა სიტყვის* შესაბამისი მარკერებით და ცალკე მდგომი ნაწილაკით (სვანურში) სათანადო სინტაქსურ კონსტრუქციაში გადმოცემულია ევიდენციალობა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, **საბოლოო დასკვნა** ასეთი იქნება:

1. *არასალიტერატურო ქართველურ ენებში ევიდენციალობა მორფოსინტაქსური კატეგორიაა, იგი სპეციალური მარკერების საშუალებით გადმოიცემა:*
   სვანურში: **-VC- /-უნ-, -გნ-, -ინ-, -ნ-**
   მეგრულში: **CV- – -V/ნო- – -ე**

ლაზურში, მართალია, არ გვაქვს ევიდენციალობის საგანგებო მორფოლოგიური მარკერი, მაგრამ ლაზურს ევიდენციალობის გამოსახატავად განვითარებული აქვს სპეციალური მწკრივები (*ევიდენციალური ნამყო I, ევიდენციალური ნამყო II, ევიდენციალური იმპერფექტი I*), რომლებიც ევიდენციალობის მნიშვნელობის მქონე ქართული მწკრივებისაგან (*I თურმეობითი, II თურმეობითი,* გარკვეულ შემთხვევებში, *მყოფადი, ხოლმეობითი*) განსხვავდებიან იმით, რომ *მხოლოდ ევიდენციალურ შინაარსს გამოხატავენ.* ამდენად, ამ მწკრივებისათვის გამართლებულად მიგვაჩნია ვილეტის, პალმერის, იზროვსკისა და კორდის ზემომოყვანილი მსჯელობა და, შესაბამისად, ლაზურშიც ევიდენციალობა გრამატიკულ (მორფოსინტაქსურ) კატეგორიად უნდა ჩაითვალოს.

2. *მორფოსინტაქსურ დონეზევე უნდა განვიხილოთ ოთხივე ქართველურ ენაში სხვათა სიტყვის სპეციალური მარკერების საშუალებით გადმოცემული ინფორმაცია. ეს მარკერებია:*

   ქართულში: -მეთქი (I), -თქო (II), -ო (III)
   სვანურში: -გჯ-/-იჯ- „-მეთქი“ / „-თქო“(I-II), -როქუ „-ო“ (III),

ესერ „ო“ (III) ცალკე მდგომი ნაწილაკი.
მეგრულში: -მაქი „-მეთქი“ (I), -შო „-თქო“ (II), -ა „-ო“ (III)
ლაზურში: -მა „-მეთქი“ (I), -შო „-თქო“ (II), -ა „-ო“ (III)

ისინი ევიდენციალურ შინაარსს ანიჭებენ კონსტრუქციას და ეს არის მათი ერთადერთი ფუნქცია.

3. ქართულ სალიტერატურო ენაში ზმნური ევიდენციალობა ფუნქციური, სემანტიკური კატეგორიაა.

6. ევიდენციალობის გენეზისის პრობლემა ქართველურ ენებში

ევიდენციალობის კატეგორიის გენეზისის საკითხი ქართველურ ენებში ორი თვალსაზრისით განიხილება:

1. *მისი ჩასახვის პერიოდის დათარიღების საკითხი;*
2. *ევიდენციალობის ავთენტურობის პრობლემა ქართველურ ენებში.*

როგორც ცნობილია, ზმნური ევიდენციალობა ევიდენციალობის კატეგორიის უმთავრესი ნაწილია, შესაბამისად, ამ კატეგორიის გენეზისის ანალიზი, პირველ რიგში, ზმნაში უნახაობის მნიშვნელობის განვითარებით არის საყურადღებო. ქართულ ზმნაში ევიდენციალობა მხოლოდ უნახაობის ფორმებით *(I თურმეობითი, II თურმეობითი)* გამოიხატება, დანარჩენ ქართველურ ენებში კი დამატებით გვაქვს არამოდალიზებული და მოდალიზებული რამდენიმე სხვა ევიდენციალური მწკრივი.

იყო თუ არა ე. წ. „უნახაობა“ ძველ ქართულში? ეს საკითხი ქართულ ტრადიციულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არაერთგვაროვნად განიხილება; მეცნიერთა ნაწილი (ქავთარაძე 1956; ჩიქობავა 1962ა; ფხაკაძე 1984; Boeder 2000) მიიჩნევს, რომ უნახაობა უღლების კატეგორიაა და I თურმეობითის ერთ-ერთი გვიან განვითარებული ფუნქციაა, ძველ ქართულში კი ის წმინდა რეზულტატივია.

საპირისპირო მოსაზრებით, „უნახაობა“ ძველ ქართულშივე დასტურდება:

ა. შანიძე აღნიშნავს, რომ „უნახაობა I თურმეობითს ძველ ქართულშიც ახასიათებდა: I თურმეობითი (ანუ I შედეგობრივი) ისეთი ნამყოა, რომელიც გადმოგვცემს, რომ შედეგი აწმყოში ჩანს, **დასკვნა წარსულში მომხდარი ამბის შესახებ საუბრის მომენტშია გაკეთებული იმ კვალის მიხედვით, რომელიც წარსულში მომხდარ ფაქტს დაუტოვებია**“ (შანიძე 1930:124);

უნახაობის აქტის ნიუანსის გამომხატველი არაერთი მეტად დამაჯერებელი მაგალითი დაადასტურეს ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში, დაწყებული პირველი ქართული აგიოგრაფიული ნაწარმოებიდან „მარტკილობაჲ შუშანიკისი“, ზ. სარჯველაძემ და გ. ნინუამ (სარჯველაძე, ნინუა 1985).

ევიდენციალობის არსებობას ქართული ენის განვითარების ადრეულ ეტაპზე ვარაუდობს მ. ბერიძეც და მიაჩნია, რომ პერფექტულ ფორმებში მთავარ სემანტიკურ მახასიათებლებად გამოყოფილი უნახაობისა და უნებლიობის მნიშვნელობები მიღებულია აორისტულ ფორმებში ევიდენციალობის მოდალობის განვითარების შედეგად (ბერიძე 2009:101). ევიდენციალობის არსებობას ძველ ქართულში ადასტურებს მ. ტოფაძეც (Topadze 2008:95).

ასევე, საპირისპირო მოსაზრებები არსებობს ქართველურ ენებში საანალიზო კატეგორიის ავთენტურობასთან დაკავშირებით საერთაშორისო და სამამულო ლინგვისტიკაში:

ენათმეცნიერთა ნაწილი მას თურქულის გავლენას მიაწერს, სხვანი კი ჩამოყალიბების ორიგინალურ ფორმაზეც საუბრობენ, თუმცა, როგორც ჩანს, საწყის ფაზად სხვა ენის გავლენასაც არ გამორიცხავენ, ვინაიდან თვლიან, რომ ეს კატეგორია ძველ ქართულში არ დასტურდება. ვ. ბოედერი საგანგებოდ იხილავს

ამ საკითხს ქართულ-თურქულ ენობრივ ურთიერთობათა კონტექსტში. მისი აზრით, როგორც მრავალ ენაში, სადაც უნახაობა არსებობს, შესაძლოა ქართველურ ენებშიც რეზულტატიურმა ზმნურმა ფორმებმა დამოუკიდებლად განივითარეს ევიდენციალური მნიშვნელობა, თუმცა მკვლევარს ასევე შესაძლებლად მიაჩნია, რომ არასალიტერატურო ქართველურ ენებში (მეგრულსა და სვანურში) ამ კატეგორიის ჩამოყალიბება ენათა კონტაქტების, კერძოდ კი – თურქულის გავლენის შედეგად მომხდარიყო (Boeder 2000:277).

ა. არაბულის აზრით, ქართულში „I თურმეობითის ძირითადი მნიშვნელობაა რეზულტატიურობა, შეძენილი და **ისტორიულად განმტკიცებული ფუნქცია (თანაფუნქცია) – უნახაობა, თურმეობითობა**". მკვლევარი გახაზავს, რომ „პერფექტის ბაზაზე უნახაობის მოდელის აღმოცენება, რაც დასტურდება სხვადასხვა ჯგუფის ენებში, კანონზომიერი ფაქტია, **ის ერთგვარი უნივერსალიაა**" (არაბული 1984:139-149).

ანალოგიურ მოსაზრებას წარმოადგენს ნ. სუმბათოვა სვანური პერფექტული დროების შესახებ მსჯელობისას: „საზოგადოდ, მეორეული პოსესიური რეზულტატივები ხშირად გარდაიქმნება პერფექტის გარდამავალ ფორმებად. სრულიად მოსალოდნელია, რომ სვანური პერფექტი წარმოიშვა ანალოგიურად" (Сумбатова 2007:336).

ი. ქავთარაძეც, მართალია, თურმეობითის მწკრივის გამოყენებას უნახავი მოქმედების გამოსახატავად გვიანდელ მოვლენად მიიჩნევს (როცა დროის გაგება მასში რამდენადმე დაიჩრდილა), მაგრამ უარყოფს მოსაზრებას უნახაობის კატეგორიის სხვა ენის (კერძოდ, თურქულის) გავლენით გაჩენის შესახებ ქართულში: „თურქულ ფორმას ეძებნება ქართულში გარკვეული შინაარსის ნაკვთი, მაგრამ არა იმგვარივე ფორმა და იმგვარივე წარმოება და, ამდენად, მათი ერთ სიბრტ-

ყეზე დაყენება სადავოა," – აღნიშნავს მკვლევარი (ქავთარაძე 1956:191-192).

ქართველურ ენებში ევიდენციალობის უცხო ენის გავლენით ჩამოყალიბების თეორიას ასევე მართებულად არ იზიარებს მ. ტოფაძე; მისი აზრით, ევიდენციალური ფორმები უკვე ძველ ქართულში, მართალია, შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება. თურქულის გავლენის შესაძლებლობა კი, ისტორიის გათვალისწინებით, მხოლოდ XI საუკუნიდან იქნებოდა მოსალოდნელი (Topadze 2008:95).

საანალიზო საკითხზე ამავე აზრისაა ლ. იოჰანსონი, რომელმაც არაერთი სერიოზული გამოკვლევა უძღვნა როგორც, საზოგადოდ, თურქულ და ბულგარულ ენათა საკითხებს, ასევე საკუთრივ ევიდენციალობის პრობლემას. მისი მოსაზრების მიხედვით, „უგუნურება იქნებოდა იმის თქმა, რომ ევიდენციალობა ქართული ენისა, რომელიც კავკასიის ტერიტორიაზე თურქულამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა, ჩამოყალიბდა თურქულის გავლენით" (Johanson 1999:248).

მოვლენის არეალურობა (თურქული, კავკასიური ენები), ჩვენი აზრით, არ გამორიცხავს ამა თუ იმ ენაში კატეგორიის დამოუკიდებლად განვითარებას (ვფიქრობთ, იგივე იგულისხმება უცხოელი კოლეგების გამონათქვამებშიც). მაგალითად, როგორც, რ. ნიცოლოვა აღნიშნავს, ბულგარულში თავის დროზე ევიდენციალობა თურქულის გრამატიკულ კალკად ითვლებოდა, შემდეგ ეტაპზე გამოითქვა მეცნიერულად დაუსაბუთებელი მოსაზრებაც (Бородич 1963) ევიდენციალების არსებობის შესახებ ჯერ კიდევ ძველ ბულგარულ ენაში (ძველ სლავურში), . ხოლო დღეს, ისტორიულ-შედარებითი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, დადასტურებულია, რომ „თურქული ენა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ განიხილებოდეს როგორც კატალიზატორი იმ პროცესებისა, რომლებიც

ვითარდებოდა ბულგარული ზმნის სისტემაში“ (Ницолова 2007:129).

ჩვენი აზრით, მსგავსი ვითარება უნდა იყოს ქართველურ ენებშიც: მას შემდეგ, რაც სალიტერატურო ენამ ზოგიერთი მწკრივის (ძირითადად, პერფექტული დროების) ფუნქციური გამოყენებით (ასევე სინტაქსურად – *ნაწილაკიანი სხვათა სიტყვა*) ევიდენციალობას გზა გაუხსნა, არასალიტერატურო ენებმა (სვანურმა, მეგრულმა და ლაზურმა) გრამატიკულად უფრო სრულად და ორგანულად განივითარეს ეს კატეგორია – დამატებით წარმოიქმნა მოდალიზებული და არამოდალიზებული ევიდენციალური მწკრივები, სვანურმა და მეგრულმა გამოიმუშავეს სპეციალური მორფოლოგიური მარკერები. ამ თვალსაზრისით სვანურში პროცესი უფრო შორს წავიდა: აქ სპეციალური ნიშანი არა მხოლოდ სალიტერატურო ქართული ენისგან განსხვავებულ მწკრივებში გვხვდება, არამედ საერთოქართველური თურმეობითი I-ისა და თურმეობითი II-ის ფორმებშიც (დაწვრილებით იხ. თ. I, §4).

სვანურ ენაში ასევე ჩამოყალიბდა მოდალიზებული (ეპისტემიკური მნიშვნელობის) ევიდენციალური პერფექტული ფორმები – პირობით-შედეგობითები, რისთვისაც **მონაცემები, სავარაუდოდ, უკვე არსებობდა *ევიდენციალურ-ეპისტემიკური აწმყოს*** (resp. მყოფადუსრულის) და ***ევიდენციალურ-ეპისტემიკური I-ის*** (resp. პირობითუსრულის) **სახით, რომლებიც, ჩვენი აზრით, ენის განვითარების ადრეულ, პრევერბამდელ, სტადიას განეკუთვნებიან და რომელთა ცალსახად ეპისტემიკური სემანტიკა მეტყველებს იმაზე, რომ ისინი ნეიტრალური მწკრივების (აწმყოსა და უწყვეტლის) საოპოზიციო ერთეულებია.**

აღსანიშნავია, რომ მეგრულშიც განვითარდა ***ევიდენციალურ-ეპისტემიკური*** მწკრივები, როგორც ნეიტრალური აწმყოსა და უწყვეტლის საოპოზიციო ცალები.

ვერბალური ევიდენციალობის გადმოცემის ერთ-ერთ ძირითად სინტაქსურ საშუალებას წარმოადგენს ე. წ. „სხვათა სიტყვაც", ვინაიდან ეს არის „ისეთი ფრაზა (ცალკეული სიტყვები თუ ერთი ან რამდენიმე წინადადება), რომელიც სხვისი ნათქვამის სახით, სხვაზე მითითებით არის ჩართული ავტორის (მთხრობელის) ტექსტში" (არაბული 2005:172).

კვლევამ აჩვენა, რომ *ნაწილაკიანი სხვათა სიტყვა*, კერძოდ, *-ო* ნაწილაკიანი მესამე პირის პირდაპირი ნათქვამი ჯერ კიდევ ძველ ქართულში დასტურდება. მისი გამოყენების პირველი ნიმუშები გვხვდება VI საუკუნის ძეგლში („მარტკლობაჲ ევსტათი მცხეთელისაჲ") და ხშირდება მომდევნო საუკუნეებიდან:

(1) *„ვითარცა იტყჳს პავლე მოციქული: მე ვარო ნარჩევი მოციქულთაჲ"* („მარტკლობაჲ ევსტათი მცხეთელისაჲ", აგიოგრ. ძეგლ., I, 44): VI ს.

(2) *„უკუეთუ ურჩ ვექმნე ბრძანებასა თქუენსა, წერილ არს: „შვილი ურჩი წასაწყმედელსა მიეცესო", და თუ ვისწრაფო მორჩილებად, მისთჳსცა იტყჳს: „უდარჩსსა შენსა ნუ გამოეძიებო და უძლიერჩსსა შენსა ნუ განიკითხავო"* („მარტკლობაჲ ჰაბო ტფილელისაჲ", აგიოგრ. ძეგლ., I, 47): VII ს.

(3) *„ვითარცა ესაია იტყჳს: „უკუეთუ ისმინოთ ჩემიო, კეთილსა ქუეყანისასა სჭამდეთ, უკუეთუ არა ისმინოთ, მახჳლმან შეგჭამნეს თქუენ"* („მარტკლობაჲ გობრონისი", აგიოგრ. ძეგლ., I, 174): X ს.

(4) *„ვითარცა იტყჳს მოციქული: „მოუკლებელად ილოცევდითო“* („ცხორებაჲ გრიგოლ ხანცთელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 248): IX ს.

(5) *„რამეთუ დავით იტყჳს: „აღუთქუთ და აღუსრულეთ უფალსა ღმერთსა თქუენსაო“* („ცხორებაჲ გრიგოლ ხანცთელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 255): IX ს.

(6) *„ამისთჳსცა ქრისტემან უბრძანა პეტრე მოციქულსა: „არა თუ შჯდგზის ოდენ შეუნდო ძმათა დღესა შინა, არამედ სამეოცდაათჯერ შჯდგზისო“* („ცხორებაჲ გრიგოლ ხანცთელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 257): IX ს.

ცხადია, მოცემული კონსტრუქციები ევიდენციალურია: ავტორისეულ სიტყვასთან ერთად, ინფორმაციის წყაროზე მისათითებლად ყველა მათგანში გამოყენებულია მარკერი – „სხვათა სიტყვის“ **-ო** ნაწილაკი, რაც, ევიდენციალობის რაობის გათვალისწინებით, აუცილებელი პირობაა საანალიზო კატეგორიისთვის.

მაშასადამე, ევიდენციალობის კატეგორია როგორც ზმნაში, ასევე სინტაქსურ კონსტრუქციაში დასტურდება ძველ ქართულ სალიტერატურო ძეგლებში, დაწყებული V-VI საუკუნეებიდან. არასალიტერატურო ქართველურ ენებში, ცხადია, საანალიზო კატეგორიის ჩასახვის ზუსტი პერიოდი ვერ დგინდება, მაგრამ, სალიტერატურო ენასთან შედარებით, ამ კატეგორიის უფრო მრავალფეროვანი განვითარება ზმნაში, ევიდენციალობის მარკერის არსებობა, ასევე ის ფაქტი, რომ ამ ენებში პერფექტული მწკრივების წარმოშობა, მსგავსად ქართულისა, უძველეს ფორმაციას – სტატიკურ ზმნებს უკავშირდება, გვაფიქრებინებს, რომ არასალიტერატურო ქართველური ენებისთვისაც ისეთივე ძველი უნდა იყოს ევი-

დენციალობის კატეგორია, როგორიც სალიტერატურო ქართულისათვის. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ ევიდენციალობის ჩასახვისა და განვითარების გზა ქართველურ ენათა სისტემაში შინაგანი ტენდენციებით აიხსნება და არა უცხო ენის გავლენით.

თავი I

ევიდენციალობის გამოხატვის მორფოლოგიური საშუალებები

1. ევიდენციალური – არამოდალიზებული და მოდალიზებული მწკრივების ტერმინთა რეინტერპრეტაციის საკითხი ქართველურ ენებში[9]

რამდენადაც ევიდენციალობა უნივერსალური კატეგორიაა, იგი ბევრ ენაშია გავრცელებული, თუმცა მისი გამოხატვის ენობრივი საშუალებები განსხვავებულია თვით მონათესავე ენებშიც კი. მონათესავე ენათა და, საერთოდ, ენათა ტიპოლოგიის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება უნივერსალური კატეგორიების კვლევას.

ცნობილია, რომ სალიტერატურო ენისთვის დამახასიათებელია კონსერვატიულობა, ხოლო უდამწერლობო ენები ეყრდნობიან სპონტანურ მეტყველებას და, სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით, მეტ თავისუფლებას იჩენენ; კერძოდ, გრამატიკულ კატეგორიათა გამომხატველ ფორმებს უფრო მეტად ავითარებენ. ქართველურ ენებში ევიდენციალობის კატეგორია გამოიხატება როგორც ლექსიკურად, ასევე გრა-

---

9 არასალიტერატურო ქართველურ ენებში ევიდენციალურ მწკრივთა ორი ტიპი გვხვდება: ერთი – ქართულისებური, რომლებიც ინფორმაციის წყაროზე (ვერბალურზე ან ინფერენციულზე) მიუთითებენ, უნახაობას გამოხატავენ, მაგრამ ინფორმაციის სანდოობის შეფასებას არ გულისხმობენ; მეორე ტიპის ევიდენციალური (ეპისტემიკური) ფორმებისთვის ინფორმაციის წყარო ყოველთვის ინფერენციაა, თავად ინფორმაცია კი საეჭვოობა-სავარაუდოობას გამოხატავს (ტერმინები „მოდალიზებული“, „არამოდალიზებული“ ეკუთვნის ვ. პლუნგიანს: Плунгян 2010).

მატიკულად (მორფოსინტაქსურად), თუმცა ევიდენციალობის გრამატიკული გამოხატვის ღერძი არის ზმნა. ევიდენციალური ზმნური ფორმების ერთი ნაწილი (ინვერსიული თურმეობითები) ოთხივე ქართველურ ენაში დასტურდება, ცალკეული ევიდენციალური ფორმები კი – მხოლოდ უდამწერლობო ქართველურ ენებში: სვანურში, მეგრულსა და ლაზურში.

ოთხივე ქართველურ ენაში დადასტურებულ ევიდენციალურ ფორმებს და იმ ფორმებს, რომლებიც მხოლოდ სვანურში, მეგრულსა და ლაზურში გვხვდება, ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ტერმინით მოიხსენიებენ. ქართველური ენებისთვის საერთო პერფექტულ-ევიდენციალურ მწკრივთა (ინვერსიულ თურმეობითთა) სახელდებას განსაზღვრავს პერფექტულ ევიდენციალურ მწკრივთა ჩამოყალიბების გზაზე მიღებული ბოლო, მეორეული, მნიშვნელობა – თურმეობითობა, რომელმაც უმეტეს შემთხვევაში დაჩრდილა ამავე ფორმებით გამოხატული რეზულტატიურობა. ქართულთან შედარებით, ტერმინთა მეტი რაოდენობა და ნაირსახეობა იჩენს თავს სხვა ქართველურ ენებში დადასტურებული ევიდენციალური ზმნური ფორმების სახელდებისას. ეს გამოწვეულია განსხვავებული მიდგომებით, კერძოდ იმით, ესა თუ ის მეცნიერი რომელ კრიტერიუმს ანიჭებს უპირატესობას – მორფოლოგიურ ფორმაწარმოებას თუ სემანტიკას. ასეთი ვითარება მეტ-ნაკლებად გასაგებია ქართველი მკვლევრებისთვის, თუმცა სერიოზულ სირთულეს ქმნის ევროპულ ენებზე თარგმნისას. ტერმინთა თარგმანის სირთულე გამოწვეულია არა მხოლოდ მათი სიმრავლით, არამედ იმითიც, რომ ზოგიერთი ქართული სპეციფიკური ენობრივი მოვლენა და მისი აღმნიშვნელი ტერმინის ზუსტი შესატყვისები ევროპულ ენებში არ იძებნება.

შენიშვნა 1:

პირველ რიგში, ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ქართული ტერმინი „მწკრივი“, რომელიც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დაამკვიდრა ა. შანიძემ. მწკრივი აერთიანებს დროის, კილოს და მწკრივის სხვა ელემენტების (ჯერობის, აქტის, თანამდევრობის) მიხედვით განსხვავებულ ზმნურ პარადიგმებს. მისი ზუსტი შესატყვისი ვერ იქნება ინგლისურ გრამატიკულ ლიტერატურაში გავრცელებული ტერმინი Tens, რადგან იგი დროებს (ახლანდელს, წარსულს ან მომავალს) აღნიშნავს. ქართულ მწკრივს ასევე არ შეესატყვისება სხვა ევროპულ ენებში გავრცელებული შესაბამისი ტერმინებიც. ქართული „მწკრივის“ (მწკრივი 'mtsk'rivi' – ინგლ. row) აღსანიშნავად ჰოვარდ არონსონმა დანერგა screeve, რაც ქართული ტერმინის, „მწკრივის“, გაინგლისურებული ვარიანტია (Aronson 1990), თუმცა, გასაგები რომ იყოს ინგლისურენოვანი მკითხველისთვის, აუცილებლად განმარტება სჭირდება; კერძოდ, ქართველურ ენებში „მწკრივი“ არის ზმნის რთული გრამატიკული კატეგორია, რომლის საშუალებით გადმოიცემა სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსი. ჩვენს შემთხვევაში, სწორედ ცალკეულ მწკრივთა ფორმები გამოიყენება ევიდენციალური შინაარსის გადმოსაცემად.

ქართველურ ენებში **ზმნის ევიდენციალური მწკრივების ტერმინთა რეინტერპრეტაციის მიზანია** მწკრივთა სახელდებისას ერთგვაროვნების პრინციპის დაცვა.

როგორც აღვნიშნეთ, ევიდენციალობა შეიძლება გამოიხატოს გრამატიკულ-ლექსიკური საშუალებებით. ქართველურ ენებში ევიდენციალობის გამოხატვის სამივე (მორფოლოგიური სინტაქსური და ლექსიკური) საშუალება დასტურდება, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, ევიდენციალური შინაარსი ზმნური ფორმებით გადმოიცემა.

ოთხივე ქართველურ ენაში დადასტურებულ ევიდენციალურ ზმნურ ფორმებს (მწკრივებს) ეწოდება *I თურმეობითი* და *II თურმეობითი*. ტერმინ *„თურმეობითის“* ფუძე არის ნაწილაკი *„თურმე“*, რომელიც უნახაობის სემანტიკის შემცველია.

შენიშვნა 2:

*„თურმე“ ნაწილაკის სტრუქტურა რთულია და იგი კავშირნაწილაკების შეერთებითაა მიღებული: თუ-რე →*თუ-რე-მე → თურმე (ქავთარაძე 1956:178-180). მთის დიალექტებისა (ხევსურული, ფშაური, მოხეური) და ქართული ლიტერატურის ძეგლების მონაცემების მიხედვით ა. არაბული წერს, რომ „თურმე“-ში „თუ“ არის ძირითადი მნიშვნელობის მქონე, ანუ გადმოსცემს მთლიანად „თურმე“-ს ნიუანსს (არაბული 1984: 144-145).*

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მწკრივების (I თურმეობითი და II თურმეობითი) თავდაპირველი ძირითადი ფუნქცია იყო *შედეგობითობა/რეზულტატიურობა*, შემდეგ მათ სინქრონიულ დონეზე განივითარეს *უნახაობა/ევიდენციალობა*[10], რომლის ჩანასახები თვით ძველ ქართულშივე არსებობდა; თავდაპირველი ფუნქცია – *შედეგობითობა/რეზულტატიურობა* სინქრონიულ დონეზე ერთგვარად შესუსტდა. ამ ფუნქციების, უფრო ზუსტად, ადრინდელისა და ახლანდელის, გათვალისწინებით, ამ მწკრივებს ხან *შედეგობითებად* ან *რეზულტატიურებად* მოიხსენიებენ, ხან *თურმეობითებად* (ხანაც *ევიდენციალურ მწკრივებად*, ძირითადად თარგმანში); არადა, სინქრონიულ დონეზე მათი ძირითადი ფუნქცია *ევიდენციალობაა*, ამიტომ თურმეობითის მწკრივების

10 უნახაობის სინონიმად *ზმნური ევიდენციალობა* იგულისხმება და არა *ევიდენციალობა* მთლიანად.

სახელდებასა და, შესაბამისად, თარგმანში უნდა იყოს მოცემული ტერმინი ***ევიდენციალობა***[11].

შენიშვნა 3:

ქართველურ ენებში რამდენიმე სახის ზმნური ევიდენციალური ფორმა დასტურდება. ცალ-ცალკე წარმოვადგენთ თითოეული მათგანის დაზუსტებულ სახელებს.

ევიდენციალური პერფექტი

როგორც აღვნიშნეთ, */ თურმეობითი* და *// თურმეობითი* ქართული სალიტერატურო ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ითავსებენ რეზულტატიურობისა და ევიდენციალურობის ფუნქციებს. ძირითადი, რაც ამ ფორმებისთვის დამახასიათებელია და არ იცვლება, არის **პერფექტულობა**. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, **„პერფექტის ბაზაზე უნახაობის მოდელის აღმოცენება**, რაც დასტურდება სხვადასხვა ჯგუფის ენებში, კანონზომიერი ფაქტია, ის ერთგვარი უნივერსალიაა" (არაბული 1984:139-149). მრავალი ენის მასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს ამ მოსაზრების მართებულობას. ნ. კოზინცევა სამართლიანად შენიშნავს, რომ აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ი. ბიბესა და თანაავტორთა ცნობილი ნაშრომი: *„გრა-*

11 საპირისპირო მოსაზრება აქვს გამოთქმული ა. არაბულს; კერძოდ, მას ამ მწკრივების ისტორიული ფუნქციის – *რეზულტატიურობის* გათვალისწინებით, ტერმინოლოგიურად „შედეგობითი" უფრო მართებულად მიაჩნია (არაბული 1984:146). უნდა აღინიშნოს, რომ ამ მწკრივების ამოსავალი მნიშვნელობა გათვალისწინებული ჰქონდა ა. შანიძეს, ამიტომ თავიდან მან (1930) უწოდა */ შედეგობრივი, // შედეგობრივი* (იხ. 1973:222). შემდგომ ეტაპზე თავად ა. შანიძის მიერ მწკრივთა სახელდების შეცვლა */ თურმეობითად* და *// თურმეობითად* გულისხმობს გვიან შეძენილი *უნახაობის* ფუნქციის გააქტიურებას.

მატიკის ევოლუცია. დრო, ასპექტი და მოდალობა მსოფლიოს ენებში" (Bybee et al 1994 apud Козинцева 2007:25).

პერფექტული ზმნური ფორმები ქართულში მიღებულია უძველესი ფორმაციის – სტატიკური ზმნების რეინტერპრეტაციით (გადააზრიანებით) და ინვერსიით. დ. მელიქიშვილის აზრით, „მას შემდეგ, რაც სტატიკურ ზმნათა აწმყოს ინვერსიაქმნილმა ფორმებმა დინამიკური გაგება მიიღეს (ზმნისწინი დაირთეს და გააგრძელეს გარდამავალი ზმნის პარადიგმა), მათ წარსული (პერფექტი-რეზულტატივის) დროის გაგება შეიძინეს – გამოხატავენ მოქმედების პროცესს წარსულში" (მელიქიშვილი 2001:54). მკვლევარი ვარაუდობს, რომ, მას შემდეგ, რაც სტატიკურ ზმნათაგან განვითარებულმა დინამიკურმა შინაარსმა ფორმალური გამოხატულებაც პოვა (*მიწერიეს* ტიპის ფორმებს დაერთო ზმნისწინი), განვითარდა ერთ-ერთი ძირითადი, დღეს ყველაზე გამოკვეთილი, შინაარსობრივი ნიუანსი – უნებლიობა-უნახაობა, თურმეობითობა" (მელიქიშვილი 2001:23).

პერფექტულ ზმნურ ფორმათა მიღების ასეთივე გზას გადიან I თურმეობითები **მეგრულსა** და **ლაზურშიც**, ამ ენების II თურმეობითები კი სტრუქტურული წარმოების პრინციპით განსხვავდებიან ქართულ-სვანურისგან, თუმცა ეს არ ეხება ამ მწკრივის სემანტიკურ მხარეს და, საბოლოოდ, ხელს არ უშლის მწკრივთა სახელდების ერთგვაროვნებას ქართველურ ენებში.

რაც შეეხება **სვანურს**, გარკვეული ცვლილებით იმეორებს პერფექტულ ზმნურ ფორმათა მიღების გზას; კერძოდ, სტატიკური ზმნის პერფექტად გადააზრიანებული უპრეველებო ფორმა სემანტიკურად უნახაობას ვერ გამოხატავს და მისი ფუნქცია, რეზულტატიურობასთან ერთად, მხოლოდ ექსპერიენციულობაა; სპეციალური *-ენ/-ენ* სუფიქსის დართვით და სასხვისო ქცევის ნიშნის საარვისოთი ჩანაცვლებით კი (რასაც არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან სტატიკურ ფორმათა დინამი-

კურად გადააზრიანების შემდგომ ის მაინც ფუნქციის გარეშეა დარჩენილი), ერთმნიშვნელოვნად ევიდენციალური ხდება. როგორც ვხედავთ, სვანურში არსებული აღნიშნული ცვლილება ხელს უწყობს ევიდენციალობის უკეთ გამოხატვას სპეციალური მარკერის დართვით.

ზემოხსენებული მსჯელობის გათვალისწინებით, I თურმეობითსა და II თურმეობითს, სინქრონიულ დონეზე ძირითადი – *უნახაობის* ფუნქციის მიხედვით, უნდა ეწოდოს ***ევიდენციალური პერფექტი I*** და ***ევიდენციალური პერფექტი II*** *(მაგალითები ამ და სხვა შემთხვევებისათვის იხილეთ ქვემოთ ცხრილებში).*

შენიშვნა 4:

*პერფექტულ დასახელებათა ტერმინების ნაირსახეობებს წარმოვადგენთ ა. არაბულის წიგნიდან: „პერფექტულობა დასახელებული ნაკვთებისა ადრიდანვე იყო შენიშნული, რაც ტერმინოლოგიაშიც აისახა: **I თურმეობითისათვის:** давнопрошедшее I-ое (ალ. ცაგარელი), прошедшее совершенное (ნ. მარი), perfectum (გ. დეეტერსი), результативное (ბ. რუდენკო)... **II თურმეობითისთვის:** давнопрошедшее II-ое (ალ. ცაგარელი), давнопрошедшее (ნ. მარი), plusquamperfectum (გ. დეეტერსი), II результативное, давнопрошедшее, препрошедшее (ბ. რუდენკო). . . (არაბული 1984:145-146).*

მოდალიზებული ევიდენციალური პერფექტი სვანურში

ქართველურ ენებს შორის მხოლოდ სვანურში დასტურდება მოდალიზებული ევიდენციალური პერფექტული მწკრივები, რომელთა სახელწოდებებია *პირობით-შედეგობითი I* და *პირო-*

ბით-შედეგობითი II (მარგიანი-სუბარი 2009ბ:72-77). მათი გენეზისი სწორედ ისეთივეა, როგორიც დანარჩენი ევიდენციალური პერფექტული ზმნებისა ქართველურ ენებში. ეს ფორმები სტატიკურ ზმნათა უსრული მყოფადისა[12] და უსრული პირობითის ინტერპრეტირებული და ინვერსიული ფორმებია. მათი გენეზისის, სინქრონიულ დონეზე სემანტიკისა და სხვა, სვანურ და ზოგადად ქართველურ, ევიდენციალურ მწკრივებთან მიმართების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ამ მწკრივებისთვის უფრო მართებულია ტერმინები: ***ევიდენციალური პერფექტი III*** და ***ევიდენციალური პერფექტი IV***.

სხვა მოდალიზებული ევიდენციალური მწკრივები სვანურში

გარდა პერფექტული ფორმებისა, სვანურში დასტურდება არაპერფექტული მოდალიზებული ევიდენციალური მწკრივები, რომელთა ძველი, ტრადიციული სახელწოდებებია: მყოფადუსრული, მყოფადი (ძირითადპრევერბიანი), პირობითუსრული, პირობითსრული. ევიდენციალური შინაარსის გამო მათ ვუწოდებთ: ***ევიდენციალურ-ეპისტემიკურ აწმყოს, ევიდენციალურ-ეპისტემიკურ მყოფადს, ევიდენციალურ-ეპისტემიკურ იმპერფექტ I-ს, ევიდენციალურ-ეპისტემიკურ იმპერფექტ II-ს***.

12 დასაშვებია, რომ ამოსავალი ფორმა სტატიკური ზმნის ინფერენციული აწმყოა, რომელიც ფუნქციურად მყოფადსაც გამოხატავს (ვრცლად იხ. თ. I, §5).

მოდალიზებული ევიდენციალური მწკრივები მეგრულში

მეგრულში აღწერილია სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებული ორი მწკრივი, რომლებიც სემანტიკისა და საყრდენი ფუძის მიხედვით სახელდებულია *მყოფადუსრულად* (მარგველაშვილი 1980:164-165; ჭუმბურიძე 1986:133-138) და *პირობითუსრულად* (ჭუმბურიძე 1986:133-134). მონოგრაფიაზე მუშაობისას დაზუსტდა ამ მწკრივთა სემანტიკა; კერძოდ, ისინი ევიდენციალურები არიან და გამოხატავენ საეჭვო-სავარაუდო მოქმედებას აწმყოსა და წარსულში (იმპერფექტში). ყოველივე ამის გათვალისწინებით, *მყოფადუსრულს* ეწოდა ***ევიდენციალურ-ეპისტემიკური აწმყო***, ხოლო *პირობითუსრულს* – ***ევიდენციალურ-ეპისტემიკური იმპერფექტი I***.

არამოდალიზებული ევიდენციალური ნამყო ლაზურში

სალიტერატურო ქართულისგან განსხვავებულ, საკუთრივ ლაზურისთვის დამახასიათებელ თურმეობითებს სამეცნიერო ლიტერატურაში არაინვერსიულ თურმეობითებს უწოდებენ. ნამყოდან (აორისტიდან) მომდინარე თურმეობითის ორი მწკრივი დასტურდება ლაზურში და გადმოცემულია რთული ფორმებით: საუღლებელი ზმნის წყვეტილის ფორმას ემატება „ყოფნა“ მეშველი ზმნის პირიანი ფორმა, რომელიც განსხვავებულია დიალექტების მიხედვით. მეშველი ზმნის დრო განასხვავებს ამ მწკრივების დროულ გაგებასაც; კერძოდ, *ნაორისტალი თურმეობითი I* მეშველ ზმნას აწმყოს ფორმით დაირთავს, ხოლო *ნაორისტალი თურმეობითი II-ის* მეშველი ზმნა უწყვეტლის ფორმითაა წარმოდგენილი (დაწვრილებით იხ. კაკაბაძე 2008: 289, 291; კარტოზია 2005:96). რეინტერპრეტაციის არსის გათ-

ვალისწინებით, ლაზურის ორივე მწკრივის სახელწოდებებს ვცვლით და ვუწოდებთ: ***ევიდენციალურ ნამყო I-ს*** და ***ევიდენციალურ ნამყო II-ს.***

ევიდენციალური იმპერფექტი

ცნობილია, რომ პერფექტული მწკრივები ხშირად ივითარებენ უნახაობის სემანტიკას, ხოლო იმპერფექტული ევიდენციალური ფორმები საზოგადოდ ენაში შედარებით იშვიათობაა. აღსანიშნავია, რომ არასალიტერატურო ქართველურ ენებში დასტურდება ***ევიდენციალური იმპერფექტული*** ფორმები; კერძოდ,

სვანურში გამოიყოფა აწმყოსფუძიანი ევიდენციალური მწკრივები, რომლებსაც ***I თურმეობითი*** და ***II თურმეობითი*** უწოდა ვ. თოფურიამ (თოფურია 1967:130)[13], ალ. ონიანმა კი ისინი IV სერიად გამოყო და გამოიყენა ტერმინები: ***III თურმეობითი*** და ***IV თურმეობითი*** (ონიანი 1998:205).

სვანურში იმპერფექტული I თურმეობითი (ვ. თოფურიას ტერმინოლოგიით) იწარმოება აწმყოს საზედაო ქცევის ფორმაზე **-უნ** და **-ა** სუფიქსების დართვით (დიალექტებისა და ფონეტიკური გარემოცვის მიხედვით -უნ სუფიქსის ვარიაციებად შეიძლება შეგვხვდეს: -ინ, -ჷნ, -ნ), თუმცა, შესაძლოა, კონტექსტუალურად საობიექტო ქცევის გაგებაც ჰქონდეს:

---

13 ეს არ არის ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ოთხივე ქართველური ენისთვის დამახასიათებელი პერფექტული I თურმეობითი და II თურმეობითი; სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ტერმინოლოგიური ომონიმია კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რამდენად მნიშვნელოვანია არსებულ **ტერმინთა დაზუსტება** და გრამატიკულ ფორმათა დასახელებაში მეტი სიცხადის შეტანა.

იმპერფექტული *II თურმეობითი* პირველსა და მეორე პირში მეშველზმნიანი წარმოებისაა, ხოლო III პირისთვის მეშველი ზმნის დართვა სავალდებულო არ არის. საანალიზო მწკრივებისთვის, შედგენილობის მიხედვით დიდი განსხვავების მიუხედავად, საერთოა აწმყოს საყრდენი ფუძე.

მეგრულში აწმყოსფუძიანი მწკრივების ორი ჯგუფი არსებობს, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან ნანახი და უნახავი მოქმედების მიხედვით (როგავა 1953:30; ქობალავა 2001:133-134). უნახავი მოქმედების გამომხატველ მწკრივებს გ. როგავამ უწოდა *III თურმეობითი* და *IV თურმეობითი* (როგავა 1953:30). *III თურმეობითი* აწმყოს ფუძეს ეყრდნობა, ხოლო *IV თურმეობითი – უწყვეტლისას*. ამის გათვალისწინებით, ი. ქობალავამ ამ მწკრივებს უწოდა: *აწმყოს თურმეობითი* და *ნამყო უწყვეტლის თურმეობითი* (ქობალავა 2001: 132, 141).

ლაზურში არაინვერსიული თურმეობითების იმპერფექტული ჯგუფიდან მხოლოდ ერთი მწკრივი გვხვდება, რომელიც ეყრდნობა უწყვეტლის ფუძეს. ამ მწკრივის ტრადიციული სახელწოდებაა *ნანამყოუსრულარი თურმეობითი* (ჩიქობავა 2008:150; კაკაბაძე 2018:289, 291; კარტოზია 2005:102-103). მისი წარმოება დიალექტურად განსხვავებულია.

სვანურის, მეგრულისა და ლაზურის ზემოაღნიშნული ევიდენციალური ფორმებისთვის საერთოა იმპერფექტულობა, ამიტომ შეიძლება ეწოდოთ:

ევიდენციალური იმპერფექტი I *(resp. სვანური: I თურმეობითი / III თურმეობითი; მეგრული: III თურმეობითი /აწმყოს თურმეობითი).*

ევიდენციალური იმპერფექტი II *(resp. სვანური: II თურმეობითი/IV თურმეობითი; მეგრული: IV თურმეობითი/ნამყო უწყვეტლის თურმეობითი; ლაზური: ნანამყოსრულარი თურმეობითი.*

შენიშვნა 1:

ლაზურში *განხილულია მხოლოდ არამოდალიზებული ევიდენციალური მწკრივები.*

მეგრულში *არ დასტურდება და, შესაბამისად, არ არის განხილული:*

ა. ***ევიდენციალურ-ეპისტემიკური მყოფადი*** *(ევიდენციალურ-ეპისტემიკური აწმყოს ზმნისწინიანი ფორმა: დოჭარუნდას იცუაფუ/იცუი „დაწერს ალბათ“ ტიპისა, შდრ: სვანურის მონაცემები).*

ბ. ***ევიდენციალურ-ეპისტემიკური იმპერფექტი II*** *(დოჭარუნდუკო იცუაფუდუ/იცუიდუ „დაწერდა ალბათ“ ტიპისა, შდრ: სვანურის მონაცემები).*

ორივე შემთხვევას თავისი ახსნა აქვს; კერძოდ: ა. მეგრულში ***ევიდენციალურ-ეპისტემიკურ მყოფადს*** *(მოდალიზებულ მყოფადს),* ***აწმყოსთან საზიარო სემანტიკით,*** *გადმოსცემენ მედიოპასივები (მდგომარეობის ზმნები) და ორპირიანი სტატიკური ვნებითები (იხ. თ. I, §5),* ***არამოდალიზებულ ევიდენციალურ მყოფადს კი გადმოსცემენ ზმნისწინიანი ნო- პრეფიქსიანი პოტენციალისის ფორმები*** *(იხ. თ. I, §7); ხოლო – ბ. დოჭარუნდუკო იცუაფუდუ/იცუიდუ „დაწერდა ალბათ“ რთული ფორმის საყრდენ მწკრივს (დოჭარუნდუ-კო), თავის მხრივ, ფუძედ უნდა აეღო* ***ხოლმეობითი*** *(დოჭარუნდუ), რომელიც მოდალური მნიშვნელობისაა და კონკრეტულ დროულ გაგებას კონსტრუქციაში სხვა ზმნასთან მიმართებით იძენს; ამიტომ,* ***ხოლმეობითი*** *დროული თვალსაზრისით*

*საოპოზიციო ცალად ვერ გამოდგებოდა პირობითის მწკრივისთვის. შესაბამისად, დოჭარუნდუკო ტიპის პირობითი – მყოფადის პირობითი (ანუ: პირობითი II) მეტყველებაში პრაქტიკულად არ დასტურდება (დაწვრილებით იხ. ქობალავა 2001:137-140): „სერიებში სიმეტრიული აგებულებისაკენ მიდრეკილების ფონზე ამ ტიპის კავშირებითი[14] მოსალოდნელი იყო მყოფადის ჯგუფშიც, მაგრამ **საყრდენი თხრობითი კილოს არარსებობამ** ხელი შეუშალა შესაბამისი მოდალური ფორმების განვითარებას" (ქობალავა 2001:140)[15].*

ქვემოთ მოცემულია ცხრილები, რომლებშიც წარმოდგენილია ქართველური ენების ევიდენციალურ მწკრივთა ჩვენ მიერ შემოთავაზებული სახელწოდებანი. იქვეა მითითებული მათი ძველი სახელები და მოყვანილია სათანადო მაგალითები.

14 იგულისხმება *მყოფადის* პირობითი.

15 განსხვავებული თვალსაზრისისთვის დაწვრილებით იხ. გერსამია 2013:98-100.

ცხრილი № 1

არამოდალიზებული ევიდენციალური მწკრივები ქართველურ ენებში

მწკრივთა დასახელებანი	ქართული	მეგრული	ლაზური	სვანური
ევიდენციალური პერფექტი I (resp. I თურმეობითი; I შედეგობითი; ნამყო სრული)	*უწერია*	*უჭარუ(ნ)*	*უჭარუნ*	*ხოჱრა/ხაჱრენა*
ევიდენციალური პერფექტი II (resp. II თურმეობითი; II შედეგობითი; ნამყო წინარეწარსული)	*ეწერა*	*უჭარუდუ*	*უჭარუტუ*	*ხოჱრან/ხაჱრენან*
ევიდენციალური იმპერფექტი I (resp. მეგრულისათვის: III თურმეობითი/ აწმყოს თურმეობითი; სვანურისათვის: I თურმეობითი/III თურმეობითი)	—	*ნოჭარუე(ნ)* „წერს თურმე“ / „ნაწერავა“	—	*ხაჱრუნა* „თურმე აწერდა (ზედ), / თურმე უწერდა ის მას, მას“
ევიდენციალური იმპერფექტი II (resp. მეგრულისათვის: IV თურმეობითი/ უწყვეტლის თურმეობითი; ლაზურისათვის: ნანამყოსრულარი თურმეობითი; სვანურისათვის: II თურმეობითი/IV თურმეობითი)	—	*ნოჭარუედუ* „წერდა თურმე“ / „ნაწერიყო“	*ჭარუპტ-ერენ* (ხოფურ-ჩხალური) *ჭარუპტუ-დორენ* (ვინურ-არქაბული, ათინურ-ართაშენული) „თურმე წერდა“ / „ნაწერიყო“	*ლეგმიჱრუნე ლი / ლეგმიჱრუნ* „წერდა თურმე“

მწკრივთა დასახელებანი	ქართული	მეგრული	ლაზური	სვანური
ევიდენციალური ნამყო I (resp. ნაორისტალი თურმეობითი I)	—	—	*ჭარ-ელ+ერენ* (ხოფურ-ჩხალური) *ჭარუ-დორენ* (ვინურ-არქაბული, ათინურ-ართაშენული) „დანერა თურმე“ / „დაუწერია“ / „წერა არის თურმე“	—
ევიდენციალური ნამყო II (resp. ნაორისტალი თურმეობითი II)	—	—	*ჭარ-ელ+ერეტუ* (ხოფურ-ჩხალური) *ჭარუ-დორტუნ* (ვინურ-არქაბული, ათინურ-ართაშენული) „დანერა თურმე“ / „დაეწერა“ / „წერა იყო თურმე“	—

ცხრილი № 2

მოდალიზებული (ეპისტემიკური) ევიდენციალური მწკრივები ქართველურ ენებში

მწკრივთა დასახელებანი	ქართული	მეგრული	ლაზური	სვანური
ევიდენციალური პერფექტი III (resp. პირობით-შედეგობითი I)	—	—	—	სვან. *ხეძრი* „ალბათ წერა = ალბათ [და]ნაწერი აქვს“
ევიდენციალური პერფექტი IV (resp. პირობით-შედეგობითი II)	—	—	—	სვან. *ხეძრრლ* „ალბათ წერა = ალბათ [და]ნაწერი ჰქონდა“
ევიდენციალურ-ეპისტემიკური აწმყო (resp. მეგრულისთვის: მყოფადუსრული; სვანურისთვის: მყოფადუსრული/ინფერენციული აწმყო)	—	მეგრ. *ჭარუნდას იჯუაფუ/იჯი* „ალბათ წერს“/ „წერდეს იქნება“	—	სვან. *ჲარუნი* „ალბათ წერს“/„წერდეს იქნება“
ევიდენციალურ-ეპისტემიკური მყოფადი (resp. მყოფადსრული)	—	—	—	*ადჩრნე* „ალბათ დაწერს“

მწკრივთა დასახელებანი	ქართული	მეგრული	ლაზური	სვანური
ევიდენციალურ-ეპისტემიკური იმპერფექტი I (resp. პირობითუსრული)	—	მეგრ. *ჭარუნდუკო იცუაფუდუ/ იციდუ* „ალბათ წერდა“/ „წერდა იქნებოდა“	—	სვან. *ა̈რუნრლ* „ალბათ წერდა“
ევიდენციალურ-ეპისტემიკური იმპერფექტი II (resp. პირობითსრული)	—	—	—	სვან. *ადრნა* „ალბათ დაწერდა“

2. პერფექტულ ევიდენციალურ მწკრივთა ჩამოყალიბების დინამიკა ქართველურ ენებში

ევიდენციალურ მნიშვნელობათა გადმოცემისას ზმნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. „ევიდენციალობა, ამ სიტყვის ფართო გაგებით, არის ტექსტის კატეგორია, **ზმნის ევიდენციალობა** კი მხოლოდ ერთ-ერთი საშუალებაა, თუმცა კი – ცენტრალური, მის გამოსახატავად“ (Ницолова 2007:122). ქართველურ ენებში (ქართულში, სვანურში, მეგრულსა და ლაზურში) სწორედ ზმნა არის ის ენობრივი ერთეული, რომლის სპეციფიკურ მწკრივთათვის ევიდენციალური მნიშვნელობა ძირითადი და ერთადერთია.

2.1. ევიდენციალური პერფექტი

როგორც ცნობილია, ზმნური პერფექტული ფორმები ხშირად ივითარებენ ევიდენციალურ მნიშვნელობას: „პერფექტის ბაზაზე უნახაობის მოდელის აღმოცენება, რაც დასტურდება სხვადასხვა ჯგუფის ენებში, კანონზომიერი ფაქტია, ის ერთგვარი უნივერსალიაა“ (არაბული 1984:139-149). მრავალი ენის მასალის მიხედვით დადასტურებულია, რომ პერფექტის ისტორიულ განვითარებას მიჰყავს იგი საკუთრივ პერფექტული (რეზულტატიური) მნიშვნელობის დაჩრდილვისაკენ; **შემდეგი სტადიაა პერფექტის გამოყენება თანმიმდევრულ მოქმედებათა გადმოსაცემად და შემდგომი შემოსაზღვრა (დავიწროება) პერფექტისა თუ სხვა წარსული დროის ფორმებისა ევიდენციალობა-არაევიდენციალობის კატეგორიით**

(Козинцева 2007:25). როგორც ვხედავთ, საანალიზო საკითხის შესახებ მოსაზრებები ძირითად ნაწილში – **პერფექტი თანამედროვე ეტაპზე ზმნური ევიდენციალობის გამოხატვის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა** – ერთმანეთს ემთხვევა.

როგორც სალიტერატურო ქართულ ენაში, ასევე არასალიტერატურო ქართველურ ენებში არსებობს საერთოქართველური ევიდენციალური პერფექტული მწკრივები: **I თურმეობითი** და **II თურმეობითი** (resp. *ევიდენციალური პერფექტი I, ევიდენციალური პერფექტი II).* ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, რეზულტატიურობასთან ერთად, მათი ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელობა სწორედ ევიდენციალობაა; ეს უკანასკნელი ამოსავალ მნიშვნელობას ხშირ შემთხვევაში ჩრდილავს კიდეც. სპეციალური მორფემა საანალიზო კატეგორიისთვის ქართულში (სალიტერატურო ენაში) არ გამოიყოფა.

სინქრონიულ დონეზე აღნიშნულ მწკრივთა ევიდენციალურობა ეჭვს არ იწვევს მკვლევრებს შორის, თუმცა აზრთა სხვადასხვაობაა იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა ძველ ქართულში ამ მწკრივების ფუნქცია, თუნდაც ჩანასახის დონეზე, ევიდენციალობის გამოხატვა. ა. შანიძის, ზ. სარჯველაძის, გ. ნინუას შრომები ამ კითხვაზე დადებით პასუხს იძლევა: „ძველი ქართულის ზმნას უნარი შესწევს, გადმოსცეს უნახაობის ნიუანსი, თუმცა, რა თქმა უნდა, იგი უფრო გავრცელებულია საშუალსა და ახალ ქართულში“ (სარჯველაძე, ნინუა 1985:85). ზემოხსენებულ თვალსაზრისს ეთანხმებიან და ავითარებენ: მ. ბერიძე (ბერიძე 2009:101) და მ. ტოფაძე-გოიმანი (Topadze Gäumann 2011). ჩვენი აზრითაც, უნახაობის სემანტიკა, თუნდაც ჩანასახის სახით, ძველ ქართულშივე არსებობდა.

ევიდენციალური პერფექტი ძველ ქართულ ენაში[16]

ქართველურ ენებში ევიდენციალობის კატეგორიის ავთენტურობის დასამტკიცებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძველი ქართული ენის მონაცემებს; ამისათვის განვიხილავთ ევიდენციალობის გამოხატვის მორფოლოგიურ საშუალებებს: ევიდენციალურ პერფექტულ ზმნურ ფორმებს – I თურმეობითსა და II თურმეობითს ძველ ქართულში. საანალიზო მასალა დამუშავებულია V-X საუკუნეების ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიული ძეგლებიდან.

ემპირიული მასალის ანალიზის მიხედვით იკვეთება, რომ ევიდენციალობა ძველ ქართულშივე ახასიათებდა I თურმეობითისა და II თურმეობითის მწკრივებს:

I თურმეობითი:

*(1) „...შენი ადგილი **დაგიტევებიეს** და სხუად **წარსრულ ხარ**“ („მარტკლობაჲ შუშანიკისი“, აგიოგრ. ძეგლ., I, 15).*

II თურმეობითი:

*(2) „...ვიდრე მოსლვადმდე გრიგოლ მწყემსისა.... ცხოვარნი ქრისტჱსნი **განბნეულ იყვნეს**...“ (აგიოგრ. ძეგლ., I, 264).*

მაგალითებიდან ჩანს, რომ ევიდენციალური ფორმები დასტურდება როგორც ორგანული, ისე აღწერითი წარმოებით. აღ-

16 ეს მონაკვეთი გრანტის ფარგლებში მოამზადა ახალგაზრდა მკვლევარმა მაია მადუაშვილმა ინგლისურ ენაზე (“Evidential Perfect in the old Georgian Language”) და წაიკითხა HUMBOLDT-KOLLEG TBILISI-ს საერთაშორისო კონფერენციაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (20-22 სექტემბერი, 2017): http://humboldt-kolleg.com/2017/speakers/info/90
ქართული ვერსია მონოგრაფიაში შეტანილია შემოკლებით.

წერით ფორმებს თურმეობითის კვალიფიკაცია ენიჭება მაშინ, როდესაც აქვს *თურმეს* გაგება და/ან თურმეობითის გარემოცვა (I და II თურმეობითის შემთხვევაში), ან გამოხატავს უწინარეს მოქმედებას (II თურმეობითის შემთხვევაში).

საანალიზო მასალა გვიჩვენებს, რომ ევიდენციალური პერფექტული ფორმები გვხვდება თხრობითი, კითხვითი და ძახილის შინაარსის მქონე კონსტრუქციებში:

*(3) „... **მოეძღუანა** წმიდასა მას ეპისკოპოსსა საზრდელი“ („მარტკლობაჲ შუშანიკისი“, აგიოგრ. ძეგლ., I, 23).*

*(4) „...**დაგიტევებიეს** მამული შჯული და ქრისტიანეთა თანა **შეცთომილ ხარ!** („მარტკლობაჲ ჰაბო ტფილელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 64).*

*(5) „...ვითარ **განძლიერებულ ხარ** უძლურებისაგან, მოძღუარო!“ („ცხორებაჲ გრიგოლ ხანცთელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 286).*

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის თვალსაზრისით საინტერესოა ისიც, რომ საანალიზო მასალაში თავს იჩენს I თურმეობითის **-ია** დაბოლოებიანი წარმოება:

*(6) „...მამასა გრიგოლს აქა **წამოუყვანებია**“ („ცხორებაჲ გრიგოლ ხანცთელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 297).*

მოცემულ ილუსტრაციებში არცერთი ტექსტის მთქმელი (ავტორი) არ არის თვითმხილველი საანალიზო ზმნებით გადმოცემული მოქმედების პროცესისა, რაც აშკარაა ვრცელი კონტექსტებიდან. ეს ზმნები ერთმნიშვნელოვნად მთქმელის მიერ უნახავ

მოქმედებას გახაზავენ; სხვა შემთხვევაში, სავარაუდოდ, მთქმელი წყვეტილის ფორმებს გამოიყენებდა, რისი მაგალითებიც უხვადაა საანალიზო ტექსტებში სხვა ადგილას.

ამრიგად, ემპირიული მასალის შესწავლა და საკითხის განხილვა დიაქრონიულ ჭრილში იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ევიდენციალურობა პერფექტულ ფორმებთან ჯერ კიდევ უძველეს პერიოდში ისახება, როგორც ამ მწკრივთა მეორეული ფუნქცია და აქტიურდება მომდევნო საუკუნეებიდან.

ევიდენციალურ პერფექტულ ფორმათა აღწერილი დინამიკა და ამ თვალსაზრისით სინქრონიულ დონეზე არსებული სურათი გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ საანალიზო კატეგორიის ავთენტურობაზე ქართველურ ენებში.

2.2. პერფექტულ ზმნურ ფორმათა ჩამოყალიბების გზა ქართველურ ენებში

მნიშვნელოვანია პერფექტულ ზმნურ ფორმათა ჩამოყალიბების გზის ჩვენება ქართველურ ენათა მიხედვით, რათა ცხადი გახდეს, რამდენად ბუნებრივად და თავისთავად მიისწრაფვის ენა **უნახაობის სემანტიკის** განვითარებისკენ.

პერფექტული ზმნური ფორმები **ქართულ ენაში** მიღებულია უძველესი ფორმაციის – სტატიკური ზმნების საობიექტო ქცევის ფორმათა რეინტერპრეტაციით (გადააზრიანებით) და ინვერსიით (მელიქიშვილი 2001:23-24):

(1) სტატ. აწმყო: უწერია ის მას (= ის მისთვის არის დაწერილი)

(2) I თურმეობითი: უწერია მას ის (= მან ის წერა თურმე)

(3) სტატ. აორისტი: ეწერა ის მას (= ის მისთვის იყო დაწერილი)

(4) II თურმეობითი: ეწერა მას ის (= თურმე მას ის ნაწერი ჰქონდა)

პერფექტულ ზმნურ ფორმათა მიღების ასეთივე გზა იკვეთება **სვანურშიც**, თუმცა, დანარჩენი ქართველური ენებისგან განსხვავებით, ამ ენამ ევიდენციალობის მარკერი საანალიზო მწკრივებშიც გაიჩინა:

(5) სტატ. აწმყო: ხოდრა (უწერია ის მას = ის მისთვის არის დაწერილი) – შედეგი აწმყოში;

(6) I თურმეობითი: ხოდრა (უწერია მას ის = მან ის წერა თუნდაც ერთხელ/მას ის [და]ნაწერი აქვს) – შედეგი აწმყოში + ექსპერიენცია (გამოცდილება);
შდრ.:

(7) ხადრ-ენ-ა (თურმე მან ის წერა თუნდაც ერთხელ/თურმე მას ის [და]ნაწერი აქვს) – შედეგი აწმყოში + ექსპერიენცია + უნახაობა;

(8) სტატ. აორისტი: ხოდრან (ეწერა ის მას = ის მისთვის იყო დაწერილი) – შედეგი ნამყოში;

(9) II თურმეობითი: ხოდრან (ეწერა მას ის = მას ის [და]ნაწერი ჰქონდა თუნდაც ერთხელ) – შედეგი ნამყოში + ექსპერიენცია;
შდრ.:

(10) ხადრ-ენ-ან (თურმე მას ის დანაწერი ჰქონდა თუნდაც ერთხელ) – შედეგი ნამყოში + ექსპერიენცია + უნახაობა.

მეგრულში III სერიის ინვერსიულ ფორმებს ი. ყიფშიძე **პერფექტულებს** უწოდებს, მაგრამ ინვერსიის შემაპირობებელ ფაქტორზე არაფერს ამბობს (Кипшидзе 1914:086). ი. ქობალავას სახელდებითაც, მეგრულში III სერია პერფექტული ჯგუფისაა (ქობალავა 2001:126). ი. მელიქიშვილის დასკვნითაც, ქართველურ ენებში III სერიის მწკრივთა ფორმალური და ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი მათი პერფექტულობის სასარგებლოდ მეტყველებს (მელიქიშვილი 1998:127-142). მეგრულში, ქართულ-სვანურის მსგავსად, გარდამავალ ზმნათა I თურმეობითი სტატიკური აწმყოს გადააზრიანების შედეგია, თუმცა II თურმეობითის წარმოებისას მცირეოდენი სხვაობა მაინც იჩენს თავს:

(11) სტატ. აწმყო: უჭარუ(ნ) („უწერია ის მას" = ის მისთვის არის დაწერილი)

(12) I თურმეობითი: უჭარუ(ნ) („უწერია მას ის" = მას ის ნაწერი აქვს თურმე)

მეგრულში II თურმეობითი, ქართულ-სვანურისგან განსხვავებით, სტატიკური წყვეტილის ინვერსიით კი არ არის მიღებული, არამედ „მეგრული თურმეობით მეორეს აწარმოებს თურმეობითი პირველისგან ნამყო უსრულის სუფიქსებით[17]: თურმეობითი I: მიძირუ-ნ[18] – თურმეობითი II: მიძირუ-დ-უ[19]

17 სუფიქსებში იგულისხმება: უწყვეტლის -დ- სავრცობი და S3 პირის -უ ნიშანი.

18 ქართ. *მინახავს.*

19 ქართ. *მენახა.*

... ქართულში კი თურმეობით მეორეს წარმოების მხრივ არავითარი კავშირი არა აქვს თურმეობითს პირველთან[20]: იგი აორისტის ფუძეს ემყარება..." (ჩიქობავა 2008:154).[21]

(13) I თურმეობითი: უჭარუ (ნ) („უწერია მას ის" = მას ის ნაწერი აქვს თურმე)

(14) II თურმეობითი: უჭარუ-დ-უ („ეწერა მას ის" = მას ის ნაწერი ჰქონდა თურმე)

მეგრულში I თურმეობითის საყრდენ ფუძედ სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად დასახელებულია წყვეტილი (ქავჯაია 2001:65; დანელია 2006:159; ჯორბენაძე 1995:210; კარტოზია და სხვები 2010:243), თუმცა გაჩნდა მოსაზრება, რომ, წყვეტილის გარდა, შესაძლებელია განიხილებოდეს აწმყოც (ქირია და სხვები 2015:548); უფრო მეტიც, აწმყოს ფუძის წარმოებაში თემის ნიშანთა ხვედრითი წილის განსაზღვრის შედეგად გამოტანილია დასკვნა: „მეგრულშიც უმეტესად აწმყოს და არა აორისტის ფუძეს ემყარება გარდამავალი ზმნის პირველი თურმეობითის ფორმა" (ქირია და სხვები 2015:550). ორივე თვალსაზრისი ერთმანეთის მიმართ თანხვდენილიცაა და წინააღმდეგობრივიც, რადგან III სერიის მწკრივებს განიხილავს სინქრონიულ დონეზე. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ რაიმე კანონზომიერების დადგენა ძნელია: საყრდენი ფუძე ხან წყვეტილია, ხან აწმყო (იგულისხმება დინამიკური აწმყო).

20 ავტორის შენიშვნით, ივარაუდება გარდამავალ ზმნათა თურმეობითები.

21 მეგრულში II თურმეობითის მომდინარეობა I თურმეობითისგან აღნიშნული აქვს ი. ყიფშიძესაც (Кипшидзе 1914:086-088).

იმ აზრის დამკვიდრებას, რომ მეგრულში I თურმეობითის საყრდენი ფუძე წყვეტილია, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო თანამედროვე ეტაპზე III სერიის მწკრივთა ფუნქციურ-სემანტიკურმა დატვირთვამ; კერძოდ: ისინი უხილავ დრო-კილოებში მოიაზრება, რითიც უპირისპირდებიან II სერიის მწკრივებს, როგორც ხილულ დრო-კილოთა ფორმებს. ამ მოსაზრებით უწოდა გ. როგავამ III სერიის ინვერსიულ თურმეობითებს მეგრულში **„აორისტის თურმეობითები“**, წარმოადგინა ხილული და უხილავი საპირისპირო ზმნური პარადიგმები სერიათა მიხედვით და დააწყვილა: I – IV და II – III სერიები (როგავა 1953:18). საპირისპირო ზმნურ ფორმათა მიმართება ზმნური პარადიგმების მიხედვით მოცემულია კ. დანელიას წიგნშიც (დანელია 2006:161-162).

ჩვენი აზრით, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისი – **„თურმეობითი პირველი [მეგრულში] აწმყოს ინვერსიულ ფორმას წარმოადგენს“** (ჩიქობავა 2008:154) – მიიჩქმალა იმის გამო, რომ არ არის გამიჯნული საკითხები III სერიის ინვერსიულ თურმეობითთა გენეზისისა და სინქრონიულ დონეზე მათი ფუნქციურ-სემანტიკური დანიშნულების შესახებ. არნ. ჩიქობავასეულ „ინვერსიულ აწმყოში“ სტატიკურ ზმნათა ინვერსია იგულისხმება, რითიც, ფაქტობრივად, თურმეობითი პირველის გენეზისია წარმოდგენილი. ამავე თვალსაზრისს ეხმიანება ვარაუდი I თურმეობითის ფორმებში პირის ნიშნის **-ნ** სუფიქსის წინ გაჩენილი **–უ** ხმოვნის კვალიფიკაციის შესახებ: „საფიქრებელია, რომ ეს **–უ** იგივე მონაცემი იყოს, რაც ვლინდება სტატიკურ ფორმებში: უ-ხანტ-უ-ნ „უხატია“, უ-ჭარ-უ-ნ „უწერია“... (ქირია და სხვები 2015:550). ამასთან, ინვერსიულ თურმეობითებში დადასტურებული S_3 პირის **-ნ** სუფიქსი გადმოყოლილია სტატიკური ვნებითებისგან. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, **-ნ** მესამე სუბიექტური პირის ნიშნად წარმოდგე-

ნილია გარდაუვალი ზმნების (ვნებითისა და საშუალი გვარის) აწმყოსა და მყოფადში (Марр 1910: 45; Кипшидзе 1914:056, 072; ჩიქობავა 1936:97; მაჭავარიანი 1953:7). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ტ. გუდავას სალექციო ჩანაწერი, რომელშიც მითითებულია, რომ თანამედროვე მეგრულის აწმყოს მწკრივში **-ნ** მხოლოდ ხმოვნების შემდეგ დასტურდება (დამოწმებულია ალ. ონიანის ნაშრომის მიხედვით: ონიანი 1978:72). ამგვარი ერთ-ერთი ხმოვანი სტატიკურობის გამომხატველი **-უ-** სუფიქსია. ეს კიდევ ერთი საბუთია იმისათვის, რომ S3 პირის **-ნ** სუფიქსი სტატიკური ზმნებიდან მომდინარედ ჩავთვალოთ ინვერსიულ თურმეობითებში.

ინვერსიული თურმეობითები **ლაზურშიც** მეგრულის მსგავსად ჩამოყალიბდა: სტატიკური აწმყოს გადააზრიანებითა და I თურმეობითის ფორმაზე უწყვეტლის **-ტ-** სავრცობის დამატებით.

(15) სტატ. აწმყო: უჭა(რ)უნ („უწერია ის მას“ = ის მისთვის არის დაწერილი)

(16) I თურმეობითი: უჭა(რ)უნ („უწერია მას ის“ = მას ის ნაწერი აქვს თურმე)

(17) I თურმეობითი: უჭა(რ)უნ („უწერია მას ის“ = მას ის ნაწერი აქვს თურმე) →

(18) II თურმეობითი – უჭა(რ)უ-ტ-უ („ეწერა მას ის“ = მას ის ნაწერი ჰქონდა თურმე)

ამრიგად, **შეიძლება დავასკვნათ**:

ინვერსიული I თურმეობითი მეგრულსა და ლაზურში ისევე, როგორც ქართულსა და სვანურში, მიღებულია ორპირიანი სტატიკური ზმნების რეინტერპრეტაციის შედეგად. ეს არის ინვერსიული თურმეობითების ჩამოყალიბების საერთოქართველური ხაზი და ამ თვალსაზრისით ოთხივე ქართველური ენა ერთმანეთის მსგავსია. რამდენადაც მეგრულ-ლაზურისთვის (განსაკუთრებით მეგრულისთვის) დამახასიათებელია მორფოლოგიური ფორმათწარმოების იერარქიული პრინციპი (მომდევნო იმეორებს წინას და უმატებს ახალ ფორმანტს; დაწვრილებით ამ პრინციპზე იხ. ჯორბენაძე 1995:194-195)[22], II თურმეობითიც ამ პრინციპითაა ნაწარმოები; ამიტომ მიჰყვება ერთმანეთს სტრუქტურულ-სემანტიკურად მეგრულ-ლაზურში I თურმეობითი და II თურმეობითი, ხოლო ქართულსა და სვანურში ამ მწკრივთა სტრუქტურა განსხვავებულია, სემანტიკა კი – თანმიმდევრული.

2.3. სვანური მოდალიზებული ევიდენციალური პერფექტული მწკრივები

სვანური, როგორც არასალიტერატურო ენა, ხასიათდება როგორც არქაულობით, ასევე ინოვაციებით; ამის დასტურია **ქართულისგან განსხვავებული მოდალიზებული ევიდენციალური პერფექტული მწკრივების არსებობა**; ესენია: პირობით-შედეგობითი I და პირობით-შედეგობითი II (სვანურში ეს მწკრივები მოგვიანებით – მხოლოდ 2009 წელს იქნა დადასტურებული და ეს

22 მეგრულ-ლაზურში (მეგრულში ყოველთვის) ამ პრინციპითაა აგებული მთელი მწკრივთა სისტემა.

სახელებიც მაშინ დაერქვა მათ (მარგიანი-სუბარი 2009ბ). ახალი ტერმინოლოგიით, ამ მწკრივთა სახელწოდებებია: *ევიდენციალური პერფექტი III* და *ევიდენციალური პერფექტი IV* (იხ. თ.I, §1). ვფიქრობთ, ადრინდელ მკვლევართა ყურადღების მიღმა აღნიშნულ ფორმათა დარჩენის მიზეზი რამდენიმე უნდა იყოს, კერძოდ:

ა. *მათი ომონიმურობა.*

ბ. *ქართული სალიტერატურო ენის მესამე სერიის ფორმათაგან განსხვავებულობა.*

გ. *ანალოგიური ორგანული ფორმების არარსებობის გამო ქართულად გადმოცემის სირთულე.*

საანალიზო ფორმათა გენეზისი ისეთივეა, როგორიც დანარჩენი ევიდენციალური პერფექტული ზმნებისა ქართველურ ენებში. ეს ფორმები სტატიკურ ზმნათა უსრული მყოფადისა (/სტატიკური ზმნის ინფერენციული აწმყოს) და უსრული პირობითის რეინტერპრეტირებული და ინვერსიული ფორმებია:

(1) *სტატიკური ვნებითი: ხედრი „ეწერება ის მას = ის მისთვის იქნება დაწერილი“ > დინამიკური მოქმედებითი: ხედრი „ალბათ უწერია მას ის = ალბათ ნაწერი აქვს მას ის თუნდაც ერთხელ“;*

(2) *სტატიკური ვნებითი: ხედრ̃ლ „ეწერებოდა ის მას = ის მისთვის იქნებოდა დაწერილი“ > დინამიკური მოქმედებითი: ხედრ̃ლ „ალბათ ეწერა მას ის = ალბათ ნაწერი ჰქონდა მას ის თუნდაც ერთხელ“.*

ამ ფორმათა ძირითადი დანიშნულება მთქმელის ეპისტემიკური დამოკიდებულების ან კონკლუზიის (სავარაუდო

დასკვნა) გამოხატვაა მის მიერ გადმოცემული ინფორმაციის მიმართ, რომლის წყაროც ინფერენციაა (მარგიანი-სუბარი 2009ბ:72). აღნიშნული ზმნების გადმოქართულებისას ან ზოგიერთ ინდოევროპულ ენაზე თარგმნისას სემანტიკური თანხვედრის მიღწევა მხოლოდ აღწერითად ან მოდალური ლექსემების (*ალბათ, შესაძლოა, ვგონებ...*) გამოყენებით არის შესაძლებელი, რაც ადასტურებს შემდეგ მოსაზრებას: თუ თარგმანში მოდალური სიტყვები აუცილებელია, ეს იმას ნიშნავს, რომ წყაროენაში (ძირითად მეტყველებაში) ზმნური ფორმა კომპლექსურად გამოხატავს ინფერენციულობას და გამონათქვამის არასრულად სარწმუნოობის (სანდოობის) მოდალურ მნიშვნელობას (Храковский 2007:616-618).

ვფიქრობთ, სვანურში ამ სპეციფიკური პერფექტული ეპისტემიკური ფორმების არსებობა კიდევ ერთი დასტურია ენის შინაგანი მოთხოვნილებისა – ჰქონდეს ყველა ძირითადი ნაკვთის შესაბამისი პერფექტული ფორმა, ხოლო რადგანაც სვანურში, თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენასთან შედარებით, მწკრივთა რაოდენობა I სერიაშივე მეტია, შესაბამისად, III სერიაშიც ჩამოყალიბდა იმავე რაოდენობის (ანუ სალიტერატურო ქართულთან შედარებით უფრო მეტი) პერფექტული ფორმები სათანადო სემანტიკით.

საერთაშორისო ლინგვისტიკაში ჩამოყალიბებულია მოსაზრება, რომ ქართულ ენაში გვაქვს ევიდენციალური პერფექტი ევიდენციალობის მხოლოდ ფართო გაგებით, შემდგომი დაპირისპირებების გარეშე (Willet 1988:75), ხოლო **„სვანურს,** ისევე, როგორც ქართულს, ირიბევიდენციალური ფორმების ზედმიწევნითი დიფერენციაცია **არ ახასიათებს** (ხაზი ჩვენია), თუმცა თავად ევიდენციალურ ფორმათა მნიშვნელობა საკმაოდ ტევადია, ფართოა“ (Сумбатова 2007:328). ეს მოსაზრება, ჩვენი აზრით, კორექტივს საჭიროებს. სვანურში ევი-

დენციალური ფორმები ოდენ უნახაობის აქტით („შემდგომი დეტალიზაცია-დიფერენციაციის გარეშე") ან ინფერენციისთვის უნახაობის ფორმათა ფუნქციური გამოყენებით არ შემოიფარგლება, უფრო მეტიც: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ენაში გვაქვს უნიკალური, არა უნახაობის, არამედ სწორედ საეჭვოობა-სავარაუდოობის გამომხატველი პერფექტული ფორმები, რომლებიც ინფერენციაზე დაფუძნებულ სავარაუდო ინფორმაციას ორგანულად გამოხატავენ.

3. სალიტერატურო ენისგან განსხვავებული ევიდენციალური ზმნური ფორმების ადგილი ქართველური ენების მწკრივთა სისტემაში

ქართველურ ენებში ევიდენციალური ზმნური ფორმები პირობითად ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ქართველური ენებისთვის საერთო პერფექტული ევიდენციალური მწკრივები (ინვერსიული თურმეობითები) და სალიტერატურო ქართულისგან განსხვავებული ევიდენციალური მწკრივები, რომლებიც დასტურდება სვანურში, მეგრულსა და ლაზურში. ქართველური ენებისთვის საერთო ინვერსიული თურმეობითები, ნ. მარიდან მოყოლებული, გაერთიანებულია ცალკე, III სერიაში, რაც ტრადიციად ჩამოყალიბდა და დღემდე ასე რჩება, თავის დროზე გამოთქმული ცალკეული შენიშვნების[23] მიუხედავად. ქართულის ზოგ დასავლურ დიალექტში (იმერულში, ლეჩხუმურში, რაჭულში – იხ. როგავა 1953:28) დასტურდება ასევე უნახაობის გამომხატველი ზმნური ევიდენციალური ფორმები (*ნა-ყვარება* ტიპისა), რომელთა გაჩენა მეგრულის ნო- პრეფიქსიანი ფორმების (ნო-ცროფუ-ე „ნაყვარება“) გავლენას მიეწერება (იხ. ჩიქობავა 2008:155). დიალექტურ ფორმებსაც, მეგრული ნო- პრეფიქსიანების გ. როგავასეული კლასიფიკაციის თანახმად, IV სერიას განაკუთვნებენ (იხ. გოგოლაშვილი და სხვები 2015) და ამ საკითხზე სპეციალურ ლიტერატურაში განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

23 III სერიის მწკრივთა კლასიფიკაციის პრინციპების შესახებ იხ. შანიძე 1930:138; ჩიქობავა 1962ა; არაბული 1984:8-24.

რაც შეეხება სხვა ქართველურ ენებში – სვანურში, მეგრულსა და ლაზურში დადასტურებულ განსხვავებულ ევიდენციალურ ფორმებს, სხვადასხვა მკვლევარი მათ სხვადასხვა სერიაში ათავსებს, იმის მიხედვით, რა არის თავად მკვლევრისთვის ამოსავალი: **ფორმა** თუ **ფუნქცია**. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ორივენაირ მიდგომას ვხვდებით განსხვავებული ევიდენციალური (იმპერფექტული/ნამყო/პერფექტული) ზმნური ფორმების კვალიფიკაცია-კლასიფიკაციისას. გარდა ამისა, ასეთ დროს ორიენტირი ძირითადად არის სალიტერატურო ენა და მისგან განსხვავებულ ფორმებს ცალკე მიუჩენენ ხოლმე ადგილს განსხვავებისა და თავისებურებების ხაზგასასმელად. შესაძლებელია, განსხვავებული წარმოება ბინარულ ოპოზიციაშიც განიხილებოდეს სალიტერატურო ფორმებთან, რათა წარმოჩნდეს, რა დამატებითი ინფორმაცია შემოაქვს გვიან წარმოქმნილს, რის საფუძველზე წარმოიქმნა იგი და ა. შ.

შევეცდებით, განსხვავებულ შეხედულებათა გათვალისწინებით, განვსაზღვროთ სალიტერატუროსაგან განსხვავებული ევიდენციალური ზმნური ფორმების ადგილი ქართველური ენების მწკრივთა სისტემაში.

3.1. სვანური მონაცემების ანალიზი

სვანურში გამოიყოფა აწმყოსფუძიანი არამოდალიზებული (უნახაობის გამომხატველი) ევიდენციალური მწკრივები, რომლებსაც I თურმეობითს და II თურმეობითს (ვ. თოფურია) ან III თურმეობითს და IV თურმეობითს (ალ. ონიანი, ზ. ჭუმბურიძე) უწოდებენ. სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა იმასთან დაკავშირებით, სად უნდა განიხილებოდეს ეს მწკრივები: საყრდენი ფუძის მიხედვით I სერიაში (თოფურია

1967:130), თუ განსხვავებული ევიდენციალური ბუნების გამო ცალკე – IV სერიაში (ონიანი 1998:205, ჭუმბურიძე 2007:155)? მწკრივთა განსხვავებული კვალიფიკაციაც ამ მიზეზით არის გამოწვეული.

ქართველურ ენათა შორის, სვანურში ევიდენციალურ ფორმათა გრამატიკალიზაცია ყველაზე შორს წასული პროცესია, რასაც ადასტურებს ევიდენციალობის აღმნიშვნელი სპეციალური მარკერის არსებობა ზმნურ ფორმაში (მარგიანი 2008-2009:101-122; მარგიანი-სუბარი 2012:47-48). I თურმეობითი იწარმოება აწმყოს საზედაო ქცევის ფორმაზე **-უნ** და **-ა** სუფიქსების დართვით, თუმცა შესაძლოა კონტექსტუალურად საობიექტო ქცევის გაგებაც ჰქონდეს:

(1) ხ-ა-ტაბ-უნ-ა
^{Ind}O$_{3}$-SPRS-თლა-EVD-PM
„ის თურმე ათლიდა (ზედ) / თურმე უთლიდა ის მას, მას“;

II თურმეობითი I-სა და II პირში მეშველზმნიანი წარმოებისაა, ხოლო III პირისთვის მეშველი ზმნის დართვა სავალდებულო არ არის:

(2) ლჷ+მ-ტაბ-ჳნ
PART-თლა.AOR -EVD
„ის თლიდა თურმე მას“

საანალიზო მწკრივებს შორის, შედგენილობის მიხედვით დიდი განსხვავების მიუხედავად, საერთოა აწმყოს საყრდენი ფუძე.

ჩვენი აზრით, საანალიზო მწკრივები, ვ. თოფურიას მიდგომის შესაბამისად, I სერიაში უნდა განიხილებოდეს, ვინაიდან განსხვავებული ბუნების საფუძველზე მათი IV სერიაში გადატანა არამარტო საუღლებელი ფუძის მიხედვით ზმნური ფორმე-

ბის სერიებად დაყოფის ტრადიციულ პრინციპს არღვევს, არამედ არათანმიმდევრულია იმ მხრივაც, რომ მსგავსი (ქართული ზმნური ფორმებისგან განსხვავებული სემანტიკის) მწკრივები სვანური ზმნის პარადიგმაში არაერთია (მაგალითად, ევიდენციალურ-ეპისტემიკური აწმყო, resp. მყოფადუსრული, ევიდენციალურ-ეპისტემიკური იმპერფექტი I, resp. პირობითუსრული, ევიდენციალური (ეპისტემიკური) პერფექტი III და IV), რომლებიც ვერც სემანტიკისა და ვერც ფუძის მიხედვით ერთსა და იმავე სერიაში ვერ განთავსდებიან.

3.2. მეგრული მონაცემების ანალიზი

მეგრულში დადასტურებული დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვთები იმპერფექტული ევიდენციალური ზმნური ფორმებია, რომლებსაც, მაწარმოებელი აფიქსის მიხედვით, ნო- პრეფიქსიანებსაც უწოდებენ. მათი გამოყოფა ცალკე, IV სერიად, გ. როგავას სახელს უკავშირდება (1953), თუმცა ეს ზმნური ფორმები ადრევე იყო შენიშნული ქართველ მეცნიერთა მიერ; კერძოდ, ი. ყიფშიძე და არნ. ჩიქობავა მეგრულის ნო- პრეფიქსიან ფორმებს III სერიის მწკრივთა გვერდით განიხილავდნენ და *ინვერსიული თურმეობითის ფორმათა ვარიანტებს უწოდებდნენ* (Кипшидзе 1914:086; ჩიქობავა 1936:146), ამიტომაც, პარალელური ზმნური ფორმები ამოსავალი ფუძის – აწმყოს თემის გათვალისწინებით აქვთ წარმოდგენილი:

[აწმყო] *ჭკირუნს „ჭრის“ → თურმეობითი I – თის უჭკირუ თინა // თინა ნოჭკირუე თის*[24] → თურმეობითი II – *თის უჭკი-*

24 *ქართ. „იმას უჭრია ის // ის ჭრის/ჭრიდა თურმე მას“.*

რუდუ თინა // თინა ნოჭკირუედუ თის[25] (Кипшидзе 1914:086; ჩიქობავა 1936:146)[26].

ამ ავტორთა ნაშრომებში არ არის სპეციალური მსჯელობა ნო- პრეფიქსიანთა ადგილის შესახებ ზმნურ პარადიგმათა (მწკრივთა) სისტემაში, არც თურმეობითების პარალელურ ფორმათა ფუნქციურ მსგავსება-განსხვავებაზეა რაიმე ნათქვამი, თუმცა სალიტერატურო ქართულისთვის დამახასიათებელი თურმეობითებისა (I და II) და მეგრულში დადასტურებული **ნო-** პრეფიქსიანი ფორმების პარალელურად განხილვა მიუთითებს იმაზე, რომ **ი. ყიფშიძე და არნ. ჩიქობავა მათ ფუნქციურ-სემანტიკურ მსგავსებაზე უფრო ამახვილებენ ყურადღებას, ვიდრე განსხვავებაზე**. თურმეობითების პარალელურ ფორმებს შორის მსგავსების საფუძველია **აქტის** კატეგორია, კერძოდ, **უნახავი აქტი**, რომელიც აერთიანებს ყველა სახის თურმეობითს – ინვერსიულსაც და არაინვერსიულსაც; ავტორები ამიტომ მოიაზრებენ III სერიის მწკრივებთან ერთად **ნო-** პრეფიქსიანებსაც.

თურმეობითების პარალელურ ფორმათა ფუნქციურ სხვაობაზე გ. როგავამ გაამახვილა ყურადღება. მან განაცალკევა საერთოქართველური თურმეობითები (I და II თურმეობითები) და ნო- პრეფიქსიანები; კერძოდ, I და II თურმეობითები მიიჩნია აორისტის ჯგუფის (II სერიის) ზმნათა უნახავი მოქმედების გამომხატველ ნაკვთებად, ამიტომ მათ უწოდა *„აორისტის თურმეობითის ნაკვთები“*. „პირველი რიგის ნაკვთები[27] – *თის*

25 ქართ. *„იმას ეჭრა ის // ის ჭრიდა თურმე მას“*.

26 მეგრულში III და IV სერიებში 4-4 მწკრივია გაერთიანებული. ავტორებს პარალელურ ვარიანტებად ყველა მათგანი აქვთ წარმოდგენილი. ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ 2-2 ფორმას, ვინიდან III და IV სერიებში ევიდენციალური მხოლოდ 2-2 მწკრივია, რომლებიც ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს.

27 იგულისხმება I და II თურმეობითი.

უჭკირუ თინა „მას უჭრია ის“ გამოხატავს დრო-კილოთა მეორე ჯგუფის ნაკვთების შესაბამის თურმეობითებს: *თის უჭკირუ თინა („მას უჭრია ის“)* აღწერითი სახით იქნება – *თიქ ჭკირუ თურმე თინა „მან ჭრა თურმე ის“*. ამ რიგის თურმეობითის ნაკვთებს... შეიძლება ვუწოდოთ დრო-კილოთა მეორე ჯგუფის შესაბამისი თურმეობითის ნაკვთები, შემოკლებით, ა ო რ ი ს ტ ი ს თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი ს ნ ა კ ვ თ ე ბ ი“ (როგავა 1953:17). რაც შეეხება ნო- პრეფიქსიანებს, მათ გ. როგავა განიხილავს I სერიის მწკრივთა უნახავი მოქმედების გამომხატველ ნაკვთებად და, შესაბამისად, მათ უწოდებს *„აწმყოს თურმეობითის ნაკვთებს“*. „მეორე რიგის ნაკვთები – **ნო-** პრეფიქსიანები გამოხატავს დრო-კილოთა პირველი ჯგუფის [I სერიის] შესაბამის თურმეობითებს: *თინა ნოჭკირუე თის* აღწერითი სახით იქნება – *თინა ჭკირუნს//ჭკირუნდუ თურმე თის „ის ჭრის//ჭრიდა თურმე მას, თინა ნოჭკირუედუ თის – თინა ჭკირუნდუ თურმე თის „ის ჭრიდა თურმე მას“*... . ამდენად, ამ ჯგუფის ნაკვთებს შეიძლება ვუწოდოთ დრო-კილოთა აწმყოს ჯგუფის თურმეობითები, შემოკლებით – ა წ მ ყ ო ს თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი ს ნ ა კ ვ თ ე ბ ი “ (როგავა 1953:17).

მაშასადამე, გ. როგავას მიერ დაჯგუფებული თურმეობითები მათ შორის არსებულ განსხვავებას ემყარება. ისინი სხვაობენ იმის მიხედვით, თუ რომელი სერიის ნაკვთთა უნახაობას გამოხატავენ. რადგან III სერია II სერიით გამოხატული მოქმედების უნახაობის გამომხატველია, ლოგიკურად დაისვა საკითხი დამატებით გაჩენილი ნო- პრეფიქსიანებიც ყოფილიყო ცალკე, როგორც I სერიის მწკრივთა უნახაობის გამომხატველი. გ. როგავამ ნო- პრეფიქსიანები თავიდანვე აწმყოს ჯგუფის ფორმებთან დააკავშირა წარმოებისა და ნომინატიური სინტაქსური კონსტრუქციის შექმნის შესაძლებლობის მიხედვით (როგავა 1953:17-18), თუმცა ცალკე გამოყო და ამით გამიჯ-

ნა აწმყოს ჯგუფისგანაც და III სერიის თურმეობითებისგანაც: „აწმყოს თურმეობითის ნაკვთები (ნო- პრეფიქსიანები) მეგრულში მიზანშეწონილი იქნება გამოიყოს აორისტის თურმეობითების ნაკვთებისაგან დრო-კილოთა ცალკე ჯგუფად, მეოთხე ჯგუფად“ (როგავა 1953:17); ხოლო თავად ნო- პრეფიქსიან მწკრივებს, არსებული ტრადიციის გათვალისწინებით[28], უწოდა თურმეობითი III *(თინა ნოჭკირუე თის / „ის ჭრის / ჭრიდა თურმე მას“)* და თურმეობითი IV *(თინა ნოჭკირუედუ თის / „ის ჭრიდა თურმე მას“)* (როგავა 1953:17).

კ. დანელია იცნობდა ზემოხსენებული ავტორების (ი. ყიფშიძე, არნ. ჩიქობავა, გ. როგავა) მოსაზრებებს; მან შეაჯერა რა მათი თვალსაზრისები, ინვერსიული და არაინვერსიული თურმეობითები სერიების მიხედვით ორიგინალურად დააჯგუფა; კერძოდ, ინვერსიული თურმეობითები და ნო- პრეფიქსიანები გააერთიანა III სერიაში: „III სერიის თურმეობითის ნაკვთებს მეგრული ორი განსხვავებული პრინციპით აწარმოებს: 1. ქართულისებურად, ინვერსიით, წყვეტილის ფუძეზე დაყრდნობით: ნაწყვეტლარი III სერიის ნაკვთები; 2. ნო- პრეფიქსიანი წარმოება, რომელიც I სერიას, კერძოდ, აწმყოს ფუძეს ეყრდნობა“ (დანელია 2006: 159).

მოგვიანებით, ი. ქობალავამ სპეციალურად შეისწავლა კილოს საკითხი მეგრულში დრო-კილოთა განსხვავებული ჯგუფების – სერიების მიხედვით. მან სარწმუნოდ მიიჩნია გ. როგავას მიერ ნო- პრეფიქსიან მწკრივთა გამოყოფის პრინციპები და საერთო დასკვნები; ამასთანავე, ზმნურ პარადიგმათა ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზის გათვალისწინებით, ბუნებრივად დასვა ნო- პრეფიქსიანების აწმყოს ჯგუფის ზმნებთან I სერიაში გაერთიანების საკითხი. ამგვარი მიდგომა გამართლებულია იმი-

28 უკვე არსებობდა III სერიის I თურმეობითი და II თურმეობითი.

თაც, რომ ნო- პრეფიქსიანები და აწმყოს ჯგუფის სხვა ზმნები ერთმანეთს მხოლოდ ნანახი და უნახავი მოქმედების მიხედვით უპირისპირდებიან (ამის შესახებ იხ. როგავა 1953:30; ქობალავა 2001:133-134):

შდრ:
(1) *ჭარ-უნ-ს – ნო-ჭარ+უ-ე-(ნ)*
წერა-THM-PRS.S3.SG – EVD-წერა-EVD-PRS.S3.SG
„წერს“ – „წერს/წერდა თურმე“
(2) *ჭარ-უნ-დ-უ – ნო-ჭარ+უ-ე-დ-უ*
წერა-THM-EM-IMPF.S3.SG – EVD-წერა-EVD-EM-IMPF.S3.SG
„წერდა“ – „წერდა თურმე“

ი. ქობალავა ნო- პრეფიქსიანებს *აწმყოს თურმეობითსა* და *ნამყო უწყვეტლის თურმეობითს* უწოდებს (ქობალავა 2001:132); ამგვარი სახელდება მიანიშნებს, რომ მკვლევარი მათ ნახული და უნახავი აქტის მიხედვით განასხვავებს, ოღონდ I სერიის შიგნით. შესაბამისად, მართებულად მიგვაჩნია თვალსაზრისი, რომ ნო- პრეფიქსიანი *აწმყოსა და ნამყო უწყვეტლის თურმეობითების (resp. ევიდენციალური იმპერფექტი I-ისა და ევიდენციალური იმპერფექტი II-ის)* ადგილი არის I სერიაში (ქობალავა 2001:131-136, 141).

მეგრულის ევიდენციალურ-ეპისტემიკურ მწკრივებს ადრეული პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურა არ იცნობდა, ამიტომ, ცხადია, მწკრივთა სისტემაში არ იყო შეტანილი. ეს მწკრივები მოგვიანებით აღწერეს და დაახასიათეს (მარგველაშვილი 1980:164-165, ჭუმბურიძე 1986:133-138), თუმცა მათ მართებული კვალიფიკაცია არ მიეცა. მ. მარგველაშვილმა განიხილა ეს

ფორმები, მაგრამ მწკრივთა სისტემაში არ შეუტანია, როგორც ჩანს, ანალიზური (აღწერითი) წარმოების გამო (იხ. მწკრივთა განაწილების სქემა: მარგველაშვილი 1982; ვიმოწმებთ კ. დანელიას წიგნის მიხედვით: დანელია 2006:337-338). ამ საკითხზე მ. მარგველაშვილის პოზიცია, სპეციალური მსჯელობის გარეშე, აისახა შემდგომი პერიოდის ნაშრომებშიც (ქობალავა 2001:141; დანელია 2006:145-164). უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში საანალიზო ფორმების მწკრივთა სისტემაში შესატანად მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი მხოლოდ მათი სტრუქტურა იყო. ეს გარემოება მწკრივის გამოყოფის ხელშემშლელ მიზეზად არ მიაჩნია ზ. ჭუმბურიძეს. იგი აღნიშნავს: „პირველ სერიაშივე აწმყოს წრეში ცალკე გამოსაყოფია აგრეთვე მყოფადუსრული და პირობითუსრული...“ (ჭუმბურიძე 1986:133). ჩვენი აზრით, ამგვარი მიდგომაა მართებული.

3.3. ლაზური მონაცემების ანალიზი

ლაზურს რომ „თურმეობითთა რთული სისტემა ახასიათებს“ (კარტოზია 2005:102), ადრევე იყო შენიშნული მკვლევართა მიერ (Марр 1910; Кипшидзе 1911; ჩიქობავა 1936; Dumézil 1967; კაკაბაძე 2018). რთული სისტემა ლაზურში ორი ტიპის თურმეობითების არსებობას გულისხმობს: 1. **საერთოქართველური, ინვერსიული წარმოების** (სხვა ქართველურ ენათა – ქართულის, სვანურის, მეგრულის მსგავსი I და II თურმეობითები, resp. პერფექტული ევიდენციალური I და პერფექტული ევიდენციალური II), 2. **საკუთრივ ლაზური – არაინვერსიული წარმოების**, რომელიც აერთიანებს ნამყო და იმპერფექტულ თურმეობითებს.

ინვერსიული თურმეობითები ლაზურში, სხვა ქართველური ენების მსგავსად, III სერიაშია მოცემული (კარტოზია 2005:97), თუმცა ადრინდელი პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგვაროვნად არის შეფასებული ინვერსიული თურმეობითების პროდუქტიულობის ხარისხი, რამაც გავლენა იქონია სერიების მიხედვით მათი ადგილის განსაზღვრაზე; კერძოდ, ნ. მარი თვლიდა, რომ III სერიის თურმეობითები მხოლოდ ნაშთის სახით დასტურდებოდა ჭანურში (resp. ლაზურში) (Марр 1910:46). არნ. ჩიქობავა იზიარებდა ნ. მარის თვალსაზრისს, რის შედეგადაც ნაკვთთა III ჯგუფი – ინვერსიული თურმეობითები დრო-კილოთა ზმნური პარადიგმების საერთო სისტემაში არ შეუტანია; მხოლოდ ორი ჯგუფი გამოყო – აწმყოსა და აორისტზე დაფუძნებული (დაწვრილებით იხ. ჩიქობავა 1936:153, 203). ნ. მარისა და არნ. ჩიქობავას თვალსაზრისები ლაზურში ინვერსიულ თურმეობითთა შეზღუდვის შესახებ ასახულია ა. კიზირიასა და ბ. ჯორბენაძის ნაშრომებში (Кизирия 1967:70-71; Jorbenadze 1991:166). არნ. ჩიქობავასგან განსხვავებით, ჟ. დიუმეზილმა ლაზური ზმნის უღლების სისტემაში შეიტანა ინვერსიული თურმეობითები, ოღონდ სპეციალური მითითების გარეშე (Dumézil 1967:7,11).

ი. ყიფშიძე არ დაეთანხმა ნ. მარის მოსაზრებას და თავის „დამატებით ცნობებში“ აღნიშნა, რომ: „წარსული სრული“ [იგულისხმება III სერიის თურმეობითები] ხშირად გვხვდება ჭანურ ენაში როგორც აქტიური, ასევე პასიური ფორმებით“ (Кипшидзе 1911).

გ. კარტოზიამ განავრცო ი. ყიფშიძის თვალსაზრისი იმ გაგებით, რომ წარმოაჩინა ლაზურ ტექსტებში დადასტურებული გარდამავალი ზმნების ინვერსიული თურმეობითები დიდი რაოდენობით და ამავე წესით ნაწარმოები გარდაუვა-

ლი ზმნებიც (კარტოზია 2005:98-101). უნდა აღინიშნოს, რომ ლაზეთში 2017-2019 წლებში ჩვენ მიერ მოპოვებულმა საექსპედიციო მასალებმა დაადასტურა გ. კარტოზიას ზემოხსენებული თეზა ლაზურში ინვერსიული თურმეობითების მოხმარების არეალის გავრცობა-გაფართოების შესახებ (ინვერსიული თურმეობითების ზმნური ფორმები გ. კარტოზიას ზემოაღნიშნული მონოგრაფიიდან (2005:98-101) მოცემულია დანართში).

გ. კარტოზიას აღნიშვნით, ლაზურში მწკრივების „სერიებად დაჯგუფებისთვის ამოსავალია ძირითადი მწკრივები. გვიანდელი მწკრივები, იმისდა მიხედვით, თუ რომელ მწკრივზე არიან დაყრდნობილი, შესაბამის სერიას განეკუთვნებიან“ (კარტოზია 2005:95-96). განაწილების ამგვარი პრინციპის შესაბამისად, თურმეობითის განსხვავებული მწკრივები ლაზურში I და II სერიაშია გადანაწილებული; კერძოდ, I სერიაშია იმპერფექტული ევიდენციალური ზმნური ფორმა – *ნანამყოუსრულარი თურმეობითი (resp. უწყვეტლის თურმეობითი/იმპერფექტული ევიდენციალური I)*, ხოლო II სერიაში – აორისტის ფუძეზე დაფუძნებული *ნააორისტალი თურმეობითი I (resp. ევიდენციალური ნამყო I)* და *ნააორისტალი თურმეობითი II (resp. ევიდენციალური ნამყო II).*

ლაზურ-მეგრული გრამატიკის ბოლოდროინდელ ნაშრომში ქართული სალიტერატურო ენისაგან განსხვავებული თურმეობითები ლაზურში, მეგრულის მსგავსად, ცალკე, IV სერიად არის გამოყოფილი; კერძოდ, მასში გაერთიანებულია ჩვენთვის საინტერესო სამი მწკრივი – წყვეტილისა და უწყვეტლის ფუძეებზე დაყრდნობით მიღებული ზმნური ფორმები: **„ლაზურშიც გამოიყოფა დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფი** და მისი გამოყოფის საფუძველი, პირველ რიგში, **წარმოების თვალსაზრისით დაკავშირებული ფორმების სისტემაა**. ამას ემატება ის ნიუან-

სები, რაც მეგრული მეოთხე სერიის ფორმათათვის არის ნიშანდობლივი" (ქირია და სხვები 2015:576). ავტორთა ჯგუფის მიერ ცალკე გამოყოფილ მწკრივებს სახელწოდებებიც განსხვავებული აქვს: „სავსებით ლოგიკური იქნება, თუკი მეოთხე ჯგუფის ფორმათა სახელდებისას მეგრულის ვითარებას გავითვალისწინებთ და მასთან შესაბამისობაში მოვიყვანთ სათანადო ტერმინოლოგიასაც; მაშინ აქაც გვექნება: თურმეობითი III: **ზუმუ-დორენ**[29], თურმეობითი IV: **ზუმუ-დორტუნ**[30]..., უწყვეტლის თურმეობითი: **ზუმუმტუ-დორენ**[31] (ქირია და სხვები 2015:576).

განსხვავებულ მწკრივთა ამგვარი განაწილებაც მსგავსებას ემყარება, ოღონდ, როგორც ავტორები აღნიშნავენ, ეს მსგავსება არის **ფორმალური**. ჩვენი აზრით, ამ მწკრივების ერთ, თუნდაც ცალკე, სერიაში გაერთიანება არღვევს მწკრივების სერიებად დალაგების მორფოლოგიურ და სინტაქსურ პრინციპებს, რადგან ფორმალური მსგავსება, რომელზეც ავტორები მიუთითებენ, მხოლოდ მეშველი ზმნების (კლიტიკის) საშუალებით თუ მიიღწევა, „რომელთაც მადინამიკურებელი ფუნქცია აქვთ" (მელიქიშვილი 2014:39) და ამ კონკრეტულ შემთხვევაში დროულ სხვაობასაც გამოხატავენ, ხოლო მორფოსინტაქსური ღირებულებისაა საყრდენი ფუძეები; ამიტომაც ზმნურ ფორმათა კლასიფიკაცია-კვალიფიკაცია უნდა მოხდეს ძირითადი საუღლებელი საყრდენი ფუძეების მიხედვით, რომლებიც მოცემულ შემთხვევაში მორფოლოგიურად განსხვავებულია – წყვეტილის ან უწყვეტლის მწკრივის ფორმებია; ეს განაპირობებს სინტაქსურ სხვაობასაც. გარდა ამისა, ავტორების მიერ IV სერიაში გაერთიანებული ლაზური

29 სიტყვასიტყვით: „ზომა.AOR არის.V(PRS:CLTC) თურმე.PTCL"

30 სიტყვასიტყვით: „ზომა.AOR იყო.V(IMPF:CLTC) თურმე.PTCL"

31 სიტყვასიტყვით: „ზომავდა.IMPF არის.V(PRS:CLTC) თურმე.PTCL"

ზმნური ფორმები – თურმეობითი III, თურმეობითი IV– **ფუნქციურად განსხვავდებიან** მეგრულის მსგავსი სახელწოდების ფორმებისგან და ერთგვარ ენობრივ სურათს, ცხადია, ვერ გამოხატავენ.

მეგრული (თურმეობითი III):	შდრ:	ლაზური (თურმეობითი III)
ნო-ზიმ+უ-ე-ნ		ზუმ-უ-დორენ
EVD-ზომვა -EVD- PRS.S3.SG		ზომვა-AOR.S3.SG-CLTC:ყოფნა.PRS
„ზომავს/ზომავდა თურმე"/„ნაზომავა"		„გაზომა თურმე"/ „ზომა არის თურმე"

მეგრული (თურმეობითი IV):	შდრ:	ლაზური (თურმეობითი IV)
ნო-ზიმ+უ-ე-დ-უ		ზუმ-უ-დორტუნ
EVD-ზომვა-EVD-EM- IMPF.S3.SG		ზომვა-AOR.S3.SG-CLTC: ყოფნა.IMPF
„ზომავდა თურმე"/„ნაზომიყო"		„გაზომა თურმე"/ „ზომა იყო თურმე"

უნდა აღინიშნოს, რომ ავტორებიც ვრცლად მსჯელობენ ერთი ენობრივი ფორმის მეორე, თუნდაც მონათესავე, ენაზე გადატანის პრობლემაზე, მით უფრო მაშინ, როცა ძნელია ან ზოგჯერ შეუძლებელიც შესაბამისი ან ადეკვატური შესატყვისი ერთეულების მოძებნა. მათი თქმით, ასეთ დროს უპირატესობა უნდა მივანიჭოთ „ფაქტის ზუსტ გრამატიკულ აღწერასა და კონსტატაციას" (დაწვრილებით იხ. ქირია და სხვები 2015:575-576). ჩვენი აზრით, „გრამატიკული აღწერისა და კონსტატაციის", ანუ გრამატიკული კრიტერიუმების მიხედვით, ავტორთა ჯგუფის მიერ ლაზურში გამოყოფილი მეოთხე სერიის მწკრივები უნდა დარჩეს ისევ პირველსა და მეორე სერიაში, როგორც ტრადიციულად იყო.

დასკვნა:

ამრიგად, სალიტერატურო ენისგან განსხვავებული მოდალიზებული და არამოდალიზებული ევიდენციალური მწკრივების ადგილი სერიებში ფორმისა და სემანტიკის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს. ამით უზრუნველყოფილი იქნება როგორც მორფოლოგიურ-სინტაქსური პრინციპების დაცვა, ასევე ფუნქციურ-სემანტიკური დანიშნულების წარმოჩენა. ამიტომ, ზემოთ განხილული მწკრივების ადგილი მეგრულში პირველ სერიაშია, ხოლო ლაზურში – პირველ და მეორე სერიებში.

4. ევიდენციალურ ზმნურ ფორმათა სეგმენტაციისა და მორფოლოგიური მარკერის გამოყოფის საკითხი სვანურსა და მეგრულში

როგორც აღინიშნა, ევიდენციალობა უნივერსალური კატეგორიაა. იგი ყველა ენაში დასტურდება, თუმცა გამოხატვის ენობრივი საშუალებები შესაძლოა თვით მონათესავე ენებშიც კი, ცალკეულ შემთხვევებში მაინც, განსხვავებული იყოს. ქართველურ ენებში დასტურდება როგორც ერთნაირი პერფექტული (III სერია: I თურმეობითი და II თურმეობითი), ასევე განსხვავებული ევიდენციალური ზმნური პარადიგმები; კერძოდ, მხედველობაში გვაქვს სვანურში, მეგრულსა და ლაზურში დამატებით გაჩენილი ევიდენციალური პერფექტული, ნამყო (აორისტი) და იმპერფექტული მწკრივები. აღსანიშნავია, რომ უდამწერლობო ქართველური ენებიდან ევიდენციალობის გამომხატველი სპეციალური მორფოლოგიური მარკერი აქვს მეგრულის მხოლოდ იმპერფექტულ ევიდენციალურ ზმნურ ფორმებს, ხოლო სვანურში ყველა ევიდენციალური მწკრივი (მოდალიზებული ევიდენციალური პერფექტული ფორმების გამოკლებით), მარკირებულია მორფემით; ლაზურში კი მხოლოდ სპეციალური მწკრივები დასტურდება მარკერის გარეშე (ქართველურ ენებში ევიდენციალური ზმნური ფორმების სრული აღწერილობა-დახასიათება იხ. შესავლის 5.3 ქვეპარაგრაფში).

ზემოთქმულის გათვალისწინებით, სვანურ და მეგრულ საანალიზო მასალას ცალ-ცალკე განვიხილავთ. განხილვას დავიწყებთ სვანურით.

4.1. სვანური მასალის ანალიზი

ს ვ ა ნ უ რ ი ენის ცნობილი სპეციალისტი ვარლამ თოფურია აღნიშნავს: „ქართულ-მეგრულ ზმნასთან შედარებით სვანური ზმნა უფრო რთულია“ (თოფურია 1967:18). სირთულის საფუძვლად მკვლევარი, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიასა და ზოგ სხვა მოვლენასთან ერთად, განსხვავებულ მწკრივთა წარმოებასაც ასახელებს. თურმეობითი სვანური ზმნის უღლებაში განსაკუთრებით რთული დროა როგორც წარმოების, ისე სემანტიკური ნიუანსების მრავალფეროვნების თვალსაზრისით. როგორც წინა თავში აღვნიშნავდით, ვ. თოფურია სპეციფიკურ, საკუთრივ სვანურისთვის დამახასიათებელ მწკრივებს I და II თურმეობითს უწოდებს და I სერიაში ათავსებს, ალ. ონიანისთვის კი ამ მწკრივების ადგილი, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული შეხედულების მსგავსად (გ. როგავა, ზ. ჭუმბურიძე), ცალკეა – IV სერიაში (ონიანი 1998:205). სვანურში I სერიის ევიდენციალური ზმნური ფორმები – I და II თურმეობითები იგივეა, რაც, ჩვენი სახელდებით, *ევიდენციალური იმპერფექტი I* და *ევიდენციალური იმპერფექტი II* .

ევიდენციალობის გამოხატვა ზმნურ ფორმათა პარადიგმაში აქტის კატეგორიით, კერძოდ, უნახავი აქტის საშუალებით ხდება. თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ, ჩვენი აზრით, უნახაობის კატეგორია ორივე ზემოდასახელებულ საანალიზო მწკრივში მარკირებულია და მისი ნიშანი არის **–უნ/-ინ** სუფიქსი (მარგიანი-სუბარი 2009ა:127-133; 2012:140-148).

საანალიზო სუფიქსისთვის ამ კვალიფიკაციის მინიჭება თავიდან გარკვეულ სირთულეებს უკავშირდებოდა, ვინაიდან მის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები იყო გამოთქმული, საბოლოოდ კი მისი როგორც წარმომავლობა, ასევე ფუნქცია გაურკვეველი რჩებოდა.

-უნ/-ინ სუფიქსების უნახაობის მარკერად გამოყოფის სათანადო არგუმენტაციისთვის აუცილებელია განვიხილოთ ამ მწკრივთა სტრუქტურა მთლიანობაში: სვანურ ენაში I თურმეობითის (ვ. თოფურიას ტერმინოლოგიით) ფორმა[32] შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: *აწმყოს საზედაო ქცევა* + ***-უნ-ა** (ბქ.)/**-ინ-ა** (ბზ.; ქსვ.) სუფიქსები.* ითარგმნება შემდეგნაირად: *ნამყოუსრულის ფორმა + თურმე ნაწილაკი* (თოფურია 1967: 130)

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

*(1)ხაბმ-**ინ**-ა (ბზ.), ხაბმ-**უნ**-ა (ბქ.) – „აბამდა/უბამდა თურმე“ (შდრ: ხაბამ-და „აბამდა“).*

*(2)ხაგმ-**ინ**-ა (ბზ.), ხაგმ-**უნ**-ა (ბქ.) – „აშენებდა(ზედ)/უშენებდა თურმე“ (შდრ: ხაგამ-და „აშენებდა, ადგამდა“).*

*(3)ხადგარ-**ინ**-ა (ბზ.), ხადგარ-**უნ**-ა // ხადგარ-**ნ**-ა (ბქ.) „აკლავდა/უკლავდა თურმე“ (შდრ: ხადგარ-და „აკლავდა“)*

*(4)ხარ-**ინ**-ა (ბზ.), ხარ-**უნ**-ა (ბქ.) – „აწერდა/უწერდა თურმე“.*

*(5)ხაფკუ-**ინ**-ა (ბზ.), ხაფკ-**უნ**-ა (ბქ.) – „აშრობდა (ზედ)/უშრობდა თურმე“.*

32 *იგივე ევიდენციალური იმპერფექტი I*

ვ. თოფურიას აზრით, **-ინა, -უნა** ბოლოსართები შეიძლება დაიშალოს **-ინ-ა, -უნ-ა** ელემენტებად, სადაც **-ა** შესაძლოა ნამყო დროის მაწარმოებელი იყოს. **-უნ-** და **-ინ-** ელემენტების შესახებ კი მკვლევარი აღნიშნავს, რომ, ვინაიდან **-ინ-** წინა ხმოვანს აუმლაუტებს: *ხამარ-**ინ**-ა (ბზ.)* „უმზადებდა თურმე"; *ხატაბ-**ინ**-ა* „უთლიდა, ათლიდა თურმე"; **-უნ-** კი ამ მხრივ უძლურია: *ხამარ-**უნ**-ა, ხატაბ-**უნ**-ა (ბქ.)*, ისინი ერთმანეთის ***ნასუბსტიტუციევად***[33] (ერთი მეორისგან მიღებულად ან პირუკუ) ვერ ჩაითვლებიან. მკვლევარი ამ სუფიქსთა წარმომავლობის შესახებ (სხვადასხვა ამოსავლიდან მომდინარეობენ თუ ერთი ფორმანტის სხვადასხვა სახეა) საბოლოო პასუხს არ იძლევა. ასევე **არაფერს ამბობს მათი ფუნქციის შესახებ**.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ **ამ (-უნ-/-ინ-) სუფიქსის ფუნქცია ინფორმაციის ევიდენციალურობის ჩვენებაა**, რის თქმის საფუძველსაც იძლევა რამდენიმე ფაქტორი:

1. *ეს ზმნები ოპოზიციას ქმნიან უწყვეტელთან, საოპოზიციო სემანტიკური ნიშანია **უნახაობა**, ფორმალურად კი ისინი სწორედ აღნიშნული სუფიქსით განსხვავდებიან (იხ. მაგალითები: (1), (2), (3).*

2. *იგივე სუფიქსი დასტურდება როგორც II თურმეობითში (ვ. თოფურიას ტერმინოლოგიით; resp. ევიდენციალური იმპერფექტი II), ასევე სხვა, ეპისტემიკური მნიშვნელობის, ევიდენციალურ მწკრივებშიც (მარგიანი, 2012:140-148).*

ევიდენციალური იმპერფექტი II განსაკუთრებით თავისებურია სტრუქტურულად:

33 ტერმინი ეკუთვნის ვ. თოფურიას.

ლგ+მა+აწმყოს ფუძე+უნ-ე. ამ მწკრივის მნიშვნელობას უფრო ზუსტად გამოხატავს დასავლურ ქართულში დადასტურებული დიალექტური ფორმა: ნა- პრეფიქსიანი მიმღეობა + მეშველი ზმნა:

(6)ლგ-მ-გაშ-უნ [ლი] (ბზ.) // ლგ-მ-გემ-[უ]ნ-ე ლი (ბქ.) „აშენებდა თურმე, ნაშენება“.

(7)ლგ-მ-ჴან-უნ/ლგ-მ-ჴან-ინ „ხნავდა თურმე“/„ნახნავა“.

ამ მწკრივის წარმოებისას პრეფიქსები ყოველთვის წარმოდგენილია, **ლგ-** ხშირად კუმშავს მომდევნო ფორმანტს: **-მა- > -მ-** (ეს უკანასკნელი ყოველთვის დაცულია ლენტეხურში: **ლგმაგემლი** „აშენებდა თურმე“. რაც შეეხება სუფიქსს **-უნ-ე**, მასში **-ე** ხშირადაა მოკვეცილი და ამიტომაც გაუმლაუტებულია (**-უნ-ე > -ün**) წინა ხმოვანი, ან შეკუმშულია (**-უნ-ე > -ün-ე**). ფონეტიკურ ნიადაგზე ეს ფორმანტი იცვლება **-ün**-ად, ზოგჯერ ბილაბიალობას კარგავს და გვევლინება **-ინ**-ად (**-უნ-ე > -ün > ün > -ინ**), **-ე** მოკვეცილი ფორმები III პირში ხშირად მეშველი ზმნის გარეშეა:

(8)ლგ-მგ-დაგრ-უნ-ე ლი > ლგ-მ-დაგრ-ün > ლგ-მ-დაგრ-ინ „კლავდა თურმე“, „ნაკლავა“.

(9)ლგ-მ-ჴან-ün/ ლგ-მ-ჴან-ინ „ხნავდა თურმე“, „ნახნავა“.

ვ. თოფურია II თურმეობითის (resp. ევიდენციალური იმპერფექტი II-ის) აფიქსებში (**ლგ-მა-...+...-უნ-ე**) **ლგ**-ს ნამყოს მიმღეობისეულ პრეფიქსთან აიგივებს. ამის საფუძველს მას აძლევს აღწერით ფორმათა (**ლგ-გ-ე ლი** „აშენებულია/აშენებული არის“, **ლგ-ხურელ-ე ლი** „აკრეფილია, შეგროვებულია“) მახასიათებლე-

ბის გამოვლენა საანალიზო მასალაში. მკვლევარი II თურმეობითის მაწარმოებელთა შესახებ აღნიშნავს, რომ **მა-, –უნ- აფიქსთა ფუნქცია გასარკვევია** (თოფურია 1967:135). არსებობს მოსაზრება, რომ, ვინაიდან სემანტიკურად ის გამოხატავს უნახავ უწყვეტ მოქმედებას – უწყვეტელი + „თურმე“, ხოლო, როგორც ცნობილია, **უწყვეტელი**, ჩვეულებრივ, დაუსრულებელ, განგრძობით მოქმედებას ან მდგომარეობას გამოხატავს, ამდენად, ეს მწკრივი, მიუხედავად გარდამავლობა-გარდაუვლობისა თუ ზმნის სემანტიკისა (მოქმედება-მდგომარეობა), ასახავს პროცესს წარსულში, აჩვენებს დინამიკას, აქტივობას (მარგიანი 2008-2009:98-99; მარგიანი-სუბარი 2012:45-47). ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა დ. მელიქიშვილის დაკვირვებაც: **„წერდა** თუ **იწერებოდა** – ორივე პროცესია, რომელიც არ დასრულებულა“ (მელიქიშვილი 2001:177). სწორედ ამ აქტივობას, დინამიკას უნდა ასახავდეს **-მგ** (< **-მა**) პრეფიქსი სვანურის II თურმეობითში (resp. ევიდენციალური იმპერფექტი II-ში); აღნიშნული პრეფიქსიც მიმღეობური წარმომავლობისად ითვლება, კერძოდ, სასუბიექტო მიმღეობისად (მარგიანი 2008-2009:96). ჩვენს მსჯელობას მხარს უჭერს დ. მელიქიშვილის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ქართულში „აქტივის კონვერსიული კონსტრუქციის ზმნები, რომლებიც **პასივად** იწოდებიან, ევროპული პასივისაგან განსხვავდებიან იმით, რომ მათი გრამატიკული სუბიექტი (იგივე აქტივის პირდაპირი ობიექტი) ხშირად მოქმედების აგენსია (რეალურად მოქმედი პირია) და არა პაციენსი (ანუ მოქმედების, ვნების განმცდელი)“ (მელიქიშვილი 2001:177). სწორედ ეს ასპექტია წინ წამოწეული სვანურის II თურმეობითში; ამით აიხსნება ის, რომ „ვნებითი გვარის თურმეობითი I და II მოქმედებითის თურმეობითისაგან მხოლოდ **-რლ/-ოლ** ფორმანტით განსხვავდება“ (თოფურია 1967:191). ეს უნდა იყოს საფუძველი იმისა, რომ გარდაუვალი ზმნებიც, გარდამავლების

კვალობაზე, აგენსის დაფიქსირებას იმავე მგ-(მა-) პრეფიქსით ახერხებენ. მართალია, სვანური ენის (ისევე, როგორც ქართულის) უწყვეტელში აქტივობა, დინამიკა მუდამ სუფიქსითაა გამოხატული, მაგრამ II თურმეობითს (რომელიც აღწერითია), დინამიკურობასთან ერთად, უნახაობაც უნდა გამოეხატა, რისთვისაც მან სუფიქსაცია გამოიყენა, ხოლო აქტივობის, დინამიკურობის გამოსახატავად (სემანტიკიდან გამომდინარე) -მ- (<-მა-) პრეფიქსი დაურთო არა მხოლოდ გარდამავალ, არამედ გარდაუვალ ზმნებსაც:

(10) ლგ-მ-შიხ-ჷინ-ხჷი „ვწვავდი თურმე“,

(11) ლგ-მ-შიხ-ოლ-ინ-ხჷი „ვიწვოდი თურმე“,

(12) ლგ-მ-სგურ-ოლ-ნე-ხჷი „ვჯდებოდი თურმე“,

(13) ლგ-მ-სგჷირ-ხჷი „ვიჯექი თურმე“.

ასე ვრცლად საანალიზო ფორმის სტრუქტურის განხილვა საჭიროდ მივიჩნიეთ ვ. თოფურიას მიერ დასმული კითხვის გამო აღნიშნული აფიქსების (მ-, -უნ-ე) ფუნქციის შესახებ. თუკი პრეფიქსის (**მ-**) შესახებ ჩვენი მსჯელობა დამაჯერებელია, რჩება ჩვენთვის მნიშვნელოვანი სუფიქსი **-უნ-ე**'ს პრობლემა; მის შესახებაც ვ. თოფურია, I თურმეობითის მსგავსად, სამართლიანად შენიშნავს, რომ **-ე -უნ-** ელემენტის კუთვნილება არ უნდა იყოს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, **-უნ-** სუფიქსი სვანურში წარმოდგენილია I და II თურმეობითებში და სხვა ევიდენციალურ, უფრო ზუსტად, მოდალიზებულ (ეპისტემიკური მნიშვნელობის) ევიდენციალურ მწკრივებში. სვანურში ასეთი მწკრივებია:

ევიდენციალურ-ეპისტემიკური აწმყო (resp. ინფერენციული აწმყო)

(14) ალპშუნი „თესავდეს იქნება“ (= ალბათ თესავს)

ევიდენციალურ-ეპისტემიკური იმპერფექტი I (resp. პირობითუსრული)

(15) ალპშუნრლ „თესავდა იქნება“/„რომ ეთესა“ (=ალბათ თესავდა)

-უნ სუფიქსის არქაულობას ევიდენციალურ-ეპისტემიკური აწმყოს (ტრადიციული ტერმინოლოგიით, *ინფერენციული აწმყოს, მყოფადუსრულის*) ანალიზისას გივი მაჭავარიანიც ვარაუდობს: „საფიქრებელია, **-უნ || -ინ (< -ენ)** სუფიქსები წარმოშობით აწმყოს ფუძის საწარმოებელი ფორმანტები იყვნენ. კაუზატივის **-უნ || -ენ (>-ინ)** სუფიქსებიც ამავე წარმოშობისა ჩანან“ (მაჭავარიანი 1974:131). ეს მოსაზრება ამყარებს მსჯელობას იმის შესახებ, რომ აღნიშნული აფიქსი უძველესია, არქაულია და მომდინარეობს ოდენ სემანტიკური ჯგუფების არსებობის დროიდან; მისი ფუნქციის დიფერენციაცია მწკრივთა მიხედვით მოგვიანებით უნდა მომხდარიყო, ხოლო მნიშვნელობა, რომელსაც ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეს სუფიქსი ანიჭებს სხვადასხვა მწკრივს, იკვეთება ერთგან – ეს არის **მოქმედების დაუდასტურებლობა, ევიდენციალობა,** კერძოდ, **უნახაობა** – არამოდალიზებულ ევიდენციალურ მწკრივებში ან **საეჭვოობა-სავარაუდოობა** – მოდალიზებულ ევიდენციალურ ზმნურ ფორმებში (მარგიანი-სუბარი 2012:37).

4.2. მეგრული მასალის ანალიზი

მ ე გ რ უ ლ შ ი ორი არამოდალიზებული ევიდენციალური იმპერფექტული მწკრივი დასტურდება; ესენია:

ევიდენციალური იმპერფექტი I (resp. III თურმეობითი)

(1) ნოჭარუე(ნ) „წერს/წერდა თურმე ის მას“;

(2) ნოყოროფუე(ნ) თის თინა „უყვარს/უყვარდა თურმე მას ის“,

შდრ: დიალექტური *ნაყვარება* (იმერული, რაჭული, ლეჩხუმური. . .).

ევიდენციალური იმპერფექტი II (resp. IV თურმეობითი)

(3) ნოჭარუედუ „წერდა თურმე“; ნოყოროფუედუ „უყვარდა თურმე“.

მეგრულში ევიდენციალური იმპერფექტული ზმნური ფორმები (resp. IV სერია/ნო- პრეფიქსიანები), სხვა მწკრივებთან შედარებით, ახალი წარმოქმნილია. ცნობილია, რომ ისინი გამოხატავენ აწმყოს წრის მწკრივთა უნახავ მოქმედებას. **ნო-** პრეფიქსიანების **სტრუქტურა თავიდან ალწერითი იყო**, კერძოდ, **ნო- – -უ** კონფიქსით ნაწარმოებ მიმღეობას (*ნო-ჭკირ-უ „ნა-ჭერ-“) ემატებოდა *ყოფნა* მეშველი ზმნა აწმყოს ან უწყვეტლის ფორმით: ორე(ნ) „არის“/ ორდუ „იყო“:

*(4) *ნო-ჭკირ-უ + ორე(ნ) = „ნა-ჭერ-ი არის“, (5) *ნო-ჭკირ-უ + *ორე-დ-უ = „ნა-ჭერ-ი იყო“ (როგავა 1953:23).*

კ. დანელიას აზრითაც, **ნო- – -უ** აფიქსითაა ნაწარმოები მიმღეობა, რომელსაც დაერთვის *ორენ* „არის“ მეშველი ზმნა (დანელია 2006:163). ნო- – -უ კონფიქსის ბოლოკიდური **-უ** „იგივეა, რაც მასდარს ახასიათებს საერთოდ ზანურში: ო-ხაჩქ-უ „თოხნა“, ო-ჭარ-უ „წერა“ და სხვა (ჩიქობავა 1936:177). თანამედროვე

მეგრულ მეტყველებაში „შემონახულია ნო- პრეფიქსიანი მიმღეობის ფორმა გასუბსტანტივებული სახით: ნო-ჭკერი „ნაჭერი“; ასევე, ნო- აწარმოებს ნამყო დროის მიმღეობას: ნო-ხაჩქ-უ-ერ-ი „თოხნის გასამრჯელო“ (როგავა 1953:23).

ევიდენციალური იმპერფექტული ზმნური ფორმების სტრუქტურულ-სემანტიკური ტრანსფორმაციის შედეგად მივიღეთ გამარტივებული, ორგანული წარმოების ფორმები. ტრანსფორმაცია იწვევს ფორმისა და შინაარსის ცვლილებას, თუმცა ახალი მოცემულობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ამოსავალ ვითარებასთან, უფრო მეტიც, გამომდინარეობს მისგან; კერძოდ,

*(6) *ნო-ჭკირ-უ + ორე-(ნ) „ნა-ჭერ-ი არის“ > ნო-ჭკირ+უ-ე-(ნ)[34] „თურმე ჭრის/ჭრიდა ის მას“ (ევიდენციალური იმპერფექტი I, იგივე: თურმეობითი III, გ. როგავას მიხედვით).*

*(7) *ნო-ჭკირ-უ + *ორე-დ-უ „ნა-ჭერ-ი იყო“ > ნო-ჭკირ+უ-ე-დ-უ[35] „თურმე ჭრიდა ის მას“ (ევიდენციალური იმპერფექტი II, იგივე: თურმეობითი IV, გ. როგავას მიხედვით).*

ტრანსფორმირებული ფორმები სინქრონიულ დონეზე ორგანული წარმოებისად განიხილება და ევიდენციალურ იმპერფექტულ ზმნებში გამოიყოფა **ნო- – -ე** კონფიქსი, როგორც **ევიდენციალობის მარკერი** (Kurdadze et al 2017a). ამ დებულების დასასაბუთებლად აუცილებელია გავითვალისწინოთ და გავაანალიზოთ შემდეგი საკითხები:

---

34 მეგრულში აღნიშნული მეშველი ზმნა ცვდება მარცხნიდან მარჯვნივ, ე. ი. იკარგება თავკიდური ბგერები, რის შედეგადაც რჩება მხოლოდ -ე- ხმოვანი.

35 *ორე-დ-უ → ორ-დ-უ → -დ-უ- (-დ- უწყვეტლის სავრცობია, -უ კი S_3 პირის ნიშანი).

1. *ნო- პრეფიქსიან მიმღეობათა სემანტიკა*
2. *აწმყოს წრის მწკრივებისა და ნო- პრეფიქსიანი ფორმების ურთიერთმიმართება*
3. *-უ-ს დესემანტიზაცია*
4. *-ე სუფიქსის მიღების გზა*

თითოეულ ზემოდასახელებულ საკითხს განვიხილავთ ცალ-ცალკე, სხვა ქართველურ ენათა მონაცემების გათვალისწინებით და მათთან შედარებით.

4.2.1. ნო- პრეფიქსიან მიმღეობათა სემანტიკა

მეგრული ნო-ს ფუნქციურ-სემანტიკური ფარდი ნა-||ნე-პრეფიქსები ძველ ქართულშივე დასტურდება. ეს პრეფიქსები ორივე ენაში (ქართულსა და მეგრულში) აწარმოებს როგორც წარსული დროის მიმღეობებს, ასევე წინავითარების სახელებს (დაწვრილებით იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000:351-352). სინ-ქრონიულ დონეზე „ნო- პრეფიქსის ხმარება მეგრულ მიმღე-ობებში შეზღუდა ქართულიდან შეთვისებულმა ნა-პრეფიქსმა“ (როგავა 1953:23), თუმცა უნდა აღინიშნოს, როგორც ნა-, ასევე ნო- პრეფიქსით ნაწარმოები მიმღეობები მეგრულში ძირითადად გასუბსტანტივებულია; ასეთებია: ***ნა-ჭარ-ა*** *„ნაწერი“,* ***ნა-რა-გად-უ*** *//* ***ნა-რაგად-ა*** „ნალაპარაკევი“, ***ნო-კვეთ-ი*** „ნაკვეთი“, ***ნო-ჭკერ-ი*** „ნაჭერი“ და სხვ. (მაგალითები დამოწმებულია გ. როგა-ვას სტატიის მიხედვით, 1953:23). გასუბსტანტივების პროცესი განსაკუთრებით შეეხო მეგრულ ნო- პრეფიქსიან ფორმებს: ***ნო-ხორ-ი*** „ნასახლარი“, ***ნო-ჯიხ-უ*** „ნაციხარი“ და სხვ. (მაგალითები დამოწმებულია ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის ლექსიკო-ნის მიხედვით, 2000:351-352), ***ნო-ჭვერი*** „ნაწვავი“, ***ნო-შქვერი***

„ნახშირი“ და სხვ. (მაგალითები დამოწმებულია კ. დანელიას წიგნის მიხედვით, 2006:163). ქართულსა და მეგრულში წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობებს აწარმოებს აგრეთვე **-ილ/-ულ** სუფიქსებიც[36]. ევიდენციალურ ზმნურ ფორმათა სემანტიკას განსაზღვრავს წარსული დრო, თუმცა იმპერფექტული ევიდენციალური ზმნური ფორმების (თურმეობითების) ყალიბისთვის მეგრული (ასევე ქართული ენის დასავლური დიალექტები, იხ. როგავა 1953:28) ირჩევს **მხოლოდ პრეფიქსული წარმოების მიმღეობას** და არა სუფიქსურს. ე.ი. პრეფიქსიანი და სუფიქსიანი მიმღეობები სემანტიკურად განსხვავდებიან და ამგვარ სხვაობას, როგორც ჩანს, თავად მაწარმოებლები (**ნო-/ნა-** და **-ილ/-ულ**) განაპირობებენ.

გ. შაბაშვილმა ყურადღება მიაქცია ძველ ქართულში ნა- პრეფიქსიან და -ილ/ -ულ სუფიქსიან მიმღეობათა ფუნქციურ-სემანტიკური სხვაობის საკითხს და ლოგიკურად დასვა შეკითხვა: „რა მიმართებაა წარმოების ამ ორ მოდელს შორის, რაში დასჭირდა ენას ერთი და იმავე შინაარსის გამოსახატად ორი განსხვავებული ყალიბი,... მათ შორის არსებობს რაიმე ფუნქციური ან სემანტიკური სხვაობა?“ (შაბაშვილი 2004:51). როგორც ძველი ქართული ენის მასალის ანალიზმა ცხადყო, „ფუნქციური თვალსაზრისით წარმოების ეს ორი ტიპი ერთმანეთს თავისუფლად არ ენაცვლება“ (შაბაშვილი 2004:56); რაც შეეხება სემანტიკურ სხვაობას, „-ილ/ -ულ სუფიქსიანი მიმღეობა გამოხატავს წარსულში ჩადენილ დასრულებულ მოქმედებას, ნა- პრეფიქსიანი მიმღეობა კი, შეიძლება ითქვას, გულის-

36 მეგრულში მეტად გავრცელებულია **-ილ** სუფიქსიანი მიმღეობა (კარტოზია და სხვები 2010:284), შედარებით ნაკლებად – **-ულ** სუფიქსიანი. ეს უკანასკნელი ძირითადად დაერთვის ქართულთან საერთო ფუძეებს, მაგრამ ამჯერად, საკითხის არსის გასარკვევად, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

ხმობს წარსულში ჩადენილი მოქმედების შედეგს. ე. ი. ნაბანი = დაბანილი (დასრულებული მოქმედების სემანტიკა)+შედეგი (მდგომარეობისა და პერფექტულობის სემანტიკა)" (შაბაშვილი 2004:56). ჩვენი აზრით, მსჯელობა არა არის საკმარისი იმ ნიუანსის გამოსაკვეთად, რის გამოც სხვაობენ და არ მონაცვლეობენ ზემოხსენებული პრეფიქსიანი და სუფიქსიანი მიმღეობები.

ნა- პრეფიქსიანი დიალექტური ზმნური ფორმების ფუნქცია და სემანტიკა შეისწავლა ნ. შარაშენიძემ (2015:252-261); მან **„ყვარებია"** და **„ნაყვარება"**[37] ფორმებს შორის სემანტიკური სხვაობის საკითხი დასვა და ნა- პრეფიქსიანი ფორმების გავრცელების ხელშემწყობ ფაქტორად სამი სემანტიკური მახასიათებელი გამოყო: 1. ადმირატიულობა, ანუ მოულოდნელი შედეგი; 2. ინფერენცია, ანუ ლოგიკური დასკვნა; 3. „ხმებზე დამყარებული ინფორმაცია", იგივე დაუზუსტებელი ინფორმაცია (შარაშენიძე 2015:257-258). ჩვენი აზრით, სამივე სემანტიკა შეიძლება გადმოიცეს უნახაობის ორივე ფორმით (ყვარებია/ნაყვარება). მათ განასხვავებს კონტექსტი და ინტონაცია[38]. „დაუზუსტებელი ინფორმაცია" კი, რომელიც „შეუმოწმებელი ან გადაუმოწმებელია", არის ის მახასიათებელი, რითიც ნა- პრეფიქსიანები განსხვავდებიან I თურმეობითის ზმნური ფორმებისგან. ამიტომაც ამ მიმართულებით სასურველი იყო მსჯელობის გაღრმავება-გაგრძელება, რათა წარმოჩენილიყო, რა ფაქტორები უწყობს ხელს ნა- პრეფიქ-

37 *ყვარებია* და *ნაყვარება* ზმნურ ფორმებს შორის ისეთივე სემანტიკური მიმართებაა, როგორიც **-ილ/-ულ** სუფიქსიან და **ნა-** პრეფიქსიან მიმღეობურ ფორმებს შორის.

38 „აგერ არ ***ნაგდება*** ეი?! ვეძებ რახანია"... (შარაშენიძე 2015:258), შდრ.: „აგერ არ ***გდებულა*** ეი?! ვეძებ რახანია"; „ქე ***ნაბამა*** ე თხილი და რაი გინდა"... 2015:258), შდრ: „ქე ***ბმია*** ე თხილი და რაი გინდა"...

სიან ფორმებს, გადმოსცენ „დაუზუსტებელი ინფორმაცია“, რომელიც განსაზღვრავს ზემოხსენებულ ნიმუშებს შორის ძირითადი ნიუანსობრივი სხვაობის არსს.

რადგან საკითხის ანალიზი ამოწურული არ არის, პრეფიქსიანი და სუფიქსიანი მიმღეობების შედარების საფუძველზე წარმოვადგენთ შესაბამის მსჯელობას მათი სემანტიკური სხვაობის შესახებ:

ფუნაფ-ილ-ი „ადუღებ-ულ-ი“ – ***ნა***-*ფუნეფ-ი* „ნა-დუღარ-ი“

შენიშვნა 1:

რადგანაც ნო- და ნა- პრეფიქსები ფორმობრივ-ფუნქციურად ერთმანეთის ტოლფარდია, არა აქვს მნიშვნელობა, რომელი პრეფიქსით გაფორმებულ მაგალითს ავიღებთ საანალიზოდ. საკითხის არსის გასარკვევად, უპირატესია, არ იყოს გასუბსტანტივებული და მიმღეობის მნიშვნელობას ინარჩუნებდეს.

აღსანიშნავია, რომ „სემანტიკური სტრუქტურის ცნება იმთავითვე გულისხმობს... იმის გარკვევას, თუ რა დამატებით ღირებულებას იძენს, როგორი დამატებითი ნიუანსით იტვირთება ესა თუ ის მნიშვნელობა სხვა მნიშვნელობებთან ურთიერთობის დროს“ (ჯორბენაძე 1980:355). ცნობილია, რომ ორივე ყალიბის მიმღეობა (სუფიქსიანიც და პრეფიქსიანიც) გადმოსცემს წარსულში ჩადენილ (შესრულებულ) მოქმედებას; მაშასადამე, მათი **გამაერთიანებელია წარსული დრო**, მაგრამ, ამასთან ერთად, **განმასხვავებელია** წარსულ დროში შესრულებული **მოქმედების ინტენსივობა**. ცხადია, სწორედ განმასხვავებელი ფაქტორის მიხედვით ვერ ფარავენ სემანტიკურად ზემოხსენებული ფორმები ერთმანეთს. წარსულში ჩადენილი ყველა ტიპის მოქმედება ორიენტირებულია

შედეგის გამოხატვაზე, „მაგრამ შედეგი განიხილება არა განყენებულად, არამედ, როგორც გარკვეული მოქმედების (მიზეზობრიობის) შედეგი. მოქმედება (მიზეზობრიობა) დროის მიხედვით შეიძლება იყოს **შემოსაზღვრულიც** და **შემოუსაზღვრელიც**, ე.ი. ხდებოდეს მხოლოდ დროის გარკვეულ მონაკვეთში ან ხდებოდეს საერთოდ“ (ჯორბენაძე 1980:368). თავის მხრივ, **შედეგიც** შეიძლება მივიღოთ, როგორც **მომენტური** მოქმედების ფინალი, ან როგორც **განგრძობითი** მოქმედების საბოლოო მოცემულობა (დაწვრილებით იხ. ჯორბენაძე 1980:369). ამგვარი მიდგომით შეიძლება შევაფასოთ სუფიქსიანი (-ილ-) და პრეფიქსიანი (ნა-) მიმღეობების სემანტიკური თანაფარდობა.

-ილ სუფიქსიანი მიმღეობა, (*ფუნაფ-ილ-ი „ადუღებული“*) დროში ერთგვარად შეზღუდულია, რადგან ეს ფორმა არ გვიჩვენებს, ერთხელ მოხდა მოქმედება თუ მრავალჯერ განმეორდა; ამიტომ მას ერთგვარად **მომენტურობის** გაგება აქვს. *ფუნაფ-ილ-ი „ადუღებული“* მიანიშნებს, რომ მოქმედება დაიწყო და დასრულდა წარსულში, უფრო მეტიც, ის წარსულის ერთ კონკრეტულ მონაკვეთში მოხდა. ამის გამო ამ ფორმას შეუძლია აჩვენოს ზუსტად, რა მოხდა, როგორ მოხდა და ამ თვალსაზრისით მთქმელის ნათქვამი ეჭვს არ ბადებს, რადგან მომენტური მოიცავს „უკვე მომხდარს, მახსოვრობაში აღბეჭდილს“ (მელიქიშვილი 2014:47). ამიტომ, სუფიქსიანი მიმღეობა ვერც ფუნქციურად და ვერც შინაარსობრივად ვერ მოხვდებოდა იმ რიგში, რომელსაც პრეფიქსიანი თურმეობითების სემანტიკა უნდა გადმოეცა.

ნა- პრეფიქსიანი მიმღეობისთვის, ***ნა-ფუნეფ-ი „ნა-დუღარ-ი“***, მოქმედების კონკრეტული დრო (მომენტი) პრიორიტეტული არ არის; ამიტომაც ამ ფორმაში ერთგვარად **განგრძობითობა** ჩანს, მოქმედების/მდგომარეობის დროში

ხანგრძლივობა; ხოლო, „რაც განგრძობითია, ჩვეულებითია, განუსაზღვრელი, გაუდიფერენცირებელი მდინარებაა“ (მელიქიშვილი 2004:48). „ჩვეულებითი“, დროული თვალსაზრისით, ყოველთვის ზოგადია, თუმცა ამ შემთხვევაში „მოქმედების დროის უკან გადატანას, როგორც ჩანს, ხელს უწყობს ნო-(←ნა) პრეფიქსი“ (ქობალავა 2001:134)[39]; მაგალითად, *ნა-ფუნეფ-ი „ნადულარი“ = ის, რამაც დიდხანს იდუღა*, თუმცა საბოლოოდ დასრულდა თუ არა პროცესი, არ ჩანს. ამიტომაც, ნა- პრეფიქსიანი მიმღეობა ვარაუდის, განსჯის საშუალებას იძლევა და ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მთქმელს მომხდარზე ზუსტი წარმოდგენა არა აქვს. **„თურმეობითის შინაარსისთვის არსებითია მოქმედების შესახებ ზუსტი ცოდნის არქონის მომენტი“** (ქობალავა 2001:133). შედეგის მიღწევის შესახებ სწორედ **„არცოდნის სემანტიკამ“** (ი. ქობალავა) განსაზღვრა ნო-/ნა- პრეფიქსიანი მიმღეობების გამოყენება თურმეობითების ყალიბისთვის.

„მომენტურობა შედეგობას სახელთა სემანტიკასთან აახლოვებს. როგორც წესი, ნაზმნარი სახელები (უპირატესად მიმღეობები) გვევლინებიან ამიტომაც ამგვარი ფუნქციის გამომხატველებად (და-ფენ-ილ-ი, გა-კეთ-ებ-ულ-ი): აქ შედეგი გაიაზრება, როგორც საყრდენი ზმნით გამოხატული მოქმედების რეზულტატი“, ხოლო **„დიურატიულობას** მეტი ზმნურობა შეაქვს შედეგობის სემანტიკაში“ (ჯორბენაძე 1980:369), ამიტომაც, მეგრულსა და დასავლურ დიალექტებში ნო-/ნა- პრეფიქსიანი მიმღეობები დაედო საფუძვლად ზმნურ ევიდენ-

39 შდრ: წინა ვითარების სახელები: „ქართულ ენას საშუალება აქვს, საგანი დაასახელოს იმის მიხედვით, თუ რას წარმოადგენდა ის წინათ ან როგორი ვითარება ახასიათებს მას წინანდელთან შედარებით“ (შანიძე 1980:133).

ციალურ ფორმებს (ნა-ფუნ-ეფ-ი „ნადუღარი“/ნო-ფუნ-აფ+უ-ე „ნადუღარა“ და სხვ.)[40]

4.2.2. აწმყოს წრის მწკრივები და ნო- პრეფიქსიანი ფორმები

აწმყოს წრის მწკრივები და **ნო-** პრეფიქსიანი ზმნური ფორმები ერთმანეთისაგან მხოლოდ ნახული და უნახავი მოქმედების გადმოცემით სხვაობენ სემანტიკურად (გ. როგავა, ი. ქობალავა), ხოლო ფორმობრივად მათ **ნო- – -ე** კონფიქსი განასხვავებს, რომელსაც შეაქვს უნახაობის გაგება ამ და ამავე ტიპის ზმნურ ფორმებში.

შდრ:

*უცორს „უყვარს“ (PRS) ↔ **ნო-ცოროფუ-ე** „უყვარს თურმე“ / „ნაყვარება“ (დიალექ.) (EvidImpf I)*

*უცორდუ „უყვარდა“(IMPF) ↔ **ნო-ცოროფუ-ე-დ-უ** „უყვარდა თურმე“ / „ნაყვარებიყო“ (დიალექ.) (EvidImpf II)*

მეგრული მაგალითების განხილვისას ბუნებრივად დაისმის ლაზურის მასალასთან მსგავსება-განსხვავების საკითხი. სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ „თურმეობითების

40 ბ. ჯორბენაძე ***დაფენილია*** და ***აფენია*** სტატიკური ზმნების შედარების საფუძველზე ასკვნის, რომ მათი სემანტიკა განსხვავებულია შედეგის გამოხატვის ინტენსივობით; კერძოდ, მომენტურობის გაგებისაა წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობა *დაფენილი* და, შესაბამისად, აქედან მიღებული ზმნური ფორმაც: *დაფენილა*; ხოლო აფენია განგრძობითობას გამოხატავს (დაწვრილებით იხ. ჯორბენაძე 1980:366-369).

წარმოების მხრივ არა მარტო ქართული და მეგრული განსხვავდება ერთმანეთისაგან, განსხვავდება ერთმანეთისაგან მეგრულიცა და ჭანურიც" (ჩიქობავა 2008:155). ლაზურმა სალიტერატურო ენისგან განსხვავებული ევიდენციალური ფორმების საწარმოებლად გამოიყენა არა მეგრულისებური ნო- პრეფიქსიანი მოდელი, არამედ არჩია განსხვავებული, ორი კომპონენტისაგან შემდგარი, რთული ზმნური ფორმები (იხ. ლაზურის მწკრივთა სისტემა: ჩიქობავა 2008; დანელია 2006; კარტოზია 2005). ის ენობრივი ფაქტი, თუ რატომ არ განივითარა ლაზურმა **ნო-** პრეფიქსიანი ფორმები, რ. შეროზიამ დაუკავშირა პოტენციალისის კატეგორიის არქონას ლაზურში; მისი აზრით, „ნო- პრეფიქსიანების შექმნას მეგრულში ხელი შეუწყო პოტენციალისის გრამატიკულ კატეგორიად ჩამოყალიბებამ – ვნებითისა და პოტენციალისის დიფერენცირებამ. ლაზურში რაკიღა ეს პროცესი არ განვითარებულა – ვნებითი არ გამიჯნულა პოტენციალისის ფორმათაგან (ჩიქობავა 1936:113; 1937:33) – არც ნო- პრეფიქსიანი წარმოება გვაქვს" (შეროზია 2004:86). შესაბამისად, განისაზღვრა მეგრულში ნო- პრეფიქსიან ფორმათა გაჩენის ქრონოლოგიაც: „მეგრულში ნო- პრეფიქსიანი ფორმები გაჩნდა მას შემდეგ, რაც მეგრული და ჭანური ერთმანეთს დაშორდა" (შეროზია 2004:86).

მოგვიანებით მ. ჩუხუა გამოეხმაურა არნ. ჩიქობავას მიერ ჩამოყალიბებულ დასკვნას და აღნიშნა, რომ „არც **ნო-** პრეფიქსიანი წარმოებით სცილდება ლაზური და მეგრული ერთმანეთს" (ჩუხუა 2009:273, შდრ.: ჩიქობავა 2008:155). მკვლევარს მხედველობაში ჰქონდა ჟ. დიუმეზილის ლაზურ (არქაბულ) ტექსტებში დადასტურებული **ნო-** პრეფიქსიანი თურმეობითები: *ნო-ძიც-უ-დორენ „გახუმრებია თურმე", ნო-წურ-უ-ე-ნ „ასწავლიდა თურმე"*, რომლის მიხედვით შესაძლებლად მიაჩნია ნა- პრეფიქსიანი თურმეობითების რეკონსტრუქცია საერთო-

ქართველური ფუძეენისთვისაც (ჩუხუა 2009:273)[41].

რა შეიძლება ითქვას ამ ორი ურთიერთგამომრიცხავი დებულების შესახებ?

მხედველობაშია მისაღები, რომ ზეპირმეტყველებაზე დაფუძნებული ემპირიული მასალის სანდოობას განსაზღვრავს ვერიფიცირების პროცესი, რაც ჟ. დიუმეზილის ტექსტების შემთხვევაში შეუძლებელია. ის ფაქტი, რომ ლაზურის სხვა ტექსტებში, მათ შორის მეგრულთან ყველაზე ახლოს მდგარი ხოფური კილოს ტექსტებშიც (დაწვრილებით იხ. კარტოზია 2005:3-17), არ დასტურდება ნო- პრეფიქსიანი ფორმები, აძნელებს მ. ჩუხუას თვალსაზრისზე დაყრდნობას; მით უფრო, რომ საპირისპირო თვალსაზრისი (რ. შეროზია) სისტემური მონაცემებითაა შეპირობებული.

4.2.3. ფორმათა ტრანსფორმაცია

ა.-უ სუფიქსის დესემანტიზაცია

ევიდენციალური იმპერფექტული ფორმები, როგორც აღვნიშნეთ, თავიდან აღწერითი წარმოებისა იყო: ***მიმღეობა (PTCP) + მეშველი ზმნა (CLTC).*** მიმღეობის კონფიქსური ფორმანტიდან (ნო- — -უ), ნო- გადააზრიანდა მწკრივის მაწარმოებლად, -უ-მ კი ვერ მოიპოვა ევიდენციალობის მარკერის ფუნქცია. ორგანულად ქცეულ ზმნურ ფორმებში უნახაობის/თურმეობითობის გაგება შეიტანა მხოლოდ ნო- პრეფიქსმა, რომელსაც განგრძობითი წარსული დროის გაგება ჰქონდა; -უ კი უფუნქციოდ დარჩა. -უ-ს არ ჰქონდა დროის გაგება. იგი, როგორც აღინიშნა, მასდარული

41 ნო- პრეფიქსიანი თურმეობითების არსებობას ლაზურში ისტორიულად ვარაუდობს ნ. კაკაბაძეც, კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ სინქრონიულ დონეზე ხოფურში I პირის ფორმას ნო-ს ნაცვლად მე- პრეფიქსი მოუდის (კაკაბაძე 2018:300), თუმცა, ჩვენი დაკვირვებით, მე- პრეფიქსიანი ფორმები ლაზურში არ დასტურდება.

წარმოშობისა იყო; სინქრონიულ დონეზე, მართალია, შემორჩათ ევიდენციალურ იმპერფექტულ ზმნებს, თუმცა ამ ეტაპზე **-უ დესემანტიზებულია** (ადრინდელი შინაარსისა და ფუნქციისაგან დაცლილია[42]).

ბ. ორე (ნ) > -ე ტრანსფორმაცია-გამარტივების პროცესი

როგორც აღვნიშნეთ, **ნო-** პრეფიქსიანი ზმნური ფორმების სტრუქტურა თავიდან აღწერითი იყო და მიმღეობას ერთვოდა *ყოფნა* მეშველი ზმნა აწმყოს ან უწყვეტლის ფორმით: ორე(ნ) „არის“ / ორდუ „იყო“. აღწერით სტრუქტურაში დიდ როლს თამაშობს მეშველი ზმნა, როგორც მადინამიკურებელი ფუნქციის მქონე ელემენტი (დაწვრილებით იხ. მელიქიშვილი 2014:39); კერძოდ, მეშველი ზმნის ***ტრანსფორმაცია-გამარტივების*** პროცესი განსაზღვრავს აღწერითი ფორმის ორგანულად გადაქცევას. შდრ.: ქართულში, III სერიის I თურმეობითში, ერთპირიან გარდაუვალ ზმნებში *არის* მეშველი ზმნისგან **-ა** S3 პირის ნიშნის მიღების პროცესი (გაზრდილ არს → გაზრდილ-ა), იმ განსხვავებით, რომ ქართულში მეშველი ზმნის ნაშთი (**-ა** სუფიქსი) S3 პირის ნიშნად იქცა, ხოლო მეგრულში **-ე** სუფიქსი ნო- პრეფიქსთან ერთად ქმნის ევიდენციალობის გამომხატველ კონფიქსს[43]. ზმნად ქცეულ ფორმას S3 პირის ნიშნად ემატება იგივე **-ნ** სუფიქსი, რაც დამახასიათებელია აწმყოს ჯგუფის გარდაუვალი ზმნებისთვის.

42 -უ-ს კვალიფიკაციის შესახებ განსხვავებული თვალსაზრისისთვის იხ. შეროზია 1972:144.

43 -ე-ს კვალიფიკაციის შესახებ განსხვავებული თვალსაზრისისთვის იხ. შეროზია 1972:144.

დასკვნა:

ამრიგად, სვანურსა და მეგრულში ევიდენციალობის გამომხატველ სპეციალურ მწკრივებში (სვანურში ყველა მწკრივში, მოდალიზებული ევიდენციალური პერფექტული ფორმების გამოკლებით, მეგრულში მხოლოდ არამოდალიზებულ იმპერფექტულ მწკრივებში) დასტურდება გრამატიკული, კერძოდ, მორფოლოგიური მარკერი. სვანურში ევიდენციალობის მორფოლოგიური გამოხატვა უფრო შორს წასულ და სრულყოფილ პროცესს წარმოადგენს, რადგან ევიდენციალობის მარკერი (-VC-) დასტურდება არა მხოლოდ სალიტერატურო ენისაგან განსხვავებულ არამოდალიზებულ (უნახაობის) იმპერფექტულ, არამედ ქართულისებურ პერფექტულ ფორმებში და მოდალიზებულ (ეპისტემიკურ) ზმნურ პარადიგმებშიც (გარდა მოდალიზებული პერფექტული ფორმებისა).

მორფოლოგიური მარკერის გაჩენა ქართველურ ენებში უტყუარი ფაქტია ამ ენათა შინაგანი სწრაფვისა ევიდენციალური შინაარსის გრამატიკულ კატეგორიად გაფორმებისათვის, რაც საფუძვლიანად ადასტურებს ამ კატეგორიის ავთენტურობას მოცემული ენებისათვის.

5. მოდალიზებული (ეპისტემიკური) ევიდენციალური მწკრივების ფორმაწარმოება და სემანტიკა სვანურსა და მეგრულში

ქართველურ ენებში ისევე, როგორც ზოგ სხვა ენაში, ორი სახის ევიდენციალობა დასტურდება: არამოდალიზებული და მოდალიზებული. მოდალიზებულს სხვანაირად ***ეპისტემიკურ ევიდენციალობასაც*** უწოდებენ. ვერბალური ან უშუალოდ კვალზე დამყარებული ინფერენციული ინფორმაციის წყაროს არსებობის შემთხვევაში მთქმელის მიერ ინფორმაციის სანდოობის შეფასება არ ხდება და მხოლოდ ე. წ. ***უნახაობას ესმება ხაზი;*** გამოცდილებასა თუ ფონურ ცოდნაზე დამყარებული ინფერენციული წყაროდან მიღებული ინფორმაცია კი, პირიქით, ***საეჭვო-სავარაუდო*** ხასიათისაა, ანუ შემოდის ***ეპისტემიკური მოდალობა***. ყოველივე ეს აფართოებს ევიდენციალობის კატეგორიის საკვლევ არეალს და ენობრივად გამოკვეთს *მთქმელის მიმართებას გარეშე წყაროდან მიღებულ ინფორმაციასთან.*

ევიდენციალობა, როგორც ცნობილია, გამოიხატება გრამატიკულად და ლექსიკურად. მოდალიზებული ევიდენციალობა ლექსიკურად ყველა ქართველურ ენაში დასტურდება; მაგალითად, ქართული: *ალბათ წერდა, ალბათ დაწერს, როგორც ჩანს, წამოვა* და სხვა (მონოგრაფიაში ცალკე ადგილი ეთმობა ამ საკითხზე მსჯელობას, იხ. III თავი).

ამჯერად განვიხილავთ ეპისტემიკურ-ევიდენციალური მნკრივების ფორმაწარმოებასა და სემანტიკას სვანურსა და მეგრულში, საკითხის კვლევის ისტორიის გათვალისწინებით.

5.1. სვანური მასალის ანალიზი

სვანურში ის მნკრივები, რომლებიც, ჩვენი ინტერპრეტაციით, **მოდალიზებული (ეპისტემიკურ-ევიდენციალური) იმპერფექტული მნკრივებია**, ზმნურ ფორმათა პარადიგმაში ასახული იყო ჯერ კიდევ ვ. თოფურიას მიერ, რასაც ეყრდნობოდნენ შემდგომ სხვა ენათმეცნიერები, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ფორმათა სემანტიკის სპეციფიკურობაზე საგანგებო მსჯელობა არ გვხვდება. ასევე, ვერ დადგინდა მორფემის ფუნქცია, რომელიც შემდგომი კვლევების საფუძველზე ევიდენციალობის მარკერად კვალიფიცირდა (მარგიანი-სუბარი 2009ბ). ამან გამოიწვია მათი კვალიფიკაციის უზუსტობა, რაც აისახა კიდეც სახელდების პროცესში.

საანალიზო მნკრივები სპეციალურ ლიტერატურაში „საკუთრივ ინფერენციულ" მნკრივებადაც არის მოხსენიებული (მარგიანი-სუბარი 2012:110-111); ეს ის ფორმებია, რომელთა სემანტიკა კონტექსტისა და ინტონაციის მოშველიების გარეშეც ერთმნიშვნელოვნად ინფერენციას – მსჯელობას, ლოგიკურ დასკვნას გულისხმობს და გამორიცხავს პერცეფციას (ნამყო დროებში) ან კატეგორიულობას (აწმყოსა და მყოფადში), ასევე ვერბალობას, როგორც ინფორმაციის წყაროს. **ამ ზმნების მნიშვნელობა ყოველთვის ეპისტემიკურია სწორედ იმიტომ, რომ ინფორმაციის წყარო ინფერენციაა;** სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ზმნური შესიტყვების – ზმნის ფუნქციონირების უმცირესი ერთეულის – ფარგლებში ფორმის ძირითადი მნიშვნელობა არ იცვლება. ამიტომაც შესაძლებელია ზმნური

ფორმის ძირითადი სემანტიკური მონაცემები, ძირითადი სტატუსი განვსაზღვროთ მაქსიმალურად ნეიტრალურ გარემოცვაში, „ნეიტრალურ კონტექსტში“ (არაბული 1992:102); **საანალიზო ზმნები კი სწორედ ისეთი ზმნებია, რომელთაც უნარი შესწევთ მარტივი კონსტრუქციების შექმნისა (განსხვავებით, მაგალითად, კონიუნქტივებისგან). ცალსახად მათი სემანტიკური სტატუსი ეპისტემიკურობაა, ინფორმაციის ინფერენციულ წყაროზე მინიშნებით.**

მოდალიზებული (ეპისტემიკური) ევიდენციალური მწკრივი სვანურში სულ ექვსია – ორი პერფექტული და ოთხი არაპერფექტული. ეს მწკრივებია:

ევიდენციალურ-ეპისტემიკური აწმყო
ევიდენციალურ-ეპისტემიკური მყოფადი
ევიდენციალურ-ეპისტემიკური იმპერფექტი I
ევიდენციალურ-ეპისტემიკური იმპერფექტი II
ევიდენციალური პერფექტი III
ევიდენციალური პერფექტი IV

სალიტერატურო ენაში მათი ზუსტი შესატყვისები (სემანტიკური თუ გრამატიკული) არ დასტურდება, ამიტომ სათანადო კონტექსტებში ენა მოდალურ საშუალებებს იშველიებს, ზოგჯერ კი კონტექსტის ფარგლებში შესაძლოა ფუნქციურად ისეთი მწკრივიც გამოიყენოს, რომლის ძირითადი მნიშვნელობა ინფერენციულობა არ არის (უმეტესად კავშირებითები, რომლებიც „რთული კონსტრუქციების შექმნას ემსახურებიან, დასრულებულ მარტივ („ნეიტრალურ“) კონტექსტს ვერ იძლევიან“ – არაბული 1992:103).

განვიხილოთ თითოეული ევიდენციალურ-ეპისტემიკური მწკრივი ცალ-ცალკე:

ევიდენციალურ-ეპისტემიკური აწმყო
(resp. მყოფადუსრული, ინფერენციული აწმყო)

ევიდენციალურ-ეპისტემიკური აწმყო, იგივე მყოფადუსრული სვანურშივე სრული მყოფადისგან არა მხოლოდ ასპექტით განსხვავდება (როგორც ეს მოსალოდნელი იყო), არამედ ფორმითაც: ეს ზმნები წარმოადგენენ -VC- სუფიქსით გართულებულ ნეიტრალური აწმყოს ფორმას. ვ. თოფურია აღნიშნავს, რომ „მყოფადუსრული იწარმოება აწმყოს ფუძისაგან, რომელსაც ბოლოსართები (-ე, -ი) მოკვეცილი აქვს და სამაგიეროდ ერთვის სუფიქსები: -უნ-ი (>-უნ-ი, -ნ-ი) და -ინ-ი (>ნ-ი). ლაშხურ დიალექტში ორივეს ნაცვლად იხმარება -ჟნ-ი“ (თოფურია 1967:112-114). ქართულს სემანტიკურად მისი ბადალი მწკრივი არ მოეპოვება; მას „რუსული შედგენილი მყოფადი ფარავს, ქართულად და მეგრულად კი აღწერითად გადმოვცემთ: **კონიუნქტივი I +„იქნება“/„იჭუაფუ“** (თოფურია, იქვე) – ეს ქართულ-მეგრული აღწერითი განმარტება თავისთავად მეტყველებს ამ ზმნების ეპისტემიკურობაზე (მთქმელი ნათქვამის მიმართ საეჭვოობა-სავარაუდოობას გამოხატავს), ეპისტემიკას კი უმთავრესად ირიბი ევიდენციალობის ერთ-ერთი წყარო – ინფერენცია განაპირობებს; ამ ფორმებისთვის ვ. თოფურიას მიერ მისადაგებული ქართული განმარტება (ᲐᲮრუნი „წერდეს იქნება“) აღნიშნულ მნიშვნელობას გახაზავს, რადგან ლექსემა „იქნებ“ სწორედ დაუზუსტებლობას, საეჭვო-სავარაუდოობას გამოხატავს.

საანალიზო მწკრივი აწმყოს მოქმედებას ასახავს, გამოხატავს მთქმელის მეტყველებასთან თანადროულობას (თუმცა სათანადო ზმნიზედის დახმარებით შეუძლია მყოფადის აღნიშვნაც). მისი აგებულების შესახებ თავის დროზე არნ. ჩიქობავა შენიშნავდა, რომ „სვანური მყოფადუსრულის მაწარ-

მოებელი სუფიქსები (**-უნ-ი, -გნი, -ინ-ი**) შედგენილია და **-ი, ეჭვს გარეშეა, იგივე მონაცემი უნდა იყოს, რაც აწმყოს -ი, წარმოშობით ხოლმეობითის სუფიქსი**" (ჩიქობავა 1948:102-103); გ. მაჭავარიანმა ასევე ივარაუდა, რომ ეს მწკრივი (მყოფადუსრული) არის „გამყოფადებული აწმყო", რომელშიც მკვლევარი -უნ||-ინ (< -ენ) სუფიქსებს, ასევე კაუზატივის -უნ||-ენ (>-ინ)'ს წარმოშობით აწმყოს ფუძის საწარმოებელ ფორმანტებად მიიჩნევს (მაჭავარიანი 1974:138). მკვლევარი საკმაოდ მიუახლოვდა რეალურ ვითარებას, როცა სცადა ამ ზმნათა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი, თუმცა საკითხი საბოლოოდ მაინც გადაუჭრელი დარჩა: „**ნათელი არაა -უნ-ი, -ინ-ი სუფიქსებით გაფორმებული ზმნების ისტორიული ურთიერთობა იმავე ფუძის, მაგრამ სხვა თემის ნიშნის მქონე ზმნებთან (ა-მარ-უნ-ი, ა-მარ-ე): გვქონდა თუ არა მათ შორის რაიმე ფუნქციური სხვაობა და, თუ არა გვქონდა (თუ ორივე ჩვეულებრივს აწმყოს გამოხატავდა), მაშინ რით იყო შეპირობებული განსხვავებულ ფორმათა არსებობა?**" (მაჭავარიანი, იქვე).

ჩვენი აზრით, ეს ფორმა ისტორიულადაც და თანამედროვე ეტაპზეც აწმყოა, ოღონდ **ეპისტემიკური** აწმყო. ამ მწკრივის სემანტიკა დღესაც უმთავრესად ახლანდელ დროს გულისხმობს – ზოგად თუ კონკრეტულ აწმყოს, ოღონდ ინფერენციულს, თუმცა შესაბამის კონტექსტში შეიძლება მყოფადსაც გამოხატავდეს. შდრ.:

ლა̈დი ალ მარე ჯი იჭნუნი, ჭანა̈რს დემის გუ̈ანონე – „დღეს ეს კაცი (**თუ**) თვითონ **ხნავს**, ხარებს არ გვათხოვებს";

მგხა̈რ ალ მარე იჭნუნი – „ხვალ ეს კაცი **ალბათ ხნავს** (/ხნავდეს იქნება)";

ბა̈ზი ამჟი გარ იშდუუნი, ქორ ლელღა̈ჰი ჰედნი – „ამაღამ (**თუ**) სულ ასე **ითოვებს**, სახლი გადმოსათოვლი გახდება“;

სერთხი შუ̈ა̈ნს ათხე იშდუუნი – **„ვაითუ**, სვანეთში ახლა **თოვს**“ („თოვდეს იქნება“)...

რაც შეეხება -უნ- სუფიქსს, კაუზატივის, მოდალური ზმნებისა და ჩვენი საანალიზო მწკრივების მაწარმოებელთა ფორმობრივი იდენტურობა მართლაც არ უნდა იყოს შემთხვევითი მოვლენა; ვფიქრობთ, **–უნ-** უძველესი აფიქსია, რომელიც ენის განვითარების ადრეულ ეტაპზე შესაძლოა გამოხატავდა რაღაც ასპექტით გარკვეული დისტანციის არსებობის ნიუანსს მთქმელსა და ნათქვამს შორის, დიფერენცირების შემდეგ კი მისი ფუნქცია გადანაწილდა ევიდენციალობას (**ა̈-ჲრ–უნ-ი** „ალბათ წერს / წერდეს იქნება“), კაუზატიურობასა (**ხ-ა̈-ჲრ–უნ-ე** „აწერ-ინ-ებს“) და მოდალობას (**ხ-ა̈-ჲრ–უნ-ი** „ეწერება/ეწერინება, ენატრება წერა“) შორის. რაც შეეხება საანალიზო სუფიქსის პირვანდელ სახეს, აქაც ვუშვებთ იმ შესაძლებლობას, რომ თავდაპირველად ეს იყო მხოლოდ თანხმოვანი (**-ნ-**), რომელმაც თანხმოვანთგასაყარად შეიძინა ანაპტიქსური ხმოვანი, თავის მხრივ, ფონეტიკური პროცესებისა თუ პოზიციური სიტუაციის გამო **-ჲ>–უ/ი**, შემდეგ კი ეს პროცესი ანალოგიით გავრცელდა ყველა პოზიციაში. ენის განვითარების ამ ეტაპზე ეს სუფიქსი ძირითადად წარმოდგენილია -VC-'ს სახით.

სტატიკურ ზმნებში, რომლებიც მიჩნეულია უფრო ადრინდელ ფორმებად (სვანურში კი ისინი გაცილებით მრავლადაა სალიტერატურო ქართულთან შედარებით), ასევე ფიქსირდება ოპოზიცია – **ნეიტრალური აწმყო : ინფერენციული აწმყო** (**ხ-ა̈-ჲრ-ა** „წერია/აწერია“: **ხ-ე-ჲრ-ი** „ალბათ წერია/აწერია“); სპეციალურ ლიტერატურაში მიღებულია მოსაზრება, რომ

ქართულში სტატიკურ ზმნას მყოფადის წრის მწკრივთა ფორმები ნასესხები აქვს ენიანი დინამიკური ვნებითისგან, ოღონდ ისე, რომ დინამიკური აწმყო სტატიკურისთვის მყოფადია, უწყვეტლის ფორმას ხოლმეობითის გაგება ენიჭება და აწმყოს კავშირებითი კი მყოფადის კავშირებითად არის გამოყენებული: **აფენია – ეფინება, ახატია – ეხატება, აწერია** ან **წერია – ეწერება** და სხვ. (შანიძე 1980:464-466; ჭუმბურიძე 1986:172-179; ონიანი 1998:178-181). გ. მაჭავარიანს კი მიაჩნია, რომ **„გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, უსრული მყოფადის ფორმები სვანურში თავდაპირველად სტატიკურ ზმნებს განვითარებინათ, ხოლო შემდეგ მათი ანალოგიით – დინამიკურ ზმნებსაც"** (მაჭავარიანი 1974:139). ჩვენ ამ უკანასკნელ მოსაზრებას ვიზიარებთ, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, მიგვაჩნია, რომ ე. წ. მყოფადუსრული დიაქრონიულადაც და სინქრონიულადაც საეჭვოობა-სავარაუდოობის სემანტიკის აწმყოა; ის ჩვეულებრივი (მყარი ცოდნის აღმნიშვნელი, დადასტურებული) აწმყოს პარალელურად არსებობდა და მყოფადის გამოხატვა მისი მხოლოდ დამატებითი ფუნქციაა ვრცელ კონტექსტში; ხოლო, თუკი ენას ჯერ კიდევ ოდენ მდგომარეობის გადმომცემი, სტატიკური ზმნური ფორმების არსებობის დროს ჰქონდა სემანტიკური მოტივაცია კატეგორიულობა-არაკატეგორიულობის, რეალურობა-ირეალურობის, დადასტურებულობა-სავარაუდოობის მიხედვით დიფერენციაციისა, ცხადია, ზმნების გადინამიკურების შემდეგ იგივე მოვლენა უკვალოდ არ გაქრებოდა და, სემანტიკიდან გამომდინარე, დაიწყებდა მორფოლოგიურად ადგილის დამკვიდრებას, რის შედეგადაც მივიღეთ საანალიზო **-უნ-**'სუფიქსიანი ზმნური ფორმები.

ამრიგად, კითხვას: რა საჭიროა სვანურში ორი აწმყო, ვფიქრობთ, პასუხი გაეცა: **ისტორიულად სვანურ ენაში არსებობს ორი აწმყო: ნეიტრალური (პირდაპირევიდენციალური) და ეპის-**

ტემიკური (ირიბევიდენციალური, ინფერენციული): ა-დგა̆რ-ი „კლავს"/**ა-დგარ-უნ-ი** „შესაძლოა (ალბათ) კლავს, კლავდეს იქნება", **ა-ნყ-ე** „აცხობს"/**ა-ნყ-უნ-ი** „ალბათ აცხობს, აცხობდეს იქნება", **ი-გუ̆ნ-ი** „ტირის"/**ი-გუ̆ნ-უნ-ი** „ალბათ ტირის, ტიროდეს იქნება" და დინამიკურ ზმნებში მათი ფორმობრივი საოპოზიციო ნიშანია სუფიქსი -უნ-, სემანტიკური – საეჭვოობა-სავარაუდოობა.

ევიდენციალურ-ეპისტემიკური მყოფადი (resp. მყოფადსრული)

სრული მყოფადი სვანურში რამდენიმე წარმოებისაა: 1. წინდებული+აწმყოს ფუძე, რომელიც ქართულ-მეგრულისა და რუსულის მყოფადის ანალოგიას წარმოადგენს; 2. ძირითადი პრევერბი (**ან-, ად-/ა-, ეს-/ას-, ლა-**) + აწმყოს ფუძე+სუფიქსი; 3. აწმყოს ფუძე+სუფიქსი (თოფურია 1967:116; ჭუმბურიძე 1986:184; ონიანი 1998:181-185). ეს უკანასკნელი (მარტოოდენ სუფიქსით, უზმნისწინოდ ნაწარმოები), ხშირი არ არის, მაწარმოებელ ფორმანტებად კი იგივე სუფიქსები გვევლინება, რომლებიც პრეფიქს-სუფიქსოვანი წარმოების დროს არის, სახელდობრ **-ი** და **-ინ-ე**: **ხ̆ამნე** „აჭმევს" / **ხ̆ამნი (||ხ̆ამნინე)** „აჭმევს"...; „წარმოება პრევერბი+აწმყოს ფუძე მყოფადის მნიშვნელობით ფორმის მხრივ ყურადღებას არ იქცევსო", – შენიშნავს ვ. თოფურია (თოფურია 1967:119-125).

საქმე ის არის, რომ არც სემანტიკურად გახლავთ იდენტური ჩამოთვლილი ფორმები; ძირითადი პრევერბითა და სუფიქსით ნაწარმოები მყოფადი (2) ოდენ წინდებულით ნაწარმოები მყოფადისგან (1) სწორედ ინფერენციულობით განსხვავდება: **ჩუ̆ადგა̆რი** „მოკლავს" ქართულისებური, კატეგორიული (/ნეიტრალური) მყოფადია; ხოლო **ჩუ̆ადგრინე, ჩუ̆ადდაგრი(ნე)** (ბზ.),

ჩუადდაგრი(სგ)/ჩუადგარნე (ბქ.) ფორმას, **კონტექსტის გარეშე** აღებულს, ქართულად ასევე „მოკლავს" ზმნით ან, კონტექსტის შესაბამისად, კავშირებითით („რომ მოკლავდეს...") განმარტავენ, მაგრამ სინამდვილეში მყოფადის ამ ორ ფორმას გამოყენების სფეროები განაწილებული აქვს: პირველი (რომელსაც შეიძლება **პირდაპირევიდენციალური, ნეიტრალური, კატეგორიული** ან **ჩვეულებრივი მყოფადი** ვუწოდოთ) და ქართულის მყოფადი სრულად ფარავენ ერთმანეთს როგორც წარმოების პრინციპით, ისე სემანტიკურად (ფორმალურად ეს ზმნისწინიანი აწმყოა მყოფადის ფუნქციით), მეორე – **ეპისტემიკური მყოფადი** კი ინფერენციულია, ის მსჯელობის, ვარაუდის, პროგნოზის ნიუანსის შემცველია შესასრულებელი მოქმედების მიმართ; მაგალითად, **ბაზი გიმს *ჩუადკუერმი(სგ)*** – „ამაღამ **[შესაძლოა / სავარაუდოა]** მიწას **გაყინავს**" – მთქმელი მისთვის ცნობილი ბუნებრივი მოვლენების ფონზე მსჯელობს, გამოთქვამს პროგნოზს, ვინაიდან ძალიან ცივა და ცაზე ღრუბელი არ არის, რაც ყინვის მოსალოდნელობაზე მეტყველებს (მთქმელს შეეძლო კატეგორიული ფორმის გამოყენებაც: **ჩუაკუერემი** „გაყინავს" – ასეთ შემთხვევაშიც, ცხადია, მოვლენის არსიდან გამომდინარე, ნათქვამი ინფერენციული იქნებოდა, მაგრამ ფორმობრივ ეს არ აისახებოდა).

ასევე, წინადადებაში **მეხარ ბეთქილ ღუაშს *ჩუადგრინე*, მაი ეზარ ირა!** – „ხვალ **[რომ]** ბეთქილმა ჯიხვი **მოკლას** (სიტყვასიტყვით: ბეთქილი [რომ] მოკლავს /მოკლავდეს იქნება...), რა კარგი იქნება!" ოდენ წინდებულიანი მყოფადის ჩანაცვლება სტილურ ანომალიას გამოიწვევს, ვინაიდან ამ წინადადების მოდალობა პირობითობაა და უეჭველი (კატეგორიული) სემანტიკის მყოფადის (**ჩუადგარი**) ფორმას ვერაფრით იგუებს. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მყოფადის სხვადასხვა ფორმის გამოყენება ერთსა და იმავე კონტექსტში ყოველთვის არღვევს სტილს, (1) მოდელის (2)-ით ჩანაცვლებისას შეიძლება წინადადება სტილურად გამართული

დარჩეს, მაგრამ ნიუანსი (ხშირად კონსტრუქციაც, თანწყობა-ქვეწყობის თვალსაზრისით) აუცილებლად შეიცვლება: კატეგორიულობის ხარისხი დაქვეითდება და უფრო მეტად პრეზუმფციული (მსჯელობითი) გახდება (ენის მატარებელი ამ ფორმებს დაუფიქრებლად მოიხმარს სათანადო ადგილას, სვანურით დაინტერესებულ პირთათვის კი ენის სწავლებისას, სწორმეტყველების მისაღწევად აუცილებლად უნდა ავხსნათ, რომ ქართულისებური წარმოების მყოფადი კატეგორიულ კონტექსტებში უნდა გამოიყენონ, ხოლო, თუკი ნათქვამში ინფორმაციის შეყოვნების, მსჯელობის, ვარაუდის, მოქმედების პირობითობის ნიუანსი ოდნავ მაინც არის, ძირითადპრევერბიანი მყოფადი აჯობებს); სვანურის ძირითადპრევერბიანი სრული მყოფადის საანალიზო მნიშვნელობა ძველი ქართულის იმ მონაცემებს უახლოვდება, როცა „მყოფადის გამოსახატავად გამოიყენებოდა II კავშირებითის ფორმა: **და-ვ-წერ-ო** „დავწერ“ (კონტექსტის მიხედვით გამოხატავდა საკუთრივ კავშირებითის ფუნქციასაც)“ (ჯორბენაძე 1995:198).

სვანურში ეს ვითარება (პირობითობის გამოხატვის შესაძლებლობა მომავალ დროში), ალბათ, იმიტომ შენარჩუნდა, რომ ენას სათანადო სემანტიკის ზმნები (ინფერენციული მყოფადი) მოეპოვებოდა, „ახალ ქართულში კი პრინციპი შეიცვალა. მყოფადის გამოხატვის სამი შესაძლებლობაა: კონტექსტი (აწმყო: **ახლა ჭამ-ს**, მყოფადი: **ხვალ ჭამ-ს**), აწმყოს ფუძეზე ზმნისწინის დართვა (**ჭამს > შეჭამს**), **კატეგორიული მყოფადის შემთხვევაში** გამოიყენება აღწერითი წარმოებაც: **მომსვლელი ვარ** „მოვალ“ (ჯორბენაძე, იქვე).

სვანურის ინფერენციული სრული მყოფადის გამოყენების სიტუაციას ასახავს ქართული დიალექტური მონაცემები II კავშირებითის ფორმით მყოფადის გამოხატვისა, მაგ.: მესხური შენ აქ დარჩი, მე **წავიდე**, ცხენი **მოვიყვანო** – „შენ აქ დარჩი, მე წა-

ვალ, ცხენს მოვიყვან" (ჯორბენაძე, იქვე). ცხადია, მოცემულ შემთხვევაშიც კავშირებითის ფორმების გამოყენება ინფერენციულობის გამოხატვის სურვილითაა ნაკარნახევი – მთქმელი კატეგორიულად კი არ აცხადებს, არამედ თითქოს მსჯელობს (მოსაუბრეს უთანხმებს), კონტექსტში კატეგორიულობის ხარისხი ამიტომაც დაბალია და მყოფადს (რომელიც დღევანდელ სალიტერატურო ქართულში მხოლოდ კატეგორიულია) კავშირებითი ჩაენაცვლა.

სინტაქსური ფუნქცია[44]. მყოფადის **პირველი** (ქართულისებური) ტიპი (**ჩუ̃ᲐᲮრი** „დაწერს"), ძირითადად, თანწყობისას გამოიყენება, ქვეწყობისთვის კი მასთან ერთად სავალდებულოა მაქვემდებარებელი ან მაპირისპირებელი კავშირის გამოყენება, ხოლო **მეორე**, ძირითადპრევერბიანი (**ჩუ̃ადიᲮრი(ნე)** „ალბათ დაწერს, რომ დაწერს"...) – ქვეწყობისას, თანაც სავალდებულო აღარაა მაქვემდებარებელი კავშირი, ამ ნიუანსს ზმნა თავად შეიცავს:

ბა̃ზი გიმს ***ჩუ̃კურემი*** ი ქართებილ ***ჩუიდუ̃ში*** (ბქ.) – „ამაღამ მიწას **გაყინავს** (კატეგორიული მყოფადი) და კარტოფილი **გაფუჭდება**";

ბა̃ზი გიმს ***ჩუ̃დკურემ-ი/-ისგ(/-ინე)***, ქართებილ ***ჩუიდუ̃ში*** – „ამაღამ მიწას **[თუ] გაყინავს** (ეპისტემიკური მყოფადი), კარტოფილი **გაფუჭდება** (კატეგორიული მყოფადი)".

ეპისტემიკური მყოფადის სემანტიკა თითქოს უფრო შორეულ მომავალსაც გულისხმობს, კატეგორიულ მყოფადთან შედარებით, ალბათ იმიტომ, რომ ის პირობითობას გამოხატავს, რაც გადაწყვეტილების მიღებისა და შესრულების მომენტებს ერთდროულად მოიაზრებს თავის თავში (და არა პირდაპირ მოქმედე-

44 სინტაქსის საკითხებს ნაშრომში ცალკე თავი ეთმობა, მაგრამ სვანურის სპეციფიკური მწკრივების მნიშვნელობის გასაშუქებლად კონსტრუქციების მიხედვით მსჯელობა აქაც აუცილებელია.

ბაზე გადასვლას), ეს კი მთქმელსა და ინფორმაციაში ასახულ მოქმედების შედეგს (ან პროცესს) შორის ერთგვარი დისტანციის ნიუანსს აჩენს კონტექსტში.

საანალიზო (ძირითადპრევერბიანი და სუფიქსიანი) მყოფადის ფორმები კონსტრუქციაში ჰიპოტაქსის საფუძველს ქმნიან, მათი სემანტიკა კი კონსტრუქციის გარეთაც, კონტექსტისგან დამოუკიდებლად ან ნეიტრალურ კონტექსტშიც ეპისტემიკურია, რაც განპირობებულია ინფერენციით: ამ ფორმებში ჩანს, რომ მთქმელი მომავლის მოქმედების შესახებ კატეგორიულად კი არ აცხადებს, არამედ ერთგვარი სიფრთხილით, გამოცდილების ან ფონური ცოდნის მიხედვით მსჯელობს, ამიტომაც არის მისი კატეგორიულობის ხარისხი ოდენ პრევერბიან, ე. წ. „წინდებულ-თანდებულიან", ქართულისებური სემანტიკის მყოფადთან შედარებით უფრო დაბალი.

რაც შეეხება ამ მწკრივის მარკირებას ევიდენციალობის ნიშნით, მყოფადუსრულში გამოყოფილი ევიდენციალობის მორფოლოგიური ნიშანი **–უნ** (ან მისი ვარიანტები **-ინ, -ენ, -ნ**) ამ ფორმებში არ არის წარმოდგენილი, თუმცა მისი დაბოლოების ერთ-ერთ ვარიანტში **-ნ-** თანხმოვანი შემთხვევითი არ უნდა იყოს (აღნიშნული აფიქსის ამოსავლად სწორედ **-ნ-** თანხმოვანს მივიჩნევთ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მაგრამ საანალიზო საკითხისთვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ამჯერად ფორმანტის გენეზისი კი არა, მისი ამჟამინდელი დანიშნულების გარკვევა შეადგენს ჩვენს ამოცანას).

ი. ჩანტლაძის აზრით, „წინდებულ-თანდებული" ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ძირითად პრევერბს (ჩანტლაძე 1974:103). ამიტომაც, მომენტობრიობა, დიურატიულობის საპირისპიროდ, სწორედ ამ (წინდებულ-თანდებულიანი) ფორმებით გამოიხატებოდა პირველ ეტაპზე, შემდეგ კი, ძირითადი ზმნისწინის დართ-

ვამ არსებულ ფორმათა სემანტიკა კი არ გადაფარა (სემანტიკურად პარალელური ფორმები კი არ აწარმოა აწმყოს ფუძიდან), არამედ ინფერენციულობა, ეპისტემიკურობა „შეითავსა“, ამიტომაც ძირითადპრეევერბიანი მყოფადის ფორმები უფრო მეტ სემანტიკურ კომპონენტს შეიცავენ: დრო, მომენტობრიობა, ასპექტი, ინფერენცია. მათთვის აღარ იყო სავალდებულო სპეციალური მარკერი, ვინაიდან სტრუქტურულად ისედაც განსხვავებულმა (პრეევერბიანმა) ფორმებმა განსხვავებული სემანტიკა გამოხატეს.

ევიდენციალურ-ეპისტემიკური იმპერფექტი I (resp. პირობითუსრული) და

ევიდენციალურ-ეპისტემიკური იმპერფექტი II (resp. პირობითსრული)

ეპისტემიკური სემანტიკა ნიშანდობლივია სვანურში პირობითის სახელით ცნობილი მწკრივისთვისაც, რომელიც ორგვარია: უსრული და სრული. ვ. თოფურიას განმარტებით, უსრული მყოფადისგან უსრული პირობითი მხოლოდ ნამყოუსრულის ფორმანტითღა განსხვავდება, ასევე, პირობითი სრული – მყოფადსრულისგან. შესაბამისად, **პირველ** შემთხვევაში, ანუ, ჩვენი ტერმინოლოგიით, ევიდენციალურ-ეპისტემიკურ იმპერფექტ I-ში ფიქსირდება **-უნ** მაწარმოებელი (შდრ. უწყვეტელი: *ა̈-ჲრ-დ-ა* „წერდა“ – უსრული პირობითი: *ა̈-ჲრ-უნ-რლ* „ალბათ წერდა“, „წერდა იქნება“ – ინფორმაციის სანდოობა საეჭვო-სავარაუდოა, სათუოა, ვინაიდან ინფორმაციის წყარო მთქმელის ფონურ ცოდნაზე დამყარებული წარმოსახვა, აზროვნება, ინფერენციაა), **მეორე** შემთხვევაში, ანუ ევიდენციალურ-ეპისტემიკური იმპერფექტი II-ის სტრუქტურა კი მსგავსია ევიდენცი-

ალურ-ეპისტემიკური მყოფადისა: *ად-ხატუ-ინ-ე* „შესაძლოა, დახატავს“ – *ად-ხატუ-ინ-ა* „შესაძლოა, დახატავდა“. ზმნის ის ფორმა, რომელიც ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ I ხოლმეობითად არის დასახელებული (1930 წლის „ქართულ გრამატიკაში“ კი მკვლევარი ამ მწკრივს პირობითს უწოდებს), სვანურშიც იმავე მოდელით იწარმოება, რომლითაც თანამედროვე ქართულში: ზმნისწინი + ნამყოსრული, ოღონდ ეს ზმნისწინი არის ე. წ. „წინდებულ-თანდებული“ (ჟი, ჩუ, სგა, ქა); მსგავსად მყოფადისა, პარალელურად გვაქვს სხვა წარმოებაც – ძირითადი პრევერბებისა და სუფიქსების დართვით.

ორგვარი წარმოების იმპერფექტული ფორმები (1. ძირითად-პრევერბიანი – **ან-, ად-, ლა-, ეს-** და სუფიქსური **-ინ-ა, -ის, -სგუ,** ევიდენციალურ-ეპისტემიკური იმპერფექტი II 2. „წინდებულ-თანდებულიანი“ – ხოლმეობითი) სემანტიკურად ერთმანეთს უპირისპირდება კატეგორიულობა-არაკატეგორიულობის ნიშნით; ინფერენციულობა, პირობითი ცოდნის გამოხატვა მოვლენის შესახებ, საეჭვოობა-სავარაუდოობა ძირითადპრევერბიანი ფორმების პრეროგატივაა. მათ ფუნქციურად, კონტექსტუალურადაც კი არ შესწევთ მყარი, ე. წ. „იდეალური“ ცოდნის ასახვის უნარი.

ტრადიციული ტერმინი „პირობითი“ კი იმდენად ზუსტად გამოხატავს ამ მწკრივის სახელით ცნობილი ფორმის სემანტიკას, რომ, ვფიქრობთ, ვ. თოფურიამ სწორედ ამის გათვალისწინებით შემოიღო იგი; რაც მთავარია, მყოფადის კატეგორიული და ეპისტემიკური ფორმებისგან განსხვავებით, სადაც ამ ფორმათა ჩანაცვლება ასე თუ ისე მაინც შესაძლებელია, პირობითისა და ხოლმეობითის შემთხვევაში ეს თითქმის გამორიცხულია. ამ ფორმათა გამოყენების თვალსაზრისით, სემანტიკური ველების უფრო მკაცრი გამიჯვნა, მყოფადთან შედარებით, გამოწვეული უნდა იყოს იმ ფაქტორით, რომ ეს მაინც წარსული დროა, მოქ-

მედება (/მოვლენა, ფაქტი) უკვე მომხდარია და, შესაბამისად, **მთქმელს ინფორმაციის გადმოცემის სამი კონკრეტული ვარიანტი აქვს: ის თავად არის თვითმხილველი, მას უთხრეს ამის შესახებ ან ეს მისი ვარაუდია** (მომავლის შესახებ ინფორმაციის გადმოცემისას კი მთქმელი საკუთარი პოზიციის დაფიქსირებაში უფრო თავისუფალია: ის ან კატეგორიულია – ამტკიცებს, რა მოხდება, ან მსჯელობს, ვარაუდობს...). ფაქტია, რომ პირობითი (უსრულიც და სრულიც) გაცილებით გამოკვეთილად ევიდენციალური მწკრივია და ხოლმეობითი მას იშვიათად თუ ჩაენაცვლება; ასე მაგალითად:

ხოლმეობითი

ლაღუბაშ მერრე ჰერ აშხუ ლადღიშ ლაზნათე ისმიუ ი ფედილთე ლიზალდ *ჩუაყუგახ* (ხოლმეობითი) **მარა** (სვ. პრ. ტ. II, 1957:259) – „ფუტკრების („სკის ბუზების“) ხმა ერთი დღის სავალზე ისმოდა და ახლოს მისვლამდე **დააყრუებდნენ** ადამიანს“, შდრ. პირობითი **ჩუადყუგასგუხ** „ალბათ (რომ/იქნებ...) დააყრუებდნენ“, რომლის ჩანაცვლებაც, ცხადია, მთქმელის მიმართებას სათქმელთან ძირეულად ცვლის.

პირობითი სრული

ათხელდ როქ მად ოლღანუელი, ათხე მეჩიჟი როქ იმჟი *ბდღანუიუ*? (იქვე, 153,1) – „აქამდე არ დაფეხმძიმებულა, ახლა დაბერებულზე („ბებერზე“) როგორ **დაფეხმძიმდებოდაო**?“ – აქ ხოლმეობითის გამოყენება – **ჩუილნაუიდა** „დაფეხმძიმდებოდა [ხოლმე]“, რომელიც იტერატიულობასთან ერთად კატეგორიულობას გამოხატავს, „როგორღა“-ს, საეჭვოობის ნიუანსს, რაც კონტექსტში დევს, სრულებით ვერ იგუებს.

აღნიშნულ ფორმათა ეპისტემიკურობა და მათი კილოს პირობითობა განსაკუთრებით ნათელი ხდება სვანური კონტექსტის გადმოქართულებისას ან პირიქით; მაგალითად, ქართულში ერთგვარად რიტორიკული შეკითხვა – „წელს ბათუმში **რომ დავისვენოთ**?“ – სვანურად სწორედ ინფერენციული მყოფადის ფორმით გამოიხატება, კილოც პირობითია: ბზ.: **ამზაუ ბათუმს** *Ალშრმ(ნ)ედ?*/ბქ.: **მისას ბათუმს** *ოლშუემნედ?* იმავე წინადადების ბოლოს წერტილიც რომ დავსვათ, ინფერენცია-ეპისტემიკა მაინც შენარჩუნდება და ეს არ იქნება კატეგორიული განაცხადი, არამედ – მხოლოდ მსჯელობა, აზრის, ვარაუდის გამოთქმა.

როგორც ამ განმარტებებიდან ჩანს, თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ინფერენციულობის ან ეპისტემიკურობის გამოსახატავად კავშირებითის მონაცემები გამოიყენება კონსტრუქციაში სავალდებულო კავშირთან ერთად; განსაკუთრებული ზმნური ფორმები კი, რომელნიც თავისთავშივე მოიცავენ აღნიშნულ ნიუანსს, არ მოიპოვება (სვანური შესიტყვებიდან ქართულ სალიტერატურო ენაზე განმარტებისას სიზუსტის მისაღწევად ამიტომაც არის საჭირო დამატებითი ლექსემები); ამ **ფუნქციით** მყოფადი და ხოლმეობითიც გამოიყენება, მაგრამ, ვინაიდან ინფერენციულობა ამ ფორმებისთვის მხოლოდ ერთ-ერთი ფუნქციაა და არა მათი მნიშვნელობა, ქართულში ტექსტის ეპისტემიკურობის ამოსაცნობად ზმნური ფორმა არ კმარა, ვრცელი კონტექსტია საჭირო; მაგალითად, შეკითხვაზე – „ნიკამ დავალება დაწერა?“ – არაზუსტი (ინფერენციული) პასუხი შეიძლება იყოს „დაწერდა...“ (ხოლმეობითი), რაც ნიშნავს: „ალბათ/შესაძლოა დაწერა...“; ამას კი მხოლოდ წინარე ტექსტის გათვალისწინებით მივხვდებით, ამასთან, მსგავსი შესიტყვებები ძირითადად ზეპირი მეტყველებისთვის არის დამახასიათებელი.

ამრიგად, განხილულ მწკრივთა ზმნური ფორმებით გადმოცემულია:

- *ინფერენციული, ეპისტემიკური მნიშვნელობის **ახლანდელი დროის** მოქმედება (ევიდენციალურ-ეპისტემიკური აწმყო, resp. უსრული მყოფადი, ინფერენციული აწმყო);*
- *ასევე გარკვეული პირობის შემცველი, **მომავალში შესასრულებელი**, საეჭვო, სავარაუდო მოქმედება (ევიდენციალურ-ეპისტემიკური მყოფადი, resp. ძირითადპრეზერბიანი მყოფადი).*
- ***წარსული დროის** ეპისტემიკური მნიშვნელობის მოქმედება (ევიდენციალურ-ეპისტემიკური იმპერფექტი I და II, resp. უსრული და სრული პირობითი).*

მათი დაპირისპირება ნეიტრალურ საოპოზიციო ცალებთან თვალსაჩინოა როგორც სემანტიკის, ასევე ფორმის თვალსაზრისით; შდრ.:

*(1) ევიდენციალურ-ეპისტემიკური აწმყო (ინფერენციული აწმყო): **ᲐᲮრუნი** „ალბათ წერს“*

და

*(2) აწმყო (ნეიტრალური აწმყო): **ᲐᲮრი** „წერს“.*

*(3) ევიდენციალურ-ეპისტემიკური მყოფადი: **ადიᲮრნე** „ალბათ დაწერს“*

და

*(4) მყოფადი (კატეგორიული, ქართულისებური) **ჩუᲐᲮრი** „დაწერს“.*

*(5) ევიდენციალურ-ეპისტემიკური იმპერფექტი II (სრული პირობითი): **ადირნა** „ალბათ დაწერდა“*

და

*(6) ხოლმეობითი: **ჩუ̈ბირდა** „დაწერდა“.*

*(7) ევიდენციალურ-ეპისტემიკური იმპერფექტი I (უსრული პირობითი): **ა̈ჩრუნრლ** „ალბათ წერდა“*

და

*(8) უწყვეტელი: **ა̈ჩრდა** „წერდა“.*

ევიდენციალური პერფექტი III (resp. პირობით-შედეგობითი I)
ევიდენციალური პერფექტი IV (resp. პირობით-შედეგობითი II)

ქართველურ ენათაგან მხოლოდ სვანურში დასტურდება პერფექტული მოდალიზებული ზმნური ფორმები, რომლებიც წარმომავლობისა და დროის თვალსაზრისით არამოდალიზებულ პერფექტულ ფორმებს (resp. I შედეგობითსა და II შედეგობითს) ეკედლებიან, ხოლო ევიდენციალობის თვალსაზრისით ოპოზიციას ქმნიან წყვეტილთან, სემანტიკური საოპოზიციო ნიშანი კი არის ინფორმაციის სავარაუდოობა (ისევე, როგორც შედეგობითებისთვის უნახაობა); შდრ.:

*(9) ევიდენციალური პერფექტი III: **ხეჩრი** „ალბათ წერა/ალბათ ნაწერი აქვს“*

და

*(10) ევიდენციალური პერფექტი I: **ხა̈ჩრენა** „უწერია = თურმე წერა/თურმე ნაწერი აქვს მას ის“.*

*(11) ევიდენციალური პერფექტი IV: **ხეჩრრლ** „ალბათ წერა/ალბათ ნაწერი ჰქონდა“*

და

*(12) ევიდენციალური პერფექტი II: **ხაჩრენწნ** „თურმე ეწერა/თურმე ნაწერი ჰქონდა მას ის“;*

ამათგან **მოდალიზებული (ეპისტემიკური მნიშვნელობის) პერფექტული ზმნური ფორმები** პირველად შენიშნული იყო და მწკრივების კვალიფიკაცია მიეცა 2008 წელს. კერძოდ, გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს მწკრივები საერთოდ არ ყოფილა შენიშნული მკვლევართა მიერ და, შესაბამისად, არც სვანური ზმნის პარადიგმაში იყო შეტანილი; მიზეზი უნდა ყოფილიყო მათი ომონიმურობა: სტატიკური ზმნების მყოფადისა[45] და დინამიკური ვნებითის აწმყოსთან ფორმობრივი დამთხვევა პირველ შემთხვევაში, ხოლო პირობითთან და უწყვეტელთან – მეორე შემთხვევაში: *ხეᲒრი* - 1. (ევიდ. პერფ. III) - ალბათ უწერია/ნაწერი აქვს მას ის, 2. (სტატ.) ეწერება = ის მისთვის იქნება დაწერილი (მოსწავლეს დღეს არ უწერია დავალება, მაგრამ ხვალ ეწერება), 3. (დინამიკ.) ეწერება ის მას ზედ (ყოველთვიურად დიდი გადასახადი ეწერება...); *ხეᲒრრლ* - 1. (ევიდ. პერფ. IV) ალბათ ეწერა/ნაწერი ჰქონდა მას ის, 2. (სტატ.) ეწერებოდა = ის მისთვის იქნებოდა დაწერილი, 3. (დინამიკ.) ეწერებოდა ის მას ზედ (მარგიანი 2008-2009:123-135).

მოდალიზებული ევიდენციალური პერფექტული ზმნების მნიშვნელობა სვანურში მინიმალურ კონტექსტშიც ეპისტემიკურია, ვინაიდან ისინი გამოხატავენ არა კვალის მიხედვით,

45 სვანურში სტატიკური ზმნის მყოფადად მიჩნეული ფორმა კონტექსტუალურად აწმყოსაც შეიძლება გამოხატავდეს და მყოფადსაც; ამიტომ ვფიქრობთ, რომ ის სტატიკური ზმნების ნეიტრალური აწმყოს საოპოზიციო ცალად – ინფერენციულ აწმყოდ უნდა ჩაითვალოს (შდრ. ხოᲒრა უწერია ის მას: ხეᲒრი ალბათ უწერია ის მას); მსგავსი ვითარება შეინიშნება ყოლა-ქონის აღმნიშვნელ ზმნებთან ქართულში (მაგ.: მოსწავლეს დავალება აქვს? ექნება=ალბათ, აქვს), მაგრამ სალიტერატურო ენაში ამ მოვლენას არა აქვს სისტემური ხასიათი (უფრო სწორად, აღნიშნული ზმნები გამონაკლისია), სვანურში კი ყველა სტატიკურ ზმნას (რომელთა რაოდენობა, ქართულთან შედარებით, გაცილებით მეტია) ეწარმოება აღნიშნული ფორმები.

არამედ მთქმელის ლოგიკით გვერდითი მოვლენების, ფონური ცოდნის საფუძველზე გამოტანილ დასკვნას; ამიტომაც მათი მნიშვნელობა უფრო მეტადაა დაშორებული „იდეალურ ცოდნას“ და გადახრილია საეჭვოობისკენ.

5.2. მეგრული მასალის ანალიზი

• *საკითხის კვლევის ისტორია*

მეგრულში მოდალიზებული ევიდენციალური (ეპისტემიკური) მწკრივების გამოყოფის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული მყოფადის წარმოებასთან და მყოფადის/მყოფადის წრის მწკრივების გამოყოფასთან. მეგრულში მყოფადი, თანამედროვე ქართულის მსგავსად, იწარმოება ზმნისწინითა და აწმყოს ფუძით:

ზმნისწინს (PRV)+აწმყო(PRS) = მომავალს (FUT)
ჭარ-უნ-ს – დო-ჭარ-უნ-ს
წერა-THM-PRS.S3.SG – PRV-წერა.FUT-THM-S3.SG

ადრეული პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, მეგრულში მყოფადის მწკრივი, შესაბამისად, მყოფადის წრის მწკრივები, ცალკე არ არის გამოყოფილი; კერძოდ, ი. ყიფშიძე აწმყო-მყოფადის დიფერენცირებას მხოლოდ ასპექტობრივად ახდენს (Кипшидзе 1914:059); არნ. ჩიქობავასთვის ზმნისწინის ერთ-ერთი ფუნქციაა მყოფადის წარმოება, თუმცა მწკრივის ფორმა მასაც არა აქვს გამოყოფილი (ჩიქობავა 1936:118; 152). კ. დანელიას მწკრივთა სისტემაში არა აქვს შეტანილი მყოფადისა და მყოფადის წრის მწკრივები, თუმცა ცალკე საუბრობს მყოფადის წარმოებაზე და აღნიშნავს, რომ „[მყოფადი] მეგრულში

ქართულისებურია, პრევერბები აწარმოებს აწმყოსგან“ (დანელია 2006:154).

მეგრულში მყოფადის მწკრივის გამოყოფისა და, საერთოდ, ორი სახის მყოფადის არსებობის საკითხი მოგვიანებით დასვა მ. მარგველაშვილმა (მარგველაშვილი 1980). ორი სახის მყოფადიდან ერთი ზმნისწინით ნაწარმოები *მყოფადსრულია* (დო-ჭარუნს „და-წერს“/PRV-V.PRS=FUT), ხოლო მეორე, ავტორის აღნიშვნით, აღწერითია, რომელიც *აწმყოს კავშირებითის*, ზოგჯერ *მყოფადის კავშირებითისა* და *პირობითი I-ის* მწკრივებს იყენებს და ურთავს მეშველ ზმნას *იჸუაფუ/იჸი* ქართ. „იქნება“ (მარგველაშვილი 1980:164-165):

- ***აწმყოს კავშირებითი + მეშველი ზმნა*** *(იჸი/იჸუაფუ „იქნება“): ჭარუნდას იჸი/იჸუაფუ „წერდეს იქნება“.*
- ***მყოფადის კავშირებითი + მეშველი ზმნა*** *(იჸი/იჸუაფუ „იქნება“): დოჭარუნდას იჸი/იჸუაფუ „დაწერდეს იქნება“.*
- ***პირობითი I + მეშველი ზმნა*** *(იჸიდუ/იჸუაფუდუ „იქნება“): ჭარუნდუკო იჸიდუ/იჸუაფუდუ „რომ ეწერა იქნებოდა“.*
  (მოდელები მოცემულია მ. მარგველაშვილის ზემოხსენებული ნაშრომის მიხედვით).

შენიშვნა 1:

ზემოდასახელებულ მოდელში მყოფადის კავშირებითის გამოყენება არ არის მოსალოდნელი. მ. მარგველაშვილის მოხმობილი საილუსტრაციო მაგალითი (მარგველაშვილი 1980:165) დაზუსტებას მოითხოვს.

მ. მარგველაშვილი ზემოხსენებულ ფორმებს ერთ მწკრივში აერთიანებს, სახელწოდებით: *მყოფადუსრული* (მარგველაშვი-

ლი 1980:164). ზ. ჭუმბურიძემ საყრდენი ფუძის მიხედვით გაანაცალკევა ერთმანეთისაგან *მყოფადუსრულის* მწკრივში გაერთიანებული ფორმები: ერთს (**აწმყოს კავშირებითი + მეშველი ზმნა**: *ჭარუნდას იცუაფუ/იცი „წერდეს იქნება“*) დაუტოვა ძველი სახელწოდება (*მყოფადუსრული*), ხოლო მეორეს: (**პირობითი I + მეშველი ზმნა**: *ჭარუნდუკო იცუაფუდუ/იციდუ „წერდა/რომ ეწერა იქნებოდა“*) უწოდა *პირობითუსრული* (ჭუმბურიძე 1986:133) *პირობითუსრულის* ცალკე მწკრივად გამოყოფას დაეთანხმა ო. ქაჯაიაც (ქაჯაია 2001:64), თუმცა არ შეცვლილა ამ მწკრივთა სტატუსი და ***უსრული ასპექტის მყოფადად*** განიხილებოდა.

აღსანიშნავია, რომ წლების წინ, ერთ-ერთ სამეცნიერო სემინარზე, ი. ქობალავამ გამოთქვა მოსაზრება **აწმყოს კავშირებითი + მეშველი ზმნა** (იცუაფუ/იცი *„იქნება“*) მოდელით გადმოცემული ზმნების დროული სემანტიკის შესახებ; კერძოდ, იგი აღნიშნავდა, რომ ამ ტიპის ზმნური ფორმები გამოიყენება **„აწმყოში მოქმედების თანადროულობის აღსანიშნავად“**. ეს დებულება ავტორმა მოგვიანებით გაიმეორა ბეჭდურად შენიშვნის სახით, როცა გააანალიზა დროის სემანტიკა მეგრულში, კერძოდ, ერთგანზომილებიანობა, უფრო ზუსტად კი, მოვლენათა თანადროულობის მორფოლოგიური გამოხატვის საკითხი (ქობალავა 2015:234). ი. ქობალავას მიზანი არ იყო ამ ტიპის ზმნათა სისტემური ანალიზი, ამიტომაც, ცხადია, ცალკე არ უმსჯელია მათ ფუნქციურ დანიშნულებაზე, სემანტიკურ ღირებულებასა თუ ზმნურ პარადიგმათა (მწკრივთა) სახელდების ადეკვატურობაზე.

სვანურში ორი ტიპის აწმყოს (ნეიტრალურისა და ეპისტემიკურის) არსებობის შესახებ მსჯელობისას გავლებულია პარალელი მეგრულთან და აღნიშნულია, რომ „ჭარუნდას იცუაფუ/იცი *„წერდეს იქნება“* ტიპის ფორმები, როგორც ჩანს, სვანურის

ინფერენციული აწმყოს (მყოფადუსრულის) იდენტური სემანტიკისაა“ (მარგიანი-სუბარი 2012:117)

აღნიშნული საკითხების ანალიზის ცდა მოცემულია რ. გერსამიას სტატიაში, რომლის მიზანია აწმყო-მყოფადის სისტემის შესწავლა მეგრულში (გერსამია 2013:95-101).

ჩვენი აზრით, ზემოხსენებულ სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემული მსჯელობები ითხოვს შევსებასა და დაზუსტებას, ზოგიერთ შემთხვევაში – ახლებურ გააზრებასაც.

- *არსებული თვალსაზრისების რეინტერპრეტაციის თეორიული საფუძვლები*

არსებული თვალსაზრისების შეფასება-ანალიზი საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს ემპირიული მასალის სხვაგვარი ინტერპრეტაცია, ეს მიზეზებია:

ა. *მეგრული ზმნური ფორმების სიტყვასიტყვით გადმოღება ქართულ ენაზე (ჭარუნდას იცუაფუ/იცი „წერდეს იქნება“), რის შედეგადაც ყურადღების მიღმა რჩება ამ ფორმათა სტრუქტურისა და სემანტიკის ურთიერთმიმართება.*

ბ. *მთლიანად იმ კონტექსტის/სიტუაციის გაუთვალისწინებლობა, რომელშიც ეს ზმნური ფორმები გამოიყენება.*

განვიხილოთ საანალიზო ფორმის *(ჭარუნდას იცუაფუ/იცი „წერდეს იქნება“)* შემადგენელი კომპონენტები ცალ-ცალკე: დავიწყებთ მეორე კომპონენტით.

ცალკე აღებული ***იცუაფუ/იცი*** მეგრულში *„ყოფნა“* ზმნის მომავალი დროის ფორმებია და მათი ქართული სემანტიკური შესატყვისია „იქნება“.

შენიშვნა 2:

*მეშველ ზმნას იყი/იყუაფუ ეტიმოლოგიურად „იყოლებას“ უკავშირებს მ. მარგველაშვილი (1980:164). ზ. ჭუმბურიძე ცალ-ცალკე განიხილავს ამ ფორმათა ეტიმოლოგიას: 1. იყიი (← იყიინ) წარმოშობით ხოლმეობითია („იყვის“); 2. იყუაფუ (← იყუაფუნ) იმავე **ყავ** ძირისგან **აფ** (←ებ) თემის ნიშნით წარმოქმნილი შედარებით ახალი ფორმაა (მისი ბადალი „იყვება“ ქართულში არ იხმარება, მას ცვლის ანალოგიურად ნაწარმოები „იქნება“) (ჭუმბურიძე 1986:137)*

იყი/იყუაფუ ფორმები მეგრულშიც, ქართულის მსგავსად, რამდენიმე მნიშვნელობით გამოიყენება: 1. დამოუკიდებელი ზმნური ერთეული; 2. ნაწილაკ-მორფემოიდი (შესაბამისი ქართულის მონაცემების შესახებ იხ. ჯორბენაძე და სხვები 1988:249-250). ქართულში მოდალურ ნაწილაკად ქცეული „იქნებ“ მომდინარეობს ერთპირიანი ზმნისგან „იქნება“, თუმცა ორივე ფორმა (იქნება || იქნებ) **გამოიყენება ნაწილაკის ფუნქციითაც** და გამოხატავს **დაეჭვება-შესაძლებლობას** (ჯორბენაძე და სხვები 1988:249). ასეთ შემთხვევაში „იქნება“ ომონიმიას ქმნის და განსხვავება ომონიმურ წყვილებს შორის (ზმნაა თუ ნაწილაკი) შესაძლებელია სემანტიკითა და გრამატიკული (მორფოლოგიური) მახასიათებლებით. მეშველი ზმნა, მათ შორის „იქნება“ ამავე ფუნქციით, იცვლება პირის, რიცხვისა და დრო-კილოთა მიხედვით (იხ. ჯორბენაძე და სხვები 1988:250), ხოლო ნაწილაკი უცვლელია. მეგრულის *მყოფადუსრულ* ფორმაშიც *იყუაფუ/იყი „იქნება“* უცვლელია, მხოლოდ მე-3 პირის ფორმით ერთვის ზმნის უღლებად ნაწილს. ეს ფაქტი შენიშნულია კიდეც სამეცნიერო ლიტერატურაში (იხ. მარგველაშვილი 1980:165), თუმცა ანალიზისას არ არის გათვალისწინებული: *იყუაფუ/იყი „იქნება“* მაინც მეშველ ზმნად სახელდება და მთლიანად ფორმა აღწერითად არის მიჩნეული (მარგველაშვილი 1980:164). ჩვენი აზრით,

***იყუაფუ/იყი „იქნება“*-ს გააზრებამ მომავალი დროის გამომხატველ მეშველ ზმნად განსაზღვრა ზმნური ფორმის სემანტიკა და იგი მიჩნეულ იქნა მყოფადად.** ენაში ზმნისწინიანი მყოფადის (მყოფადსრულის) არსებობის გამო, *იყუაფუ/იყი „იქნება“*-თი გადმოცემულ ფორმებს *მყოფადუსრული* ეწოდა. ამგვარი თვალსაზრისის ჯერ გაჩენასა და შემდგომ განვითარებას, როგორც ჩანს, ხელს უწყობდა როგორც მონათესავე ენის – სვანურის მონაცემები (იქ უკვე გამოყოფილი იყო *მყოფადუსრული*, თოფურია 1967:112), ასევე არამონათესავე ენებთან – რუსულთან, გერმანულთან ტიპოლოგიური მსგავსება (მარგველაშვილი 1980:164; ჭუმბურიძე 1986:136).

ბოლო პერიოდის ნაშრომში საანალიზო ფორმას (*ჭარუნდას იყუაფუ/იყი*) არა მყოფადის, არამედ აწმყოს კვალიფიკაცია აქვს (გერსამია 2013:96-98), მთლიანად ფორმის ანალიზისას აქაც ის მეთოდოლოგიური ხარვეზია დაშვებული, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი; სიტყვასიტყვით თარგმანსა (*ჭარუნდას იყი „წერდეს იქნება“*) და მწკრივის ახლებურ სახელდებას – *აწმყო უსრულის კავშირებითი* – საანალიზო ფორმის სემანტიკაში სიცხადე ვერ შეაქვს, მით უფრო, კონტექსტის გარეშე. *მყოფადი* და *მყოფადუსრული* ერთმანეთს შეიძლება დაუპირისპირდეს, როგორც სრული და უსრული ასპექტის ფორმები, რასაც ვერ ვიტყვით *აწმყოსა* და *აწმყო უსრულ*ზე, რადგან აწმყო თავისთავად უსრული ასპექტისაა. რაც შეეხება *„კავშირებითს“*, კილოს ეს სახეობა ხასიათდება სემანტიკური მრავალფეროვნებით, როგორც მოდალობის გამომხატველი; ამიტომ, სახელდებას თუ მოდალობის მიხედვით ვაზუსტებთ, კონკრეტულ სემანტიკაზე მინიშნება, ვფიქრობთ, აუცილებელია.

პირობითი I-ის მონაწილეობით გადმოცემული *პირობით-უსრული* საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ პირობითების გაჩენა საკუთრივ ზანურისთვის (მეგრულ-ლაზურისთვის) დამა-

ხასიათებელ მოვლენად ითვლება (დაწვრილებით იხ. ქობალავა 2001:118).

პირობითი I (resp. აწმყოს პირობითი) იწარმოება უწყვეტლის ფუძეზე **-კო** სუფიქსის დამატებით, რომელიც ოკო(ნ) „უნდა" ზმნისგან მომდინარეობს. მეშველი ზმნის სემანტიკა სინქრონიულ დონეზე დაჩრდილულია და **-კო** სუფიქსი პირობითობის გამომხატველი „მორფემიზებული ნაწილაკია" (Кипшидзе 1914:067- 068; ჩიქობავა 1936:117, 140; ქირია 2004:8). მიუხედავად ამისა, ი. ქობალავას არ მიაჩნია სწორად პირობითი კილოსა და პირობითობის გამომხატველი მწკრივების ცალკე გამოყოფა. მისი აზრით, პირობითის ფორმები კავშირებით კილოში უნდა გაერთიანდეს, რადგან თხრობითი კილოს მწკრივებმა მოდალური ნიუანსების გადმოსაცემად გაიჩინეს როგორც კავშირებითი, ასევე პირობითი კილოს ზმნური პარადიგმები (მწკრივები) და განასხვავეს ისინი დროის მიხედვით: **კავშირებითის ფორმები ახლანდელ ან მომავალ დროს გამოხატავენ, ხოლო პირობითები – წარსულს** (დაწვრილებით იხ. ქობალავა 2001:111-143). ი. ქობალავას მოსაზრებას ემთხვევა ე. დადიანის თვალსაზრისიც კავშირებითი და პირობითი ზმნური ფორმების ფუნქციურ-სემანტიკურ იგივეობასა და დროულ სხვაობაზე (იხ. დადიანი 2005:28-30, ამ საკითხებზე ქვემოთაც გვექნება მსჯელობა).

პირობითუსრული აერთიანებს ***პირობითი I-სა*** და მოდალურ ნაწილაკს ხოლმეობითის ფორმით: *იცუაფუდუ/იციდუ „იქნებოდა"*, თუმცა ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, პირობითის მწკრივი თავისი არსით და სემანტიკური შესაძლებლობებით ***მომავალ დროს ვერ გადმოსცემდა*** და მყოფადის ფორმას ვერ აწარმოებდა.

- *საანალიზო ფორმების კვალიფიკაციის საკითხი*

ზემოხსენებულ ფორმათა კვალიფიკაციის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული მათი ფორმაწარმოებისა და სემანტიკის შესწავლასთან. რადგან საანალიზო ფორმები ორი კომპონენტისგან შედგება: საუღლებელი ზმნა + ნაწილაკი (და არა მეშველი ზმნა), უფრო მიზანშეწონილია მათ ეწოდოთ არა აღწერითი (მ. მარგველაშვილი), არამედ რთული ფორმები (ჭუმბურიძე 1986:135)[46]. ამგვარი შედგენილობის ზმნათა სემანტიკისთვის გადამწყვეტია საუღლებელი, საყრდენი ზმნები.

ევიდენციალურ-ეპისტემიკური აწმყო (resp. მყოფადუსრული)

როგორც აღვნიშნეთ, *მყოფადუსრული* შედგება აწმყოს კავშირებითისა და მოდალური ნაწილაკისაგან. ***აწმყოს კავშირებითი*** „მართალია, ნაწარმოებია ნამყო უწყვეტლისგან, მაგრამ, კილოს შინაარსიდან გამომდინარე, დროში ინაცვლებს და იძენს ახლანდელი დროის გაგებას, წარმოადგენს აწმყოს მოდალურ ფორმას. ამ ფუნქციით იგი გამოხატავს აწმყოში არშემდგარ მოქმედებას და მის მიმართ მოლაპარაკე პირის დამოკიდებულებას... ამის მიხედვით ზმნური მოქმედება წარმოგვიდგება როგორც შესაძლებელი, სავარაუდებელი, სასურველი, ან სანატრელი“ (ქობალავა 2001:115); ამიტომ, სრულიად კანონზომიერია *აწმყოს კავშირებითით* გადმოცემული მოდალური ზმნისა და საეჭვოობა-ალბათობის გამომხატველი

46 რთულ ფორმათა რაობა-ინტერპრეტაციის საკითხი ვრცლად იხილეთ ქვემოთ.

მოდალური ნაწილაკის (*იცუაფუ/იცი* „იქნება“)[47] აზრობრივი შეხამება ამავე სემანტიკის გადმოსაცემად. ასეთ კომბინაციას ენა მიმართავს მაშინ, როდესაც აწმყოში ორი „თანადროული მოქმედება“ (ი. ქობალავა) უნდა შეეფარდოს ერთმანეთს; კერძოდ:

1. *მთქმელი აზოგადებს გამოცდილებით მიღებულ ცოდნას;*
2. *კონკრეტული შემთხვევისთვის არ არის დარწმუნებული მის განხორციელებაში.*

ამიტომ ახლავს მთქმელის ნათქვამს შესაძლებელ-სავარაუდოობის, საეჭვოობისა და ალბათობის ელფერი.

შესაბამისად, ამგვარი კვალიფიკაციის გათვალისწინებით, ორკომპონენტიანი რთული ფორმის სახელწოდებაა **ევიდენციალურ-ეპისტემიკური აწმყო** (იხ. აგრეთვე, თ.I , §1), ხოლო ქართულად გადმოტანისას სემანტიკური ნიუანსი შენარჩუნდება აწმყოს მწკრივისა და „ალბათ“ ნაწილაკის გამოყენებით: ***ჭარუნდას იცუაფუ / იცი*** – „წერს ალბათ“.

შენიშვნა 1:

*ზ. ჭუმბურიძეს შენიშნული აქვს, რომ ეს ფორმები „მეგრულში გამოყენებულია... **შესასრულებელი მოქმედების შესაძლებლობის, ალბათობის** აღსანიშნავადაც“ (ჭუმბურიძე 1986:136), ოღონდ მომავალ დროში, ამიტომ **აკეთენდას იცუაფუ/იცი**-ს ქართული ვერსია მოცემულია შემდეგნაირად: „შეიძლება აკეთებდეს“, „**ალბათ** გააკეთებს“ (ჭუმბურიძე, იქვე).*

---

47 იცუაფუ/იცი მოდალური ნაწილაკის მნიშვნელობაც საეჭვოობა, სავარაუდოობაა, შდრ.: მისი ქართული შესატყვისი „*იქნება*“ ნაწილაკის სემანტიკა (ჯორბენაძე და სხვები 1988:249).

(1) *ჩქიმ ძღაბი ასე* ***ჭარუნდას იცი****, დიო ვეგმურს გაჲე (გამოცდაზე შესული აბიტურიენტის მშობლის ნათქვამი) (მასალები) „ჩემი გოგო ახლა* ***წერს ალბათ****, ჯერ არ გამოვა გარეთ“.*

(2) *ინა ბიბლიოთეკას* ***მიახედას იცი*** *დო* ***ხანტუნდას იცი****, ვართ ღუჩა მუჲა შუ, ვართ ოჭკომაი (მასალები) „ის ბიბლიოთეკაში* ***ზის ალბათ*** *და* ***ხატავს ალბათ****, არც სახლში მოსვლა ახსოვს, არც საჭმელი [საჭმლის ჭამა]“.*

(3) *თინეფი ასე აშო* ***მიშან იცი*** *(მასალები) „ისინი ახლა აქეთ* ***მოდიან ალბათ****“.*

(4) *ასე თინეფი ჩაის* ***შუნდან იცუაფუ*** *(ხუბუა 215:7) „ახლა ისინი ჩაის* ***სვამენ ალბათ****“.*

(5) *სტორს* ***მიკოხედან იცი*** *დო* ***ბარჩაჲანდან იცი****, მემოჯინუნი აკა (მასალები) „მაგიდასთან* ***სხედან ალბათ*** *და* ***მასლაათობენ ალბათ****, ნეტა შემახედა.*

- *„აწმყო-მყოფადის“ საკითხი და ევიდენციალურ-ეპისტემიკური აწმყო*

ცნობილია, რომ ქართველურ ენებში მყოფადი სინქრონიულ დონეზე ზმნისწინიანი აწმყოს გადააზრიანებით ჩამოყალიბდა[48]. ამის შედეგად, მეგრულში ი. ყიფშიძეს მყოფადი აწმყოს სრულასპექტიან ფორმებად მიაჩნდა და მათ ერთი საერთო – *„აწმყო-მყოფადის“* – სახელით მოიხსენიებდა (Кипшидзе 1914:059). აწმყოსა და მყოფადის ფორმათა ცალ-

48 ამჯერად არ ვეხებით ლაზურში მყოფადის მეშველზმნიან წარმოებას, რადგან ამ ფაქტს საანალიზო საკითხისთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

ცალკე განხილვის აუცილებლობა და საჭიროება სათანადოდაა დასაბუთებული სპეციალურ ლიტერატურაში (იხ. ჭუმბურიძე 1986:132-146) და ამაზე სიტყვას აქ აღარ გავაგრძელებთ; უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ, საერთო წარმომავლობის გამო, ზოგჯერ აწმყოსა და მყოფადს საზიარო ფორმები აქვთ და მნიშვნელობათა დიფერენციაცია მხოლოდ სპეციალური ზმნიზედებით ხორციელდება. ამგვარი ურთიერთმიმართება შესაძლებელია *ევიდენციალურ-ეპისტემიკურ აწმყოსა* და *მყოფადს* შორისაც; კერძოდ, მხედველობაში გვაქვს აბსოლუტური და რელატიური სტატიკური ზმნები, რომლებიც **ი–უ** და **ა–უ** ყალიბებითაა ნაწარმოები. აღსანიშნავია, რომ მათ მოეპოვებათ მეშველი ზმნის ნაშთით გართულებული პარალელური ფორმებიც:

ი-ჯვენ-უ || ი-ჯვენ-უ-აფ-უ[49] „იწვება“/„იწოლება“
ი-ხვენ-უ || ი-ხვენ-უ-აფ-უ „იჯდება“/„იჯდომება“
მიკ-ა-ქვენ-უ || მიკ-ა-ქვენ-უ-აფ-უ „ეცმევა (ტანსაცმელი)“
მ-ა-ძვენ-უ || მ-ა-ძვენ-უ-აფ-უ „ეცმევა (ფეხსაცმელი)“ და სხვ.

ამგვარ ფორმათა არსებობა სამეცნიერო ლიტერატურაში ადრეულ ეტაპზე იყო შენიშნული. ი. ყიფშიძის აზრით, ასეთი ყალიბის ზმნებით შესაძლებელი იყო მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმათა მონაცვლეობა (Кипшидзе 1914:057). ამ მოდელებს ზ. ჭუმბურიძე მყოფადის წარმოების საშუალებად მიიჩნევდა ერთპირიანი და ორპირიანი სტატიკური ზმნებისთვის (ჭუმბურიძე 1986:139). რ. შეროზიას მიხედვით, ეს ზმნები აღნიშნავენ **„მდგომარეობას, მდებარეობას,** – უფრო სწორად,

49 იჯვენუ-აფ-უ (-აფ-უ ← ი-ცუ-აფ-უ „ი-ყვ-ებ-ა“) შდრ.: ჯანუდას ი-ცუ-აფ-უ.

სავარაუდო მდგომარეობას, მდებარეობას; **ვარაუდის (ალბათობის) გამოსახატავად გამოიყენება ისინი და არა დროისა**" (შეროზია 1997:189).

ჩვენი აზრით, რაკი ეს ფორმები ზოგადი დროის გაგებას შეიცავენ, ამიტომ არის შესაძლებელი მათი „მართვა" ზმნიზედების საშუალებით ახლანდელი ან მომავალი დროის კონტექსტის გადმოსაცემად. ისინი ამ გზით ახერხებენ შეინარჩუნონ ძირითადი ფუნქციის – საეჭვოობა-სავარაუდოობის, ალბათობის – გამოხატვის შესაძლებლობა.

*(6) ასე ჩქიმ ბოში აეროპორტის **ი-ხვენ-უ/იხვენუაფუ** (მასალები) „ახლა ჩემი ბიჭი აეროპორტში **იჯდება (ზის) ალბათ**" – ახლანდელი დრო*

*(7) ჭუმე თე დროს ჩქიმ ბოში აეროპორტის **ი-ხვენ-უ/იხვენუაფუ** (მასალები) „ხვალ ამ დროს ჩემი ბიჭი აეროპორტში **იჯდება ალბათ** " – მომავალი დრო*

*(8) ამდღა ონგარუს **მიკაქვენუ/მიკაქვენუაფუ** თე კაბა (მასალები) „დღეს სატირალში **ეცმევა ალბათ** ეს კაბა" – ახლანდელი დრო*

*(9) ჭუმე ონგარუს **მიკაქვენუ/მიკაქვენუაფუ** თე კაბა (მასალები) „ხვალ სატირალში **ეცმევა ალბათ** ეს კაბა" – მომავალი დრო*

- ***ევიდენციალურ-ეპისტემიკური იმპერფექტი I***
  (resp. პირობითუსრული)

პირობითი I-ის მწკრივი „იმავე შინაარსის მოდალობას გამოხატავს, რასაც აწმყოს კავშირებითის ფორმები – არშემდგარ მოქმედებას და ამ მოქმედების შეფასებას მოლაპარაკე პირის თვალსაზრისით. განსხვავებას ქმნის მხოლოდ დრო"

(ქობალავა 2001:118); კერძოდ, **თანადროულობა აწმყოდან გადატანილია წარსულში** და გადმოიცემა *პირობითი I-ით*[50] შესაბამის მოდალურ ნაწილაკთან (*იცუაფუდუ /იციდუ „იქნებოდა“)* ერთად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ქობალავას აზრით, *აწმყოს კავშირებითი* და *პირობითი I* (resp. აწმყოს პირობითი) ფუნქცია-სემანტიკისა და კილოს მიხედვით ერთგვარი მწკრივებია. ისინი კავშირებითი კილოს მოდალურ ნიუანსებს გადმოსცემენ აწმყოსა და წარსულში: „თუ აწმყოს კავშირებითი წარმოადგენს აწმყოს, თხრობითკილოიანი მწკრივის, მოდალურ ვარიანტს, -კო ნაწილაკით ნაწარმოები მწკრივი [პირობითი I/აწმყოს პირობითი] მეორე თხრობითკილოიანი მწკრივის – ნ. [ნამყო] უწყვეტლის მოდალური ვარიანტია, რომელსაც ეკისრება იმ მრავალფეროვანი სემანტიკური ნიუანსების გამოხატვა, რასაც აწმყოს მოდალური ფორმები გამოხატავენ“ (ქობალავა 2001:118-119). მეგრულში ამ ორი მოდალური მწკრივის *(აწმყოს კავშირებითი* და *აწმყოს პირობითი)* კილოურ იგივეობაზე მსჯელობისას ი. ქობალავა, შენიშვნის სახით, პარალელს ავლებს სწორედ ზემოხსენებულ ევიდენციალურ-ეპისტემიკურ ფორმებთან (ქობალავა 2001:119).

შესაბამისად, ამგვარი კვალიფიკაციის გათვალისწინებით, ორკომპონენტიანი რთული ფორმის სახელწოდებაა ***ევიდენციალურ-ეპისტემიკური იმპერფექტი*** I (იხ. აგრეთვე, თ. I, §1), ხოლო ქართულად გადმოტანისას სემანტიკური ნიუანსი ადეკვატურად შენარჩუნდება *უწყვეტლის* მწკრივითა და *ალბათ* ნაწილაკის გამოყენებით: **ჭარუნდუკო იცუაფუდუ/იციდუ „წერდა ალბათ“**.

50 „პირობითის“ ფორმებით გადმოცემული მოქმედება აუცილებლად წარსული დროის გაგებას შეიცავს“ (დადიანი 2005:28).

შენიშვნა 2:

მეგრული ფორმის ქართულად ამგვარად გადმოტანის სასარგებლოდ ლაპარაკობს პირობითის ერთ-ერთი სემანტიკური ნიუანსი – ა ლ ბ ა თ ო ბ ა: „რამდენადაც პირობითი სავარაუდებელ მოქმედებას გამოხატავს, მას... ხშირად აქვს ალბათობის შინაარსიც“ (ქობალავა 2001:118).

(10) ღუმა ჩქიმ ოსურს ***ელუჯანუდუკონი იცუაფუდუა*** *(ხუბუა 289:35) „წუხელ ჩემი ცოლის გვერდით* ***იწვებოდა (იწოლებოდა) ალბათო“.***

(11) ჩქვმი ჯიმავა ღუმავა სი ***ელაიჯანუდუკონ იცუაფუდუა*** *(ხუბუა 300:2) „ჩემი ძმაო წუხელო შენ გვერდით იწვებოდა (იწოლებოდა) ალბათო“.*

(12) თიმსერს კამპანიას ლივერს თინა ***ოცოთანდუკო იცუაფუდუა*** *(მასალები) „იმ ღამეს ქორწილში რევოლვერს ის* ***ისროდა ალბათო“.***

(13) თეი სერს ტყას ***მითორდუკონი იცუაფუდუა*** *(მასალები) „მთელ ღამეს ტყეში* ***იმყოფებოდა ალბათო“.***

(14) სკან ამბე მიჩქუ, თექ ***ჩხუბენდიკო იცუაფუდუა*** *(მასალები) „შენი ამბავი რომ ვიცი, იქ* ***ჩხუბობდი ალბათო“.***

სტატიკურმა ზმნებმა **ი–უ** და **ა–უ** ყალიბებითაც შეიძლება გადმოსცენ წარსული (იმპერფექტული) დროის ევიდენციალურ-ეპისტემიკური შინაარსი (შდრ.: აწმყო-მყოფადის სემანტიკური ნიუანსების მონაცვლეობა).

(15) თექ ***იხვენუაფუდუ****, სო იშუ აბა?! (მასალები) „იქ* ***იჯდებოდა/იჯდომებოდა ალბათ****, სად წავიდოდა აბა?!“*

(16) თი ბოთლი თექ ***გიდგვენუდუ*** *სტორს, მარა სი ვაძირუნდი (მასალები) „ის ბოთლი იქ* ***იდგმებოდა ალბათ****, მაგრამ შენ ვერ ნახავდი“.*

(17) თის ***მაძვენუაფუდუ*** *დიარას ახაი კუჩხიშ მადვაჲარი (მასალები) „იმას* ***ალბათ ეცმეოდა*** *ქორწილში ახალი ფეხსაცმელი“.*

ი–უ და ა–უ ყალიბებით ევიდენციალურ-ეპისტემიკური შინაარსის გადმოცემა ნაკლული პარადიგმით ხასიათდება, რადგან ზმნათა გარკვეული ჯგუფისთვის, ძირითადად, მდგომარეობა-მდებარეობის გამომხატველთათვის არის დამახასიათებელი (იხ. შეროზია 1997:190).

- *რთულ ფორმათა ჩამოყალიბების გზა*[51]

მეგრულში, როგორც საკითხის ანალიზმა აჩვენა, ევიდენციალურ-ეპისტემიკური მწკრივები **რთული ფორმებია** და ორი კომპონენტისგან შედგება: **საუღლებელი ზმნა + ნაწილაკი**. რთულ ფორმათა კომპონენტები ტრადიციულად (გამოცემულ ტექსტებში) ცალ-ცალკე იწერება, თუმცა სემანტიკურად ერთიანია და ამ თვალსაზრისით მათი ძირითადი მახასიათებლებია:

I. ***ფორმალური განუყოფლობა / კომპონენტებს შორის მაქსიმალური შეკავშირებულობა****, რაც გამოიხატება შემდეგი ნიშნებით:*

51 დამუშავებულია ა. არაბულის მიხედვით, *ანალიზურ ფორმათა ჩამოყალიბების საკითხები*, იხ. არაბული 1984:98-118.

1. *მიმდევრობა უცვლელია (ნაწილაკი ყოველთვის მოსდევს საყრდენ-საუღლებელ ზმნას):*

   ჭარუნდას იცუაფუ/იცია „ალბათ წერს“, ჭარუნდას იცუაფუდუ/იციდუ „ალბათ წერდა“;

2. *უშუალო კონტაქტი მყარია (საუღლებელი ზმნისა და ნაწილაკის გათიშვა შეუძლებელია);*

3. *ნაწილაკი იჩენს გამარტივების ტენდენციას:*

   ***იცია → ია**, ასეთ შემთხვევაში შერწყმულია ზმნასთან: **ჭარუნდასია** „ალბათ წერს“, **ხანტუნდასია** „ალბათ ხატავს“, **აშენენდასია** „ალბათ აშენებს“, **მიშასია** „ალბათ მოდის“ **და სხვ.**[52]*

4. *კომპონენტებს შორის გამორიცხულია სინტაქსური კავშირი.*

II. ***სემანტიკური დაუშლელობა / ერთმნიშვნელიანობა,***
რაც გულისხმობს:

1. *ფორმა არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს, მათ შორის ფუნქციები გადანაწილებულია:*

   ა. *პირველი კომპონენტი (საუღლებელი ზმნა) ლექსიკურ-გრამატიკული მნიშვნელობის მატარებელია;*

   ბ. *მეორე კომპონენტი (ნაწილაკი) ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელია.*

2. *ფორმა წარმოადგენს გრამატიკული და ლექსიკური მნიშვნელობების ნაერთს, რომელსაც ევიდენციალურ-ეპისტემიკური სემანტიკის გამოხატვა შეუძლია.*

---

52 რთულ ფორმაში *იცია* კომპონენტის გამარტივებისა და ნაწილაკად ქცევის ტენდენცია *(იცია// ია)* შენიშნული აქვს ზ. ჭუმბურიძეს (ჭუმბურიძე 1986:137).

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ევიდენციალურ-ეპისტემიკური სემანტიკის რთულ ფორმებს შეიძლება **„მორფოლოგიზებული"** ერთეულები ვუწოდოთ და დამოუკიდებელ ზმნურ პარადიგმებად მივიჩნიოთ[53].

53 შდრ.: ზ. ჭუმბურიძის თვალსაზრისი ამ ფორმათა I სერიაში განთავსების შესახებ (იხ. თ. I, § 3).

6. ევიდენციალობისა და ეპისტემიკური მოდალობის ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში

ევიდენციალობისა და მოდალობის, უფრო ზუსტად, ეპისტემიკური მოდალობის, ურთიერთმიმართებაზე სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ამგვარი დამოკიდებულება გამოწვეულია იმითიც, რომ არსებობს თავად ევიდენციალობის კატეგორიის ორგვარი გაგება: ფართო და ვიწრო. ფართო გაგებით, ევიდენციალობა და ეპისტემიკური (საეჭვო, სავარაუდო, დაუზუსტებელი) მოდალობა განიხილება როგორც ერთი კატეგორია, ხოლო, ვიწრო გაგებით, ევიდენციალობა და ეპისტემიკა ორი სხვადასხვა კატეგორიაა, თუმცა ერთმანეთთან დაკავშირებული: ევიდენციალობა ემსახურება ინფორმაციის წყაროზე მითითებას, ეპისტემიკური მოდალობა – ინფორმაციის სანდოობის შეფასებას.

ამრიგად, ევიდენციალობისა და ეპისტემიკის ურთიერთმიმართების შესახებ განსხვავებული მოსაზრებები შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

ა. *მათ ერთმანეთისაგან განასხვავებენ (დიზუნქციური ურთიერთმიმართება);*

ბ. *ევიდენციალობის ფარგლებში განიხილავენ ეპისტემიკურ მოდალობას ან პირიქით (ინკლუზიური ურთიერთმიმართება);*

გ. მიაჩნიათ, რომ ისინი ნაწილობრივ ფარავენ ერთმანეთს (ინფერენციული ევიდენციალობა – კონკლუზივი).

ჩვენი აზრით, პრობლემის გადასაჭრელად ერთი უნივერსალური ფორმულა არ არსებობს, ვინაიდან განსხვავებული აგებულების ენებში მიმართება ევიდენციალობასა და ეპისტემიკას შორის სხვადასხვაგვარია და დიდწილად არის დამოკიდებული ზმნის ფორმათა მორფოსემანტიკურ შესაძლებლობებზე. როგორც წარმოდგენილი თვალსაზრისებიდან ჩანს, ერთ-ერთი უმთავრესი დეტალი, რაც ევიდენციალობასა და ეპისტემიკურ მოდალობას აახლოებს, არის ***მთქმელის დამოკიდებულება გამონათქვამთან: ის უთითებს მის მიერ გადმოცემული ინფორმაციის წყაროზე და აფასებს (ან არ აფასებს – არაეპისტემიკური ევიდენციალობა) ამ ინფორმაციის სანდოობას.***

ეპისტემიკურია გამონათქვამი, *თუ მთქმელის მიერ გადმოცემული ინფორმაცია არის* ფიქრის, განსჯის, ისტორიული მეხსიერების, გამოცდილების შედეგი, მთქმელის ფონურ ცოდნაზე დამყარებული ლოგიკური დასკვნა, რაც თავისთავად უკვე გულისხმობს ინფორმაციის გარეშე წყაროზე მითითებასაც. ამიტომაც, ზოგიერთ ენაში ევიდენციალობისა და ეპისტემიკური მოდალობის გამომხატველი ზმნები საზიაროა, თუმცა ამგვარი მოვლენა არ არის უნივერსალური და ზოგჯერ მონათესავე, ერთი ჯგუფის ენებიც კი, ამ მხრივ სხვადასხვა სურათს აჩვენებენ. ამ თვალსაზრისით განსხვავებულია ვითარება ქართველურ ენებშიც.

ცნობილია, რომ ქართველურ ენებში ზმნურ ფორმათა კლასიფიკაცია სერიების მიხედვით მორფოსინტაქსური პრინციპით ხდება. სამ სერიაში განაწილებულია თერთმეტი მწკრივი, რომელთაგან ორი ევიდენციალურია და საერთოა ყველა ქართვე-

ლური ენისთვის; ესენია: ***ევიდენციალური პერფექტი I, ევიდენციალური პერფექტი II*** (ყველაზე გავრცელებული ტერმინებით, იგივე: *I თურმეობითი, II თურმეობითი*).

აღნიშნული ევიდენციალური მწკრივები ეპისტემიკურ მოდალობას არ ითავსებენ. მათი საშუალებით მთქმელი მხოლოდ მოქმედების ან მდგომარეობის უნახაობას გამოხატავს ინფორმაციის სანდოობის შეფასების გარეშე. მართალია, ინფორმაციის წყარო შეიძლება იყოს როგორც ვერბალობა, ასევე ინფერენციაც, მაგრამ ეს უკანასკნელი ეყრდნობა უნახავი მოქმედების კვალს და არა მთქმელის ფონურ ცოდნას ან ისტორიულ გამოცდილებას. ამიტომაც, მას არასოდეს ახლავს საეჭვოობის ელფერი.

უდამწერლობო ქართველური ენები სალიტერატურო ენისგან განსხვავებულ სემანტიკურ ნიუანსებს ხშირად მორფოლოგიური საშუალებებით გამოხატავენ. **ევიდენციალობასთან დაკავშირებითაც მათ დამატებით გაიჩინეს ამ კატეგორიის გამომხატველი როგორც მოდალიზებული, ასევე არამოდალიზებული მწკრივები.**

სვანურში სალიტერატურო ენისაგან განსხვავებული სულ რვა ევიდენციალური მწკრივია; აქედან, ექვსი მოდალიზებულია, ორი – არამოდალიზებული. **მეგრულში** დამატებით სულ ოთხი ევიდენციალური მწკრივია გაჩენილი; აქედან, ორი მოდალიზებულია და ორი არამოდალიზებული. **ლაზურის** მასალაზე განხილული გვაქვს დამატებით გაჩენილი მხოლოდ ევიდენციალური არამოდალიზებული მწკრივები, ამიტომ ამ პარაგრაფში ლაზურის მონაცემებზე არ ვიმსჯელებთ.

I. მოდალიზებული ევიდენციალური პერფექტი

საკუთრივ სვანური (ქართული სალიტერატურო ენისაგან განსხვავებული) ევიდენციალური პერფექტული ფორმებისთვის *(ევიდენციალური პერფექტი III, ევიდენციალური პერფექტი IV)*, დანარჩენი ევიდენციალური ფორმებისგან განსხვავებით, ინფორმაციის წყარო მხოლოდ და მხოლოდ მთქმელის ინფერენციაა, რომელიც ეყრდნობა არა უშუალოდ მოქმედების კვალს, არამედ მთქმელის ფონურ ცოდნას, გამოცდილებას. ამიტომაც ის უფრო მეტად არის დაშორებული „იდეალურ ცოდნას" და გადახრილია საეჭვოობისკენ. ეს ზმნები სტატიკური ზმნების რეინტერპრეტირებული პერფექტული ფორმებია, რომლებიც ევიდენციალურ პერფექტ I-სა და ევიდენციალურ პერფექტ II-ს (resp. შედეგობით I-სა და შედეგობით II-ს) ეკედლებიან დროის თვალსაზრისით და უპირისპირდებიან ეპისტემიკურობით:

ევიდენციალური პერფექტი III

(1) *ხეᲓრი „ალბათ უწერია/ალბათ ნაწერი აქვს მას ის".*
შდრ.:
ევიდენციალური პერფექტი I (resp. ნამყოსრული, შედეგობითი I)

(2) *ხᲐᲓრენა „თურმე უწერია/თურმე ნაწერი აქვს მას ის".*

ევიდენციალური პერფექტი IV

(3) *ხეᲓრრლ „ალბათ ეწერა/ალბათ ნაწერი ჰქონდა მას ის".*
შდრ.:

ევიდენციალური პერფექტი II (resp. ნამყოწინარეწარსული, შედეგობითი II):

(4)ხოჺრჳნ „თურმე ეწერა/თურმე ნაწერი ჰქონდა მას ის“.

II. ევიდენციალურ-ეპისტემიკური აწმყო

არაპერფექტულ ევიდენციალურ მწკრივთაგან ეპისტემიკური მოდალობისაა ასევე ***ევიდენციალურ-ეპისტემიკური აწმყო*** (resp. ინფერენციული აწმყო/მყოფადუსრული) **სვანურსა** და **მეგრულში**. აღნიშნული მწკრივის ფორმები ახლანდელ დროში გამოხატავენ მთქმელის მიერ დასახელებულ მოქმედებას, რომელსაც შესაძლებელ-სავარაუდოობის, ალბათობის ელფერი ახლავს.

ევიდენციალურ-ეპისტემიკური აწმყო (ინფერენციული აწმყო) სწორედ ევიდენციალობა-ეპისტემიკურობით უპირისპირდება ჩვეულებრივ (ნეიტრალურ) აწმყოს:

სვანური: *ჳდრუნი* „ალბათ წერს“, შდრ. ნეიტრალური აწმყო: *ჳდრი* „წერს“.

მეგრული: *ჭარუნდას იცუაფუ/იცი* „წერს ალბათ“, შდრ. ნეიტრალური აწმყო: *ჭარუნს* „წერს“.

III. *ევიდენციალურ-ეპისტემიკური მყოფადი*

ევიდენციალურ-ეპისტემიკური მყოფადი (*მყოფადსრული*) დასტურდება სვანურში: *ადიჺრნე* „ალბათ დაწერს“, შდრ. ნეიტრალური მყოფადი *ჩუჳდრი „დაწერს“.*

IV. ევიდენციალურ-ეპისტემიკური იმპერფექტი I
(უსრული პირობითი/პირობითუსრული)

ეს მწკრივი დასტურდება **სვანურსა** და **მეგრულში** და უპირისპირდება უწყვეტელს (იმპერფექტს). მოდალიზებული მწკრივით

გადმოცემულია მთქმელის მიერ დასახელებული მოქმედების შესაძლებლობა-სავარაუდოობა, ალბათობა წარსულში. მთქმელის ვარაუდი ეფუძნება მის გარკვეულ გამოცდილებას, რომელსაც ის კონკრეტული შემთხვევისთვის განაზოგადებს:

სვანური: *Ადრუნრლ* „ალბათ წერდა“, „რომ ეწერა“, შდრ.: უწყვეტელი: *Აირდა* „წერდა“;

მეგრული: *ჭარუნდუკო იყიდუ/იყუაფუდუ* „წერდა/რომ ეწერა იქნებოდა“/„ალბათ წერდა“.

ევიდენციალურ-ეპისტემიკური იმპერფექტი II (სრული პირობითი) დასტურდება **სვანურში** და უპირისპირდება ხოლმეობითს: *ადᲘრნა* „ალბათ დაწერდა“, შდრ.: *ჩუᲘრდა* (ხოლმეობითი) „დაწერდა“.

ეპისტემიკურობას ზემოხსენებულ აღნიშნულ ფორმებში განაპირობებს ის, რომ ინფორმაციის წყარო მთქმელისთვის ინფერენციაა, რომელიც ეფუძნება არა უშუალოდ მოქმედების კვალს, არამედ მთქმელის ფონურ ცოდნას მოქმედების/მოვლენის შესახებ. მაშასადამე, თუ ყველა ქართველური ენისთვის საერთო ევიდენციალური პერფექტული მწკრივებით (ინვერსიული თურმეობითებით) გამოხატული ინფერენციული ინფორმაცია სანდოობის ხარისხით თითქმის უტოლდება პერცეფციულს, რადგან მთქმელი უშუალო კვალის მიხედვით მსჯელობს, არაპერფექტული ზმნებით გამოხატული ინფერენცია, I სერიის თურმეობითების გამოკლებით, აუცილებლად შეიცავს სავარაუდოობას, საეჭვოობას, ვინაიდან ფონური ცოდნის ნიადაგზე გამოტანილი დასკვნა უფრო მეტადაა დაშორებული საანალიზო ფაქტისგან, ვიდრე უშუალო კვალზე დაფუძნებული. სხვაგვარად რომ ვთქვათ: კვალის მიხედვით გაკეთებული დასკვნა გაცილებით რე-

ალურია (ამიტომაც არ უთავსდება ამ ზმნათა სემანტიკას ინფორმაციის სანდოობის ხარისხის შეფასება!), ვიდრე გამოცდილების, ფონური ცოდნის, გვერდითი მოვლენების განზოგადებით მიღებული.

ევიდენციალობისა და ეპისტემიკის ურთიერთმიმართების გამოსაკვეთად, ვფიქრობთ, ხაზი უნდა გაესვას სვანური ენის მონაცემებს, სადაც ევიდენციალობა მორფოლოგიურად მარკირებულია; ევიდენციალობის მორფემა დაერთვის როგორც ეპისტემიკური მნიშვნელობის, ასევე არაეპისტემიკური მნიშვნელობის მწკრივებს. მეგრულში სპეციალური ზმნური პარადიგმები დასტურდება მოდალიზებული ეპისტემიკური მწკრივებისთვის. **სვანურისა და მეგრულის მონაცემების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ყველა ეპისტემიკური ზმნა ევიდენციალურია, მაგრამ ყველა ევიდენციალური ზმნა ეპისტემიკური არ არის**. სხვაგვარად: ეპისტემიკა მხოლოდ მოდალობაა, რომელიც მჭიდრო კავშირშია ევიდენციალობის კატეგორიასთან, მაგრამ არ არის მის შემადგენლობაში სემანტიკურად სავალდებულო ფაქტორი.

საბოლოოდ საკითხი ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

ა. ***არამოდალიზებული*** *(არაეპისტემიკური) ევიდენციალური ფორმებით გამოხატულ ინფერენციულ ინფორმაციასა და მთქმელს შორის დისტანცია გაცილებით მცირეა, ვიდრე ეპისტემიკური მოდალობის ფორმებით გადმოცემულ ინფორმაციასა და მთქმელს შორის;*

*ბ. **არამოდალიზებული** ევიდენციალური ფორმებით გადმოცემული ინფორმაციის შესახებ სანდოობას ან საეჭვოობას მთქმელი არ აფასებს;*

*გ. **მოდალიზებული** ევიდენციალური ფორმებით გადმოცემისას კი ინფორმაციის დადასტურებულობის, ასევე, მთქმელის დარწმუნებულობის დაბალი ხარისხი აისახება ამ ზმნათა სემანტიკაში.*

7. გრამატიკული დრო ქართველურ ენათა ევიდენციალურ მწკრივებში

ზმნური ევიდენციალობა თავისი არსით მჭიდროდ არის დაკავშირებული დროსთან. ცნობილია, რომ გრამატიკული დრო სამი სახითაა წარმოდგენილი ქართველურ ენებში (წარსული-ახლანდელი-მომავალი), თუმცა *დროის* ცნება უფრო ფართო და ზოგადი მნიშვნელობისაა, ამიტომ, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, დროის სამწევროვანი მონაკვეთები, როგორც წესი, მეტ დანაწევრება-დაკონკრეტებას მოითხოვენ. ამჯერად საინტერესოა, *უნახაობის, საეჭვოობა-სავარაუდოობის* ენობრივი გამოხატვა როგორ არის გადატანილი გრამატიკული დროის ჩარჩოში და რა რესურსი გააჩნია ენას ამისთვის.

ქვემოთ, ო. იესპერსენის კლასიკურ სქემაზე (Есперсен 1958:300) კარგად ჩანს წარსულის, აწმყოსა და მომავლის ურთიერთმიმართება:

---------- 0 ---------->
წარსული აწმყო მომავალი

ამ სქემის მიხედვით, დრო არსებობს ერთ, ჰორიზონტალურ განზომილებაში, წრფივია, ცალმხრივად მიმართული – მარცხნიდან მარჯვნივ, როგორც შეუქცევადი პროცესი (წარმოდგენილია ა. არაბულისა და ი. ქობალავას ნაშრომთა მიხედვით: არაბული 1992:106-107; ქობალავა 2015:227). ცნობილია,

რომ სამი ფორმიდან (წარსული, ახლანდელი, მომავალი) რეალურად მხოლოდ წარსულის აღქმაა შესაძლებელი, მომავალი ირეალური დროა, ხოლო ახლანდელი „გვევლინება **ათვლის წერტილად** მის წინმსწრებ – ნამყო და მომდევნო – მყოფად დროთა იდენტიფიკაციისათვის“ (ქობალავა 2015:225). ა. შანიძე გრამატიკულ დროს განსაზღვრავს უბნობისა და მოქმედების მომენტთა ურთიერთმიმართებით (შანიძე 1980:198); ფაქტობრივად, იმავე შინაარსისაა არნ. ჩიქობავას განმარტებაც (ჩიქობავა 1939:141). ამ განმარტებებზე დაყრდნობით, ა. არაბული მართებულად შენიშნავს, რომ „დრო – მოქმედების მომენტის შეფარდება უბნობის მომენტთან (სამეტყველო სიტუაციასთან), შეიძლება ითქვას, უნივერსალური განმარტებაა, უბნობის მომენტი ყველგან ათვლის წერტილად არის აღიარებული“ (არაბული 1992:106), თუმცა დროის კატეგორიის უფრო ზუსტი და სრულყოფილი კვალიფიკაციისთვის, საუბრის მომენტთან ერთად, საორიენტაციოდ, სხვა დროულ მომენტს – „დროულ ლოკაციასაც“ (ა. არაბული) ითვალისწინებენ (იხ. Грамматика...1960:472; არაბული, 1992:107). „ათვლის წერტილად (აწმყოდ) ყოველთვის მოიაზრება სამეტყველო სიტუაცია, დამატებითი ათვლის წერტილი შეიძლება გახდეს რომელიმე სხვა დროული სიტუაცია“, ამიტომ **„გრამატიკული დრო არის ზმნური ფორმის სემანტიკური უნარი, ენობრივად ასახოს სინამდვილის დროული დიფერენცირება“** (არაბული 1992, იქვე).

რამდენადაც ლინგვისტური დრო არსებობს ***ადამიანის მენტალობაში*** (Касевич 2013:42; ქობალავა 2015:218), იმდენად არის შესაძლებელი, დროის ასახვის ერთიანი და უწყვეტი პროცესი ენობრივ გამოხატულებაში იყოს ცალკეულ პერიოდებად დაყოფილ-დანაწევრებული. პერიოდებს შორის მიმართება ქმნის „დროით სტრუქტურებს“ (Filmore 1997:45), რითიც

გაცხადებულია მოვლენათა **უწინარესობა** და **შემდგომობა**, ან **თანადროულობა**. დროის გრამატიკული კატეგორიის დანაწევრების მრავალფეროვანი შესაძლებლობები კარგად ჩანს იესპერსენის გაფართოებულ სქემაზე (Есперсен 1958:300-301), რომლის მიხედვით გრამატიკულად რამდენიმე ნამყო ან მყოფადი შეიძლება იყოს წარმოდგენილი, ხოლო აწმყო ერთია, რომლის განზოგადება შესაძლებელია. **„აწმყო**, რომლის კონკრეტული წარმომადგენელიცაა **„ახლა"**, დროითი მიმართულების გამოხატვის თვალსაზრისით, ნულოვანია, მაგრამ მეხსიერება საშუალებას გვაძლევს „დავინახოთ" **წარსული**, რომელსაც **„ახლასთან" მიმართებით** უკავია პოზიცია – **უფრო ადრე, წინ**... ანალოგიური სურათია მომავლის შემთხვევაშიც, რომელსაც „ახლასთან" მიმართებით უკავია პოზიცია – **უფრო გვიან, შემდეგ**. მეხსიერება, წარსულის გამოცდილება, კოგნიტურ პროცესებთან ერთად, საფუძველს ქმნის მომავლის „ცოდნისთვის", მისი პროგნოზირებისა და დაგეგმვისთვის" (ქობალავა 2015:225-226). ეს მიანიშნებს, რომ „აწმყოს ენობრივი დროის საზღვრები უსასრულოდ შეიძლება გაივრცოს" (არაბული 1992:108) სწორედ სხვა დროებთან – *წარსულთან, მომავალთან* – მიმართებით; ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში, აღსანიშნავია **აწმყო-წარსულის** კომბინაცია, რადგან წარსული დრო, ტრადიციულად, რამდენიმე მწკრივით გამოიხატება, მათ შორისაა ჩვენთვის საინტერესო ევიდენციალური მწკრივებიც.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით განვიხილავთ, როგორ აისახება ზმნურ ევიდენციალურ ფორმებში:

I. აწმყო – წარსულის დროთა მიმართება

ცნობილია, რომ **ქართველურ ენათა** III სერიის ფორმებისათვის დამახასიათებელია პერფექტულობა; კერძოდ, **ევიდენციალური პერფექტი** I (resp. I თურმეობითი) მიიღება უძველესი ფორმაციის სტატიკური ზმნების/სტატიკური აწმყოს რეინტერპრეტაციით (გადააზრიანებით) და ინვერსიით. მაგალითისთვის დავიმოწმებთ მხოლოდ ქართულს:

(1) სტატიკური აწმყო: *უწერია ის მას (=ის მისთვის არის დაწერილი)*

(2) I თურმეობითი: *უწერია მას ის (= მან ის წერა თურმე)*

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, **უნაბაობის სემანტიკის გრამატიკალიზაციას** (Willet 1988, Palmer 1986) მივყავართ ზმნის პერფექტულობასთან (Izrovski 1997:6; შაბაშვილი 2009:100), რომლისთვისაც დამახასიათებელია **წარსულში მომხდარი მოქმედების გამოხატვა, თუმცა შედეგი ჩანს აწმყოში**[54]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **სტატიკურმა აწმყომ მოგვცა წარსულისა და აწმყოს კომბინაცია**. პერფექტის ორგვარი ბუნება – მიმართება **აწმყოსა და წარსულთან** შეიძლება აიხსნას მისი პრაგმატული დანიშნულებით (Кашкин 1983; ბერიძე 2009).

ქართველურ ენებში ორ ევიდენციალურ პერფექტულ ფორმას შორის (ევიდ. პერფექტი I და ევიდ. პერფექტი II) **განსხვავებას ქმნის შედეგის წარმოდგენის დრო**. „I თურმეობითი [resp. ევიდ. პერფექტი I] აწმყოს შედეგობითია, II თურმეობითი [resp. ევიდ. პერფექტი II] — ნამყოსი“ (არაბული 1992:114); ასეთ დროს ბუნებრივად შემოდის სემანტიკური ოპოზიცია:

---

54 ქართველურ ენათა პერფექტული ევიდენციალური ფორმების ჩამოყალიბების შესახებ მსჯელობა იხ. თ. I, §2.

II. წარსული – ნამყო წინარე წარსული

ევიდენციალური პერფექტი II (resp. II თურმეობითი) ქართველურ ენებში სხვადასხვა გზითაა მიღებული: ქართულ-სვანურში – სტატიკური აორისტის გადააზრიანებითა და ინვერსიით, მეგრულ-ლაზურში – *ევიდენციალური პერფექტი I-ის* ფორმაზე უწყვეტლის **-დ-** (ლაზურში ფონეტიკური ცვლილებით -ტ-) სუფიქსის დამატებით. ამ სხვაობის მიუხედავად, ოთხივე ქართველურ ენაში შენარჩუნებულია **ორი განსხვავებული წარსულის ურთიერთმიმართება,** უფრო ზუსტად: **ორი წარსულის საფეხურებრივი შერწყმა.** დავიმოწმებთ მხოლოდ ქართულისა და მეგრულის მაგალითებს:

ქართული

(3) სტატ. აორისტი: *ეწერა* ის მას (= ის მისთვის იყო დაწერილი)

(4) II თურმეობითი: თურმე *ეწერა* მას ის (= მას ის ნაწერი ჰქონდა თურმე)

მეგრული

(5) I თურმეობითი: *უჭარუ(ნ)* („უწერია მას ის“ = მას ის ნაწერი აქვს თურმე)

(6) II თურმეობითი: *უჭარუ-დ-უ* („ეწერა მას ის“ = მას ის ნაწერი ჰქონდა თურმე)

სპეციფიკური **დროული** ურთიერთმიმართების გათვალისწინებით გამოყო ა. შანიძემ **თანამდევრობის** კატეგორია (უწინარესობა და შემდგომობა). „თანამდევრობა ახლოს დგას დროის კატეგორიასთან, მაგრამ იმით განსხვავდება მისგან, რომ გრამატიკული დროის გაგება გამომდინარეობს უბნობის მომენტი-

სა და მოქმედების მომენტის შეფარდებისგან, თანამდევრობა კი – ორი მოქმედების ერთმანეთთან შეფარდებისგან. **დროის დასადგენად ერთი მოქმედებაა საჭირო, თანამდევრობისთვის კი – ორი,** რომელთაგანაც ერთი შეიძლება იგულისხმებოდეს" (შანიძე 1980:212-213).

იმპერფექტული ევიდენციალური მწკრივები დასტურდება სამივე არასალიტერატურო ქართველურ ენაში: სვანურში, მეგრულსა და ლაზურში. სვანური და მეგრული **აწმყო–უწყვეტლის ფორმალური დაპირისპირებით გვიჩვენებენ დროულ სხვაობას წარსულში.** ლაზურში კი იმპერფექტული ევიდენციალური ფორმა ცალადაა წარმოდგენილი უწყვეტლის მწკრივზე დაყრდნობით და წარსულში განგრძობით მოქმედებას გადმოსცემს ოპოზიციური ცალის გარეშე.

მეგრულში *ევიდენციალური იმპერფექტი I* (უნახაობის აწმყო) და *ევიდენციალური იმპერფექტი II* (უნახაობის უწყვეტელი), საყრდენი ფუძეების მიხედვით დიფერენცირების მიუხედავად, **წარსული დროის გამოხატვის სემანტიკით** უახლოვდებიან ან უტოლდებიან ერთმანეთს (როგავა 1953:21; ქობალავა 2001:134). უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორ ფორმას შორის კონტექსტურ სხვაობას ქმნის *ევიდენციალური იმპერფექტი I-ისა* და *ევიდენციალური იმპერფექტი II-ის* მიმართება კონსტრუქციაში სხვა ზმნასთან: „თუ რომელი მწკრივის მნიშვნელობით არის გამოყენებული მოცემული ფორმა, ამას განსაზღვრავს წინადადებაში მეორე ზმნის ფორმა" (ქობალავა 2001:134); კერძოდ,

ა. **ევიდენციალური იმპერფექტი** *I (resp. აწმყოს თურმეობითი) – აორისტი:*

(7) *ნო-ნადირ+უ-ე* (EVD-ნადირობა.PRS:IMPF-EVD)
თე ტყას გინოხონი ხენწიფეშ სქუა დო *ქე-შე-ხვად-უ* (AFF-PRV-შეხვედრა-AOR.S3.SG) თე ძღაბის (ხუბუა 75,5) „ნადირობს [=ნადირობდა] თურმე ამ ტყეში გაღმელი ხელმწიფის შვილი და შეხვდა ამ გოგოს".

საინტერესოა, როგორ გადმოიცემა იგივე კონტექსტი, როცა *ევიდენციალური იმპერფექტი I-ის* ნაცვლად მოცემულია *ევიდენციალური იმპერფექტი II.* ასეთ დროს ეს უკანასკნელი დაწყვილებულია *ევიდენციალურ პერფექტ I-თან (resp. I თურმეობითი*).

ბ. ევიდენციალური იმპერფექტი *II (resp. ნამყო უსრულის თურმეობითი)* **– ევიდენციალური პერფექტი I** *(resp. I თურმეობითი):*

(8) *ნო-ნადირ+უ-ე-დ-უ* (EVD-ნადირობა.PST-EVD-EM-S3.SG) თე ტყას გინოხონი ხენწიფეშ სქუა დო *ქე-შე-ხვალამ-უ* (AFF-PRV-შეხვალამა.EvidPrft I-THM-S3.SG) თე ძღაბის „ნადირობდა თურმე ამ ტყეში გაღმელი ხელმწიფის შვილი და შეხვედრია ამ გოგოს".

როგორც მოხმობილი მაგალითები გვიდასტურებენ, *ევიდენციალური იმპერფექტი I* და *ევიდენციალური იმპერფექტი II* გადმოსცემენ სხვადასხვა სახის წარსულს, რაც კარგად ჩანს ათვლის წერტილთან – აწმყოსთან მიმართებით. კერძოდ,

ა. ევიდენციალური იმპერფექტი I-ისა და აორისტის კომბინაციით გადმოიცემა ისეთი წარსული, რომელიც უახლოვდება ათვლის წერტილს – აწმყოს;

ბ. ევიდენციალური იმპერფექტი II-ისა და ევიდენციალური პერფექტი I-ის კომბინაციით გადმოიცემა ისეთი წარსული, რომელიც შორდება ათვლის წერტილს – აწმყოს.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეიძლება დაზუსტდეს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ***ევიდენციალური იმპერფექტი I-ის*** (resp. *აწმყოს თურმეობითი*) ფორმები ***„უფრო ხშირად“ კი არ გამოიყენება წარსული დროის გადმოსაცემად, არამედ ყოველთვის*** (შდრ.: როგავა 1953:21; ქობალავა 2001:134).

ცნობილია, რომ ***აზროვნებასთან*** მჭიდროდ არის დაკავშირებული ***მეხსიერება***. მათი ურთიერთკავშირის საფუძველზე შეუძლია ადამიანს დააფიქსიროს მოვლენათა თანმიმდევრობა როგორც აწმყოში, ისე წარსულში და წარმოიდგინოს იგი მომავალშიც[55]. როგორც აღვნიშნეთ, აწმყოსთან მიმართებით წარსულისა და მომავლის თავისუფლად გააზრებას ხელს უწყობს ისიც, რომ აწმყო ზოგადია, უფრო ზუსტად, აწმყოს განზოგადება შესაძლებელია; „ადამიანი ცხოვრობს... **მუდმივად აწმყოში**.., [მას] განუყრელად თან სდევს **აწმყოს განცდა**...“ (ქობალავა 2015:225) და ნებისმიერ დროს შეუძლია მისი გადააზრიანება **წარსულად** ან **მომავლად**. კოგნიტური პროცესების კვალი განსაკუთრებით მკაფიოდ აისახება ენაში, ამიტომ არ არის მოულოდნელი აწმყოსგან წარსული ან მომავალი დროის ფორმათა ტრანსფორმაცია.

ცნობილია, რომ **თურმეობითობა/უნახაობა** (resp. **ზმნური ევიდენციალობა**) **ვერ ითავსებს მომავალი დროის გაგებას** (**ი. ქობალავა**), **თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ქართველურ ენათა ევიდენციალურ მწკრივებში ის მაინც ასახულია.**

---

55 მეხსიერების როლზე დროის სამივე მონაკვეთის წარმოსაჩენად იხ. ქობალავა 2015:224.

III. მომავალი დრო

სვანურში, სხვა ქართველური ენებისგან განსხვავებით, დასტურდება სპეციალური მწკრივი ***ევიდენციალურ-ეპისტემიკური მყოფადი,*** რომელიც **საეჭვოობა-სავარუდოობის, ალბათობის** ნიუანსს გადმოსცემს მომავალ დროში და ამით უპირისპირდება ძირითად მყოფადს. სავარაუდოობის სემანტიკის დაკავშირება ირეალურ (მომავალ) დროსთან ბუნებრივი პროცესია, თუმცა **მეგრულს *ევიდენციალურ-ეპისტემიკური მყოფადის*** (მოდალიზებული მყოფადი) გადმოცემა მხოლოდ ***აწმყოსთან საზიარო* ფორმით** შეუძლია და ისიც მხოლოდ მდგომარეობის ზმნებსა და ორპირიან სტატიკურ ვნებითებში. აწმყო-მყოფადის საზიარო ფორმათა დიფერენციაცია შესაძლებელია დროის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულით (მაგალითად, ახლა, ხვალ და ა. შ.).

მეგრულში არამოდალიზებულ ევიდენციალურ მყოფადს გადმოსცემენ ევიდენციალური იმპერფექტი I-ის, ნო- პრეფიქსიანი მწკრივების, ზმნისწინიანი ფორმები, რომელთაც **პოტენციალისის** გაგება აქვთ[56]. ეს მოვლენა შენიშნული იყო სამეცნიერო ლიტერატურაში (როგავა 1953:23; შეროზია 1978:146; ქობალავა 2001:133):

(9) დონოჭარუე(ნ) „თურმე შეუძლია დაწეროს“ [57]

(10) დონოხანტუე(ნ) „თურმე შეუძლია დახატოს“

(11) დონოჭკირუე(ნ) „თურმე შეუძლია დაჭრას“

(12) დონოგორუე(ნ) „თურმე შეუძლია მოძებნოს“ და ა. შ.

---

56 „იგულისხმება მხოლოდ ის ზმნები, რომელთაც ეწარმოებათ პოტენციალისის ფორმები“ (ქობალავა 2001:133).

57 ცხადია, ქართული თარგმანი ზუსტად ვერ გადმოსცემს მეგრული პოტენციალისის ნიუანსს.

„ეს[ენი] მყოფადის ფორმებია, მაგრამ... მათში მხოლოდ პოტენციალისის მნიშვნელობაა წინ წამოწეული“ (ქობალავა 2001:133), რის საშუალებითაც მოსახერხებელია მომავალში შესასრულებელი მოქმედების წარმოდგენა. **ევიდენციალობასა და პოტენციალისს** საერთო აქვთ **„მოქმედების შესახებ ზუსტი ცოდნის არქონის მომენტი“** (ქობალავა 2001:133).

ევიდენციალური იმპერფექტი I-ის ნო- პრეფიქსიანი ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები ერთმანეთს სწორედ დროის მიხედვით უპირისპირდებიან; კერძოდ, ოდენ ნო- პრეფიქსიანები გადმოსცემენ თურმეობითობას, ისინი აწმყოში შესრულებული მოქმედების უნახაობას გამოხატავენ; ზმნისწინიან ნო- პრეფიქსიანებს კი თურმეობითობასთან ერთად პოტენციალისის გაგებაც აქვთ და მომავალში სავარაუდოდ შესასრულებელი მოქმედების შესაძლებლობას გამოხატავენ.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეიძლება დაზუსტდეს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვით, ევიდენციალური იმპერფექტი I-ის (resp. *ნო- პრეფიქსიანები*) ზმნისწინიან ფორმებთან ერთად უზმნისწინო ფორმებიც გამოხატავენ პოტენციალისის ნიუანსს (შდრ.: შეროზია 1978:146). ახალი დებულება შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: **პოტენციალისის ნიუანსს და, ამგვარი სემანტიკის საშუალებით, მომავალ დროს გამოხატავენ ევიდენციალური იმპერფექტი I-ის მხოლოდ ზმნისწინდართული ფორმები, ი. ქობალავას აღნიშვნით, იგივე „სრულასპექტიანები“** (ქობალავა 2001:133).

მაგალითები:

(13) ჭარუნს „წერს“ **(ნახული აქტი, ახლანდელი დრო)**
შდრ.:

*(14) ნოჭარუე(ნ) „თურმე წერს“ **(უნახავი აქტი, ახლანდელი დრო)***

შდრ:

*(15) დონოჭარუე(ნ) „თურმე შეუძლია დაწეროს“ **(უნახავი აქტი+პოტენციალისი, მომავალი დრო)** [58].*

უნდა აღინიშნოს, რომ მომავალი დროის გამოხატვა პოტენციალისის ნიუანსის მქონე **ნო- პრეფიქსიანი ზმნისწინიანი ფორმებით** უფრო გასაგებია ვრცელი კონტექსტის საშუალებით. მაგალითისთვის ავიღოთ ასეთი სიტუაცია:

(16) „უფროსი ძმები შეშის დასაჩეხად არ უშვებენ უმცროს ძმას და არც თვითონ მიჰყავთ ასაკის გამო. ერთხელ სხვისი დახმარებით, თუ სულაც შემთხვევით, უმცროსი ძმა აღმოჩნდება უფროსებთან სწორედ ამ საქმიანობაში და თანაც თავს გამოიჩენს. გაკვირვებული უფროსი ძმები მის შესახებ ამბობენ:
*ენა გომიტებუდესიკო, დასურო მუზმას **დონოჭკირუე** (მასალები). „ეს რომ გაგვეშვა, მართლაც რამდენის **დაჭრას შეძლებდა თურმე / თურმე მართლაც როგორი შესაძლებლობა ჰქონია ამ საქმის გასაკეთებლად**.*

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ პოტენციალისის სემანტიკის ნო- პრეფიქსიან თურმეობითებს შეიძლება ჰქონდეთ არა მომავლის, არამედ „ზოგადი აწმყოს შინაარსი.., რადგან

58 ნომინატიური და დატიური კონსტრუქციების აგების წესითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან უზმნისწინო და ზმნისწინიანი ნო- პრეფიქსიანი ფორმები (ეს მოვლენა შენიშნული აქვს რ. შეროზიასაც: შეროზია 1978:145).

პოტენციალისი თვისების მიმანიშნებელია ამა თუ იმ საგნისა. ეს თვისება კი მუდმივია, რაც ახასიათებს, საერთოდ, საგანს“ (შეროზია 2004:85). ვფიქრობთ, ეს განაცხადი კატეგორიულად არ ეწინააღმდეგება პოტენციალისის ფორმათა კვალიფიცირებას მომავალი დროის ფორმებად, რადგან, ზემოხსენებული მსჯელობის მიხედვით, ზოგადმა აწმყომ, კონტექსტის გათვალისწინებით, შესაძლებელია ადვილად შეიძინოს წარსული ან მომავალი დროის მნიშვნელობა.

შენიშვნა:

ევიდენციალური იმპერფექტი I-ის ზმნისწინიანი ნო- პრეფიქსიანი ფორმები წარსული დროის სემანტიკასაც გადმოსცემენ. ასეთ დროს თხრობა მიმდინარეობს წარსულში:

(17) დიაჩქიმი ოდროს ადრე ***გენოდგინუე****, ბაზარიშა* ***მიდნოვე*** *და ქოთომემს* ***გეგნოჩამუე*** *(მასალები) „დედაჩემი დილით ადრე* ***ადგებოდა თურმე****, ბაზარში* ***წავიდოდა თურმე*** *და ქათმებს* ***გაყიდდა თურმე****.*

დასკვნა:

როგორც ემპირიული მასალის ანალიზიდან ჩანს, გრამატიკული დრო ქართველურ ევიდენციალურ მწკრივებში წარმოდგენილია დროის მონაკვეთთა (წარსული, აწმყო, მომავალი) კომბინაციებით, რომლებიც ქმნიან მრავალფეროვან კონტექსტს.

თავი II

ევიდენციალობის გამოხატვის სინტაქსური საშუალებები

1. პირობით-შედეგობითი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია ევიდენციალობის თვალსაზრისით ქართველურ ენებში

ევიდენციალობის კატეგორიის სინტაქსურ დონეზე შესწავლის მიზნით, ქართველურ ენებში მნიშვნელოვანია პირობით-შედეგობითი ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ანალიზი.

ცნობილია, რომ „პირობითი დამოკიდებული წინადადება გადმოგვცემს პირობას, რომელზედაც არის დამოკიდებული იმის შესრულება, რაც მთავარ წინადადებაშია ნათქვამი. ურთიერთობა პირობით დამოკიდებულ წინადადებასა და მის მთავარს შორის ჩვეულებრივ ასეთია: დამოკიდებულ წინადადებაში პირობაა დასახელებული, მთავარში კი – შედეგი. მაშასადამე, ამ ტიპის რთული ქვეწყობილი წინადადება პირობით-შედეგობითია“ (კვაჭაძე 1988:390; პირობითი და შედეგობითი კილოების შესახებ იხ. შანიძე 1980:208-209).

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პირობითი დამოკიდებული წინადადებით გადმოცემული პირობის შესრულება ან შეუსრულებლობა განსაზღვრავს მთავარი წინადადებით გადმოცემულ შედეგს; შესაბამისად, პირობა მიემართება არა რომელიმე ერთ წევრს, არამედ მთლიანად მთავარ წინადადებას. პირობით-შედეგობით კომპონენტებს შორის აზრობრივი მიმართება ასეთია: თუ შესაბამისი პირობა იქნება შესრულებული, მაშინ შედეგიც მიიღება.

ქართველურ ენებში ევიდენციალობის შინაარსი სხვადასხვა ენობრივ დონეზე სხვადასხვაგვარადაა გამოხატული. მა-

გალითად, ქართულში: მომავლის, ხოლმეობითის, პერფექტის ზმნური ფორმებით, ლექსიკური საშუალებებით, სხვათა სიტყვისა და ევიდენციალური ნაწილაკებითა და სხვ. (Topadze Gäumann 2011).

პირობით-შედეგობითი რთული ქვეწყობილი წინადადების განხილვა ევიდენციალობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ საჭიროა გაირკვეს, ამ ტიპის კონსტრუქციის კომპონენტთა შორის არსებული ურთიერთშეპირობებული ლოგიკური კავშირი აღიქმება თუ არა ინფერენციული ტიპის ევიდენციალურ ფორმად.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად თავდაპირველად, მეტნაკლები სისრულით, წარმოვაჩენთ პირობით-შედეგობით ჰიპოტაქსურ კონსტრუქციათა სემანტიკურ ჯგუფებს ქართული სალიტერატურო ენის ემპირიული მასალების მიხედვით:

1. ევიდენციალობა:

(1) თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი (გურ.) (კვაჭაძე 1988:392);

(2) მერცხალი შემოდგომაზედაც ჩვენთან დარჩებოდა, რომ მარცვლეულობის და ხილეულობის ჭამა შეეძლოს (გოგ., 119) (კვაჭაძე 1988:393);

(3) კოლოც კი წააქცევს ცხენს, თუ დიდი მგელი უშველის (ანდ.)(კვაჭაძე 1988:390).

ამავე ჯგუფში ექცევა ის რთული ქვეწყობილი წინადადება, რომლის მთავარი ნაწილი რიტორიკული შეკითხვაა, რასაც, ბუნებრივია, ახლავს დამოკიდებული ნაწილიც, რაშიც პირობაა მოცემული:

(4) კაცი, რომ სულელების კბილთა ღრჭენას აჰყვეს, სად წავა?! (ჭავ., 447) (ჭავ.)(კვაჭაძე 1988:393);

(5) თუკი სახლი დაცარიელდება, ცარიელმა კედლებმა და ქამარ-ხანჯალმა რა მიშველოთ? (ვაჟა) (კვაჭაძე 1988:392);

რიტორიკული შეკითხვის ევიდენციალურ ბუნებაზე საუბარი გვექნება მომდევნო პარაგრაფში (§2).

2. ეპისტემიკური მოდალობა:

(6) ზაფხული რომ ყოფილიყო, იქნება ყმაწვილების ჭყივილზე მგლები გაქცეულიყვნენ (შ. არაგვ.) (კიზირია 1974:259).

3. ბრძანება:

(7) თუ ვაჟი იტყვის სიტყვას, ქალი იქნეს მოკლული, თუ ქალს წამოსცდება სიტყვა, ვაჟს მოეკვეთოს თავი! (ლორთქ., 2, 328) (კვაჭაძე 1988:392);

(8) მოსპე, თორემ მოგსპობს (ბარ., 3, 58) (კვაჭაძე 1988:394);

4. მოწოდება-შეთავაზება:

(9) თუ მტყუანი გამოვდგე, თავი გამაგდებინეთ (აკაკი) (კიზირია 1974: 259);

(10) თუ განათლებულებში სდებ თავს, განათლებულადაც იცხოვრე! (ბარნ., 1, 321) (კვაჭაძე 1988:392);

(11) თუ ღამის გათევა გინდა მუქთად, ჯერ რამე უნდა დააშაო (გვეტ., 365) (კვაჭაძე 1988:392).

5. განცხადება-დაპირება:

(12) გამიქვავდეს მე ეს ენა, თუ რომ ვისმე მოვეფერო (წერ.) (კვაჭაძე 1988:393);

(13) მოკვდეს ბიჭი ფიცხელა, თუ ჩემი აღსასრული მოახლოებულიყოს (ჭავ.)(კვაჭაძე 1988:392);

(14) თუ ძალიან მოგწონს, გაჩუქებ (ჯავ., 2, 577) (კვაჭაძე 1998:392).

6. შეძახილი-მუქარა:

(15) თუ მოყვარე ხარ, მაშ გამარჯობა! (ჭავ., 149) (კვაჭაძე 1988:395);

(16) თუ ეს ამბავი შეუტყვია ვისმე, ვაი თქვენი ბრალი! (ჭავ., 365) (კვაჭაძე 1988:395);

(17) ვაი, თუ მაგის გარეგანი სიწყნარე შავი დღის მომასწავებელი იყოს ჩვენთვის! (ბარნ., 3, 70) (კვაჭაძე 1988:395);

(18) თუ ხელი გაგინძრევიათ, აქვე გაგათავებთ! (ჯავ., 3, 288) (კვაჭაძე 1988:391).

7. რაიმე ფაქტი:

(19) მე რომ დღიური მეწერნა, მაგაზე უკეთესს ვერ დავწერდი (ჯავ., 3, 395) (კვაჭაძე 1988:393);

(20) ეს კეთილი და გონიერი ფინია რომ არ შესწრებოდა, რასაკვირველია, საწყალი ბავშვი დაიხრჩობოდა (გოგ., 169) (კვაჭაძე 1988:393).

სემანტიკური თავისებურების სიმრავლის მიუხედავად, შესაძლებელია გამოვყოთ ორი ჯგუფი. ამისათვის საჭიროა

ცალ-ცალკე დავაკვირდეთ მთავარ და დამოკიდებულ წინადადებებს. აღსანიშნავია, რომ ყველა პირობით-შედეგობითი რთული ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებული წინადადება (resp. პირობა) ეპისტემიკური მოდალობისაა, მთავარი წინადადებები (resp. შედეგი) კი – სხვადასხვაგვარი. სწორედ მთავარ წინადადებათა სხვადასხვაგვარობაა ჯგუფების გამოყოფის საფუძველი. კერძოდ, თუ ინფერენციული ევიდენციალობის ფაქტორს გავითვალისწინებთ, მივიღებთ ორ ჯგუფს; მათგან, **პირველი** იქნება დამყარებული *მთქმელის ფონურ ცოდნა-გამოცდილებაზე*, ხოლო **მეორე** – *რეალურ ფაქტებზე*. პირველ ჯგუფში აღმოჩნდება ის პირობით-შედეგობითი რთული ქვეწყობილი წინადადებები, რომელთა მთავარ კომპონენტში პირობით-შედეგობით კილოთა ლოგიკური კავშირის საფუძველზე გამოტანილია დასკვნა ან გამოთქმულია ვარაუდი, რომელიც ემყარება მთქმელის ფონურ ცოდნა-გამოცდილებას (და არა პერცეფციულ ფაქტებს). ამ ჯგუფში აღმოჩნდება ევიდენციალური შინაარსისა და ეპისტემიკური მოდალობის მქონე მთავარი წინადადებები და, შესაბამისად, მთლიანად რთული ქვეწყობილი წინადადებაც ან ევიდენციალურია ან ეპისტემიკური მოდალობისა, კერძოდ, იხ. მაგალითები: (1), (2), (3), (4), (5), (6). მეორე ჯგუფში გაერთიანებული კონსტრუქციები, რომელთა მთავარი წინადადებები რეალურ ფაქტებზეა დამყარებული, მოიცავს ყველა დანარჩენ შემთხვევას: *ბრძანების, მოწოდება-შეთავაზების, განცხადება-დაპირების, შეძახილი-მუქარის, ან რაიმე სხვა ფაქტის* გამომხატველს (ამგვარი ჯგუფები დამატებით სხვაც შეიძლება გამოიყოს), რადგან პირობით-შედეგობით კილოთა ლოგიკური კავშირი ემყარება არა ფონურ ცოდნას, არამედ რეალურ ფაქტებს. კერძოდ, იხ. მაგალითები (7) – (20).

მაშასადამე, კონსტრუქციის მთლიან სემანტიკას განსაზღვრავს შედეგობითი წინადადება. ისმის კითხვა, ასე მჭიდროდ შეხამებული კომპონენტების (როგორიცაა პირობა და შედეგი) ერთიანობა რატომ და როგორ იძლევა სემანტიკურ მრავალფეროვნებას? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია ამ კომპონენტების ცალ-ცალკე დახასიათება და მათ შორის ურთიერთმიმართებათა კანონზომიერების დადგენა:

I. ჯგუფი:

ა) *ევიდენციალური შინაარსისა, იხ. მაგალითები (1), (2), (3), (4), (5) დამოკიდებული წინადადება (resp. პირობა) ეპისტემიკურია: მთავარი წინადადება (resp. შედეგი) ევიდენციალურია.*

ამგვარი მიმართება განპირობებულია შემდეგი გარემოებით: როდესაც ერთი კონკრეტული პირობა ცალსახად საკმარისია აბსოლუტური შედეგისთვის, ამ დროს დამოკიდებული წინადადება ერთგვარ ჩარჩოში აქცევს მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლით გადმოცემულ მოქმედებას და ზღუდავს; მხოლოდ იმ მიმართულებით აძლევს მოქმედების საშუალებას, რაც ამ პირობაშია მოცემული; შესაბამისად, აღარ რჩება ადგილი ვარაუდისა და დაეჭვებისთვის და მთავარი წინადადება არაეპისტემიკურია; ასევე, მთლიანად კონსტრუქციის სემანტიკაც არაა ეპისტემიკური, მხოლოდ ევიდენციალურია.

ბ) *ეპისტემიკური მოდალობისა, იხ. მაგალითი (6) დამოკიდებული წინადადება (resp. პირობა) ეპისტემიკურია: მთავარი წინადადებაც (resp. შედეგიც) ეპისტემიკურია.*

ამგვარი მიმართება განპირობებულია შემდეგი გარემოებით: როდესაც ერთი კონკრეტული პირობა არ არის საკმარისი აბსოლუტური შედეგის მისაღებად და საჭიროა დამატებითი პირობა-გარემოებები, დამოკიდებული წინადადება უშვებს, რომ მთავარი იყოს ეპისტემიკური მოდალობისა; შესაბამისად, მთავარში ჩნდება ან ორგანული ევიდენციალურ-ეპისტემიკური ზმნური ფორმები, ან ნაწილაკები, რის გამოც მთავარი წინადადებაც ეპისტემიკური ხდება და მთლიანად კონსტრუქცია ეპისტემიკურია.

II. ჯგუფი:
არც ევიდენციალური, არც ეპისტემიკური მოდალობისა, იხ. მაგალითები (7) – (20).
დამოკიდებული წინადადება (resp. პირობა) ეპისტემიკურია: მთავარი წინადადება (resp. შედეგი) არც ევიდენციალურია, არც ეპისტემიკური.

ამგვარი მიმართება განპირობებულია შემდეგი გარემოებით: როცა პირობით-შედეგობით კილოთა ლოგიკური კავშირის საფუძველზე გამოტანილია დასკვნა, რომელიც ემყარება რეალურ ფაქტებს, შედეგობითი წინადადება არც ევიდენციალურია, არც ეპისტემიკური, არამედ სხვა სემანტიკისაა და შეუძლია გადმოსცეს ბრძანება, მოწოდება/შეთავაზება, განცხადება/დაპირება, შეძახილი/მუქარა ან რაიმე ფაქტი. დამოკიდებული წინადადების ეპისტემიკურობა მხოლოდ იმას ემსახურება, რომ წინადადება იყოს პირობით-შედეგობითი.

ქართველურ ენათა ტიპოლოგიის წარმოსაჩენად საინტერესოა სხვა ქართველური ენების მონაცემებიც. მეგრული, ლაზური, სვანური ენების ემპირიული მასალა დამუშავებულია როგორც ბეჭდური წყაროებიდან, ასევე ცოცხალი მეტყველებიდან. უნდა

აღინიშნოს, რომ ქართველური ენები ტიპოლოგიურ მსგავსებას აჩვენებენ პირობით-შედეგობითი კონსტრუქციის სემანტიკური ჯგუფების გამოყოფის თვალსაზრისით. ეს მსგავსება განსაკუთრებით თვალსაჩინოა ევიდენციალობისა და ეპისტემიკური მოდალობის ჯგუფების მიხედვით, რადგან ქართულში გამოყოფილი სხვა სემანტიკური ჯგუფები ნაკლებად პროდუქტიულია არასალიტერატურო ქართველურ ენებში.

1. *ევიდენციალური:*

მეგრული: (21) ჩხანას იშულებუდუკონი, თექიანობას განათენდუ (მასალები).

ლაზური: (22) მჟუა ნა ეშახტატუ, ოთანეპტუ (მასალები).

სვანური: (23) მიჟ ჟ'ანჭდენიუ, დეცეგიმს ქანარჰა (მასალები).
„მზე რომ ამოსულიყო, იქაურობას გაანათებდა“.

2. *ეპისტემიკური მოდალობისა:*

მეგრული: (24) თიმუ დღას, ონჯუა ბორჯის ქიმეურთუმუდუკონი, ეგება ქიმეჩუკო პირობა (მასალები).

ლაზური: (25) ემ დღას ლიმჯის მოხტეეტუკონ, ბექიმ ნენა მეჩატუ (მასალები).
„იმ დღესვე, საღამო ხანს რომ მისულიყო, იქნებ მიეცა პირობა“.

სვანური: (26) ხოჩილდ ლაჲჟგრასგუ, დემის ადდაგრიუ (მასალები).
„უკეთ [რომ] ემკურნალა (/[თუ] იმკურნალებდა), [იქნებ] არ მომკვდარიყო (/[იქნებ] არ მოკვდებოდა“).

ქართველურ ენებში ერთგვარი ვითარებაა მთავარი და დამოკიდებული კომპონენტების ურთიერთმიმართებათა კანონზომიერების მიხედვითაც; თუმცა აღსანიშნავია რამდენიმე ფაქტი,

რაც ქართველურ ენათა ტიპოლოგიის საერთო სურათს ვერ ცვლის:

1. სვანურში დასტურდება მოდალიზებული (ეპისტემიკური) ზმნური ფორმები, რომელთა გამომსახველობითი ძალა იმდენად ძლიერია, რომ კონსტრუქციის კომპონენტების შესაკავშირებლად მაქვემდებარებელი კავშირი არაა აუცილებელი, იხ. მაგალითები (23), (26).
2. ორგანული წარმოების მოდალიზებული (ეპისტემიკური) ზმნური ფორმები დასტურდება მეგრულშიც, თუმცა ისინი პირობით-შედეგობითი კონსტრუქციის შექმნაში არ მონაწილეობენ.

2. რიტორიკული შეკითხვა ევიდენციალობის თვალსაზრისით ქართველურ ენებში

ინფერენციული ევიდენციალობის სრულყოფილად შესწავლისათვის მიზანშეწონილია ევიდენციალობისა და რიტორიკული შეკითხვის ურთიერთმიმართების განხილვა[59]. თეორიული თვალსაზრისით საკითხის შესწავლისათვის, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია ზოგადად რიტორიკული შეკითხვის ანალიზი ევიდენციალობის კუთხით. ბუნებრივია, ამ მხრივ ფასეულია ქართველური ენების მასალის შესწავლის საფუძველზე მიღებული დასკვნებიც.

---

59 ა. აიხენვალდი აღნიშნავს, რომ კითხვებში გამოყენებული ევიდენციალობა ხშირად იძენს რიტორიკულ დატვირთვას. ის ასახელებს კეჩუა ენაში (სამხრეთ ამერიკელი ინდიელების ენა) ინფერენციული დასკვნის საფუძველზე ჩამოყალიბებულ კითხვებს, რომლებიც არ მოითხოვენ პასუხს. ა. აიხენვალდი წერს, რომ ასეთი მაგალითები შეიძლება გავიგოთ, როგორც რიტორიკული შეძახილები და არა ის, რაც ინფორმაციას ეძიებს. იქვე წერს, რომ ციტირებული ევიდენციალობა ხშირია სისალა ენის (დასავლეთ აფრიკაში, განაში მცხოვრები ხალხის ენა) რიტორიკულ შეკითხვებში (Blass 1989:318-19 apud Aikhenvald 2004:249). ასევე მოჰყავს მაგალითები ეუჩი ენისა (ეუჩის, იუჩის ტომის ენა აშშ-ში), რომლებიც ასევე რიტორიკული შეკითხვებია და ამიტომ ფაქტობრივ პასუხებს არ მოითხოვენ. მსგავსი მაგალითი შიპიბო-კონიბო ენიდანაც (პერუსა და ბრაზილიაში მცხოვრები ხალხის ენა) მოჰყავს, რომელსაც ბრძანების რბილი ძალა აქვს (Aikhenvald 2004:249).

2.1. რიტორიკული შეკითხვა ევიდენციალობის თვალსაზრისით ქართულ სალიტერატურო ენაში

როგორც ცნობილია, ჩვეულებრივ, კითხვითი წინადადება მოითხოვს პასუხს, მაგრამ არის ერთი სახის კითხვითი წინადადება, „რომელიც თვითონვე შეიცავს პასუხს. ასეთ კითხვებს რიტორიკული ჰქვია: ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები? ვინ შეამკოს ღირსეულად ქართველ გმირთა მხარ-მკლავები? (წერ.); ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში? (ჭავ.); ბულბულის სტვენით ნადირი ვის მოუგერებიაო? (წერ., 8. 27)" (კვაჭაძე 1988:36-37).

რიტორიკული კითხვა პოეტური ფიგურის ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც შეკითხვის ფორმით შეიცავს რისამე მტკიცებას (კვაჭაძე 1988:37).

რიტორიკული კითხვები, მხატვრული ლიტერატურის გარდა, ჩვეულებრივ სასაუბრო ენაშიც გვხვდება, ზეპირსა და წერით მეტყველებაში. ამ კითხვებს დიდი სტილისტიკური მნიშვნელობა აქვთ: მეტ სიცხოველეს ჰმატებენ ნათქვამს, ამახვილებენ მსმენელისა და მკითხველის ყურადღებას რაიმე ფაქტზე ან მოვლენაზე (კვაჭაძე 1988:37). სხვა სახის კითხვითი წინადადებებისაგან რიტორიკული კითხვითი წინადადება განსხვავდება იმით, რომ იგი დამახასიათებელია მონოლოგური მეტყველებისათვის, არ მოითხოვს პასუხს, იხმარება აზრის გამომსახველობითი იერით გადმოცემისა და მასზე მსმენელის ან მკითხველის ყურადღების გამახვილების საშუალებად (ბასილაია 1983:54).

გარდა იმისა, რომ რიტორიკული შეკითხვა არ მოითხოვს პასუხს, ის სხვა კითხვითი წინადადებებისაგან **ინტონაცი-**

ითაც განსხვავდება: გადმოიცემა ემოციით, ზოგჯერ ამაღლებული პათოსითაც. ამიტომ ასეთი კითხვითი წინადადების ბოლოს, ჩვეულებრივ, კითხვა-ძახილის ნიშანს წერენ (თუმცა გვხვდება რიტორიკული შეკითხვა, რომლის ბოლოს მხოლოდ კითხვის ნიშანი წერია).

ამის საილუსტრაციოდ ნ. ბასილაიას ასეთი მაგალითები მოჰყავს:

ვინ მოიცლის ამ საქმისთვის? – ამ შემთხვევაში მოუბარს სურს გაიგოს თანამოუბარისაგან, კონკრეტულად ვინ მოიცლის და ვინ გააკეთებს ამ საქმეს. სხვა შემთხვევაში კი იგივე წინადადება შეიძლება გამოყენებული იყოს რიტორიკულ კითხვად, რომელიც დაეჭვებას შეიცავს და არ მოითხოვს პასუხს:

ვინ მოიცლის ამ საქმისთვის? – შეიძლება ნიშნავდეს, რომ *არავინ მოიცლის!* (ბასილაია, იქვე).

შინაარსის მიხედვით რიტორიკული კითხვითი წინადადება არის ორი სახის: მტკიცების და უარყოფის გამომხატველი. ფორმით უკუთქმითი წინადადება აზრს გადმოგვცემს დადებითად *(განა ჩვენ არ ვიყავით ამის მოწმე?)*, წართქმითი კი – უარყოფითად (*განა ყველაფერი უნდა ეთქვა?*). სხვანაირად ამას ემოციურ მტკიცებას და ემოციურ უარყოფას უწოდებენ (ბასილაია 1983:53).

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც რიტორიკულ კითხვებზე თვითონ ავტორი იძლევა პასუხს. ასეთი კითხვა-პასუხები აზრის განვითარების მოხდენილ სტილისტიკურ ხერხად მიაჩნია ლ. კვაჭაძეს (კვაჭაძე 1988:37). ნ. ბასილაია ასეთი რიტორიკული კითხვითი წინადადებების შესახებ წერს, რომ თხრობა დიალოგს ემსგავსება, მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ პასუხიც მოუბარს ეკუთვნის, რომელსაც

მოუბარი პირი იყენებს მხოლოდ იმისათვის, რომ მეტი სიცხოველე და ძალა მისცეს თხრობას, ანუ იყენებს მას აზრის უფრო დამაჯერებლად გამოხატვის ერთ-ერთ მხატვრულ ენობრივ ხერხად:

განა ეს საქმე ასე უნდა დამთავრებულიყო? – არა, ასე არ უნდა დამთავრებულიყო.

ხშირია შემთხვევა, როცა ავტორი კითხვით მიმართავს უსულო საგნებს, ბუნებას: „მთებო, მთებო! რას ელით, ვის ელით?“ (კვაჭაძე 1988:37). ჩვენი აზრით, ასეთ სიტუაციაში, მიუხედავად მხატვრული გამოსახვის – გაპიროვნების ხერხისა, როცა ადამიანის თვისებები მიეწერება არამეტყველ სულიერ თუ უსულო საგნებს, რიტორიკის საფუძველი მაინც არის ობიექტური რეალობა: ადრესატი პასუხს ვერ გასცემს! ამიტომაც არამეტყველის მიმართ დასმული შეკითხვა უსათუოდ რიტორიკულია. ადამიანის მიმართ იგივე შეკითხვა კი შეიძლება იყოს როგორც რიტორიკული, ასევე არარიტორიკული.

რიტორიკული კითხვითი წინადადება აგებულების მიხედვით არის:

მარტივი: „სხვა საქართველო სად არის?“ (კალანდაძე, 2014:16);

შერწყმული: „მე რა მაქვს ახლა, რა მექნება, ან რა მებადა?“ (ტაბიძე, 1960:139);

რთული: უმთავრესად რთული ქვეწყობილი: „ამ წუთისოფელში ვისა აქვს მეტი ლუკმა, რომ შენც გაძლიოს?!“ (ჭავჭავაძე, 1988:243)[60].

60 ჰიპოტაქსური სტრუქტურის რიტორიკული შეკითხვა განხილული აქვს ლ. კვანტალიანს: კვანტალიანი 1990:48-59.

ასეთია რიტორიკული წინადადების მოკლე დახასიათება. ჩვენი მიზანია, რიტორიკული შეკითხვა ევიდენციალობის[61] კუთხით განვიხილოთ.

ცნობილია, რომ ევიდენციალობა პირველ რიგში ტექსტის კატეგორიაა და გულისხმობს დამოკიდებულებას ამ ტექსტში გადმოცემულ ინფორმაციასა და ინფორმატორს შორის; სხვაგვარად: ეს კატეგორია გულისხმობს მთქმელის სუბიექტურ მიმართებას კონტექსტთან, ანუ ინფორმაცია ინფორმატორისთვის პირდაპირი აღქმის ნაყოფია, თუ სხვა წყაროდან („მეორე, სხვა ხელიდან“) მიღებული (Aikhenvald 2004).

გამოყოფენ ინფორმაციის ყველაზე გავრცელებულ სამ წყაროს, რომელთა შესახებაც მთქმელი ამცნობს ან მიანიშნებს მსმენელს:

- მოვლენის პერცეფცია
- ვერბალობა
- ინფერენცია

მათგან ინფერენციული წყარო გულისხმობს კვალის ან ფონური ცოდნის, გამოცდილების, რეალური ცხოვრებისეული მოვლენების მიხედვით ლოგიკურ დასკვნაზე დაფუძნებულ ინფორმაციას (Корди 2007).

---

61 ტერმინებისთვის: თუ ინფორმაცია პირდაპირი აღქმის შედეგია (ან მასთან გატოლებული), პირველი ხელიდან მიღებულ ინფორმაციას უწოდებენ, ასეთ ინფორმაციას კი – *პირდაპირევიდენციალურს* ან *არაევიდენციალურს*; სხვა წყაროდან მიღებულ ინფორმაციას *მეორე ხელიდან მიღებულ ინფორმაციას* ეძახიან, თავად ინფორმაციას კი – *ირიბევიდენციალურს* ან *ევიდენციალურს*. ჩვენ პირდაპირი აღქმით მიღებული ინფორმაციისათვის ვიყენებთ ტერმინს *არაევიდენციალურს*, ხოლო სხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციისთვის – *ევიდენციალურს*, თუმცა სხვა თავებში, საჭიროებისამებრ, ზემოთ დასახელებულ ტერმინებსაც მივმართავთ.

ვფიქრობთ, ინფერენციულ წყაროზე დამყარებულ ევიდენციალობად უნდა ჩავთვალოთ გარკვეული სახის რიტორიკული შეკითხვები.

რიტორიკული კითხვა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, პოეტური ფიგურის ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც შეკითხვის ფორმით შეიცავს რისამე მტკიცებას. თუ ამ დებულებას დავემყარებით, გასაგებია რიტორიკული შეკითხვის ინფერენციული ხასიათი, რადგანაც რისამე მტკიცება სწორედ ლოგიკურ დასკვნაზე დაფუძნებული ინფორმაციის მიხედვითაა შესაძლებელი. ასეთი ინფორმაცია, ძირითადად, ემყარება მთქმელისთვის ცნობილ ფაქტებს. სწორედ ამიტომ არ მოითხოვს რიტორიკული შეკითხვა პასუხს; ფაქტობრივად, მთქმელი კითხვის ფორმით ახდენს იმის მტკიცებას, რაც მას ინფერენციით აქვს მიღებული. რადგან რიტორიკული წინადადება შეიძლება ინფერენციულ წყაროს ემყარებოდეს, შესაბამისად, შესაძლებელია ევიდენციალურად ჩაითვალოს.

ის, რომ რიტორიკული შეკითხვა არ მოითხოვს პასუხს, არ არის საკმარისი ამ ტიპის წინადადების ევიდენციალობისათვის, რადგან პასუხს სხვა ტიპის კითხვითი წინადადებაც შეიძლება არ მოითხოვდეს. კერძოდ, კითხვითი წინადადება, რომელიც კითხვითი წინადადების საპასუხოდ არის ნათქვამი. ასეთებად ლ. კვაჭაძე შემდეგ ნიმუშებს ასახელებს: „ – როგორ მოშორდი? – რა გითხრა, შვილო? (ჭავ.,195); ახლა – შენ რომ მარტო დარჩები? – იკითხა კესომ. – მარტო რად დავრჩები? ზოგი ჩემს გულშიაც ჩაიხედე, რამდენი ბღარტები მიზის (ჭავ., 446)“ (კვაჭაძე 1988:36). ამ შემთხვევაში კითხვით წინადადებაზე საპასუხოდ ნათქვამი კითხვითი წინადადებანი: – *რა გითხრა, შვილო?* და – *მარტო რად დავრჩები?* არ მოითხოვენ პასუხს, მაგრამ ესენი არც ახდენენ რაიმეს მტკიცებას, რაც შეიძლება ინფერენციულ წყაროს ემყარებოდეს, ამიტომაც არ არიან რიტორიკულები და, შესაბამისად, არც ევიდენციალურები.

რიტორიკული შეკითხვის ევიდენციალურად ჩასათვლელად გამოდგება დაეჭვების ის ელფერიც, რაც ზოგ რიტორიკულ შეკითხვას აქვს და სწორედ ამით გამოარჩევს რიტორიკულ წინადადებას ჩვეულებრივი კითხვითი წინადადებისაგან. იხ. ზემოთ წარმოდგენილი წინადადება: *ვინ მოიცლის ამ საქმისთვის?* როგორც ზემოთ აღინიშნა, თუ აქ კონკრეტულად საქმის გამკეთებელი გვაინტერესებს, ეს ჩვეულებრივი კითხვითი წინადადებაა; მაგრამ თუ აქ დაეჭვება ჩანს, ანუ თუ მთქმელი, ამ საქმის სირთულიდან გამომდინარე, დაეჭვებულია იმაში, რომ ძნელია მისი გამკეთებელი მოიძებნოს, ეს უკვე ნიშნავს, რომ მთქმელის ინფერენცული ცოდნა იძლევა დაეჭვების საფუძველს, ამიტომაც ნათქვამი ეპისტემიკურ ხასიათს ატარებს, რაც სწორედ ინფორმაციულ წყაროზეა დამყარებული და, შესაბამისად, ნათქვამიც ევიდენციალურია.

რიტორიკული შეკითხვა შეიძლება იყოს არაევიდენციალურიც მაშინ, როცა ამ შეკითხვის და, შესაბამისად, ნაგულისხმევი პასუხის საფუძველი პერცეფციაა; მაგალითად, ადამიანი სინჯავს რომელიმე უცხო, მეტად ნაქებ კერძს, რომელიც არ მოეწონება: ეს არის გემრიელი? – კითხვა რიტორიკულია, მაგრამ არაევიდენციალური. ამ ტიპის არაევიდენციალური რიტორიკული შეკითხვები უმეტესად მოულოდნელ პირდაპირ აღქმას უკავშირდება და მოგვაგონებს ევიდენციალობის ფორმობრივ თანხვედრას ადმირატიულობასთან, როცა აბსოლუტურად ერთი და იგივე წინადადება ერთ კონტექსტში ევიდენციალურია (ვერბალურ ან ინფერენციულ წყაროზე დაფუძნებული), მეორე შემთხვევაში კი არაევიდენციალური, რომლისთვისაც წყარო პირდაპირი აღქმაა და, რომელსაც, ცხადია, მთქმელი არასოდეს უთითებს; მაგალითად:

(1) ამბობენ, პავლეს დიდი სახლი აუშენებია – ევიდენციალური, წყარო – ვერბალური;

(2) პავლეს დიდი სახლი აუშენებია – მთქმელმა შეიტყო, რომ პავლეს დიდძალი სამშენებლო მასალა დასჭირდა და თვითონ გამოიტანა ლოგიკური დასკვნა სახლის სიდიდის შესახებ (ევიდენციალური, წყარო – ინფერენციული);

(3) მთქმელმა პირველად დაინახა პავლეს სახლი: დიდი (/რამხელა) სახლი აუშენებია! – არაევიდენციალური, სემანტიკური კატეგორია – ადმირატივი.

ამრიგად, რიტორიკული შეკითხვა ევიდენციალურია თუ არა, მეტ-ნაკლებად მაინც არის კონტექსტზე დამოკიდებული, თუმცა, ამ ტიპის წინადადებათა სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ, ძირითადად, მისი მთავარი სემანტიკური მახასიათებელი მაინც ინფერენციული ევიდენციალობაა.

ევიდენციალური შინაარსის მქონე რიტორიკული შეკითხვა დასტურდება სხვა ქართველურ ენებშიც. შესაბამისი მასალები მოცემულია მომდევნო ქვეპარაგრაფში.

2.2. ევიდენციალური რიტორიკული შეკითხვის ამსახველი მეგრული, ლაზური და სვანური მასალები

მეგრულში ყურადღებას იქცევს რიტორიკული შეკითხვის ამსახველი ჰიპოტაქსური კონსტრუქციები. როგორც ცნობილია, ისინი თავისებურებას ავლენენ არა მარტო შედგენილობით, არამედ წინადადების ნაწილებს შორის აზრობრივი მიმართებითაც. ამ ტიპის წინადადებები შედგენილია კითხვითი ან არაკითხვითი

სიტყვებით და, შესაბამისად, ქმნიან კითხვითსიტყვიან / არაკითხვითსიტყვიან კონსტრუქციებს, რომელთაც ინფერენციული ევიდენციალობის შინაარსი აქვთ.

კითხვითსიტყვიანი ჰიპოტაქსური კონსტრუქციები [62]

რიტორიკული შეკითხვის შემცველ კითხვითსიტყვიან კონსტრუქციებში ყველაზე ხშირად გამოიყენება კითხვითი ნაცვალსახელი მი(ნ) „ვინ", იშვიათად, სხვა ჯგუფის კითხვითი სიტყვები და მასთან ერთად „ყოფნა" ზმნის მესამე პირის ახლანდელი დროის ფორმა ორე(ნ) „არის" გარკვეული ფონეტიკური ვარიაციებით: რე(ნ) / ე(ნ) და იგივე ზმნა წარსული (უსრული) დროის ფორმითაც: ორდუ „იყო".

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

(1) მინ რე, სიმართეს უწიინსინ?! (მასალები) „ვინ არის, სიმართლეს რომ ეტყვის?!" [63]

(2) მინ რე, თეშ მაშორა შარაშა ურს სქანი გურიშენი?!" (მასალები) „ვინ არის, ამ სიშორე გზაზე რომ წავა შენი გულისთვის?!"

(3) მი რე, სქანოთ მიჩოლანსინ?! (მასალები) „ვინ არის, შენთვის რომ მოიცლის?!"

---

62 მეგრულში კითხვითსიტყვიანი ჰიპოტაქსური კონსტრუქციების შესახებ მსჯელობა დაწვრილებით იხ. ლომია 2005:136-144; კარტოზია და სხვები 2010:386-389.

63 ამ ტიპის ჰიპოტაქსური კონსტრუქცია ინტონაციურად ერთიანია; აზრის გაგების მიზნით, სასვენ ნიშანს ვსვამთ რთულ წინადადებაში პუნქტუაციის ტრადიციული წესების შესაბამისად.

(4) მი რე, დუს გინოდვას სქან გურიშენი?! (მასალები) „ვინ არის, თავს რომ გადადებს შენი გულისთვის?!";

(5) მინი რე, მიოთინანსინ?! (ხუბუა 126:1) „ვინ არის, რომ გაბედავს მიახლოებას?!";

(6) ბოში, სი მუთ რე, გაგორენი თე სქანი ჯიმალეფი?!

„ბიჭო, შენ რით (+არის) შეგიძლია მოძებნა იმ შენი ძმების?" (დანელია, ცანავა, ტ. II. 164, 30-31);

(7) მუჟანსი რდუ, მა სი გოხვარუდინ?! (მასალები) „როდის იყო, მე შენ რომ გეხმარებოდი?!"

რიტორიკული შეკითხვა მარტივი წინადადებითაც დასტურდება ექსპედიციის მასალებში, თუმცა მეგრულისთვის ბუნებრივი მაინც ჰიპოტაქსური კონსტრუქციაა:

(8) მი გეიდირთუ ბაზარს მუქთას?! (მასალები) „ვინ დაგიდგება ბაზარში მუქთად?!"

შდრ.:

(9) მი რე, ბაზარს მუქთას გეიდირთუნ?! (მასალები) „ვინ არის, რომ დაგიდგება ბაზარში მუქთად?!"

(10) მინ მოიზოჯინუანს აშო?! „ვინ მოგართმევს აქეთ?!"

შდრ.:

(11) მინ რე, აშო მოიზოჯინუანსინ?! „ვინ არის, აქეთ რომ მოგართმევს?!"

არაკითხვითსიტყვიანი ჰიპოტაქსური კონსტრუქციები [64]

ზემოალნიშნული თავისებურებანი მხოლოდ კითხვითსიტყვიან ჰიპოტაქსურ (ან მარტივ) კონსტრუქციას არ ახასიათებს. ისეთივე აზრობრივი ნიუანსი გადმოიცემა მაშინაც, როცა კითხვითი სიტყვის ადგილას მთავარ წინადადებაში **პირის ნაცვალსახელი** ან რომელიმე სახის **ზმნისართია** მოცემული.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

(12) ათეს რდუო, მნატრენდინი?! „ამას იყო, რომ ვნატრობდი?!" (გუდავა, ტ. I, 164, 27);

(13) მა რენო თქვა ჭითა ნაბადის მიციდენთგნი?! „მე არის, თქვენ წითელ ნაბადს რომ მიყიდით?!" (დანელია, ცანავა, ტ. II, 144, 19);

(14) დღას ორდუო, მა სი გოხვარუდინ?! (მასალები) „ოდესმე იყო, მე შენ რომ გეხმარებოდი?!"

ლაზურშიც დასტურდება ისეთი რიტორიკული შეკითხვის შემცველი კონსტრუქციები, რომლებიც, იმავდროულად, ევიდენციალურია.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

(15) დოლუ მიქ უწუმეს?! / მიქ უწუმეს დოლუ?! (მასალები) „ვინ ეტყვის სიმართლეს?!"

(16) აკო მენდრა მი ნულუნ ?! (მასალები) „ვინ წავა ასე შორს?!"

---

64 მეგრულში არაკითხვითსიტყვიანი ჰიპოტაქსური კონსტრუქციების შესახებ მსჯელობა დანვრილებით იხ. ლომია 2005:145-151; კარტოზია და სხვები 2010:389-391.

(17) მი ულუნ აკო მენდრა სკანიშენი?! (მასალები) „ვინ წავა ასე შორს შენთვის?!"

(18) სკანიშენი ორა მის უღუნ?! (მასალები) „ვის სცალია შენთვის?!"

(19) ბაზაის მი დოდგითუნ სკანი იეის?! (მასალები) „ვინ დადგება ბაზარში შენ ნაცვლად?!"

(20) მუნეს ტუ, მა მეგიშველტი?! (მასალები) „როდის იყო, მე (რომ) გეხმარებოდი?!"

რიტორიკული შეკითხვის სვანური ნიმუშები

(21) დას ხოჟიბ ათხე შუ̈ანთე ლაზდ?! (მასალები) „ვის სცალია ახლა სვანეთში წასასვლელად?!"

(22) შომა ლასუ̈, მი სი მოლა ჯეჰერ, ეჯი?! (მასალები) „როდის იყო, რომ მე შენ რამეს გთხოვდი?!"

(23) დეცთეჟი კიბ დას ხოგა, ერე სი ლახგემ?! (მასალები) „ცამდე კიბე ვის შეუდგამს, რომ შენ შეიდგა?!"

(24) ამის ხუ̈აკიკდა ამზუქა?! (მასალები) „ამას ველოდებოდი ამდენ ხანს?!"

(25) ათხე ლიშდუეს დარ ანჭინდა?! (მასალები) „ახლა თოვას ვინ ელოდა?!"

(26) დარ იკუ̈შე ტკიცს?! (მასალები) „ვინ ამხელს სიმართლეს?!"

(27) თხუ̈იმ სგუ̈ებინჩუ დას ხოდგარა?! (მასალები) „თავი წინასწარ ვის მოუკლავს?!"

(28) სი დემ ათქუთნი, ქორთეჲსგა იმ დარ ჯიჯდე?! (მასალები) „შენ [თუ] არ გაინძრევი, სახლში ვინ რას მოგიტანს?!"

(29) მიჩეშდ მა̈ ხაწუ̈ა, სი მა̈ ლაჯომეს?! (მასალები) „თავისთვის რა აბადია, შენ რა მოგცეს?!"

(30) აშ მადე გუხალდადა, მა ხეხელიუ, ეჯი? (მასალები) „ხომ ვიცოდით, რაც მოხდებოდა?!“

(31) ლემბაჟ მადე ლია ამიშ გუეშ? (მასალები) „გასაკვირი არაა ამის საქმე?!“

(32) სგა ხიდა ამ გუაშემ მგრგაუი? (მასალები) „თქვენ ხართ ამ საქმის მომგვარებელი?!“

3. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი ევიდენციალობის თვალსაზრისით ქართველურ ენებში

ევიდენციალური შინაარსი სინტაქსურ დონეზე პირდაპირი და ირიბი ნათქვამით გადმოიცემა. ეს საკითხი განსაკუთრებით საინტერესოა ქართველურ ენებში, რადგან პირდაპირი ნათქვამის სამივე პირი მარკირებულია.

3.1. სხვათა სიტყვის(-მეთქი,-თქო,-ო)ნაწილაკების შემცველი მეტყველების აქტი ევიდენციალობის თვალსაზრისით ქართულში

სხვა ენობრივ საშუალებებთან ერთად, ევიდენციალობის გამომხატველად მიიჩნევენ სხვათა სიტყვებსაც. ეს საკითხი ქართულშიც მნიშვნელოვანია, კერძოდ, ევიდენციალობის თვალსაზრისით საინტერესო ენობრივ სურათს წარმოგვიდგენს **-მეთქი**, **-თქო**, **-ო** ნაწილაკების შემცველი მეტყველების აქტი.

ქართული სხვათა სიტყვის **-ო** ნაწილაკიანი ფორმები ევიდენციალობის სემანტიკურად მსგავს კატეგორიათა ჯგუფში წარმოდგენილი აქვს ვ. ბოედერს (Boeder 2000:279-280).

ევიდენციალობის კუთხით **-მეთქი**, **-თქო**, **-ო** ნაწილაკები საგანგებოდ შეისწავლა მ. ტოფაძემ. მკვლევრის ვარაუდით, **-მეთქი** პირდაპირი ევიდენციალობის, პირველი ხელიდან მოწოდებული ინფორმაციის მარკერია, რადგანაც მოუბარი პი-

რადადაა გამონათქვამის (ინფორმაციის) წყარო. **-მეთქი**-საგან განსხვავებით, მეორე და მესამე პირის სხვათა სიტყვის ნაწილაკები მეორე ხელიდან მოწოდებული ინფორმაციის მარკერებია: **-თქო** გამოიყენება, მაშინ როდესაც ადრესატი მედიატორია მოუბარსა და მესამე პირს შორის. გამონათქვამი მიმართულია მესამე პირისაკენ, ინფორმაციის წყარო მოუბარია. სხვათა სიტყვის ნაწილაკი **-ო** გადმოგვცემს მეორე ხელიდან მიღებულ ინფორმაციას. **-მეთქი** და **-თქო** ნაწილაკებისაგან განსხვავებით, **-ო** ნაწილაკისათვის არ არის აუცილებელი დააზუსტოს ინფორმაციის წყარო, რაც შეიძლება სხვებისათვის საყოველთაოდ ცნობილი იყოს (Topadze Gäumann 2011).

თუ ჩვენ მიერ არჩეულ ტერმინებს გამოვიყენებთ, გამოდის, რომ მ. ტოფაძის მიხედვით, **-მეთქი** არაევიდენციალური, ხოლო **-თქო** და **-ო** ნაწილაკები ევიდენციალური მარკერებია.

ტრადიციულად, ევიდენციალობა მხოლოდ მთქმელის პოზიციიდან განიხილება. მთქმელის პოზიციის მიხედვით განისაზღვრება, ნათქვამი ევიდენციალურია თუ არ არის ევიდენციალური. ევიდენციალობა ტექსტის კატეგორიაა, ამიტომ, ჩვენი აზრით, ის უფრო ფართოდ და მრავალწახნაგოვნად უნდა იქნეს განხილული. ამისათვის ჩვენ, მთქმელის პოზიციის გარდა, ვითვალისწინებთ მსმენელისა და შუამავლის პოზიციასაც. კერძოდ, ვფიქრობთ, ევიდენციალობის თვალსაზრისით ქართულში სხვათა სიტყვის ნაწილაკების (-მეთქი, -თქო, -ო) შემცველი მეტყველების აქტის ზუსტად და სრულყოფილად აღწერისათვის საჭიროა, ნაწილაკებიანი კონსტრუქციები გაანალიზდეს სამი წევრის მიხედვით; ესენია:

I. მთქმელი (მოუბარი)

II. ინფორმაციის მიმღები-განმმეორებელი-გადამცემი

III. ინფორმაციის მიმღები

თუ სამეტყველო აქტს ამ წევრების მიხედვით განვიხილავთ, გაჩნდება კითხვები:

- ამ წევრთაგან ვისთვის შეიძლება იყოს ნათქვამი ევიდენციალური?
- ამ წევრთაგან ვისთვის შეიძლება იყოს ნათქვამი არაევიდენციალური?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ცალ-ცალკეა განსახილველი ზემოაღნიშნული ნაწილაკების შემცველი მეტყველების აქტი **მთქმელის (მოუბარი პირის), ინფორმაციის მიმღები-განმმეორებელი-გადამცემისა და ინფორმაციის მიმღების მიხედვით.**

როგორც ცნობილია, -მეთქი ორი სიტყვის შეერთებისგანაა მიღებული: „მე ვთქვი“. ა. შანიძის აზრით, „ამიტომაა, რომ იგი მოუბარი პირის ნათქვამის გამეორებას ან განაზრახი სიტყვების თქმას აღნიშნავს: „ვუთხარი: გაგიკეთებ-მეთქი“ (შანიძე 1980:610). ასეთივე განმარტებას იძლევა ლ. კვაჭაძეც, ოღონდ -მეთქი ნაწილაკს, მოუბარი პირის ნაცვლად, „პირველი პირის ნათქვამის“ აღმნიშვნელად ასახელებს და ასეთი მაგალითები მოჰყავს: „ამ ერთმა შაშვმა როგორ შემაშინა-მეთქი, – ვჯავრობდი (რაზ.); ახ, ერთი ის საკრავი ნეტავი ჩემი იყოს-მეთქი, – ვიფიქრე“ (რაზ.) (კვაჭაძე 1988:458). შედარებით უფრო დაზუსტებულად წარმოგვიდგენს ა. კიზირია ამ ნაწილაკის ფუნქციას. კერძოდ, „-მეთქი ნაწილაკი იხმარება მაშინ, როდესაც მოლაპარაკე პირი თავის ნათქვამს ან ჩანაფიქრს იმეორებს ან გადასცემს მეორე პირს“. ა. კიზირიას ასეთი მაგალითები მოჰყავს:

ა. მოლაპარაკე პირი თავის ნათქვამს ან ჩანაფიქრს იმეორებს:

„ეს გუგულები სად შეფრენილა-მეთქი“ (აკაკი);

„ვიფიქრე: ეს მჭადი მე ხეირს არ დამაყრის-მეთქი“ (აკაკი);

„მე მეგონა თევზია-მეთქი და კალათი მოვიმარჯვე“ (ი. გოგებ.) (კიზირია 1974:149).

ბ. მოლაპარაკე პირი თავის ნათქვამს ან ჩანაფიქრს გადასცემს მეორე პირს:

„ვითამაშეთ და ქორმაც მე გამიტაცა-მეთქი! – ვუპასუხე ძიძას სიცილით“ (აკაკი);

„აკი გეუბნებოდით, ზღარბი გაცოცხლდებოდა-მეთქი“ (ი. გოგებ.) (კიზირია 1974:149).

შევნიშნავთ, რომ ა. კიზირიას მსჯელობაში ნახსენები „მეორე პირი“ პირობითადაა *მეორე პირი*, რადგან -მეთქით გადმოცემული ინფორმაცია ზოგჯერ შეიძლება მიემართებოდეს მესამე პირსაც. მაშასადამე, -მეთქი ნაწილაკის გამოყენების შემთხვევაში ინფორმაცია შეიძლება მიემართებოდეს გრამატიკულ მეორე პირს (მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში), ამის მაგალითად გამოდგება ზემოთ მოყვანილი წინადადება, რომელშიც ინფორმაცია მიემართება მეორე პირს მრავლობით რიცხვში: *„აკი გეუბნებოდით, ზღარბი გაცოცხლდებოდა-მეთქი“* (გეუბნებოდით *მე თქვენ*, გაცოცხლდებოდა-მეთქი); თუმცა ინფორმაცია შეიძლებელია მიემართებოდეს მესამე პირსაც (მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში), იხ. ასევე ზემომოყვანილი წინადადება: *„ვითამაშეთ და ქორმაც მე გამიტაცა-მეთქი! – ვუპასუხე ძიძას სიცილით“* (გამიტაცა-მეთქი, ვუპასუხე *მე მას*); აქ ინფორმაცია მიემართება მესამე პირს მხოლობით რიცხვში, ძიძას.

თავის მხრივ, იმ წინადადებაშიც, რომელშიც უშუალოდ მეორე პირს მიემართება ნათქვამი, გარკვეული ცვლილების შეტანის შემდეგ ინფორმაცია შეიძლება მიემართებოდეს მესამე პირს, კერძოდ, თუ ავტორისეულ სიტყვებს დავუმატებთ:

(1) [აკი გეუბნებოდით, ზღარბი გაცოცხლდებოდა-მეთქი, – ვეუბნებოდი მეგობრებს][65] (ვეუბნებოდი მე მათ[66], გაცოცხლდებოდა-მეთქი).

ამრიგად, იმ შემთხვევაში, როცა -მეთქი ნაწილაკიან მაგალითებში მთქმელი, მოუბარი პირი თავის ნათქვამს იმეორებს ან თავის ჩანაფიქრს გადმოგვცემს, ავტორისეული სიტყვების დართვა-დაურთველობა არ ცვლის ვითარებას, ორივე შემთხვევაში მთქმელის ნათქვამი არ მიემართება რომელიმე სხვა პირს:

„ეს გუგულები სად შეფრენილა-მეთქი“,
შდრ.:

(2) [ეს გუგულები სად შეფრენილა-მეთქი, – გამიკვირდა][67].

მაგრამ, როცა -მეთქი ნაწილაკიან მაგალითებში მთქმელის, მოუბარი პირის ნათქვამი მიემართება მეორე პირს, ავტორისეული სიტყვების გარეშე, ლოგიკურად მოიაზრება, რომ მთქმელის ნათქვამი თანამოუბარ, მეორე პირს მიემართება, ხოლო ავტორისეული სიტყვების არსებობის პირობებში, ის პირი, ვისაც ნათქვამი მიემართება, რეალურად მესამე პირია:

---

65 ჩვენ მიერ გადაკეთებულ წინადადებებს კვადრატული ფრჩხილებითა და შესაბამისი ნუმერაციით წარმოვადგენთ.

66 რადგან აღნიშნულ კონსტრუქციას მთქმელის, ინფორმაციის მიმღებ-განმმეორებელ-გადამცემის და ინფორმაციის მიმღების მიხედვით ვიხილავთ, ამ შემთხვევაში მხოლოდ მათ ფარდ ნაცვალსახელებს ვასახელებთ.

67 თუ წინადადებას ასე გადავაკეთებთ [ეს გუგულები სად შეფრენილან-მეთქი, – ვეუბნებოდი ჩემს თავს], ამ შემთხვევაში თითქოს სხვა, მესამე პირია ინფორმაციის მიმღები (ვეუბნებოდი მე მას), მაგრამ ეს სხვა პირი, იგივე მთქმელია, უბრალოდ უკუქცევითი ნაცვალსახელითაა გადმოცემული და ამიტომაა მესამე პირში. ფაქტობრივად, აქაც მთქმელი თავისივე ნათქვამს იმეორებს თავისთვის, ნათქვამი არ მიემართება რომელიმე სხვა პირს და თვითონ მთქმელისთვის ეს ინფორმაცია არაა მიღებული სხვა წყაროდან.

„აკი გეუბნებოდით, ზღარბი გაცოცხლდებოდა-მეთქი“, ნათქვამი მიემართება მეორე პირს (გეუბნებოდით მე თქვენ),

შდრ.:

(3) [აკი გეუბნებოდით, ზღარბი გაცოცხლდებოდა-მეთქი, – ვეუბნებოდი მეგობრებს], ნათქვამი მიემართება მესამე პირს (გაცოცხლდებოდა-მეთქი, ვეუბნებოდი მე მათ).

ვფიქრობთ, ევიდენციალობის თვალსაზრისით აქ ის არის საინტერესო, რომ როდესაც -მეთქი ნაწილაკით გადმოცემული სხვათა სიტყვა არავის არ მიემართება, ფაქტობრივად, ამ ინფორმაციის მიმღებიც არ არსებობს, ამიტომ ეს შემთხვევა უნდა ჩაითვალოს არაევიდენციალურად, ხოლო, როდესაც -მეთქი ნაწილაკით გადმოცემული ინფორმაცია მიემართება მეორე ან მესამე პირს, მაშინ ეს პირები ინფორმაციის მიმღებნი არიან, მათთვის ინფორმაცია მეორე ხელიდანაა მიღებული და ამიტომ ევიდენციალურია.

-თქვა, -თქო ნაწილაკები, ა. შანიძის თვალსაზრისით, წყვეტილის მესამე პირის ფორმაა, მათში **ო** მიღებულია **უა** ჯგუფის შერწყმით და „აღნიშნავს მოუბარი პირის დანაბარებ სიტყვას, რომელიც მეორე პირმა მესამეს უნდა გადასცეს: „ასე მოახსენე: მე თვითონ გავსცემ მაგას პასუხს-თქვა“ („პასუხს-თქო“)“ (შანიძე 1980:610).

ლ. კვაჭაძის განმარტებაც იგივეა, ოღონდ ავტორი მოუბარი პირის ნაცვლად აქაც პირველ პირს ასახელებს: „-თქო (-თქვა) დაერთვის პირველი პირის ისეთ ნათქვამს, რომელიც მეორე პირმა მესამეს უნდა გადასცეს: დარეჯანმა . . . ბარათი მისცა გოგოს, ამ სიტყვის ზედდატანებით: როგორც გითხარი, ისე მოიქეცი-თქო (ჭავ., 341); უთხარი ძალიან დიდი საქმე აქვს, უეჭველად ამაღამ ჩამოდი-თქვა (ნინ.)“ (კვაჭაძე 1988:459). ლ. კვაჭაძე მიუთითებს, რომ ქართულ სალიტერატურო ენაში -თქვა ნაწილაკის ხმარება შეცდომაა.

ჩვენი ანალიზის მიხედვით, -თქო ნაწილაკით გადმოცემული სხვათა სიტყვა ევიდენციალურია, რადგან ამ ინფორმაციის მიმღებია მეორე პირი, რომელმაც მესამე პირს უნდა გადასცეს ეს ინფორმაცია. აქ, ფაქტობრივად, მეორე პირი მიმღები პირიც არის და გადამცემიც, ხოლო მესამე მხოლოდ მიმღებია. ვფიქრობთ, რომ ორივე (მეორე და მესამე) პირისათვის ინფორმაცია მეორე ხელიდანაა მიღებული და ამიტომაცაა ევიდენციალური მათთვის, რასაც ქვემოთ მოყვანილი მაგალითებიც ადასტურებენ:

„დაარწმუნე ყველა, რომ ბაში-აჩუკი მოვკალი-**თქო**“ (აკაკი);

„მეზობელი ეტყოდა სიმონას ხოლმე: ქაჯან, გაიქე, დედაშენს უთხარი: ერთი პური გვასესხე-**თქო**“ (ნ. ლომ.);

„მამათქვენი აქ არის და თქვენი დანახვა უნდა-**თქო**“ (ვაჟა) (კიზირია 1974:149).

-ო გადმოგვცემს მესამე პირის ნათქვამს: „დედამ შემოგითვალა: ცოტა ფქვილი გვასესხეო“ (შანიძე 1980:610). ამ შემთხვევაში პირველი პირი მოუბარია, გადმოგვცემს მესამე პირის ნათქვამს, რომელიც შეიძლება მიემართებოდეს პირველ და მეორე პირებს ორსავე რიცხვში. მეორე პირისადმი მიმართული **-ო** ნაწილაკიანი სხვათა სიტყვა ავტორისეული სიტყვების დართვის შემთხვევაში აქაც განიცდის ცვლილებას და მესამე პირს მიემართება.

„წადი, საცა შენი სთქვა, იქ ჩემიც ნუ დაგავიწყდებაო, – უთხრა გიორგიმ“ (ილია); (კიზირია 1974:149); (ნუ დაგავიწყდებაო, უთხრა მან მას).

-ო ნაწილაკით გადმოცემული სხვათა სიტყვა ასევე შეიძლება მიემართებოდეს განზოგადებულად ყველას (I, II, III პირს ორსავე რიცხვში) მაგალითად ანდაზებში: *„ბავშვი არ დაბადებულიყო და აბრაამს არქმევდნენო“; „თაგვმა თხარა თხარაო, კატა გამოთხარაო“; „კაცი კაცითაო და ღობე – ქაცვითაო“* და სხვ.

ამრიგად, **-ო** ნაწილაკით გადმოცემული სხვათა სიტყვა ევიდენციალურია პირველი და მეორე პირებისათვის ორსავე რიცხვში და განზოგადებულად ყველასათვის, კონკრეტულად ანდაზებში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, *მთქმელის, ინფორმაციის მიმღები-განმმეორებელი-გადამცემის, ინფორმაციის მიმღების* გათვალისწინებით, ნათქვამის ევიდენციალობას ვარკვევთ იმის მიხედვით, თუ ვის მიემართება ნათქვამი და ინფორმაციის რა წყაროს ეყრდნობა იგი, რაც ცხრილის სახით შეგვიძლია ასე წარმოვადგინოთ:

ცხრილი № 3

სხვათა სიტყვის ნაწილაკების შემცველი მეტყველების აქტი ევიდენციალობის თვალსაზრისით ქართულში

მთქმელი	ინფორმაციის მიმღები-განმმეორებელი-გადამცემი	ინფორმაციის მიმღები პირი	ნათქვამი ევიდენციალურობის თვალსაზრისით
I პირი თავისივე ნათქვამს გადმოგვცემს **-მეთქი** ნაწილაკით		I პირი მხოლობითში (როცა I პირი იმეორებს თავის ნათქვამს და თავად არის ინფორმაციის მიმღები)	არაევიდენციალური
		II პირი ორსავე რიცხვში III პირი ორსავე რიცხვში	ევიდენციალური
I პირი თავისივე ნათქვამს გადმოგვცემს **-თქო** ნაწილაკით	II პირი ორსავე რიცხვში		ევიდენციალური
		III პირი ორსავე რიცხვში	ევიდენციალური
I პირი III პირის ნათქვამს გადმოგვცემს **-ო** ნაწილაკით		I, II პირი ორსავე რიცხვში	ევიდენციალური
		განზოგადებულად ყველა	ევიდენციალური

ასეთია ზოგადი სურათი ზემოთ შემოთავაზებული წევრების მიხედვით გაანალიზებული სხვათა სიტყვის ნაწილაკების შემცველი სამეტყველო აქტისა. თუმცა არის ცალკეული შემთხვევებიც, როდესაც ერთგვარად განსხვავებული ვითარება გვაქვს. კერძოდ, აღსანიშნავია, რომ -ო ნაწილაკი -მეთქი ნაწილაკის ნაცვლად იხმარება, თუ პირველი პირის ფორმა მრავლობით რიცხვშია, ამ შემთხვევისათვის ასეთ მაგალითს ასახელებს ლ. კვაჭაძე: „ბებერია ეგ ტიალი, როგორ ბუხბუხებს, როგორ რუხრუხებსო! – ვამბობდით ჩვენ" (ვაჟა). მკვლევარი იქვე წერს, რომ „ვამბობდით რომ მხოლობითში დავაყენოთ, -ო-ს -მეთქი შეცვლის: ბებერია ეგ ტიალი, როგორ ბუხბუხებს, როგორ რუხრუხებს-მეთქი! – ვამბობდი მე" (კვაჭაძე 1988:459).

ამ შემთხვევაშიც -ო ნაწილაკით გადმოცემული პირველი პირის სხვათა სიტყვა არ არის ევიდენციალური, რადგან აქ -ო ნაწილაკი -მეთქი-ს მაგივრად იხმარება და ფაქტობრივად, მის ფუნქციასაც ასრულებს, კერძოდ, იმ ფუნქციას, როდესაც -მეთქი ნაწილაკით გადმოცემული სხვათა სიტყვა არ მიემართება რომელიმე პირს, არ ჰყავს მიმღები პირი, უბრალოდ პირველი პირი (მხოლობითში) იმეორებს თავის ნათქვამს.

ლ. კვაჭაძე ასახელებს ისეთ მაგალითებსაც, რომლებშიც -მეთქი ნაწილაკის ნაცვლად ზოგ დიალექტში, მაგ., იმერულში, -თქვა (-თქო) გამოიყენება: „მე მოვახსენე, რომ ამა და ამ სოფლიდან ვარ-თქვა და ამა და ამ კაცის შვილი-თქვა (კლდ.); სიტყვა მივეცი პატიოსანი, თქვენი შვილის მეთვალყურე ვიქნები-თქვა, მე ვუპატრონებ, თუ რამე გასაჭირი შეხვდა-თქვა (კლდ., I, 36); დავპირდი, რომ მსაჯულს მე თვითონ მოველაპარაკები-თქო (წერ, 8, 102)" (კვაჭაძე 1988:459).

ამ მაგალითებში -მეთქი ნაწილაკის მაგივრად გამოყენებული -თქვა (-თქო) ნაწილაკით გადმოცემული სხვათა სიტყვა ევიდენციალურია. პირველი პირის ნათქვამს ჰყავს მიმართვის საგანი,

კერძოდ III პირი, ვისთვისაც ეს ინფორმაცია მეორე ხელიდანაა მიღებული და ამიტომაც ევიდენციალურია, ანუ აქ ის ვითარება გვაქვს, როდესაც -მეთქი ნაწილაკით გადმოცემული პირველი პირის ნათქვამი III პირს მიემართება და სწორედ ამ პირისათვისაა ევიდენციალური ეს ინფორმაცია.

-ო ნაწილაკი იშვიათად ორივე (-მეთქი და -თქო) ნაწილაკის ნაცვლად შეიძლება შეგვხვდეს. ამისი მაგალითები გ. კარტოზიას რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან" მოჰყავს:

„მონააო ასმათისი". – „რა **იცისო**, – ვარქვი, – ჰკითხე!" 357[359]$_1$.

. . .

ესე უთხარ: „ამის მეტსა მოციქულობ ნურას **ნუო**. . ." 1476[1482]$_1$. (კარტოზია 2004:171).

გ. კარტოზიას მიერ მოყვანილ მაგალითებშიც -მეთქი და -თქო ნაწილაკების ნაცვლად გამოყენებული -ო ნაწილაკიანი ფორმები ევიდენციალურია, რადგან ჰყავთ ინფორმაციის მიმღები პირები, ვისთვისაც ეს ინფორმაცია მეორე ხელიდანაა მიღებული.

მაშასადამე, -მეთქი და -თქო ნაწილაკების ნაცვლად გამოყენებული -ო ნაწილაკიანი სხვათა სიტყვა ევიდენციალობის თვალსაზრისით იმგვარია, რომელი ნაწილაკის ნაცვლადაც გამოიყენება.

ამრიგად, ზემოთ შემოთავაზებული სამი წევრის მიხედვით სხვათა სიტყვის ნაწილაკების შემცველი მეტყველების აქტის განხილვა ზუსტად წარმოგვიდგენს ვისთვის, რომელი პირისათვის არის ინფორმაცია მიღებული სხვა წყაროდან (იხ. ცხრილი), ანუ ვისთვისაა ინფორმაცია ევიდენციალური და ვისთვის – არა.

3. 2. სხვათა სიტყვის ნაწილაკების შემცველი მეტყველების აქტი ევიდენციალობის თვალსაზრისით მეგრულსა და ლაზურში

მეგრულში სხვათა სიტყვის ნაწილაკებია: **-მაქი** „-მეთქი“, **-შო** „-თქო“. **-ა** „-ო“, -მაქი (||მაქე) გადმოსცემს I პირის ნათქვამს, -შო II პირის ნათქვამს გადასცემს III-ს, -ა, რომლის ფონეტიკური ვარიაციებია -ია/-იე/-ავა, გამოხატავს III პირის ნათქვამს[68]. -მაქი ქართული -მეთქი-ს შესატყვისია, ეტიმოლოგიაც ქართულის მსგავსი აქვს: -მაქი (← მა ფთქვიი „მე ვთქვი“), ხოლო -შო ნაწილაკს შეეფარდება ქართული -თქო და, ქართულის მსგავსად, მიღებულია თქუუ/თქოუ „თქვა“ ზმნის მე-3 პირის ფორმისგან ქ→შ გადაბგერებით (Кипшидзе 1914:0142-0143). -ა ნაწილაკი ქართული სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკის ფარდია.

ლაზურში სხვათა სიტყვის ნაწილაკებია: **-მა** „-მეთქი“ (I), **-შო** „-თქო“(II), **-ა** „-ო“ (III), რომლებიც პირების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებიან: -მა გამოხატავს I პირის ნათქვამს, -შო გამოხატავს II პირის ნათქვამს, -ა-ს აქვს ფონეტიკური ვარიაციები (-ჲა/-ია) და გამოხატავს III პირის ნათქვამს. III პირის ნათქვამის გადმოსაცემად გამოიყენება აგრეთვე თურქულიდან შეთვისებული ნაწილაკი **დერი/დეი** („სარფი“ 2015:502).

---

68 მეგრულსა და ლაზურში სხვათა სიტყვის ნაწილაკების ფონეტიკური ვარიაციების წარმოქმნის გზებს არ ვეხებით, რადგან ჩვენი მსჯელობის თემას სცილდება. დასახელებულ საკითხებზე იხ. Кипшидзе 1914; ჩიქობავა 1936; კაჭარავა 1950; კარტოზია 1958, 1996; დადიანი 2006.

მეგრულის მაგალითები:

I პირის ნათქვამი:

(1) ასე მისგთი... შევხვადგქვნი, არძას ბკითხურენქ, სო უმოსი ეფას გგმგჩამგ-**მაქი** ლაზუტი (ყიფშიძე 2:27-28) „ახლა ვისაც შევხვდები, ყველას ვეკითხები, სად უფრო იაფად იყიდება-**მეთქი** სიმინდი?“

(2) ჩქიმი სქუა ულას დააჭყანსი, ხეთე ხოლო ვოკითხუქ: „სო მეურქ-**მაქი**? “ (მასალები) „ჩემი შვილი წასვლას რომ დააპირებს, მაშინვე ვეკითხები: „სად მიდიხარ-**მეთქი**?“

(3) არძას ვურაგადუქ, ვეენდათ-**მაქი!** (მასალები) „ყველას ვეუბნები, არ ენდოთ-**მეთქი**“.

(4) ჩქიმ ძლაბის ვეჩიებუქ, ვეტკორთა-**მაქი** (მასალები) „ჩემს გოგოს ვეუბნები/„ვესაუბრები“, არ ჩამოხვიდე-**მეთქი**“.

II პირის ნათქვამი:

(5) ჩქიმიშენი ქუუნიით: თიქ მოლმოჩქუ-**შო** (ყიფშიძე 2:2) „ჩემზე უთხარით, იმან გამომგზავნა-**თქო**.

(6) დიასქანს გინოჩი, ვედიგვიანუა-**შო** (მასალები) „დედაშენს უთხარი, არ დააგვიანო-**თქო**“.

(7) დიასქანს ქუნიი, უჩქიმეთ ვაგონწყა-**შო** (მასალები) „დედაშენს უთხარი, უჩემოდ არ გახსნა-**თქო**“.

III პირის ნათქვამი:

(8) მა მუჟანს საჭირო მაცინ, თიწკმა ქოიწიინქ**ია**, – უწუუ არწივის „მე როცა საჭირო მექნება, მაშინ დაგიძახებ**ო**, – უთხრა არწივს [გიორგიმ]“ (დანელია, ცანავა, ტ. II, 214:32).

(9) ...უწუუ, – დასავლეთიშე მუთუნფერაშე ვეედავა! „უთხრა, – დასავლეთისკენ როგორმე არ წახვიდეო!“ (კარტოზია 14: 14-15).

ლაზურის მაგალითები:

I პირის ნათქვამი:

(10) არ კაი შარვალი ქემიჭოფით-**მა**, ვუწვი „ერთი კარგი შარვალი მიყიდეთ-**მეთქი**, ვუთხარი“ („სარფი“ 2015:502).

(11) არ ბერეფე ქობძირა-**მა** დო ბერეფეშა მენდაფთი „ერთი ბავშვები ვნახო-**მეთქი** და ბავშვებთან წავედი“(„სარფი“ 2015:502).

II პირის ნათქვამი:

(12) ბიჭეფეს ქოდუჯოხით, გიარის ქოდოფხედათ-**შო** „ბიჭებს დაუძახეთ, საჭმელად დავჯდეთ [დავსხდეთ]-**თქო**“ („სარფი“ 2015:502).

(13) ბაბასქანის უწვი-ქი, ბერე ვარ მოხთუ-**შო**... „მამაშენს უთხარი, რომ ბავშვი არ მოვიდა-**თქო**...“ („სარფი“ 2015:502).

III პირის ნათქვამი:

(14) ჰემსატის არ ბადი კოჩი ქეჩქინდუ დო: „მუ გინონ-**და**? – უწუ „მაშინვე ერთი მოხუცი კაცი გაჩნდა და: „რა გინდაო?“ – უთხრა“ (სოსელიას მიხედვით 2011:53).

(15) ხოჯაქ ხოლო მომოღერდი ნაფან-**დეი** „ხოჯა კვლავ მოგვატყუებსო“ („სარფი“ 2015:502).

ამრიგად, **მეგრულსა** და **ლაზურში** ერთნაირი ვითარებაა სხვათა სიტყვის ნაწილაკების ფორმალური გამოხატულებისა და

ფუნქციური დანიშნულების მიხედვით (ჩიქობავა 1936:186; სოსელია 2011:53).

მეგრულსა და ლაზურში თითოეული სხვათა სიტყვის ნაწილაკი, რომელიც თავისთავში ორ სამეტყველო აქტს აერთიანებს, განხილული აქვს ე. სოსელიას სპეციალურ სტატიაში. სამეტყველო აქტების მონაწილეთა (მოლაპარაკე-მსმენელი) შორის მიმართება ასახულია სქემებზე. ავტორს ეს მონაცემები არ შეუფასებია ევიდენციალობის თვალსაზრისით, რადგან მის მიზანს სცდებოდა (იხ. სოსელია 2011:51-57).

ჩვენს შემთხვევაში, სხვათა სიტყვის ნაწილაკების შემცველი მეტყველების აქტი ევიდენციალობის თვალსაზრისით შეფასებულია ქართულის ვითარების მიხედვით და გათვალისწინებულია როგორც მთქმელის (მოუბარის), ასევე ინფორმაციის მიმღებ-განმმეორებელ-გადამცემისა და ინფორმაციის მიმღების პოზიციები. ამის მიხედვით ნაჩვენებია, ინფორმაცია რომელი პირისთვის როდის არის ევიდენციალური (დაწვრ. იხ. თ. II, §3.1). რამდენადაც მეგრულსა და ლაზურს *სხვათა სიტყვის* ნაწილაკების ფორმალური გამოხატულება და ფუნქციური დანიშნულება ქართულისებური აქვს, ზემოხსენებულ ცხრილში მოცემული შედეგები ამ ენათა მონაცემებზეც ვრცელდება.

განსხვავებები ქართველური ენების მიხედვით, რომლებსაც იძლევა სხვათა სიტყვის (III პირის) ნათქვამიანი კონსტრუქცია, განხილულია ცალკე (იხ. §4).

3.3. ვერბალური ევიდენციალობის გამოხატვა პირდაპირი ნათქვამითა და -ოღუ/-ოუ („-მცა“) ნაწილაკიანი კონსტრუქციებით სვანურ ენაში

სვანურ ენაში პირდაპირი ნათქვამი, როგორც სპეციალური ნაწილაკების განაწილებით, ასევე კონსტრუქციით, განსხვავდება დანარჩენი ქართველური ენების მონაცემებისაგან და ასახავს უფრო არქაულ ვითარებას, გარდამავალ საფეხურს პირდაპირი ნათქვამის ჩამოყალიბების გზაზე. ამიტომ წინამდებარე ნაშრომში მას ეთმობა ცალკე პარაგრაფი (იხ. თავი II §4), რომელშიც ვრცლადაა წარმოდგენილი პირდაპირი ნათქვამის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი სვანურში და საკითხის ნათელსაყოფად მოხმობილია დიდძალი საილუსტრაციო მასალა სიტყვასიტყვითი ქართული განმარტებებით.

3.3.1. ნაწილაკიანი პირდაპირი ნათქვამის სპეციფიკა

ვერბალური ევიდენციალობის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა – *სხვათა სიტყვა* ქართველურ ენებში ორი ტიპისაა: პირდაპირი ნათქვამი და ირიბი ნათქვამი. ერთიც და მეორეც ევიდენციალურია, რადგან ორივე ტიპი შეიცავს ინფორმაციის წყაროზე მითითებას: პირდაპირ ნათქვამში ეს არის პირის შესაბამისი კონსტრუქცია და ე. წ. „სხვათა სიტყვის“ ნაწილაკი, ირიბი ნათქვამი კი ჰიპოტაქსური კონსტრუქციაა, რომლის მთავარი წინადადება ავტორზე, ანუ ინფორმაციის წყაროზე მიუთითებს.

როგორც სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი, „თუ ვისიმე ნათქვამი (ან განაზრახი) მოლაპარაკისა თუ დამწერის მიერ სიტყვასიტყვით (ე. ი. უცვლელად) არის გამეორებული, ამას პირდაპირი ნათქვამი ჰქვია. მაგ.: „შოთა წერს: „მოყვარე მტერი

ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია". აქ პირველი წინადადება ავტორის სიტყვებია, მეორე კი – სხვათა სიტყვა, ანუ სხვათა ნათქვამია... თუ ვისიმე ნათქვამი (ან განაზრახი) ავტორის მიერ არ არის უცვლელად გამეორებული, არამედ სხვისი ნათქვამის აზრია გადმოცემული, თავისი თვალსაზრისით, ამას ირიბი ნათქვამი ჰქვია" (კვაჭაძე 1988:455-456). ქართულში უნაწილაკო პირდაპირი ნათქვამი ავტორის სიტყვების ან ვრცელი კონტექსტის გარეშე პირდაპირევიდენციალურია, არამარკირებულია, ვინაიდან არც ზმნური ფორმები იძლევა იმის საფუძველს, რომ ის სხვის ნათქვამად მივიჩნიოთ და არა უშუალოდ მთქმელის ნააზრევად: „ნინო სკოლაში წავიდა" – თქვა ირაკლიმ" – ავტორის სიტყვების („თქვა ირაკლიმ") გარეშე ეს ფრაზა, ცხადია, პირდაპირევიდენციალურია – მასში არც ზმნური ფორმაა პერფექტული („წასულა"), რომელიც ვერბალურ წყაროზე მიგვანიშნებდა და არც მესამე პირის „სხვათა სიტყვის" **-ო** ნაწილაკია გამოყენებული. თუმცა, როცა ევიდენციალობაზე ვმსჯელობთ, პირველ რიგში მას განვიხილავთ როგორც ტექსტის კატეგორიას, რომელიც ამა თუ იმ კონტექსტში ზოგჯერ, შესაძლოა, არც იყოს გრამატიკულად გამოხატული, მიუხედავად ამ მხრივ ენაში არსებული საშუალებებისა; ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ასეთი ტექსტი ირიბევიდენციალური არ არის – ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს კატეგორიის სწორედ ტექსტურ გამოხატულებასთან.

როგორც ცნობილია, ქართულ ენაში ნაწილაკიან პირდაპირ ნათქვამს ხშირად დაერთვის სიტყვასიტყვითი ნაწილაკები *-მეთქი, -თქო, -ო,* რომლებიც პირთა (I-II-III) მიხედვითაა განაწილებული, სვანურში კი შესაბამისი ნაწილაკებია I და II პირთათვის *-იჯ/-ჱჯ,* III პირისათვის *-როქუ* (<*რაქუ* „თქვა", შდრ.: ქართ. „-თქო"), *ესერ.* სხვისი ნათქვამი ამ ენაში მეტწილად მესამე პირით გადმოიცემა. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სვანურში „ნაწილაკოვანი სხვისი ნათქვა-

მის ზმნის პირიან ფორმებთან მიმართება თითქმის უნიფი
ცირებულია, სამსავე შემთხვევაში, III პირის
ფორმა გამოიყენება და გაგება იმისა, თუ რომელ პირზეა ლა
პარაკი, მხოლოდ კონტექსტის საშუალებით ხერხდება“ (ჩან
ლაძე 1998:223):

(1) ალდარ ესერ ახჭუადახ ბაზი, მინე დიმუ ესერ ჩუთდაგრახ (სვ. პრ. ტ., I, 1939:25);
„ესენი შემოგვესივნენო ამაღამ, ჩვენი დედ-მამა დახოცე-
სო“;
სიტყვასიტყვით: „ესენიო შემოსევიან ამაღამ, მათი დედა და
მამაო მოუკლავთ“.

როგორც ვხედავთ, ცხადყოფა იმისა, თუ ვის გადახდა ე
თავგადასავალი (მთქმელს, ანუ I პირს, თუ სხვას – III პირს ა
თუნდაც მიმართვის ობიექტს, მსმენელს – II პირს), მხოლოდ
წინამავალი კონტექსტის გათვალისწინებით არის შესაძლე
ბელი, მაგრამ ევიდენციალობის თვალსაზრისით ეს არაფერს
ცვლის, ვინაიდან ინფორმაციის წყარო რომ მთქმელისთვის
„სხვა“ არის და იგი თავად არ არის მოვლენის მოწმე, ამას ადას
ტურებს მთქმელის მიერ უნახაობის სემანტიკით I ევიდენცი
ალური პერფექტის ზმნური ფორმებისა (*ახჭუადახ* „შემოსე
ვიან“, *ჩუთდაგრახ* „მოუკლავთ“) და სხვათა სიტყვის III პირის
ნაწილაკის (*ესერ* „-ო“) გამოყენება.

საკითხის უკეთ ნათელსაყოფად გამოვიყენებთ პირობით
ცნებებს: **მთქმელი** – ტექსტის სუბიექტი, პირი, რომელიც
გადმოგვცემს ინფორმაციას; **ავტორი** – ინფორმაციის წყა-
რო, ინფორმაციის უშუალო მფლობელი, ანუ სწორედ „მეო-
ხელი“, ანუ „სხვა“; **ადრესატი** – ძირითად ამბავში ავტორის
მართვის ობიექტი (თუკი მთქმელის ნაამბობი ასეთს შეიც
ასევე „სხვა“.

როგორც ცნობილია, ქართულში მთქმელი III პირის ნათქვამს I პირისეული კონსტრუქციით წარმოგვიდგენს, ანუ ზმნაც და ნაცვალსახელიც ფორმობრივად წარმოთქმის მომენტის შესატყვისია – მთქმელი გადმოგვცემს ზუსტად იმ ფორმით, როგორც ინფორმაციის პირველწყარო, ავტორი წარმოთქვამდა, და არა საკუთარი პოზიციის გათვალისწინებით (ასე რომ იყოს, მაშინ ინფორმაციის უშუალო მფლობელი (წყარო) მისთვის III პირი გამოვა და კონსტრუქციაც შესაბამისი იქნებოდა):

ქართ. „პეტრემ თქვა: დღეს ჯიხვს **მოვკლავო მე**...", შდრ.:

სვან. *პეტრედ რაქ: ლადი ესერ ღუაშს* ***ადგარი ჯა*** – „პეტრემ თქვა: დღესო ჯიხვს **მოკლავს თვითონ**";

სვანურში ამგვარი პირდაპირი ნათქვამი, III პირისეული კონსტრუქციის გამო, ერთი შეხედვით (რომ არა *სხვათა სიტყვის* ნაწილაკი და ზმნა-შემასმენლის მწკრივი), ქართულის ირიბ ნათქვამს უფრო შეესაბამება: „...თქვა: მოკლავსო" შდრ. „...თქვა, რომ მოკლავდა"; წინადადება: „– როგორ მოგეწონა ეს ამბავი? – ჰკითხა არჩილმა დას" (ილია ჭავჭავაძის, „ოთარაანთ ქვრივიდან") – ირიბად რომ გადავაკეთოთ, მივიღებთ: „არჩილმა ჰკითხა დას, თუ როგორ მოეწონა მას ეს ამბავი". „გადაკეთებისას შეიცვალა ზმნის ობიექტური პირი: „მოგეწონაში" ობიექტური პირი მეორეა, „მოეწონაში" – მესამე" (კვაჭაძე 1988:456), სვანურად კი პირდაპირ ნათქვამშივე ობიექტური პირი მესამე იქნება:

(2) *იმჟი როქ* ***ლახბაჟა*** *ალ ამბაჟუ?* – „როგორ მოგეწონაო ეს ამბავი?" სიტყვასიტყვით: „როგორო მოსწონებია ეს ამბავი?"

ვ. ბოედერი აღნიშნავს, რომ სვანურში „პირდაპირი ნათქვამი ეპისტემიკური კატეგორიაა, რომელსაც „ნახევრადირიბი

ნათქვამი" უწოდა ჯ. ჰიუიტმა (Hewitt 1982). ნახევრადირიბი ნათქვამი უპირატესი ვარიანტია სვანურისთვის და, როგორც ერთ-ერთმა ჩემმა სვანმა ინფორმატორმა თქვა, ეს „უფრო სვანურია", ვიდრე ირიბი ნათქვამი" (Boeder 2002:18).

სვანური *სხვათა სიტყვის* აღნიშნულ სპეციფიკაზე მსჯელობს კ. ტუიტიც: „ირიბი მეტყველების დროს III პირს შეუძლია გამოიყენოს **მიახლოებითი პირდაპირი ციტირება** პირისა და დროის ნიშნების შეუცვლელად; ეს ხშირად ისეთი შემთხვევაა, როცა პირთა ოპოზიცია დაფარულია და სპეციალური ნაცვალსახელები **ჯა** („თვითონ") და **მინ** (მრ. რ. „თვითონ ისინი") ცვლიან I და II პირის ნაცვალსახელებს. ირიბ მეტყველებაში შემოდის დამატებით **ერე** („რომ") კავშირი და ნათქვამი შეიცავს *ესერ/როქუ* ციტირების ნაწილაკებს" (Tuite 1997:40).

დიალოგის (ან ობიექტისადმი მიმართული მონოლოგის) დროს ქართულში III პირისაგან I-II-III პირებისადმი მიმართვა სხვათა სიტყვაში მუდამ II პირის ფორმითაა გადმოცემული როგორც ზმნასთან, ისე ნაცვალსახელთან, ანუ ზუსტად ისე, როგორც მთქმელი (III პირი) იტყოდა, რადგან ადრესატად ნებისმიერ შემთხვევაში II პირი იგულისხმება, სვანურში კი ანალოგიურ ვითარებაში ნაცვალსახელიც და ზმნაც ადრესატის რეალურ პირს შეესაბამება ტექსტის სუბიექტის, მთქმელის (და არა ინფორმაციის უშუალო მფლობელის, წყაროს) პოზიციიდან – I-ს, II-ს ან III-ს:

(3) ბზ. *ɔრჩილდ მɔქუ, მრუ̀ ესერ ოდე(რ)!*
„არჩილმა მითხრა: შენ წადიო!"
სიტყვასიტყვით: „მე-მცა-ო წავედი!"

(4) *ɔრჩილდ ჯɔქუ, სრუ̀ ესერ ადე(რ)!*
„არჩილმა გითხრა: შენ წადიო!"
სიტყვასიტყვით: „შენ-მცა-ო წადი!"

(5) *Არჩილდ ხᲐქუ, ჯᲐუ ესერ აჩᲐდ!*
„არჩილმა უთხრა: შენ წადიო!“
სიტყვასიტყვით: „თვითონ-მცა-ო წავიდა!“

რასაკვირველია, ეს წინადადებები ევიდენციალურია, რადგან ტექსტის სუბიექტი (მთქმელი) „სხვათა სიტყვის“ *ესერ* და *-უ* („-მცა“) ნაწილაკების ჩართვით ინფორმაციის წყაროზე მიუთითებს, ინფორმაცია (ამ შემთხვევაში მიმართვა), მიუხედავად სუბიექტის თანამონაწილეობისა (ან თვითმხილველობისა) და პერცეფციულობისა, **სხვა, გარეშე წყაროს** გულისხმობს, კერძოდ, არჩილს.

სვანურში პირდაპირი ნათქვამის კონსტრუქციისთვის ამოსავალი არის არა ინფორმაციის წყაროს (სიტყვების ნამდვილი, უშუალო ავტორის) და მისი ადრესატის რეალური პიროვნული პოზიციები (თუ რომელი პირია ერთი თუ მეორე), არამედ მთქმელთან (ამ ტექსტის ევიდენციალურ ასპექტში მთხრობელთან) მათი მიმართება:

ა. თუ ტექსტის სუბიექტი (მთქმელი) III პირია, I პირი კი ადრესატი და ამავდროულად ავტორი (წყარო), მაშინ კონსტრუქცია I პირისეულია (ზმნაც და ნაცვალსახელიც I პირს შეესაბამება); ხოლო ვინაიდან ინფორმაციის წყარო ანუ უშუალო მფლობელი (მიმართვის ავტორი, მოცემულ შემთხვევაში – არჩილი), რომელიც თქმის მომენტში, ბუნებრივია, I პირად იქნებოდა წარმოდგენილი, მთქმელისთვის მაინც „სხვა“, ანუ III პირია, ის ამას ასევე გამოხატავს (ამიტომაც ემსგავსება პირდაპირი ნათქვამი ირიბს):

(6) *სომეხდ ნᲐქუ: „მᲐდ როქ ნალუენა, ეჯა როქუ ოთხუიედ“ (სვ.* პრ. ტ. I 1939:39);
სომეხმა გვითხრა: „რაც გქონდათ, ის წაიღეთო“;

სიტყვასიტყვით: „...რაცო **გქონია**, ისო-**მცა წავიღეთ**“ (შდრ. ქართული ირიბი ნათქვამი: „სომეხმა გვითხრა, რაც გქონდა, ის წაგველო“).

(7) *„ათხე მ'ესერ ქამაწუენეხ ეჯჲაჲრს ი ეჯ'ესერ ქაუხუექა, ერე იმაჲრგ ა მრმა ლრზი ალჲაჲრცახაჲნ, ყი-უ-ოხმეკრაჲუინ“*[69];
„ახლა შენ გაჩვენებთო იმათ და გვითხარიო, შეიძლება თუ არა იმათთან ერთად წასვლა, გაგვაგებინეო“;
სიტყვასიტყვით: „ახლა მეო **მაჩვენებენ** იმათ და ისო **ვუთხარიმცა**, რომ ვარგა თუ არა წასვლა ამათთან, **გავაგებინემცა**“.

(8) *ჯათედ ნაჭუე: „ნაჲ როქ ამხენ ჩუ-ოლ-ოსლელიუდ ი ჯი ესერ ქალგრი* (ჩანტლაძე და სხვები 2007-2010:471);
„ჯათემ გვითხრა: „თქვენ აქეთ დამიცადეთო და მე გავალო“;
სიტყვასიტყვით: „ჯათემ გვითხრა: ჩვენო აქეთ **დავუცადეთმცა** და **თვითონო გავა**“.

(9) *დინა, ბაზ'ესე(რ) ლემზგრაჲრუ ოხნაჲყ!*
„გოგო, ამაღამ კვერები **გამოაცხვეო!**“
სიტყვასიტყვით: „გოგო, ამაღამო **შესალოცებიმცა გამოვაცხვე!**“.

(10) *დემის ესერ ნუფშუდეხ ამექა ლგაჲრს!* (ჩანტლაძე და სხვები 2007-2010:364);
„არ გადაგიშვებთო აქ ცოცხალს!“
სიტყვასიტყვით: „არო **გაგვიშვებენ** აქ („ამაზე“) ცოცხალს!“

---

69 ილუსტრაციები, რომლებთანაც წყარო არ არის მითითებული, დამოწმებულია სხვადასხვა დროს სამეცნიერო თუ სასწავლო ექსპედიციების გამოუქვეყნებელი მასალებიდან. ამასთან, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, არ ვუთითებთ დიალექტს, ვინაიდან ევიდენციალობის თვალსაზრისით ამის საჭიროება არ არის.

ბ. თუ სუბიექტის (მთქმელის, I პ.) ადრესატი რეალურად II პირია (ანუ ის, ვისაც ესაუბრება), მაშინ II პირისეული კონსტრუქცია გვაქვს:

(11) *ყათლანდ ჲმიმბუე, ერე ს'ენერ დაშდი ხუაჲ ჯიდგარა;*
„ყათლანმა მიამბო, რომ **შენო** დათვიც ბევრი **[მო]გიკლავს**.

მსჯელობა უფრო ნათელი რომ გახდეს, განვმარტავთ, რომ მოცემულ კონტექსტში ევიდენციალობის თვალსაზრისით როლები ასე განაწილდება: ყათლანი – წყარო; I პირი (მე მიამბო –*ჲმიმბუე*), ტექსტის სუბიექტი, ანუ მთქმელი; II პირი – დიალოგის მონაწილე, მთქმელის მიმართვის ობიექტი, ადრესატი და, ამავე დროს, წყაროსეული ინფორმაციის (მოქმედების) გრამატიკული სუბიექტი;

გ. თუ წყაროც და ადრესატიც ორივე III პირია, ტექსტის სუბიექტი (მთქმელი) მესამეპირისეულ კონსტრუქციას მიმართავს:

(12) *ხოშა მუხუბემ რაქუ, ერე „ჯ'ენერ აენგი ძუჰერას ლაჰოდთე" (სვ. პრ. ტ. I, 1939:152);*
„უფროსმა ძმამ თქვა, რომ **„მე წავიღებო** საცერს გასაყიდად" – ასეთი იქნება გამართული განმარტება ქართულ სალიტერატურო ენაზე, ანუ სხვისი ნათქვამი I პირისეულ კონსტრუქციას („...მე წავიღებო...") შეესაბამება, მაგრამ სიტყვა-სიტყვით განმარტებისას სხვა სურათია: „უფროსმა ძმამ თქვა, რომ **„თვითონ წაიღებსო** საცერს გასაყიდად" – სხვისი ნათქვამის კონსტრუქცია III პირისეულია და სვანურისთვის ბუნებრივ სტილს იმეორებს. ასევე:

(13) *ბათალბიდ ხ̌ქუე მიჩა ჩრჟა: „როსტომ, ალო* ***ათხ'ესერ ხონიუხ*** *ლიმარგუ!“* (ჩანტლაძე და სხვები 2007-2010:148);
„ბათალბიმ უთხრა თავის სიძეს: „როსტომ, აბა, **ახლა გვმართებსო** სიმარჯვე!“
სიტყვასიტყვით: „... ახლაო **ჰმართებთ**...“.

(14) *ამუნლუ'ესერ ნრმთეუ* ***ადიე მიჯნემ*** *ალ ლ̌ა̈რ;*
„ამის შემდეგ არსად წაიღოო შენ ეს წერილი“;
სიტყვასიტყვით: **„ამის** შემდეგო არსადმცა **წაიღო თვითონ** ეს წერილი“.

(15) *სგალ̌ა̈ხქ̌ალ ი ჟ'რხჩიშ:* ***„ჯ'ესერ დი ი ჯა გეზალ!“*** *(სვ. პრ. ტ. I, 1939:123);*
„მიეპარა და დაასწრო: „შენ დედა და მე შვილიო!“
სიტყვასიტყვით: **„...თვითონო დედა** და **თვითონ შვილი!“**

(16) ***„ისგოლუ აფიშდუხ მიჩა*** *ნარდუთეასგა“ – ალ მარემ იჰერ (სვ. პრ. ტ. II 1957:189);*
„შემიშვითო ჩემს ნამყოფში – ამ კაცმა ითხოვა“;
სიტყვასიტყვით: **„შეუშვესმცა თავის** ნამყოფში“.

(17) *ხ̌ქ̌უე ბიმგრზად აფხნეგ̌არს: „ალ'ესერ* ***ჩუუადიეხ*** *ლეჰუდიდ ი ყიბ̌ალიდ* ***ესერ ჟ'ა̈ნტიხეხ*** *ბლეჩუ მეშყდე* ***მინე*** *აფხნეგს“;*
„უთხრა ბიმურზამ ამხანაგებს: „ეს ჩავიტანოთო გასაყიდად და ზევითობას ამოვიყვანთო ნაპრალში ჩავარდნილ ჩვენს ამხანაგს“;
სიტყვასიტყვით: „ესო **ჩაიტანესმცა** გასაყიდად, ზევითობა-სო **ამოიყვანენ** ნაპრალში ჩავარდნილ თავიანთ ამხანაგს“.

3.3.2. ევიდენციალობის გამოხატვის პრინციპი დაქვემდებარებული ციტირების დროს

ვინაიდან დიალოგებსა თუ მონოლოგებში, განსაკუთრებით დაქვემდებარებული ევიდენციალობის დროს, სხვათა სიტყვის კონსტრუქციაში მთქმელისთვის ამოსავალი ადრესატის უშუალო მიმართებაა თავად მოლაპარაკესთან, ტექსტის სუბიექტთან (და არა ინფორმაციის წყაროსთან!), ამიტომ კონსტრუქციაში **არ არის გათვალისწინებული ის, თუ რეალურად რომელი გრამატიკული პირია ინფორმაციის წყარო**; ალბათ, ამით აიხსნება, რომ, დანარჩენი ქართველური ენებისგან განსხვავებით, I და II პირში სიტყვასიტყვითი ნაწილაკი ერთი და იგივეა (*-იჯ/-ჷჯ*): მთქმელი ორსავე შემთხვევაში (უშუალოდ მიმართავს ადრესატს თუ სხვისი პირით უთვლის) თავადაა ტექსტის სუბიექტი; შდრ.:

(1) *ალიპარს ხუ̈ექარ: „ქ5'ჯ-აქ5ხდ მაგ ეჩხაუ̈ი სგ'ა5ჯ-ამფიშდუ̈დ მი“;*
„ამათ ვუთხარი: „გაიწიეთ-მეთქი ყველამ იქით და შემიშვითმეთქი მე“;

როგორც ვხედავთ, აქ ტექსტის სუბიექტი (მოლაპარაკე, მთქმელი) და ინფორმაციის წყარო (ავტორი) ერთმანეთს ემთხვევა; მიუხედავად ამისა, ნაწილაკიანი ფორმების გამოყენებით მთქმელი მაინც მიუთითებს წყაროზე და ტექსტიც, თავისთავად ცხადია, ევიდენციალურია, ვინაიდან არსებობს ევიდენციალობის მთავარი პირობა – ინფორმაციის წყაროზე მითითება: მსგავს ვითარებაშიც მთქმელი ფაქტის უბრალო კონსტატაციას კი არ ახდენს, არამედ *-იჯ/-ჷჯ* ნაწილაკიანი ფორმებით წყაროს მიუთითებს:

(2) *ქა-იჯ-ხექარ ისგუა გეზლირს: დემეგიჯ ღური, სგაჯ მა ჯეყრენიხ, ეჯიიჯ მეყრენი მიი* (ჩანტლაძე და სხვები 2007-2010: 365);

„უთხარი-მეთქი შენს შვილებს: „არ წავალ-თქო, რაც თქვენ დაგემართებათ, მეც ის დამემართება-თქო“;

ამ შემთხვევაშიც მთქმელი და ინფორმაციის წყარო ერთი და იგივე პირია, მაგრამ სუბიექტი პირდაპირ აღქმულ, მოვლენის თანამდევ ინფორმაციას კი არ გადმოსცემს, არამედ ითვალისწინებს, რომ ამჟამინდელი II პირის მიერ ინფორმაციის საბოლოო ადრესატისთვის გადაცემისას ამჟამინდელი I პირი, ანუ თვითონ (ვინც მოცემულ მომენტში თავად მთქმელია) გადაიქცევა ინფორმაციის წყაროდ, „სხვად“ (რომლის პოზიცია არაა მნიშვნელოვანი), ხოლო მთქმელი ილაპარაკებს პირველ პირში. ჩვენი აზრით, ამ პრინციპის გამო შეესაბამება *-იჯ/-გჯ* ნაწილაკი ერთდროულად ქართულ *-მეთქი* და *-თქო* ნაწილაკებს.

მთქმელს შეუძლია ასეთ შემთხვევაშიც III პირისეულ კონსტრუქციას მიმართოს (საბოლოო ადრესატისთვის თავად ხომ რეალურად III პირი გამოდის!); მაშინ ის *-იჯ/-გჯ* ნაწილაკთან ერთად („-მეთქი“/ „-თქო“) *ესერ* („-ო“) ნაწილაკსაც გამოიყენებს:

*„...დემეგ **ესერ-იჯ** ღური, სგ'**ესერ-იჯ** მა ჯეყრენიხ, ეჯი **ესერ-იჯ** ხეყრენი მიჩი“;*

სიტყვასიტყვით: „...არ-**ო-თქო** წავა, თქვენ-**ო-თქო** რა(ც) დაგემართებათ, ის-**ო-თქო დაემართება თვითონაც**“.

ლ. პალმაიტისი საანალიზო საკითხის შესახებ აღნიშნავს: „როგორც ჩანს, პირდაპირი მეტყველება სვანურში გამოიყენება ორმაგი ციტირების დროს, ანუ, როცა ერთი ციტატა დაქვემდებარებულია მეორისადმი; თუ მოსაუბრე მოიხსენიებს თავის თავს III პირში, *-გჯ* და *-ესერ* გამოიყენება ერთად, *-გჯ* შეეხება I პირს და ესერ – II ან III პირს: *მი ხუ̄ქა სიკოს: „ბაბას-გჯ ხ̄ქა,*

ჩუჯ ესერ ათჭემ, მიჩ-გჯ მპმა ხოჟიბ" – მე ვუთხარი სიკოს: „ბაბუას უთხარი-მეთქი („ბაბუას-მეთქი უთხარი"), დათიბე-თქო, მას-მეთქი არ სცალია" (Gudjedjiani, Palmaitis 1986:35). ჩვენი აზრით, პალმაიტისისეული განმარტება *-გჯ* და *ესერ* ნაწილაკთა ერთდროული გამოყენების შესახებ კორექტივს საჭიროებს: *-გჯ* ნაწილაკი მოცემულ მაგალითში ეკუთვნის სიკოს, რომელიც ავტორისთვის (მე) II პირია, ხოლო წარმოთქმის, საბოლოო ადრესატისთვის ამბის გადაცემის მომენტში რეალურად I პირი იქნება; *ესერ* კი მიემართება ტექსტის სუბიექტს, მთქმელს, პირს, რომელიც სიკოს აბარებს ამბავს ბაბუასთან, და რომელიც თქმის (დანაბარების გადაცემის) მომენტში უკვე III პირის სტატუსით იქნება (სიკო ბაბუას ეტყვის, რომ მას III პირმა დააბარა...); სხვაგვარად: *ავტორის ნათქვამში **ესერ** ნაწილაკის ჩართვით უკვე გათვალისწინებულია შუამავლის მიერ წარმოთქმის (ადრესატისთვის ამბის გადაცემის) მომენტში ტექსტის სუბიექტის (რომელიც შუამავლის მიერ უკვე III პირად იქნება მოხსენიებული) დაფიქსირების აუცილებლობა.*

მაშასადამე, *-გჯ* და *ესერ* ნაწილაკების ერთდროული გამოყენება სემანტიკური თვალსაზრისით ქართულ ***-თქო***'ს შეესაბამება და, III პირისეული კონსტრუქციის არსის გათვალისწინებით, *-გჯ* ნაწილაკი II პირს (ამბის გადამცემს) გამოხატავს [რადგან ავტორი (ამბის შემთვლელი) ითვალისწინებს, რომ ის (მისთვის ამჟამინდელი II პირი) წარმოთქმის მომენტში რეალურად I პირი იქნება], *ესერ* კი – I პირს (ტექსტის სუბიექტს, ინიციატორს), რომელიც თქმის მომენტში უკვე III პირს წარმოადგენს (ანუ იმ პირს, რომლის დანაბარებსაც გადასცემენ ადრესატს). ე. ი. **დაქვემდებარებული ციტირების დროს სვანურში მითითება ერთდროულად რამდენიმე წყაროზე ხდება და კონსტრუქციაც შესაბამისია**. ამგვარი ტექსტი, ბუნებრივია, ევიდენციალურად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ინფორმა-

ციის წყარო გამოხატულია სემანტიკურადაც და გრამატიკულადაც.

ზოგადად, სვანურში ტექსტის სუბიექტის (მთქმელის, ინიციატორის) პრიორიტეტულობის პრინციპი სხვათა ნათქვამში იმდენად ძლიერია, რომ მიმართვისას ნაცვალსახელებშიც კი ფიქსირდება, რაც ქართულ განმარტებაში მეტად უჩვეულოდ ჩანს, სვანურისთვის კი ის იშვიათი, მაგრამ ბუნებრივია:

(3) *არსენდ ხ̌აქ̌უე: „მ̌ა̈ე ესერ ლი, **ჯა ზურა̈ლ**, იმნ̌არ **ესერ ხეყრენი** ამჟი?!*
„არსენმა უთხრა: „რა არის, შე ქალო, რატომ გემართებაო ასე?!“

სიტყვასიტყვით: „რა არისო, **თვითონ ქალო**, რატომო **ემართება** ასე?!“ – III პირის შესატყვისი უკუქცევითი ნაცვალსახელის გამოყენება მიმართვაში გამოწვეულია სწორედ იმ ფაქტით, რომ ტექსტის სუბიექტისთვის (მოლაპარკისთვის) არის ადრესატი III პირი (ქალი), თორემ მიმართვის უშუალო ავტორისთვის (წყაროსთვის – არსენისთვის) იგი ადრესატია, ანუ II პირი, და ლოგიკური იქნებოდა, მთქმელსაც, ქართულის მსგავსად, *სი ზურალ* („შე ქალო“) გამოეყენებინა თხრობისას. ასევე:

(4) *მეწ̌ა̈დხ მიშგუ გეზლირ ი ჲ̈მცუდხ: „მ̌ა̈ ესერ **მ̌ა̈კ̌უდა** ათხე ამესგა, **მი ზურალ!**“* (ჩანტლაძე და სხვები 2007-2010:365);
„დამინახეს ჩემმა შვილებმა და გამიწყრნენ: „რა გინდოდაო ახლა აქეთ, შე ქალო!“;
სიტყვასიტყვით: *„...რა **მინდოდაო** ახლა აქეთ, **მე ქალო!**“*

მოცემულ კონტექსტში მიმართვის ამგვარი ფორმა (*მი ზურალ* „მე ქალო“) ქართულისთვის (და ალბათ ენათა უმრავლესობისთვის), როგორც აღვნიშნეთ, დაუშვებელია, სვანურში კი ესეც ბუნებრივია I პირისეულ კონსტრუქციაში (შდრ.: (3)-ის III

პირისეული კონსტრუქცია – „თვითონ ქალო“); ამ მოვლენას ალბათ, ფსიქოლოგიური ახსნა აქვს: მთქმელისთვის გადამწყვეტი საკუთარი პოზიციური დამოკიდებულებაა ტექსტის „პერსონაჟებისადმი“ და, რადგან მე-(3) წინადადების მიმართვაში თავად (მთქმელი) არც ავტორია და არც ადრესატი, ბუნებრივია, დიალოგის ორივე მონაწილეს III (ანუ გარეშე) პირად აღიქვამს და გრამატიკულადაც შესაბამის ფორმას უძებნის; მეორე შემთხვევაში (4) კი მთქმელი (ტექსტის სუბიექტი) ამავდროულად მიმართვის ადრესატიც თავადაა და ასევე აფიქსირებს თავის პოზიციას: კონსტრუქციაც I პირისეულია და მიმართვაშიც I პირის ნაცვალსახელს იყენებს. აი, სწორედ ამას ვგულისხმობთ **ტექსტის სუბიექტის პრიორიტეტულობის პრინციპში** ვერბალური ევიდენციალობის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალების – „სხვათა სიტყვის“ სპეციფიკაზე მსჯელობისას სვანურში.

ამ თვალსაზრისით მსგავსი ვითარებაა ბრძანების შემცველ ფრაზებშიც, რომლებშიც ვერბალური ევიდენციალობა ლექსიკურად, ავტორის სიტყვაზე მითითებით არის გამოხატული:

(5) *ამეჩუ ნატულიუნ: „ღურდედ, ღურდედ!“*
„აქ გვეუბნებოდნენ: **„წადით, წადით!**“
სიტყვასიტყვით: **„წავიდეთ, წავიდეთ!**“

(6) *მუშნიშ ხეხუ ნილჭირაწლიდა: „ოჩედ, ამხენქა, ოჩედ ამხენქა!“*
„მუშნის ცოლი გვითვლიდა: „**წადით** აქედან, **წადით** აქედან!“
სიტყვასიტყვით: „**წავიდეთ** აქედან, **წავიდეთ** აქედან!“

ქართულში, თუ ზმნის პირველი პირის ფორმა მრავლობით რიცხვშია, პირდაპირ ნათქვამთან **-ო** ნაწილაკი იხმარება (კვაჭაძე 1988:459). ანალოგიური ვითარებაა სვანურშიც: I პირის მრავლობით რიცხვთან *-იჯ/-ეჯ* არასოდეს გამოიყენება, მას ცვლის მესამე პირის ნათქვამის მარკერი *როქ(უ)* ნაწილაკი:

(7) *ლაბუჭჟუედად: „ამეიხგა როქუ იმ ნაჰუდიდ ქირაჲს?“ (სვ. პრ. ტ. I 1939:38);*
„ვკითხეთ: „ამაშიო ქირას რას გვაძლევთ?“

(8) *ნაჲ ხუჲაქუდ: „ქა-როქ-უ ადე ლგცქა“;*
ჩვენ ვუთხარით: „გადიო წყალზე“.

3.3.3. პირდაპირი ნათქვამის „-როქუ“, „ესერ“ ნაწილაკთა დისტრიბუცია პირთა მიხედვით

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება (თოფურია 1967:91; შარაძენიძე 1946:290, ჩანტლაძე 1998:227), რომ სხვათა სიტყვის *ესერ* და *როქ(უ)* ნაწილაკები ზმნის პირველი და მეორე პირის ფორმებს ვერ იგუებენ, მესამე პირს მოითხოვენ. ეს ასეც არის, როცა მთქმელი პირველი პირია და ის თავისსავე ნათქვამს (ნააზრევს) იმეორებს ან გადასცემს მესამე პირს მეორის საშუალებით (ქართული *-მეთქი, -თქო* ნაწილაკიანი ფორმების შემცველი კონსტრუქციები), მაგრამ მთქმელად თუ მესამე პირი იგულისხმება და მხოლოდ კონსტრუქციაა I თუ II პირისეული (სადაც, ბუნებრივია, I და II პირის ფორმები შეგვხვდება), მაშინ აღნიშნული ნაწილაკები I და II პირის ფორმებთანაც გამოიყენება:

(1) *ჲორი ზაჲალდ ქა როქუ აბუიცხა* (სვ. პოეზ. 1939:112,41);
„ორი წელი **შევასრულეო** („შემოვივლეო“)“.

(2) *სგაჲ როქუ საბლუ, იმ ღალ ჭგშხედ?* (იქვე, 104,29);
„**თქვე საწყლებოო**, რა გეფერხულებათ („რას ფერხულობთ“)“?

(3) *იმთე როქუ ესერი სი?;*
„საით მიდიხარო შენ?“

(4) *მი როქუ ეჩქა ხუჩიროლ ისგუ მოღლაჭ* (სვ. პრ. ტ. I 1939:283);
„მეო მაშინ **ვიქნებოდი** შენი მოღალატე“;

(5) *მაჲ როქუ ხუჩაჲ მიუჟა?!* (იქვე:101);
„რა ბევრი **მძინებიაო**?!“

(6) *სამ ამბაჭუს ჰე მოშ **როქუ ამაჭქუჩსგუნიდ**, ისგუეჲ თელღგრა ხუჩრა* (იქვე:100);
„სამ სიტყვას თუ **მათქმევინებთო**, თქვენი რძალი ვიქნები“;

(7) *მიშგუათე ლიჯედ **ესერ ჯალაჭ**;*
„ჩემთან მოსვლა **გიყვარსო**“;

(8) *გურნარშუ **ესერ** თხუმ **ჩუ ჯიხპე**;*
„ქვებით თავს **გაგიპობო**“;

(9) *ძაძრას **როქუ ნა ხოხლინად, ნა როქუ ხუჩაასგუდ** ტელაჭთე* (სვ. პრ. ტ. II, 1957:126);
„ტომარასო ჩვენ ვუშვერდით, **ჩვენო მიგვქონდა** („წავიღებდით“) დერეფანში“;

(10) *ტყენს **ესერ მიქჩე**, შეიძლებ'ესერ ქა ხუენედ დაშდუს* (იქვე:207,16);
„კეტს მოგიჭრი, იქნებ შევხვდეთო დათვს“;
სიტყვასიტყვით: „კეტს **მომიჭრისო**, იქნებ შევხვდეთო დათვს“.

ასე რომ, მართალია, ზმნის I და II პირის ფორმები და, აგრეთვე, სათანადო ნაცვალსახელები მართლაც გვხვდება *როქუ* და *ესერ* ნაწილაკების შემცველ სხვათა სიტყვასთან (ჩანტლაძე 1998:232), მაგრამ ამას ერთი ახსნა აქვს: **ტექსტის სუბიექტისთვის (მთქმელისთვის) ინფორმაციის წყარო „სხვაა“, III პირია, ამიტომაც ურთავს ის III პირისთვის განკუთვნილ სიტყვასიტყვით ნაწილაკებს მოცემულ ილუსტრაციებში, მიუხედავად კონსტრუქციისა.**

3.3.4. ვერბალური ევიდენციალობის ქართულისებური კონსტრუქციით გამოხატვის ტენდენცია სვანურში

სხვათა სიტყვის I და II პირისეული კონსტრუქცია (იქ, სადაც III პირისეულიც არის შესაძლებელი) ძველი სვანური ხალხური სიმღერების ენაში იშვიათობაა ცოცხალ მეტყველებასთან შედარებით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ „ამგვარი რამ სვანურისთვის შედარებით უფრო გვიანდელია, მეორეულია და ქართულ ენასთან კონტაქტით უნდა აიხსნას“ (ჩანტლაძე 1998:227).

სხვათა სიტყვა (ვერბალური წყაროდან მიღებული ინფორმაცია) ევიდენციალურია ნებისმიერი კონსტრუქციით, ვინაიდან ცალსახად გულისხმობს ინფორმაციის წყაროზე მითითებას, მაგრამ სვანურისთვის უფრო ბუნებრივი (მესამეპირისეული) კონსტრუქცია ფორმობრივადაც (უნახაობის ზმნური ფორმების გამოყენება) და აზრობრივადაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, გაცილებით მკვეთრად ევიდენციალურია.

ქართულისებური კონსტრუქციები სხვისი ნათქვამის გადმოსაცემად რომ მართლაც უფრო გვიანდელია სვანურში და სალიტერატურო ენის გავლენის შედეგია, ამას ადასტურებს, ერთი მხრივ, სვანური ენის ძველი და ახალი თაობის წარმომადგენელთა მეტყველების შედარება, მეორე მხრივ კი სვანური ენის შემადგენლობაში ყველაზე ინტერფერენცირებული, კოდორული მეტყველების ნიმუშები, ვინაიდან ეს მეტყველება ხასიათდება არა მხოლოდ დიალექტთაშორისი ინტერფერენციით, არამედ ქართული სალიტერატურო ენის ძლიერი გავლენითაც. მათი შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ **სხვათა სიტყვის I თუ II პირის ნათქვამის შესაბამისი ფორმებით წარმოდგენა გამოყენების სიხშირით ჩრდილავს კიდეც სვანურის სპეციფიკურ, მესამე პირისეულ კონსტრუქციას**; აქ უფროსი თაობის წარმომადგენლებიც კი, როგორც საუბარში, ისე შედარებით არქაული ლექსიკის

შემცველი ტექსტების (რელიგიური რიტუალების, სამონადირეო ეპოსის, ზღაპრების, ლეგენდების...) მოყოლისას ხშირად უგულებელყოფენ მესამეპირისეულ კონსტრუქციას და სხვათა სიტყვის გადმოცემას ქართულის ანალოგიური ფორმით არჩევენ, რაც ინოვაციისა თუ ხელოვნურობის შთაბეჭდილებას უქმნის სვანური ენის კარგად მცოდნე მსმენელს – ის უკვე აღარ არის „ნახევრადირიბი", „უფრო სვანური" (ვ. ბოედერი); ხოლო, თუკი კოდორელ ხანდაზმულთა და უხუცესთა თაობა, ძირითადად, მაინც იცავს სვანურისთვის ბუნებრივი, მესამეპირისეული, კონსტრუქციით ამბის მოყოლის წესს, ამას ვერ ვიტყვით საშუალო ასაკის ან ახალგაზრდა თაობის შესახებ, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ცალსახად ირჩევენ სხვათა სიტყვის გადმოცემის ქართულისებურ ფორმას:

(1) კოდ. ბზ.: *ბიძია მეჰად ხატჷრლნა დედას: **სი** როქ დაჩჷირ მაშდე, მუხჷბე როქ **მირი** ი ჩუ ლახ როქ ჲაშრ **ამდაგრი, ჩუმიხა, სი** როქ **ჩუმიწჷრი**"* (ჩანტლაძე და სხვები 2007-2010:153);
„ბიძია სულ ეუბნებოდა თურმე დედას: „**შენ** და კი არა, ძმა **მყავხარო** და თუ ვინმე **მომკლავს, ვიცი, შენ მისისხლებო**";

III პირისეული კონსტრუქციით იქნებოდა:

*ბიძია მეჰად ხატჷრლნა დედას: „**ჯა** როქ დაჩჷირ მაშდე, მუხჷბე როქ **ხორი** ი ჩუ ლახ როქ ჲაშრ **ადდაგრი, ჩუხოხა, ჯა** როქ **ჩუიწჷრი**";*

„ბიძია სულ ეუბნებოდა თურმე დედას: „**თვითონო** და კი არა, ძმა **ჰყავსო** და თუ ვინმე **მოკლავსო, იცის,** [რომ] თვითონ **ისისხლებსო**";

(2) *გიგა ხეცჷალდა ბუბას: „ათხ'ესერ ეშიჲ დაშრ **აჯთხალ**, მარე ეშიჲ ესერ ეჩხაჷ **ჯაზნუნი**"* (იქვე);
ბიცოლა ეჩხუბებოდა ბიძიას: „ახლაო მაინც არავინ **დაგძებნა**, მაგრამ მაინცო იქით **მიგიწევს გული**";

III პირისეული კონსტრუქციით:

*გიგა ხეცუალდა ბუბას: „ათხ'ესერ ეშიდ დარ **ახთხალა**, მარე ეშიდ ესერ ეჩხაუ **ხაზნუნი**“;*

ბიცოლა ეჩხუბებოდა ბიძიას: „ახლაო მაინც არავის **დაუძებნია**, მაგრამ მაინცო იქით **მიუწევს გული**“.

(3) *მულგუჰერის ხატული მაჰრენე მუხუბე: „კოტრლ ხანს ესერ **ჟილაშიშხუნ, ამლუიქხ** ესერ უეშგინ“* (ჩანტლაძე და სხვები 2007-2010:197);

მეწისქვილეს ეუბნება უმცროსი ძმა: „ცოტა ხანსო **დამმალე** („შემინახე“), **მომდევენო** უკან“;

III პირისეული კონსტრუქციით:

*მულგუჰერის ხატული მაჰრენე მუხუბე: „კოტრლ ხანს ესერ **ჟ'იუილაშხუინ, ახლუიქხ** ესერ უეშგინ“;*

მეწისქვილეს ეუბნება უმცროსი ძმა: „ცოტა ხანსო **დამალოს, მოსდევენო** უკან“.

(4) *სგაჩად გლეხთესგა მალ ი: „ამჟი ი ამჟინ ესერ **მულუა** გუეშ“;*

შევიდა გლეხთან მელა და: „ასე და ასე **მაქვსო** საქმე“;

III პირისეული კონსტრუქციით:

*სგაჩად გლეხთესგა მალ ი: „ამჟი ი ამჟინ ესერ **ხულუა** გუეშ...;*

შევიდა გლეხთან მელა და: „ასე და ასეო **აქვს** საქმე...“

(5) *სარჩელ ესერ **აჰუნარჟი** ი ეჩი მიხედუით სწორდ ესერ **ადე**!*
(ჩანტლაძე და სხვები 2007-2010: 205);

სარჩელიო **მოისმინე** და იმის მიხედვით სწორადო **გადაწყვიტე** („სწორადო წადი“)!

III პირისეული კონსტრუქციით:

სარჩელ ***ესერუ ა̈ნჰურნეჟი*** *ი ეჩი მიხედუ̈ით სწორდუ* ***ესერ აჩა̈დ!***

„სარჩელი**ომცა მოისმინა** და იმის მიხედვით სწორადმცა**ო გა**დაწყვიტა („წავიდა“)!“

(6) *ჭყინტდ მა̈ქუ̈: „ეჯდა̈რ ესერ მა̈მ ლჷმა̈რხ* ***მიშგუ*** *ერთგუ̈ილ, მარე მა̈მ* ***ესერ ჯიჯრა̈ჳ̈და̈ს“;***

„ბიჭმა მითხრა: „ისინი**ო** არ ყოფილან **ჩემი** ერთგული, მაგრამ არ **გიჯერებდი**ო“;

III პირისეული კონსტრუქციით:

ჭყინტდ მა̈ქუ̈: „ეჯდა̈რ ***ესერ*** *მა̈მ ლჷმა̈რხ* ***მიჩა*** *ერთგუ̈ილ, მარე მა̈მ* ***ესერ მიჯრა̈ჳ̈და“;***

„ისინიო არ ყოფილან **მისი** ერთგული, მაგრამ არო **მიჯერებდა**“.

(7) *მა̈ქუ̈ხ: „ჟ'ესერ* ***ა̈ხთგმრნედ*** *ი მა̈გ ესერ ეჯჟი ირ'ე,* ***ს'ესერი ჯეხდა̈დი ი ისგუ*** *აფხნეგმა̈რასი;*

მითხრეს: „**მოითმინეთო** და ყველაფერი ისე იქნება, რომ **შენც გაგიხარდება** და **შენს** ამხანაგებსაც“;

ამ შემთხვევაში I პირისეული კონსტრუქცია იყო მოსალოდნელი, რადგან წყაროს მიმართვის ადრესატი თავად მთქმელია, ანუ I პირი:

მა̈ქუ̈ხ: „ჟ'ესერუ ***ა̈ხუ̈თგმრნედ*** *ი მა̈გ ესერ ეჯჟი ირ'ე,* ***მ'ესერი მეხდა̈დი ი მიშგუ*** *აფხნეგმა̈რასი;*

„**მოვითმინეთო-მცა** და ყველაფერიო ისე იქნება, რომ **მეცო გა**მიხარდება და ჩემს ამხანაგებსაც“.

(8) *თა̈მბიდ ხა̈ქუ̈ე: „***სგ'ა̈ლჩედდ*** *ესერ ათხე უ̈ეფხუ̈ი ქუ̈აბთეძსგა“;*

„თამბიმ უთხრა: „შევიდეთო ახლა ვეფხვის ბუნაგში („ქვაბში")";

III პირისეული კონსტრუქციით:

თᲐმბიდ ხᲐქუე: „სგᲐ-უ-აჩᲐდხ (/სგᲐ-უ-ესერ-აჩᲐდხ) ათხე უეფხუი ქუაბთეᲒსგა";

„თამბიმ უთხრა: „შე-მცა-ვიდნენ" („შე-მცა-ვიდნენ-ო") ახლა ვეფხვის ბუნაგში".

(9) *თაურობს ოთჭირე ნაღუდ: „აღუ'ესერ, მი ქ'ესერ ჯერგაუელ, ოღონდ მიშგუ ლᲐმთილ ი მ'ესერ ჩუანსყედ";*
„მთავრობას შეუთვალა ნაღუმ: „აბაო, მეო გაგირიგდებით, ოღონდ ჩემი ცოლეურები და მეო შეგვარიგეთ";

III პირისეული კონსტრუქციით:

თაურობს ოთჭირე ნაღუდ: „აღუ'ესერ, ჯი ქ'ესერ ხერგაუელ, ოღონდ მიჩა ლᲐმთილ ი ჯ'ესერ ჩუ-ოღუ-ადსყეხ";

„მთავრობას შეუთვალა ნაღუმ: „აბაო, თვითონო გაურიგდებაო, ოღონდ თავისი ცოლეურები და თვითონო შეარიგესმცა".

(10) *შამილდ ხᲐქუე: მიშგუ როქოუ ცოდ ჯარხ, იმღა როქ ათფჳშგრედ ალი?"*
შამილმა უთხრა: „ჩემიომცა ცოდვა მოგცემიათ („გაქვთ"), რატომო გახსენით ეს?"

III პირისეული კონსტრუქციით:

შამილდ ხᲐქუე: მიჩა როქოუ ცოდ ხარხ, იმღა როქ ოთფჳშგრახ ალი?"

„შამილმა უთხრა: „მისიომცა ცოდვა მისცემიათ („აქვთ"), რატომო გაუხსნიათ ეს?"

(11) *ალის თეფ ჟ'ოსხელა: „**მიშგუ** ესერ თხუ̆იმს ეჯღა̆ **ჩ'ოთწუ̆ერნე**“ (იქვე);*
„ამას თოფი მიუშვერია: „**ჩემსო** თავს მაინც **ვისისხლებ**“;

III პირისეული კონსტრუქციით:
*ალის თეფ ჟ'ოსხელა: „**მიჩა ესერ** თხუ̆იმს ეჯღა̆ **ჩუ̆ადწუ̆ერნე**“;*
„ამას თოფი მიუშვერია: „**თავისო** თავს მაინც **ისისხლებს**“.

(12) *მად ა̆ნჭერდა ნოდარ გაგრახენ: „**მ'ესერ ჟ'ოხგენი** ი **სგ'ონჭდენი**, ეძს ესერ **მი** დემის **ხუ̆იშგდე**“;*
„არ წამოგვყვა ნოდარი გაგრიდან: „**მეო** [რომ] **ავდგე** და **წამოვიდე**, ამას **მე** არ **ვიკადრებო**“;

III პირისეული კონსტრუქციით:
*მად ა̆ნჭერდა ნოდარ გაგრახენ: „**ჯ'ესერ ჟ'ა̆ნგენი** ი **სგ'ა̆ნჭდენი**, ეძს ესერ **ჯი** დემის **იშგდე**“;*
„არ წამოგვყვა ნოდარი გაგრიდან: „**თვითონო** [რომ] **ადგება** და [რომ] **წამოვა**, იმასო **თვითონ** არ **იკადრებს**“.

(13) *ათხე ზაქარდ მა̆ქუ̆ე: „აჲ, მამ ესერ **ჯა̆ხლენა** აღო ლიმოროუ̆?“* (ჩანტლაძე და სხვები 2007-2010:638);
„ახლა ზაქარმა მითხრა: „აი, აკი (/აბა) არ ვიციო („არო **გცოდნია** აკი“) მედიატორობა?“

I პირისეული კონსტრუქციით[70]:
*ათხე ზაქარდ მა̆ქუ̆ე: „აჲ, მამ ესერ **მა̆ხლენა** აღო ლიმოროუ̆?“*

70 რადგან მთქმელი ინფორმაციის ადრესატია, კონსტრუქცია პირველი პირისეული უნდა ყოფილიყო, თავად მთქმელის პოზიციის გათვალისწინებით.

„ახლა ზაქარმა მითხრა: „აი, არო **მცოდნია** აბა მედიატორობა?"

(14) *პიმენს მიშგუ მუეშდ ხრქუა: „აღო როქ სი ჟ'ადერ, დაკ'არ როქ ჩ'ახრეკ'ალ ი მი როქ ღუაშს როქ ჩუხუადგ'არი. ეჩქად როქ სი ჩუან'ქდენი ი ღო ბაზი როქ მამ გუერა ჟილეზი";*
(ჩანტლაძე და სხვები 2007-2010:153);
„პიმენს მამაჩემისთვის უთქვამს: „აბაო, **შენ ადი**, თხებიო **ჩამორეკე** და **მეო** ჯიხვსო **მოვკლავ**. მანამდეო **შენ ჩამოხვალ** და მერე ამაღამო არ **მოგვიხდება** ასვლა („არ გვექნება ასასვლელი") ";

III პირისეული კონსტრუქციით:
პიმენს მიშგუ მუეშდ ხრქუა: „აღო როქ ჯა ჟ'იუ-აჩ'ად, დაკ'არ როქ ჩუ-უ-ანრეკლე ი ჯა როქ ღუაშს როქ ჩუადგ'არი. ეჩქად როქ ჯა ჩუან'ქდენი ი ღო ბაზი როქ მამ ხერახ ჟილეზი";
„პიმენს მამაჩემისთვის უთქვამს: „აბაო, **თვითონმცა ავიდა**, თხებიო **ჩამორეკამცა** და თვითონო ჯიხვსო **მოკლავს**; მანამდეო თვითონ **ჩამოვა** და მერე ამაღამო არ **მოუწევთ** ასვლა („არ ექნებათ ასასვლელი")".

(15) *დედას ქალახ'ისნაუა: „დემე როქ ჯიშგურა, ბაზი როქ უდარად ამუცურ? მი როქ მეთხუ'არ მარე ხუი ი ეშხუ ნ'აკუიშ ჭკეტს გარ ლახ როქ მამნინე, ეჯი როქი ხოჩა გემ'აშ მარ ისგუ შიხ'ანქა";*
„დედას დასიზმრებია: „არო **გრცხვენია**, ამაღამო უჭმელად **დამტოვე**? **მეო** მონადირე კაცი **ვარ** და მხოლოდ ერთი ნატეხი მჭადი რომო **მაჭამო** („ერთ ნატეხ მჭადს რომო მაჭმევ"), ისიცო **მეგემრიელება** („კარგი გემოსი **მაქვს**") **შენი** ხელიდან";

III პირისეული კონსტრუქციით:

*დედას ქალახჩსნაუა: „დენმე **როქ ხოშგურა**, ბაზი **როქ** უდარად **ოთცუჩირა? ჯი როქ** მეთხუჭარ მარე **ლი** ი ეშხუ ნაკუჩიშ ჭკგტს გარ ლახ **როქ ხამნინე**, ეჯი **როქი ხოჩა გემაშ ხარ მიჩა** შიხანქა“;*

„დედას დასიზმრებია: „არო **რცხვენია**, ამაღამო უჭმელად **დაუტოვებია? თვითონო** მონადირე კაცია და მხოლოდ ერთ ნატეხ მჭადს რომო **აჭმევს**, ისიცო **ეგემრიელება მისი** ხელიდან“.

აღნიშნული მოვლენა (ქართულისებურ კონსტრუქციაზე გადასვლა) იმდენად ძლიერია, რომ ხშირად მთქმელები თხრობისას არასტაბილურნი არიან, ერთსა და იმავე კონტექსტში უნებურად ცვლიან კონსტრუქციას – იწყებენ საკუთრივ სვანური, მესამეპირისეული წყობით და შეუმჩნევლად გადადიან ქართულისებურ, სათანადო პირის შესაბამის წყობაზე:

(16) *ლელაჭდ ხაქუ ზურაღს: „**ჯ'ესერ ქაი** ხეხუდ ი ალი ქონება **ესერ ნაჲ ეგუსედნი**“;*
„საყვარელმა უთხრა ქალს: „მე წაგიყვანო ცოლად და ეს ქონება ჩვენ დაგვრჩებაო“;
სიტყვასიტყვით:
*„საყვარელმა უთხრა ქალს: „**თვითონო წაიყვანს** ცოლად და ეს ქონებაო **ჩვენ დაგვრჩება**“;*
*უნდა ყოფილიყო: **მინს ესსედნიხ** – „მათ დარჩებათ“.*

*(17) ექიმაღრ ეშ აჭრფანეხ: „იმჟ'ესერ **მიჩუმინა**, იმჟ'ესერ **ამსახთა**, იმჟი როქ **ათბადაუ**“;*
„ექიმები ხელებსღა შლიან: „როგორ ქენიო, როგორ მოახერხეო, როგორ გაბედეო“;
სიტყვასიტყვით:
„...როგორო **მიქნია**, როგორო **მომიხერხებია**, როგორო **გაბედე**“.

კონსტრუქციის თვალსაზრისით, თანმიმდევრული თხრობის (სვანური სპეციფიკის შენარჩუნების) შემთხვევაში უნდა ყოფილიყო: *იმჟი როქ ჲმბჲდუა* – „როგორო გამიბედავს“, ანუ ზმნა იმ მწკრივში (I ევიდ. პერფ.) და პირში (I პირი) უნდა მდგარიყო, რომლებშიც წინა ორი (*მიჩუმინა* „გამიკეთებია“, *ჲმსახთა* „მომიხერხებია“), მაგრამ მთქმელი ტექსტის მეორე ნაწილში ცვლის კონსტრუქციას და გადადის ქართულისებურ სტილზე: ვინაიდან მიმართვის ადრესატი მეორე პირია, ზმნაც შესაბამისია: *ათბადჲუ* „გაბედე“.

ასევე:

(18) *ნალუჟურ მატული: „ხეხუდ ეჯის ესერ ჯიდე, მი როქ ერუა* ***მაკუ***“ (ჩანტლაძე და სხვები 2007-2010:405);
„ვაჟიშვილი („ბიჭი“) მეუბნება: „ცოლად იმას მოვიყვან, ვინც მე მინდაო“;
სიტყვასიტყვით:
„... ცოლად იმასო **მოიყვანს, მეო**[71] ვინც **მინდა**“;
უნდა ყოფილიყო: ...**მიჩ** როქ ერუა **ხაკუ** – „თვითონო ვინც უნდა“.

(19) *„ათხე ნჲ როქ ჟილურიდ, ჩუ-როქ-ხუსგნჯჲუდ ი დემეგ როქ ირი მანქანა მგსყე, ექა ჩუ-როქ-ტუეხნიდ ი ჟიმგსყე როქ ირი მანქანა, ეჩქას ღგრიხ როქ“;*
„ახლა **ჩვენო ავალთ, ვნახავთო** („გავსინჯავთო“) და [თუ] არ იქნება მანქანა გაკეთებული, მაშინ **ჩამოვბრუნდებითო** და [თუ] გაკეთებულიო იქნება მანქანა, მაშინო **წავლენ**“;

მე-19 რთულ წინადადებაში მხოლოდ ბოლო, მთავარი წინადადებაა III პირისეული კონსტრუქციით: *ეჩქას ღგრიხ როქ...*

71 კონსტრუქციის უჩვეულობის გამო, სვანურში წინადადების ამგვარი არათანმიმდევრულობა იწვევს ორაზროვნებას: რთულია იმის გარკვევა, დედის სურვილი იგულისხმება თუ თავად ვაჟისა.

„მაშინო წავლენ“; კონსტრუქციის თანმიმდევრულობის თვალსაზრისით მართებული იქნებოდა მთქმელს ეთქვა: „...*ეჩქას როქ* **ღურიდ**“ – „...მაშინო წავალთ“ ან თავიდანვე სვანურისთვის ჩვეული კონსტრუქცია აერჩია.

ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მთქმელი ერთგვარად თავს ვერ ართმევს სხვათა სიტყვის სვანურ სპეციფიკას: ის ქვეცნობიერად კი არ გადადის ქართულისებურ სტილზე, არამედ სიტყვა უწყდება და არა მხოლოდ წინადადების მეორე ნაწილში, არამედ ფრაზის დამთავრებამდევე ყოვნდება, ცვლის („ასწორებს“) კონსტრუქციას, რაც, ჩვენი აზრით, იმაზე მეტყველებს, რომ ქართული სალიტერატურო ენის გავლენა სულ უფრო ძლიერდება და საკუთრივ სვანური ევიდენციალური კონსტრუქციები ნელ-ნელა თმობენ პოზიციას:

(20) *„ალ ჩხარა მანა̈თ* ***ადჲე̈უ̈*** *ესერ, მარე* ***ჯაჲ*** *ესერ... მი ესერ* ***ხუ̈იგნი*** *ისგუ ა̈დგილჟი, ალ ლუჭუ̈ნს ესერ* ***ხუ̈იცხონა̈ს****“;*

„ეს ცხრა მანეთი წაიღეო, მაგრამ მე, შენს ადგილას რომ ვიყო, ამ შეხვეულს ავირჩევდიო“;

სიტყვასიტყვით:

„ეს ცხრა მანეთი **წაიღომცაო**, მაგრამ **თვითონო... მეო [რომ] ვიდგე („ვიდგები“) შენს** ადგილზეო, ამ შეხვეულსო **ვირჩევდი**“.

(21) „მიჩა ლრქუ̈ს ესერ... ისგუ̈ა ლრქუ̈ს ესერ ხუ̈იჩო...“

„შენს ნათქვამს ვიზამო“;

სიტყვასიტყვით:

„**მის** ნათქვამსო... **შენს** ნათქვამსო **ვიზამ**“.

(22) *„ლახ ესერ გაჭირდება, ეჩქ'ესერ* ***სგაჯედნი... სგაჯუ̈ედნი****“;*

„თუ გაჭირდება, მაშინ შემოვალო“;

სიტყვასიტყვით:
„თუო გაჭირდება, მაშინო **შემოვა... შემოვალ**“.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ:
ნაწილაკიანი პირდაპირი ნათქვამით გამოხატული ვერბალური ევიდენციალობა სვანურში (ისევე, როგორც დანარჩენ ქართველურ ენებში) გრამატიკულად გაფორმებული მორფოსინტაქსური კატეგორიაა; ძირითად განსხვავებას სვანურში გადმოცემის სპეციფიკური (III პირისეული) კონსტრუქცია განაპირობებს, რაც სალიტერატურო ენის გავლენით ახალგაზრდა თაობის მეტყველებაში შესუსტებულია.

3.3.5. -ოლუ̄ (/-ოუ̄/-უ/-უ̄ „-მცა“) ნაწილაკიანი კონსტრუქციებით გამოხატული ვერბალური ევიდენციალობა

როგორც ცნობილია, სვანურში ხშირად შემონახულია არქაიზმები, რომლებიც ქართულ სალიტერატურო ენაში ან უგულებელყოფილია, ან მხოლოდ გადმონაშთის სახითლაა შემორჩენილი. მათ რიგშია *-ოლუ̄ (/-ოუ̄/-უ/-უ̄* – „-მცა“) ნაწილაკი, რომელიც, ქართული სალიტერატურო ენისგან განსხვავებით, სვანურში დღემდე სხვადასხვა ფუნქციით მოქმედი ელემენტია. ევიდენციალობის გამოხატვასთან მისი გარკვეული კავშირის გამო, საგანგებოდ გავხაზავთ, რომ „-მცა“ სავალდებულოა პირდაპირ ნათქვამთან, რომლის კილო ბრძანებითი ან კავშირებითია, კონსტრუქცია კი – მესამეპირისეული:

(1) *ეჩქა თხერ̄ალდ ხა̄ქუ̄ინხ: „გიცა̄რ ესერ ქა̄-უ̄-ლახუ̄ემ“* (სვ. პრ. ტ., I 1939:104);
„მაშინ მგლებმა უთხრეს: „ერკემალი მოგვეციო“;
სიტყვასიტყვით: „...ერკემალიო **მისცამცა**“.

(2) *გუდმეცარ ნაღუჟურდ ხაქუე მიჩომუს: „ჯინემ ესერ მიჩა თხუიმ **ქა-ნომ-ოუ-ათყიდ** წგრნი მარა“* (სვ. პრ. ტ., II 1957:187);
„გულთმისანმა ბიჭმა უთხრა თავის მამას: „შენო ჩემი თავი არ მიჰყიდოო წითელ კაცს“;
სიტყვასიტყვით: „...თვითონო მისი თავი **ნუმცა მიჰყიდა** წითელ კაცს“.

საანალიზო ნაწილაკის ადგილი წინადადებაში მყარი არ არის; ის შეიძლება დაერთოს ნებისმიერ წევრს: თავად სხვათა სიტყვის ნაწილაკს, ხშირად წინდებულს, შედარებით იშვიათად ზმნასაც (რაც მაინცდამაინც ბუნებრივად ვერ ჟღერს);

ევიდენციალობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ის მოვლენა, რომ აღნიშნული ტიპის („-მცა“ ნაწილაკიან) წინადადებებში ესერ, როქ(უ) („-ო“) ნაწილაკები სავალდებულო აღარაა, ისედაც იგულისხმება, რომ სხვათა სიტყვასთან გვაქვს საქმე:

(3) *ქ'ეუ აჩად ი სარაგხან ლიც-უ ოხკიდ!* (სვ. პრ. ტ., I 1939: 273);
„გადი და წყაროდან წყალი მომიტანეო!“
სიტყვასიტყვით: „**გავიდამცა** და წყაროდან **წყალი-მცა მოუტანა!**“

(4) *ღერბეთდ ხაქუ: „სამლაჭარ შუკუისგა **მურსგუენთე-უ აჩად**“* (იქვე);
„ღმერთმა უთხრა: „გზაჯვარედინზე მარჯვნივ წადიო“;
სიტყვასიტყვით: „ღმერთმა უთხრა: „სამსაყარ გზაში **მარჯვნივ-მცა წავიდა**“.

როგორც აღვნიშნეთ, ეს ელემენტი ასევე გამოიყენება *ესერ, -როქუ* (-ო) ნაწილაკებთან ერთად, თუმცა ამგვარ კონსტრუქციებში ამ უკანასკნელთა გამოტოვებით აზრი არ იცვლება – ინ-

ფორმაციის ვერბალურ წყაროზე მითითება *-მცა* ნაწილაკით ხდება:

(5) *დარაღ ესერ ჩუ-უ-აშიდხ, დარაღ ჩუ-უ-აშიდხ!*
„იარაღი დაყარეთო, იარაღი დაყარეთო!"
სიტყვასიტყვით: „იარაღიო **დაყარესმცა, იარაღი დაყარესმცა!**"

(6) *მალულდდ ხაქუე ყინღელდს: „ჯინემ ესერ-ოლუ ანთე ი ჯ'ესერ ქორთე ანჯდე"* (სვ. პრ. ტ., II, 1957:134);
„მელამ უთხრა ბატკანს: „შენ მომკე და მე სახლში შემოვიტანო";
სიტყვასიტყვით: „...**თვითონო-მცა მომკა** და თვითონო სახლში შემოიტანს";
შდრ.: *„ჯინემ სგ'ოლ ანჯიდ ი ჯ'ესერ ჩუადკალუისგ"* (იქვე);
„შენ შემოიტანე და მე გავლეწავო";
სიტყვასიტყვით: **„თვითონ შემოიტანა-მცა** და თვითონო გალეწავს".

(7) *„დინ'ესერ ქ'-ოლ-აფიშდუხ!"* „გოგო გაუშვითო!"
სიტყვასიტყვით: „გოგოო **გაუშვესმცა!**"
შდრ. *„დინა ქ'-ოლ-აფიშდუხ!* „გოგო გაუშვითო!"
სიტყვასიტყვით: „გოგო **გაუშვესმცა!**"

ალ. ონიანი სიტყვასიტყვით ნაწილაკებს შორის *-უ/-უ*-საც მოიხსენიებს და ქართულ *-ო*'სთან აიგივებს (ონიანი 1998:280). ასეთ შემთხვევაში საანალიზო ნაწილაკი ნებისმიერ სიტუაციაში უნდა გამოხატავდეს სხვათა სიტყვას, მესამე პირის პირდაპირ ნათქვამს, მაგრამ ასე არ არის; საანალიზო ნაწილაკს, მართალია, აქვს პირდაპირი ნათქვამის აღნიშვნის უნარი, მაგრამ, *წინადადებაში ესერ, როქ(უ) ნაწილაკთა არსებობის გარეშე, სხვისი ნათქვამის გადმოსაცემად -ოლუ (/-ოუ/-უ/-უ „-მცა") ნაწილაკი*

გარკვეულ პირობას საჭიროებს, კერძოდ, ზმნა-შემასმენლის, გარკვეული მწკრივის ფორმას, რომელიც „-მცა“ ნაწილაკთან კავშირებითი კილოს სემანტიკას შეესატყვისება. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ **ვერბალურ ევიდენციალობას (კერძოდ, სხვათა სიტყვას) *-ოღ(უ̂)/-ოუ̂/-უ/-უ̂* ნაწილაკიანი ფორმები კი არა, ამ ნაწილაკთა შემცველი კონკრეტული კონსტრუქცია (წყვეტილი+„მცა“ ნაწილაკიანი ფორმა) გამოხატავს.**

[სხვა მწკრივებთან „-მცა“ ხან ნატვრას გადმოსცემს: *ჲ'რუ̂-ოხცხა!* (I ევიდ. პერფ.) – „გაზრდილიყოს!“ („გაზრდილამცა!“), ხანაც პირობით-დამოკიდებულ კონსტრუქციას ქმნის: *ქ'ა̆უ̂-ა̆მჩედჷლა̆სუ̂* (II ევიდ. პერფ.) – „(რომ) გასულიყო“, რაც ინფერენციულ ევიდენციალობად განიხილება].

ამასთან, მსგავს ვითარებაში სხვათა სიტყვაში წარმოდგენილი უნდა იყოს (ან წინა ტექსტიდან იგულისხმებოდეს) ავტორის სიტყვები. ჩამოთვლილი კრიტერიუმების გარეშე საანალიზო ნაწილაკებს სხვათა სიტყვისა და, საერთოდ, გადმოცემითობის სემანტიკის გამოხატვის უნარი არ გააჩნიათ; შდრ.:

(8) *ხოჩა̆მდუ̂ ხა̆რიდ!* „კარგად იყავითო!“ („კარგადმცა ხართ!“);

(9) *შუ̂ა̆ნხენ დია ჯიჭრეხ: „ხოჩამდოლ ხითუ̂რიუ̂დ!“*
„სვანეთიდან დედა გითვლით: „კარგად ისწავლეთო!“ (სიტყვასიტყვით: „...კარგადმცა სწავლობდით!“ – წარსული მომავალში).

ორივე წინადადება ევიდენციალურია, ინფორმაციის წყარო სხვაა, „გარეშე ხელია“, რომლის („სხვის“) შემონათვალ დალოცვას (8) ან დარიგებას (9) გადმოსცემს მთქმელი, მაგრამ ცალკე აღებული *ხოჩა̆მდუ̂ ხა̆რიდ!* „კარგად იყავით!“ („კარგადმცა ხართ!“), მართალია, ნატვრაა, დალოცვაა, მაგრამ აქ ინფორმაციის წყარო არ არსებობს და, შესაბამისად, არც ევიდენციალობის (კერძოდ, ინფორმაციის ვერბალურობის) საკითხი განიხილება. **-ოლუ̂** ნაწი-

ლაკიანი ფორმების გამოყენებით წინადადება კავშირებითი კილოს გაგებას იძენს (ისევე, როგორც ძველ ქართულში):

(10) *მიჩა ცოდ-უ ესერ ხ̌აცუ̌, ჲერუ̌ა̈ს ალა ხრქუ̌ენს!*
„ჩემი ცოდვამც მისცემია, ვინც ეს გითხრაო!"
სიტყვასიტყვით: „მისი ცოდვა-მც-ო ჰკიდია, ვისაც ეს ეთქვას!"

(11) *ალ მარედ ხ̌აქუ̌: „ჲ'ესერუ-ა̈ნყიდ ალ ციცულდ ესერ";*
„ამ კაცმა უთხრა: „იყიდე-ო ეს კატა";
სიტყვასიტყვით: „ამ კაცმა უთხრა: „იყიდა-მცა-ო ეს კატა!"

(12) *დედბერდ ხ̌აქუ̌: „ჯ'ესერ ლგდგა̈რ ლგმა̈რლიზ, მარე მიჩ ესერ ოხუ̌გენა ჟი"* (სვ. პრ. ტ. I 1939:418,1);
„დედაბერმა უთხრა: „შენ-ო მკვდარი იყავი, მაგრამ მე-ო აგაყენე";
სიტყვასიტყვით: „დედაბერმა უთხრა: თვითონ-ო მკვდარი ყოფილა, მაგრამ მას-ო აუყენებია".

(13) *ამჩუ̌ნ ესერ ეშ̌ მა̈მ ლგმგა̈ნრლინ – რა̈ქუ̌ სემშდა̈რდ* (ჩანტლაძე და სხვები 2007-2010:306);
„აქ-ო მაინც არ გავჩერდებოდი" („დადგებოდა") – თქვა სემშდარმა.

(11) წინადადებაში ტექსტის სუბიექტი (მთქმელი) ინფორმაციის წყაროსაც (ავტორს) მიუთითებს, ამასთან, ნათქვამში *-უ (<-ოლუ̌)* სხვათა სიტყვის ნაწილაკიანი გადმოცემის ხერხს იყენებს. ამით იგი **ზრდის დისტანციას ინფორმაციასთან** (თუმცა ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ამ ინფორმაციის სანდოობის ეჭვქვეშ დაყენებას, როგორც ეს ზოგიერთი ენისთვის არის დამახასიათებელი) და აძლიერებს ევიდენციალობის ხარისხს; მთქმელს ეს სჭირდება, რადგან ინფორ-

მაციის ადრესატი თავად კი არ არის, არამედ სხვა; მან არა მარტო ის უნდა გადმოგვცეს, რომ ეს ინფორმაცია სხვისია, არამედ ისიც, რომ იმ „სხვამ" ეს ინფორმაცია მეორე „სხვას" მიაწოდა, სხვისთვის იყო განკუთვნილი და არა მთქმელისთვის, ამიტომაც მთქმელი ყველა მისთვის ხელმისაწვდომი საშუალებით (ნაწილაკებით, ზმნური ფორმებით) აძლიერებს ევიდენციალობის გაგებას, თუმცა, ამავდროულად, მას **თავად მოვლენა** თხრობისას უკვე ინდიკატივის „ყუთში" (Slobin, Aksu-Koç 1982, apud Ницолова 2007:121) აქვს გადმოტანილი, რაზეც მეტყველებს მის მიერ ავტორის სიტყვებში პირდაპირევიდენციალური *ბჭქუ* („უთხრა") ზმნის გამოყენება, ნაცვლად *ბრქუა* („უთქვამს") ფორმისა, რაც უფრო ლოგიკური იქნებოდა, ვინაიდან სუბიექტი ზღაპარს ჰყვება და, ცხადია, თავად მოწმე ან აღნიშნული დიალოგის უშუალო მსმენელი ვერ იქნებოდა[72].

(12) წინადადებაშიც **მთქმელისთვის** ინფორმაციის წყარო **ვერბალობაა**, ავტორისთვის (დედაბრისთვის) ადრესატი, ცხადია, II პირი იქნება, მაგრამ მთქმელისთვის დედაბერიც და მისი ადრესატიც რეალურად ორივე III პირია, ამიტომაც მოგვითხრობს ის მესამეპირისეული კონსტრუქციით – დისტანცია მთქმელსა და ინფორმაციას შორის კიდევ უფრო იზრდება, კონსტრუქციაში კი ყველა ზმნა-შემასმენელი ე. წ. უნახაობის ფორმითაა წარმოდგენილი;

(13) წინადადებაში უნახაობის ზმნას მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი პოზიციისა და ინფორმაციის არაპერცეფციულობის გამო იყენებს მთქმელი, თორემ თავად დიალოგის მონაწილე

72 ცნობიერებაში მოცემული პროპოზიციის მიღების პირველი მომენტის შემდეგ იგი ხვდება გარკვეულ „ყუთში", ანუ გათავისებული ინფორმაცია, მიღებული სხვისი სიტყვებიდან, ინაცვლებს მთქმელის ცოდნის ფონდში" (Slobin, Aksu-Koç 1982 apud Ницолова 2007:121);

(სემშდარი) პირდაპირევიდენციალური მწკრივის – უწყვეტლის I პირის ფორმას (*ხუიგნრლდას* „დავრჩებოდი"/ „გავჩერდებოდი") გამოიყენებდა.

მაშასადამე, დაქვემდებარებული ევიდენციალობა წინადადებაში ორმაგად არის გამოსახული: ის ტექსტში სინტაქსურადაც გამოხატულია (ნაწილაკიანი პირდაპირი ნათქვამი) და მორფოლოგიურადაც (რენარატივისთვის დამახასიათებელი „უნახაობის" ფორმები), რითაც მთქმელი კიდევ უფრო მეტად გახაზავს ინფორმაციის ვერბალურობას, მის ირიბად აღქმულობას; იგი მოვლენას საკუთარი პოზიციიდან (ვინაიდან მისთვის რეალურად ყველა III პირია) განიხილავს და უნახაობის ფორმებიც ამიტომ სჭირდება, თორემ ავტორი (ანუ თავად კონტექსტის ადრესანტი, დიალოგის მონაწილე), რეალურად, ცხადია, პირდაპირევიდენციალური, ინდიკატიური ფორმებით მიმართავდა ადრესატს, რადგანაც მისთვის ეს ამბავი პერცეფციული იქნებოდა; როგორც აღვნიშნეთ, პირდაპირ ნათქვამში ნაცვალსახელებისა თუ ზმნის ფორმების გრამატიკული პირების მიხედვით განაწილების დროს **მთქმელისთვის პრიორიტეტი ინფორმაციის რეალური, უშუალო მფლობელი არ არის**, ის ადრესანტსაც და ადრესატსაც III, „სხვა" პირად აღიქვამს, რადგან თავად დიალოგში მონაწილეობა არ მიუღია; **სხვაგვარად**: მთქმელი სხვისი ნათქვამის აზრს გადმოგვცემს თავისი თვალსაზრისით, მაგრამ, ქართული ირიბი ნათქვამისგან განსხვავებით, მას „სხვათა სიტყვის" ნაწილაკებს და, ზოგჯერ, *-მცა* ნაწილაკსაც დაურთავს. **სვანურ პირდაპირ ნათქვამში პირთა განაწილება-გადმოცემისთვის ამოსავალი თავად მთქმელია და არა დიალოგის უშუალო მონაწილეთა რეალური პოზიციები რეალურ სიტუაციაში; სწორედ ეს არის სვანური პირდაპირი ნათქვამის სპეციფიკა; სწორედ ამიტომ არის იგი „ნახევრადირიბი" – ირიბისნაირი კონსტრუქცია + პირდაპირი ნათქვამის ნაწილაკები.**

როგორც ვხედავთ, მოყვანილ ილუსტრაციებში სხვათა სიტყვას ქართულში **-ო** სიტყვასიტყვითი ნაწილაკი მიესადაგა, რადგან ინფორმაციის უშუალო მფლობელი, წყარო ყველგან მესამე პირია; I და II პირის პირდაპირ ნათქვამში (ქართულში *-მეთქი-სა* და *-თქო-ს* საჭიროების შემცველ კონტექსტებში) კი მუდამ *-ივჯ/-ევჯ* ნაწილაკია:

(14) *– იმ როქუ ხუჩოდ, შუანარ?*
„– რას შვრებით-**ო** („რას-**ო** ვშვრებით..."), სვანებო?
– იმ-ევჯ ი თეთრს-ევჯ დემ ნაჰუდიხ ი ქა ხოშჩიუნლე! (სვ. პრ. ტ. I 1939:39);
– რას და ფულს („**თეთრ**-ს") არ გვაძლევენ და ვუჩივლებ-**მეთქი**! („**რას-მეთქი** და **ფულს-მეთქი** არ გვაძლევენ...")".

(15) *„აჯალ-ევჯ ლაბჯრან ღერბათ, დედე!" – ალა ხუნქა!* (ჩანტლაძე და სხვები 2007-2010:250);
„**კიდევ-მეთქი** შეევედრე ღმერთს, დედა!" – ეს ვუთხარი".

(16) *მიშგუა-ჯ ზისხ დემეგ ლი ალი, მიჩა-ივჯ ზისხ ლი ი თაკუ-ივჯ ანფიშუდდ ი ჟ'აჯ-ამიყედ* (სვ. პრ. ტ. II 1957:16);
„ჩემი სისხლი არ არის ეს, თავისი სისხლია და თოკი ჩამოუშვით და ამიყვანეთ-მეთქი";
სიტყვასიტყვით: „**ჩემი-მეთქი** სისხლი არ არის ეს, **თავისი-მეთქი** სისხლია და **თოკი-მეთქი** ჩამოუშვით და **ამომიყვანეთ-მეთქი**".

(17) *სილეუნს ჩ'ოთლორაუ: „ჩუ-ჯ-ოდერ სოხუმთე";*
„სილევანი („სილევანს") მოვატყუე: „**ჩავედი-მეთქი** სოხუმში".

ამრიგად, სვანურ ენაში ვერბალური ევიდენციალობის (კერძოდ, პირდაპირი ნათქვამის) გამოხატვის პრინციპი დანარჩენი ქართველური ენებისგან განსხვავებულია. განსხვავებას კი

სხვათა სიტყვის ნაწილაკების განაწილება კი არ ქმნის, არამედ თავად კონსტრუქცია: თუ მონათესავე ენებში პირდაპირი ნათქვამი წინადადებაში რომლობის თვალსაზრისით სათანადო პირის (I, II, III) შესაბამისია, სვანურში ეს მოვლენა უნიფიცირებულია და კონსტრუქცია ყოველთვის მესამეპირისეულია, რაც პირდაპირი ნათქვამის აგებულებას აახლოებს ირიბ ნათქვამთან.

სვანურში ვერბალური ინფორმაცია, გარკვეულ მწკრივებთან, ასევე გამოიხატება *-მცა* ნაწილაკიანი კონსტრუქციითაც, რაც არქაული მოვლენა უნდა იყოს: სალიტერატურო ენაში „მცა“ ნაწილაკიანი ზმნური ფორმები აღარ გამოიყენება, ამდენად კონსტრუქციაც შესაბამისი სახით აღარ არსებობს; სვანურში კი ქართული *-მცა*'ს შესატყვისი ნაწილაკი *-უ/-ოლუ* (რომლის არქაულობას იდიომატიკაც ადასტურებს) და მისი ალომორფები მეტად აქტიურნი არიან და კონსტრუქცია მათი მონაწილეობით უკვე გულისხმობს ინფორმაციის ირიბ („სხვა“) წყაროს, შესაბამისად, ასეთი კონსტრუქციები „სხვათა სიტყვის“ სპეციალური ნაწილაკების გარეშეც მხოლოდ ირიბევიდენციალურ სემანტიკას გადმოსცემენ და მიუთითებენ ინფორმაციის ვერბალურ წყაროზე.

4. კონსტრუქციით გამოხატული ვერბალური ევიდენციალობა ქართველურ ენებში

ინფორმაციის ვერბალურ წყაროზე დაფუძნებული ევიდენციალობა ქართველურ ენებში არამარტო მორფოლოგიური კატეგორიაა (ზმნური ევიდენციალობა), არამედ მორფოსინტაქსურიც, ვინაიდან გადმოიცემა სპეციალური ნაწილაკებით მარკირებული კონსტრუქციით. ევიდენციალობის მორფოსინტაქსური გამოხატულების ნიმუშია ე. წ. „სხვათა სიტყვა", რომელიც არის „ისეთი ფრაზა (ცალკეული სიტყვები თუ ერთი ან რამდენიმე წინადადება), რომელიც სხვისი ნათქვამის სახით, სხვაზე მითითებით არის ჩართული ავტორის (მთხრობელის) ტექსტში" (არაბული 2005:172). „სხვათა სიტყვა" ორგვარია: პირდაპირი და ირიბი. ლ. კვაჭაძის მიხედვით, თუ ვისიმე ნათქვამი (ან განაზრახი) მოლაპარაკისა თუ დამწერის მიერ სიტყვასიტყვითაა უცვლელად გამეორებული, ამას ***პირდაპირი ნათქვამი*** ჰქვია, ხოლო, თუ ავტორი სხვისი ნათქვამის აზრს გადმოგვცემს თავისი თვალსაზრისით და არა უცვლელად, ამას ***ირიბი ნათქვამი*** ჰქვია (კვაჭაძე 1988:455-468).

ქართველურ ენებში პირდაპირი ნათქვამი I, II, III პირების მიხედვით მარკირებულია სპეციფიკური ნაწილაკებით, ირიბი ნათქვამი კი პირდაპირი ნათქვამის პერიფრაზია და კავშირიანი ჰიპოტაქსური კონსტრუქციით გადმოიცემა. იმისთვის, რომ გამონათქვამი ევიდენციალურად ჩაითვალოს, აუცილებელი პირობაა მთქმელის მიერ ინფორმაციის მეორეულობის (არაპერ-

ცეფციულობის) გახაზვა ინფორმაციის წყაროზე მითითებით. ევიდენციალობა, ფართო გაგებით, მთქმელის თვალსაზრისით და სტრატეგიით იხილავს ინფორმაციის წყაროსა და მისაწვდომობას (Tournadre, LaPola 2014). ამის გათვალისწინებით, **მესამე პირის ნათქვამი, პირდაპირი თუ ირიბი, ყოველთვის ევიდენციალურია**; პირველი და მეორე პირის ნათქვამის ევიდენციალურობა კი კონტექსტზეა დამოკიდებული: ორმაგი ანუ დაქვემდებარებული ციტირებისას, მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის წყარო მთქმელისთვის მესამე პირია, ევიდენციალობას განაპირობებს კონტექსტში მეორე პირიც, რომელიც, თავის მხრივ, ინფორმაციის წყაროა დისკურსში მონაწილე მესამე პირისთვის. რაც შეეხება პირველი პირის ნათქვამის გამეორებას, ტრადიციულად, ის ევიდენციალურად არ ითვლება, თუმცა ჩვენ ამ შემთხვევაში განსხვავებული მოსაზრება გვაქვს (იხ. თავი II, §3) . მიუხედავად ზემოთქმულისა, აქ პირველი და მეორე პირის ნათქვამს არ ვიხილავთ; საკითხის მრავალპლანიანი პრობლემატიკიდან გამომდინარე, კონსტრუქციით გამოხატულ ვერბალურ ევიდენციალობაზე ვიმსჯელებთ მხოლოდ III პირის პირდაპირი და ირიბი ნათქვამის მიხედვით.

ჩვენი მიზანია მესამე პირის ნათქვამის, ანუ კონსტრუქციით გამოხატული ვერბალური ევიდენციალობის, განხილვა ქართველურ ენებში. მიღებული შედეგების შედარება-შეპირისპირებით ქართველურ ენებს შორის მსგავსებისა და განსხვავების წარმოჩენა.

საანალიზო პრობლემური საკითხები

I. პირდაპირ და ირიბ ნათქვამში პირთა (I, II, III) ფორმალურ-ფუნქციური განაწილების საკითხი სალიტერატურო და არასალიტერატურო (მეგრული, ლაზური, სვანური) ენების მიხედვით.

II. „სხვათა სიტყვა“ ქართველურ ენათა პირდაპირი და ირიბი ნათქვამის სტრუქტურულ მოდელში.

I პრობლემის ანალიზი

ქართულ ენაში მესამე პირის ნათქვამის გამომხატველია -ო ნაწილაკი, რომლის გამოყენების პირველი ნიმუშები ქართულ წერილობით წყაროებში დასტურდება VI საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამგვარ კონსტრუქციათა რიცხვი მომდევნო საუკუნეებში თანდათან იზრდება. *მეგრულსა და ლაზურში* მესამე პირის ნათქვამს გამოხატავს **-ა** *ნაწილაკი.*

შენიშვნა 1:

არ ვეხებით მეგრულსა და ლაზურში დადასტურებულ -ა ნაწილაკის ფონეტიკურ ვარიაციებს, არც ლაზურში ამავე ფუნქციით გამოყენებულ თურქულ ზმნურ ფორმას დერ(ი) „თქვა“.

სვანურში მესამე პირის „პირდაპირი ნათქვამისთვის“ გამოიყენება ნაწილაკები **ესერ** და **-როქუ̄** (<**რაჭუ̄** „თქვა“).

„პირდაპირი ნათქვამის“ კონსტრუქციული წყობა პირთა განაწილების მიხედვით:

ა. **ქართული**:

(1)პეტრემ თქვა: დღეს **მე** (PersPron1) მგელი **მოვკალი** (S1. SG)-**ო** (DSM3)

ბ. **მეგრული**:

(2)პერტექ თქუ: ამდღა **მა** (PersPron1) გერი **დოპილი** (S1. SG)-**ა**(DSM3)

„პეტრემ თქვა: დღეს **მე** მგელი **მოვკალიო**“.

გ. ლაზური:

(3)პეტრექ თქუ, ანდღა **მა** (PersPron1) მგეი (დო)**ბყვილი** (S1. SG)-ა(DSM3)

„პეტრემ თქვა: დღეს **მე** მგელი **მოვკალიო**".

დ. სვანური:

(4)პეტრედ რაქუ: ლადი **როქუ**(DSM3) **მიჩ** (RefxPersPron3) თხერე **ოთდაგრა** (S3.SG).

„პეტრემ თქვა: დღეს **მას თვითონ** მგელი **მოუკლავსო**".

სიტყვასიტყვით: „პეტრემ თქვა, დღესო *მას თვითონ* მგელი მოუკლავს".

შენიშვნა 2:

არასალიტერატურო ქართველური ენებისთვის – მეგრულის, ლაზურისა და სვანურისთვის დამახასიათებელია III პირის სხვათა სიტყვის ნაწილაკის ე.წ. „ჭარბი"გამოყენება (კონსტრუქციაში რამდენიმე წევრს დაერთვის). ეს განპირობებულია იმით, რომ „სხვათა სიტყვის" ნაწილაკი ძირითადი ფუნქციის გარდა ფაკულტატური მნიშვნელობითაც გამოიყენება. ნაშრომში „სხვათა სიტყვის" ნაწილაკის მხოლოდ ძირითად ფუნქციაზე ვიმსჯელებთ.

დასკვნა 1:

ო'ნაწილაკიანი კონსტრუქცია *ქართულში*, შესაბამისი ნაწილაკებით *მეგრულსა და ლაზურში*, **პირველიპირისეულია.** რადგან მთქმელი III პირის ნათქვამს უცვლელად წარმოგვიდგენს, ზმნაც და ნაცვალსახელიც ფორმობრივად წარმოთქმის მომენტის შესატყვისია – მთქმელი გადმოგვცემს ზუსტად იმ ფორმით, როგორც ინფორმაციის პირველწყარომ, ავტორმა, წარმოთქვა.

სვანურის პირდაპირი ნათქვამი **განსხვავებულია** სხვა ქართველური ენებისგან არა ნაწილაკების გამოყენების პრინციპით, არამედ კონსტრუქციით. სვანურში, მიუხედავად იმისა, თუ რეალურად რომელი პირია მთხრობელისთვის ინფორმაციის წყარო, ზმნა-შემასმენელიც და სუბიექტიც ყოველთვის მესამე პირშია (კონსტრუქცია ყოველთვის მესამეპირისეულია); ანუ მთქმელი სხვისი ნათქვამის აზრს გადმოგვცემს თავისი თვალსაზრისით, საკუთარი პოზიციიდან (როგორც ეს ირიბ ნათქვამს ახასიათებს) და არა უცვლელად, მაგრამ ამავდროულად ურთავს „სხვათა სიტყვის" ნაწილაკს, რომელიც, ჩვეულებრივ, მხოლოდ პირდაპირი ნათქვამის კუთვნილებაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სვანურში ნაწილაკიანი სხვისი ნათქვამის ზმნის პირიან ფორმებთან მიმართება თითქმის უნიფიცირებულია (ჩანტლაძე 1998:223) და კონსტრუქცია ყოველთვის **მესამეპირისეულია**.

[მსგავსებისათვის იხ. მაგალითები (1), (2), (3); განსხვავებისთვის შდრ: მაგალითი (4)].

„ირიბი ნათქვამის" კონსტრუქციული წყობა პირთა განაწილების მიხედვით:

ა. **ქართული**:

(5)პეტრემ თქვა, რომ **მან**(PersPron3) დღეს მგელი **მოკლა** (S3.SG)

ბ. **მეგრული**:

(6)პერტექ თქუ, ნამუდა ამდღა **მუს**(RefxPersPron3) გერი **დუცვილუ**(S3.SG).

„პეტრემ თქვა, რომ დღეს **მას თვითონ** მგელი **მოუკლავს**".

გ. ლაზური:

(7)პეტრექ თქუ-ქი[73], ანდღა **მუქ**(RefxPersPron3) გეი დოყვილეენ (EvidPerf.S3.SG)

„პეტრემ თქვა, რომ დღეს **მას თვითონ** მგელი მოუკლავს“.

დ. სვანური:

(8)პეტრედრაქუ, ერელადი **როქუ**(DSM3) **მიჩ**(RefxPersPron3) თხერე **ოთდაგრა** (S3.SG.).

„პეტრემ თქვა, რომ დღესო **მას თვითონ** მგელი **მოუკლავს**“.

დასკვნა 2:

ირიბი ნათქვამით გადმოცემულ კონსტრუქციაში ინფორმაციის უშუალო მფლობელი (წყარო) მთქმელისთვის III პირია და კონსტრუქციაც შესაბამისია – **მესამეპირისეულია** ყველა ქართველურ ენაში, თუმცა III პირის გამოხატვის სემანტიკური ვარიაციის მიხედვით ქართული და სხვა ქართველური ენები განსხვავდებიან ერთმანეთისგან; კერძოდ, მეგრულში, ლაზურსა და სვანურში III პირის აღნიშვნა დიფერენცირებულია: 1. ერთდროულად გამოხატულია პირი და უკუქცევითობა, რაც სუბიექტის აქტივობის განმსაზღვრელია: „ის მოქმედებს თვითონ“ (მაჭავარიანი 1987:54); 2. გამოხატულია პირი ზოგადად, რომელიც აქტივობის თვალსაზრისით ნეიტრალურია. რაკი მთქმელი დაინტერესებულია, რომ ირიბ ნათქვამში მოქმედი წარმოაჩინოს, არასალიტერატურო ქართველური ენები – მეგრული, ლაზური და სვანური ირჩევენ უკუქცევითობის სემანტიკის III პირის ნაცვალსახელს. ამ თვალსაზრისით აღნიშნული ენები: მეგრული, ლაზური და სვანური ერთმანეთს ემსგავსებიან. რაკი სამწერლობო ქართულ ენაში III პირი გაუდიფერენცირებელია, ენას არა აქვს საშუალება ფორმალურად განასხვავოს მისი აქტიურობა – ინაქ-

73 ქართული *რომ-ის* მნიშვნელობის თურქული ნაწილაკია.

ტიურობა; ამის შედეგად ქართულის მონაცემები განსხვავებულია სხვა ქართველური ენების მონაცემებისაგან.

[მსგავსებისთვის იხ. მაგალითები (6), (7), (8); განსხვავებისათვის შდრ. მაგალითი (5)].

როგორც ემპირიული მასალებიდან ჩანს, ქართველურ ენათაგან პირის უნიფიკაციის პროცესი ყველაზე შორს წასულია სვანურში; ამიტომ ხშირად ვრცელი კონტექსტის გარეშე რთულია იმის გაგება, თუ რომელ პირზეა ლაპარაკი – პირველზე, მეორეზე თუ მესამეზე:

(9) ალდაარ ესერ (DSM3) ახჭუნდახ (S3.PL) ბაზი, მინე (RefxPersPron3. PL) დრმუ ესერ ჩუოთდაგრახ (სვ. პრ. ტ., I, 1939:25) – სიტყვასიტყვით: „ესენიო შემოსევიან ამაღამ, თვითონ მათი დედა და მამაო მოუკლავთ“.

ამ წინადადების თარგმანი ვრცელი კონტექსტის გარეშე სამნაირი შეიძლება იყოს:

ა. „ესენი შემოგვესივნენო ამაღამ, ჩვენი დედ-მამა დახოცესო“.

ბ. „ესენი შემოგესივნენო ამაღამ, თქვენი დედ-მამა დახოცესო“.

გ. „ესენი შემოესივნენო ამაღამ, მათი დედ-მამა დახოცესო“.

სწორედ ამის გამო სვანურში პირდაპირი ნათქვამი, ერთი შეხედვით (რომ არა „სხვათა სიტყვის“ ნაწილაკი), ქართულის ირიბ ნათქვამს უფრო შეესაბამება; ამიტომ ამას ***შერეული ტიპის წარმოებას*** ვუწოდებთ (რადგან ირიბი კონსტრუქციაა პირდაპირის ნაწილაკებით გაფორმებული). ამ ტიპის კონსტრუქციაზე ვ. ბოედერი უფრო ადრე აღნიშნავდა, რომ ***„ნახევრადირიბი ნათქვამი უპირატესი ვარიანტია სვანურისთვის და, როგორც ერთ-ერთმა ჩემმა სვანმა ინფორმატორმა თქვა, ეს „უფრო სვანურია“, ვიდრე ირიბი ნათქვამი“*** (Boeder 2002:18).

პირდაპირი ნათქვამის გადმოცემის აღნიშნული შერეული სისტემა ძველი სვანური ხალხური სიმღერების ენაში და ფრაზეოლოგიზმებში მკაცრად არის დაცული, მაგრამ ახალგაზრდა თაობის მეტყველებაში, განსაკუთრებით კი კოდორულ მეტყველებაში, რომელიც ენგურის ხეობის სვანურთან შედარებით უფრო მეტად განიცდის ქართული ენის გავლენას, გვხვდება „სხვათა სიტყვის" ქართულისებური, I და II პირისეული კონსტრუქციის გამოყენების შემთხვევებიც, რაც ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს და იმაზე მეტყველებს, რომ „ამგვარი რამ სვანურისთვის შედარებით უფრო გვიანდელია, მეორეულია და ქართულ ენასთან კონტაქტით უნდა აიხსნას" (ჩანტლაძე 1998:227).

II პრობლემის ანალიზი

„სხვათა სიტყვაში", როგორც აღვნიშნეთ, განიხილება ირიბი ნათქვამიც. ირიბი ნათქვამი ყველა ქართველურ ენაში ერთნაირი სტრუქტურით – ჰიპოტაქსური კონსტრუქციით გადმოიცემა. სტრუქტურულად ერთგვარი მოდელები ევიდენციალობის თვალსაზრისით მარკირებულია სხვადასხვაგვარად; კერძოდ,

ა. ქართულში – მხოლოდ ლექსიკურად, კონტექსტუალურად.

ბ. სხვა ქართველურ ენებში – სხვათა სიტყვის ნაწილაკებითაც.

ქართული

(10) პეტრემ თქვა, **რომ** (SUB) სოფლიდან **მისი** (PossPron3.SG) ნათესავები ჩამოვიდნენ.

მეგრული

(11) პერტექ თქუ, **ნამუდა** (SUB) სოფელიშე **მუში** (ReflPossPron3.SG) ნათესეფქ მორთესი-**ა** (DSM3)
„პეტრემ თქვა, **რომ** სოფლიდან **თავისი** ნათესავები ჩამოვიდნენო".

ლაზური

(12) პეტრექ თქუ-**ქი** (SUB), ქიოიშენ **მუში** (ReflPossPron3.SG) აქრაბაფე გეხტესი-ა (DSM3).
„პეტრემ თქვა, **რომ** სოფლიდან **თავისი** ნათესავები ჩამოვიდნენო".

სვანური

(13) პეტრედ რჴქუ, **ერე**(SUB) სოფელხან **ესერ**(DSM3) **მიჩა** (ReflPossPron3.SG) ნჴთიჴრ ჴმჯედხ.
„პეტრემ თქვა, **რომ** სოფლიდანო **თავისი** ნათესავები ჩამოსულან".

სვანურში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ირიბი ნათქვამი თითქმის ემთხვევა პირდაპირ ნათქვამს, რადგან, მიუხედავად ჰიპოტაქსური წყობისა, რაც გამოიხატება მაქვემდებარებელი კავშირის გაჩენით, სხვათა სიტყვის ნაწილაკი მაინც სავალდებულოა. როგორც კ. ტუიტი აღნიშნავს, „სვანურში ირიბი მეტყველების დროს III პირს შეუძლია გამოიყენოს **მიახლოებითი პირდაპირი ციტირება** პირისა და დროის ნიშნების შეუცვლელად; ეს ხშირად ისეთი შემთხვევაა, როცა პირთა ოპოზიცია დაფარულია და სპეციალური ნაცვალსახელები **ჯა** („თვითონ") და **მინ** (მრ. რ. „თვითონ ისინი") ცვლიან I და II პირის ნაცვალსახელებს. ირიბ მეტყველებაში შემოდის დამატებით **ერე** („რომ") კავშირი და ნათქვამი შეიცავს **ესერ/როქუ** ციტირების ნაწილაკებს"(Tuite 1997:40).

მეგრულ-ლაზური ამგვარი მაგალითებით ემსგავსება სვანურს და „ასახავს **პირდაპირსხვისნათქვამიანი წინადადებიდან ირიბსხვისნათქვამიანზე გარდამავალ საფეხურს**" (ლომია 2010:412-413).

დასკვნა 3:

სვანურსა და მეგრულ-ლაზურში ერთნაირი ენობრივი სურათი იკვეთება ირიბ ნათქვამთან დაკავშირებით, ანუ არასა-

ლიტერატურო ქართველური ენები გარდამავალ ვითარებას ასახავენ. სვანურმა, როგორც ჩანს, შემდგომ აღარ განავითარა ქართულისებური პირდაპირი ნათქვამი, მეგრულმა კი, დამოუკიდებლად თუ ქართულის გავლენით, მაინც გაითავისა და დაამკვიდრა ქართულისებური კონსტრუქცია.

შეჯამება:

ქართველურ ენებში „სხვათა სიტყვა", კერძოდ კი, მესამე პირის როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი ნათქვამი, ევიდენციალურია. პირდაპირი ნათქვამი მორფოსინტაქსურადაა გამოხატული: *კონსტრუქცია+ნაწილაკი*, რომელიც ჯერ კიდევ ძველ ქართულში ჩამოყალიბდა. ევიდენციალურ პირდაპირ ნათქვამში კონსტრუქცია ყოველთვის პირველიპირისეულია (ნათქვამი უცვლელადაა წარმოდგენილი ავტორის მიერ) ქართულში, მეგრულსა და ლაზურში, ხოლო სვანურში სპეციფიკური ვითარებაა კონსტრუქციის აგების თვალსაზრისით, რადგან იგი ყოველთვის მესამეპირისეულია, მსგავსად ირიბი ნათქვამისა.

რაც შეეხება ჰიპოტაქსური სტრუქტურის ირიბ ნათქვამს, მაქვემდებარებელ კავშირთან ერთად ზოგჯერ მოცემულია „სხვათა სიტყვის" ნაწილაკი მეგრულში, ლაზურსა და სვანურში, რაც პირდაპირ და ირიბ ნათქვამებს შორის შუალედური, ანუ გარდამავალი საფეხურის მაჩვენებელია. ჩვენი აზრით, შესაძლებელია მას სხვათა სიტყვის შერეული ტიპიც ვუწოდოთ. ქართულ სალიტერატურო ენაში სინქრონიულ დონეზე ირიბი ნათქვამი ჩვეულებრივი ჰიპოტაქსური კონსტრუქციით გადმოიცემა, „სხვათა სიტყვის" ნაწილაკების გარეშე.

თავი III

ევიდენციალობის გამოხატვის ლექსიკური საშუალებები და თარგმანთან დაკავშირებული საკითხები

1. სვანურ-მეგრულ-ლაზური არამოდალიზებული ევიდენციალური იმპერფექტული ზმნური ფორმების გადმოცემის საშუალებები სალიტერატურო ქართულში

ცნობილია, რომ სალიტერატურო ენა კონსერვატულია, რადგან მას ნორმა „ზღუდავს“, ხოლო ზეპირმეტყველებაზე აგებული ენები გამოხატვის მეტ თავისუფლებას იჩენენ ფორმათწარმოებისა და სემანტიკური მრავალფეროვნების თვალსაზრისით. ამის შედეგია ის, რომ ქართულ სალიტერატურო ენაში უნახავ მოქმედებას ორი მწკრივი გადმოსცემს, ხოლო არასალიტერატურო ქართველურ ენებში ამგვარ მწკრივთა რაოდენობა გაცილებით მეტია. მონათესავე ენობრივ სისტემებს შორის სხვაობა კარგად ჩანს ზმნურ ფორმათა სალიტერატურო ენაზე გადატანისას.

სალიტერატურო ქართულში აღწერითად გადმოიცემა არამოდალიზებული ევიდენციალური იმპერფექტული მწკრივები, რომელთა შესატყვისი ფორმები ორგანული წარმოებისაა სვანურში, მეგრულსა და ლაზურში. ქართული მათ გადმოსაცემად, საუღლებელ ზმნურ ფორმასთან ერთად, დამატებით მიმართავს ლექსიკურ საშუალებას. არამოდალიზებული ევიდენციალური მწკრივებისთვის ასეთია *„თურმე“* ნაწილაკი (ამ ნაწილაკით უნახავი აქტის გადმოცემის შესახებ დაწვრილებით იხ. შესავლისა და I თავის ცალკეული პარაგრაფები).

ქართველურ ენათა შორის **სვანურში** ევიდენციალურ ფორმათა გრამატიკალიზაცია ყველაზე შორს წასული პროცესია, რასაც ადასტურებს ევიდენციალობის აღმნიშვნელი სპეციალური მარკერის არსებობა ზმნურ ფორმაში (მარგიანი-სუბარი 2012:47-48). ამ ენაში, მეგრულის მსგავსად და სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით, გამოიყოფა აწმყოსფუძიანი ორი ევიდენციალური მწკრივი: ევიდენციალური იმპერფექტი I (resp. I თურმეობითი) და ევიდენციალური იმპერფექტი II (resp. თურმეობითი II). ევიდენციალური იმპერფექტი I იწარმოება აწმყოს საზედაო ქცევის ფორმაზე **–უნ** და **-ა** სუფიქსების დართვით, თუმცა, შესაძლოა, კონტექსტუალურად საობიექტო ქცევის გაგებაც ჰქონდეს:

(1) ხ-ა-ტაბ-უნ-ა
IndO3-SPRS-თლა-EVD-PM
„ის თურმე ათლიდა(ზედ), / თურმე უთლიდა მას, მას“;

ევიდენციალური იმპერფექტი II-ის ფუძე მიმღეობურია და მეშველზმნიანი წარმოებისაა, რომელიც I-სა და II პირში სავალდებულოა, ხოლო III პირისთვის კი – არა:

(2) ლგ-მ-ტაბ-უ̈ნ (← ლგ-მ-ტაბ-უნ-ე ლი)
PSTPART-თლა-EVD
„ის თლიდა თურმე მას“

საანალიზო მწკრივებს შორის, შედგენილობის მიხედვით დიდი განსხვავების მიუხედავად, საერთოა აწმყოს საყრდენი ფუძე.

სვანურში სემანტიკურ განსხვავებას თავად ამ მწკრივთა შორის მხოლოდ ზმნის ქცევა განაპირობებს: ერთ შემთხვევაში ის საზედაოა, შესაბამისი მორფემა **ა-** პრეფიქსი დაერთვის, თუმცა ეს ფორმები ერთგვარად ომონიმურია და სასხვისო (საობიექტო) ქცევასაც გამოხატავენ სათანადო კონტექსტ-

ში; მეორე შემთხვევაში კი ქცევა საარვისოა (ნეიტრალურია). ქართულად გადმოცემისას, სალიტერატურო ენაში ზუსტი ორგანული შესატყვისების (მწკრივების) არარსებობის გამო, საანალიზო ზმნები ზოგჯერ პერფექტული ევიდენციალური ფორმებით გადმოაქვთ, რაც, ცხადია, სემანტიკურად ვერ ფარავს სვანურ მონაცემებს, ვინაიდან მათი ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი – იტერატიულობა იკარგება; ზუსტი სემანტიკური შესაბამისობა ქართულად, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ აღწერითად მიიღწევა.

მეგრულში ორი ევიდენციალური იმპერფექტული მწკრივი დასტურდება: *ევიდენციალური იმპერფექტი I* და *ევიდენციალური იმპერფექტი II*. აქედან, *ევიდენციალური იმპერფექტი I* აწმყოს ფორმას ეფუძნება, ამიტომ ეწოდება მას სამეცნიერო ლიტერატურაში *აწმყოს თურმეობითი* (ი. ქობალავა), ხოლო *ევიდენციალური იმპერფექტი II* ეყრდნობა იმპერფექტის (უწყვეტლის) ფორმას და იგი *უწყვეტლის თურმეობითის* (ი. ქობალავა) სახელწოდებითაც არის ცნობილი. სალიტერატურო ქართულში ეს ფორმები, როგორც აღვნიშნეთ, ჩვეულებრივ, აღწერითად გადმოიცემა, რამდენადაც ორგანული და ანალიზური ფორმების შეფარდება კანონზომიერი პროცესია; თუმცა, თავისებურია და, შესაბამისად, ახსნას ითხოვს მეგრულში ორი არამონაცვლე, განსხვავებული მწკრივის – ევიდენციალური იმპერფექტი I-ისა და ევიდენციალური იმპერფექტი II-ის ერთნაირად გადმოტანა ქართულში:

ევიდენციალური იმპერფექტი I-ის ფორმაა ***ნოჭარუე(ნ)***, რომლის ადეკვატური თარგმანია „**წერს თურმე**“, თუმცა კონტექსტში იგი ყოველთვის „**წერდა თურმეთი**“ გადმოდის. ამითი ის ემთხვევა ***ნოჭარუედუ***-ს (ევიდენციალური იმპერფექტი II) ქართულ შესატყვის „**წერდა თურმე**“-ს. მეგრულსა და ქართულში ევიდენციალურ იმპერფექტულ ფორმათა ამგვარი

ასიმეტრიულობა ადრევე იყო აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში (ქობალავა 2001:133-134; როგავა 1953:24; კიზირია 1982:117). როგორც მასალის კვლევამ დაადასტურა, **მეგრულში ევიდენციალური იმპერფექტული მწკრივები წარსული დროის ფორმებია**, თუმცა ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან ორი ტიპის წარსულის მიხედვით. ამ თვალსაზრისით, მათ შორის ისეთივე მიმართებაა, როგორიც ქართველურ ენათა პერფექტულ ევიდენციალურ მწკრივებში ნამყოსრულსა და ნამყო წინარეწარსულს შორის (იმპერფექტულ ფორმებში გრამატიკული დროის ასახვის საკითხი დაწვრილებით იხ. თ. I, § 7).

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

(3) ნო-ჭარუ-ე-(ნ) (EvidImpf I)
EVD-წერა.PRS:IMPF-EVD-(PRS.S3.SG)

(4) გელელგ თე ქაღარდი, გოსოფგ დო წეკითხგ, იახან, ეფერ დროს, **ნოჭარუე** თენა თეს... (ხუბუა 198:28-29) „ამოიღო ეს წერილი, გახია და რომ წაიკითხა, დიახ, ამ დროს, **წერდა თურმე** ეს ამას...“

(5) ნო-ჭარ+უ-ე-დ-უ (EvidImpf II)
EVD-წერა.IMPF-EVD-EM-IMPF.S3.SG

(6) ჩქიმი ბოში უქვი დღაემს **ნოჭარუედუ** დო **ნოკითხირუედუ** (მასალები) „ჩემი ბიჭი უქმე დღეებში **წერდა თურმე** და **კითხულობდა თურმე**“.

ლაზურში მხოლოდ ერთი ევიდენციალური იმპერფექტული მწკრივი დასტურდება: ევიდენციალური იმპერფექტი II, რომელიც ეყრდნობა იმპერფექტის ფორმას და ურთავს „ყოფნა“ მეშველ ზმნას აწმყოში:

(7) ჭარუფ-ტ-ერენ (ხოფ.-ჩხალ.) || (6) ჭარუმ-ტ-უ-დორენ (ვიწ.-არქ.) „წერდა თურმე“ (EvidImpf II)
წერა. IMPF-EM-V(CLTC).PRS.S3.SG

დასკვნა:

სვანურში, მეგრულსა და ლაზურში ევიდენციალური იმპერფექტული მწკრივები ქართულად საუღლებელი ზმნის უწყვეტლის ფორმითა და „თურმე“ ნაწილაკის საშუალებით გადმოიცემა.

2. მოდალიზებული ევიდენციალური (ეპისტემიკური) მნიშვნელობების გადმოცემის საშუალებები ქართველურ ენებში

მოდალიზებული ევიდენციალური (ეპისტემიკური) მნიშვნელობები **აღწერითად** ოთხივე ქართველურ ენაში – ქართულში, სვანურში, მეგრულსა და ლაზურში – გადმოიცემა. აღწერითი წარმოების მოდელია: *სხვადასხვა მწკრივის ფორმას + საეჭვოობა-სავარაუდოობის გამომხატველი მოდალური ნაწილაკი.*

საეჭვოობა-სავარაუდოობის გამომხატველი მოდალური ნაწილაკებია:

ქართულში: *ალბათ, შესაძლოა, ვგონებ... .*

(1) *„ერთი რამ მინდა გკითხოთ, რომლის პასუხი საქართველოს გარდა,* **ალბათ**, *ევროპაშიც ბევრს აინტერესებს“.*
http://clarino.uib.no/gnc/document-element?session-id=238873395998524&cpos=30476

სვანურში: *მგრეს/მაუშლი* „ალბათ“, *დრუე* „შესაძლოა“, *ანღული* „ვგონებ“... .

(2) *დეშ ლიჩოდად, დეშ გუიხალდა ეჯჟი მგრეს* „ვერ ვაკეთებდით, ვერ ვიცოდით ისე **ალბათ**“.
ECLING Svan Records: ECLING-Svan, Kubdari, 0106

მეგრულში: *ალბეთ/ალბათ „ალბათ“/იქნებ“, შილებე „შესაძლოა“, მემიჩქუდე/ მამგონი „ვგონებ“, ეგება „ეგებ/იქნებ“...*

(3) *ასე ონადირუშა მიდართ,* ***ალბათ*** *მალას დიირთგ დო გლახა დღას გიგორინუანც სიავა, – უწუ ცირაქგ.* „ახლა სანადიროდ წავიდა, ალბათ მალე დაბრუნდება და ცუდ დღეში ჩაგაყენებს შენო, – უთხრა გოგომ".
Megrelian Texts ed. Qipshidze: IQ, ZZ, XXVI, 6 (80, 21).

ლაზურში: *ჰელბეთ/ელბეთ „ალბათ", შილებე „შესაძლოა"* (ხოფური კილო), *თურქ. ბოლაქი // ბელქი „ეგებ", ბექიმ „ალბათ"....*

(4) *ეჲ, ჩქიმი კულანი, მა სი ზორითე ვა მექჩი,* ***ჰელბეთ*** *კისმეტი ეშო გილუტუ.* „ეჰ, ჩემო გოგო, მე შენ ძალით არ მიმიციხარ, ალბათ ბედი ისეთი გქონდა" [მეგრ. და ლაზ. ტექსტები, 2008:66].

მონოგრაფიაში განხილულია ორგანული წარმოების მოდალიზებული ევიდენციალური (ეპისტემიკური) მწკრივები **სვანურსა** და **მეგრულში** (თ. I, § 5), რომელთა ფარდი მნიშვნელობები სალიტერატურო ქართულში, ცხადია, აღწერითად გადმოიცემა. ამ ენებში ერთმანეთს დროის მიხედვით უპირისპირდებიან ევიდენციალურ-ეპისტემიკური მწკრივები; კერძოდ, *ევიდენციალურ-ეპისტემიკური აწმყო* (resp. მყოფადუსრული) ახლანდელ დროში გადმოსცემს საეჭვო-სავარაუდო მოქმედებას, ხოლო *ევიდენციალურ-ეპისტემიკური იმპერფექტი I* (resp. პირობითუსრული) – წარსულ დროში. სემანტიკურად კი მათი საოპოზიციო ცალებია *აწმყოსა* და *უწყვეტლის* მწკრივები.

სვანურში საანალიზო მწკრივები მარკირებულია ევიდენციალობის სუფიქსით (-უნ-), სხვა მხრივ, აგებულებით ისინი იმეორებენ *აწმყოსა* და *უწყვეტლის* მწკრივთა მოდელს;

მაგალითები:

(5) მიშგუ დი ათხე ფურჱლს **იშგჱლჳნი** (მასალები) „დედაჩემი ახლა ძროხებს **წველის ალბათ**";

შდრ.:

(6) მიშგუ დი ათხე ფურჯლს **იშგჯლი** (მასალები) „დედაჩემი ახლა ძროხებს **წველის**“.

(7) გიო ლექსჯრს **იჱრუნი**, მიჩომუ პოეტ ლჯსუ (მასალები) „გიო ლექსებს **წერს ალბათ**, მამამისი პოეტი იყო“;

შდრ.:

(8) გიოი ლექსჯრს **ჯჱრი** ი მიჩომუი პოეტ ლი (მასალები) „გიოც ლექსებს **წერს** და მამამისიც პოეტია.

(9) კესა ჯჯუინელ მჯშხბჯრი ლი, მიჩა დრეუქა ოსჯრსი **იშხბუნიუ** (მასალები) „კესა ძველი მკერავია, თავის დროზე ჩოხებსაც **კერავდა ალბათ**;

შდრ.:

(10) კესა ჯჯუინელ მჯშხბჯრი ლი, მიჩა დრეუქა ოსჯრსი **ჯშხბიუ** (მასალები) „კესა ძველი მკერავია, თავის დროზე ჩოხებსაც **კერავდა**;

სვანურში ასევე დასტურდება:

ა. **ეპისტემიკური პირობითი სრული**, რომელიც სემანტიკურად უპირისპირდება ხოლმეობითს;

ბ. **ეპისტემიკური მყოფადი**, რომლის საოპოზიციო ერთეულია კატეგორიული (ე. წ. წინდებულ-თანდებულიანი) მყოფადი და ორი მოდალიზებული პერფექტული მწკრივი:

გ. **ევიდენციალური პერფექტი III** და

დ. **ევიდენციალური პერფექტი IV**, რომლებიც დროის თვალსაზრისით ევიდენციალური პერფექტი I-ისა და ევიდენციალური პერფექტი II-ის უპრევერბო ფორმებს ეკედლებიან (ნამყო, ნამყო წინარეწარსული), ხოლო საეჭვოობა-სავარაუდოობის სემანტიკით მათ უპირისპირდებიან. ყველა ეს მწკრივი მინი-

მალურ კონტექსტში ქართულად „ალბათ" ნაწილაკთან ერთად გადმოდის:

(11) ᲐდჭოდᲐნნა „ალბათ წაიკითხავდა" შდრ.: ქაიჭუდᲐნდა „წაიკითხავდა".

(12) ᲐდჭოდᲐნნე „ალბათ წაიკითხავს" შდრ.: ქაიჭუდᲐნი „წაიკითხავს".

(13) ხეჭუდᲐნი „ალბათ (წა)უკითხავს" შდრ.: ხოჭუდᲐნა „(წა)უკითხავს".

(14) ხეჭუდანრლ „ალბათ (წა)ეკითხა" შდრ.: ხოჭუდᲐნᲐნ „(წა)ეკითხა".

ჩამოთვლილთაგან ეპისტემიკა ყველაზე სუსტად გამოხატულია მყოფადში, მას, რიგ შემთხვევაში, შეიძლება ჩაენაცვლოს ჩვეულებრივი, კატეგორიული მყოფადის ფორმა, ამ დროს აზრი არ ირღვევა, მხოლოდ ნიუანსი იცვლება.

ვრცელ კონტექსტში სვანური ევიდენციალური ეპისტემიკური ფორმები ქართულად ყოველთვის „ალბათ" ნაწილაკთან ერთად ვერ გადმოდის. ისინი შეიძლება გადმოიცეს სხვადასხვა მწკრივის (უმეტესად, *კავშირებითების და II თურმეობითის*) ფორმით, სათანადო დამხმარე ლექსემასთან (რომ, თუ...) ერთად.

მაგალითები:

(15) **სრული პირობითი**: დავალებას ლათ **ჩუათირნᲐს**, ლᲐდი ლᲐშდრᲐლთე ქაჯუფშუდᲐს (მასალები) „დავალება გუშინ **რომ დაგეწერა**, დღეს სათამაშოდ გაგიშვებდი".

შდრ.:

(16) **ხოლმეობითი**: დავალებას სგუებნაუ **ჩუხᲐირდᲐს** ი ღო ლᲐშდრᲐლდი ჩუჯესდენი დურეუ (მასალები) „დავალება

წინასწარ **დაწერე** ხოლმე და მაშინ სათამაშოდაც დაგრჩება დრო".

(17) **ეპისტემიკური მყოფადი**: დავალებას **ჩუათრნე**, ლაშდრალთე ქაჯუფშუდე (მასალები) „დავალებას **რომ (/თუ) დაწერ**, სათამაშოდ გაგიშვებ".

შდრ.:

(18) **კატეგორიული მყოფადი**: მგხარ წერილს **ჩუხუაიდრი** ი ქახუაზზი (მასალები) „ხვალ წერილს **დავწერ** და გავაგზავნი".

(19) **ევიდენციალური პერფექტი III**: ალას ლექსარი **ხეიდრი** ლიბოფშს (მასალები) „ამას **ალბათ** ლექსებიც **(და)უწერია** ბავშვობაში";

შდრ.:

(20) **ევიდენციალური პერფექტი I**: ალას ლექსარი **ხოიდრა** ლიბოფშს (მასალები) „ამას ლექსებიც **(და)უწერია** (/აქვს ნაწერი) ბავშვობაში".

(21) **ევიდენციალური პერფექტი IV**: ალას ლექსარი **ხეიდრლ**, ალა მჯმ მიხალდა (მასალები) „ამას ლექსებიც **თუ ეწერა (/ჰქონდა ნაწერი)**, ეს არ ვიცოდი";

შდრ.:

(22) **ევიდენციალური პერფექტი II**: ალას ლექსარი ხუჯ **ხოიდრჯნ** (მასალები) „ამას ლექსებიც ბევრი **ეწერა** (/ჰქონდა ნაწერი)".

მეგრულში ევიდენციალურ-ეპისტემიკური მწკრივები რთული აგებულებისაა (საუღლებელ ზმნას + ნაწილაკი), თუმცა თითოეულ მწკრივში ეს ორი კომპონენტი ისეა შერწყმული

ფორმობრივ-სემანტიკურად[74], რომ ერთ ერთეულად აღიქმება. ქართულ სალიტერატურო ენაში ამ მწკრივების შესაბამისი მნიშვნელობები, რა თქმა უნდა, აღწერითად გადმოიცემა. ზემოთ, ქართველურ ენებში, არაერთი ეპისტემიკური მოდალური ნაწილაკია დასახელებული, ზოგიერთი მათგანი ერთსა და იმავე ქართულ მნიშვნელობას იმეორებს, თუმცა კონტექსტი ხშირ შემთხვევაში ძალიან მგრძნობიარეა სემანტიკური მნიშვნელობების შეფარდებისა თუ დაზუსტებისას. ამის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, მეგრული ევიდენციალურ-ეპისტემიკური მწკრივების ქართულ ენაზე გადმოსაცემად, აწმყოსა და უწყვეტლის მწკრივებთან ერთად, სემანტიკურად ყველაზე მისადაგებულია მოდალური ნაწილაკი **„ალბათ“** (ამგვარი არჩევანის დასაბუთება იხ. თ. I, § 5, 6).

მაგალითები:

(23) დიაჩქიმი ასე ჩხუს **ჭვაჲუნდას იცი** (მასალები) „დედაჩემი ახლა ძროხას **წველის ალბათ**“.

შდრ.:

(24) დიაჩქიმი ასე ჩხუს **ჭვაჲუნს** (მასალები) „დედაჩემი ახლა ძროხას **წველის** “.

(25) მუასქანი ასე **ქეიფენდას იცუაფუ** (მასალები) „მამაშენი ახლა **ქეიფობს ალბათ**“.

შდრ.:

(26) მუასქანი ასე **ქეიფენს** (მასალები) „მამაშენი ახლა **ქეიფობს** “.

(27) დიაჩქიმი გოღა ჩხუს **ჭვაჲუნდუკო იციდუ**, მა ვფიქრენქ, თიშენ ვამაართუ ჭიშკარშა (მასალები) „დედაჩემი გუშინ ძრო-

74 ევიდენციალურ-ეპისტემიკური მწკრივების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი იხ. თ. I, § 5.

ხას **წველიდა ალბათ**, მე ვფიქრობ, იმიტომ ვერ შეძლო ჭიშკრამდე მოსვლა".

შდრ.:

(28) დიაჩქიმი გოლა ჩხუს **ჭვაჲუნდუ**, თიშენ ვამაართუ ჭიშკარიშა (მასალები) „დედაჩემი გუშინ ძროხას **წველიდა**, ამიტომ ვერ მოვიდა/ვერ შეძლო მოსვლა ჭიშკრამდე".

დასკვნა:

მოდალიზებული ევიდენციალური (ეპისტემიკური) მნიშვნელობები ოთხივე ქართველურ ენაში **ლექსიკური საშუალებით**, ანუ აღწერითად გადმოიცემა. არასალიტერატურო ქართველურ ენებში (სვანური, მეგრული, ლაზური) დამატებით დასტურდება ამ სემანტიკის ორგანული წარმოების ზმნური ფორმები, რომლებიც სალიტერატურო ქართულზე გადმოტანისას ცალკეულ მწკრივებთან ერთად იყენებენ სათანადო მოდალურ ლექსემებს.

3. ევიდენციალური პერფექტი I-ის ფუნქციები ქართველურ ენებში და მათი ინგლისურ ენაზე თარგმნის საკითხი

ოთხივე ქართველურ ენაში – ქართულში, სვანურში, მეგრულსა და ლაზურში ორი საერთო ევიდენციალური პერფექტული მწკრივი დასტურდება: ევიდენციალური პერფექტი I (resp. I თურმეობითი) და ევიდენციალური პერფექტი II (resp. II თურმეობითი).

ზმნურ ფორმას *ევიდენციალური პერფექტი* მისი ძირითადი ფუნქციების (ევიდენციალურობა, პერფექტულობა) მიხედვით ეწოდა, თუმცა ის ყოველთვის ევიდენციალობას არ გამოხატავს; სხვადასხვა კონტექსტში თავისი გრამატიკული თუ სემანტიკური პოტენციალიდან გამომდინარე, ეს მწკრივი ერთგვარი „საერთო ბაზაა" არაერთი სემისა თუ კატეგორიისათვის, როგორებიცაა: **ევიდენციალობა, ადმირატივი, ექსპერიენცია**...

საინტერესოა, როგორ ხდება ევიდენციალური პერფექტი I-ის ფუნქციური მრავალფეროვნების ასახვა ქართველურ ენებში და შემდგომ მისი თარგმნა არამონათესავე, მაგალითად, ინგლისურ ენაზე[75].

---

75 ინფორმატორების ცნობით, ზემოჩამოთვლილი მნიშვნელობების გადმოსაცემად ლაზური ევიდენციალური პერფექტი I-ის ფორმებთან ერთად იყენებს არაინვერსიულ თურმეობითებსაც, ზოგჯერ ჩანაცვლების გარეშეც. ამიტომ ამჯერად ლაზურ მასალას არ განვიხილავთ.

როგორც ცნობილია, **ევიდენციალობის** შემთხვევაში აუცილებელია ინფორმაციის ირიბი წყაროს არსებობა.

მაგალითები:

(1)

ქართული: ამ ბიჭს სახლები მარტოდმარტო უშენებია.

მეგრული: თე ბოშის ცუდეეფი ხვალე უშენებუ.

სვანური: ალ ჭყინტს ქორწლ მიჩუშ გარ ხაგწლენა.

მოხმობილი კონტექსტებისთვის ბუნებრივია უზმნისწინო ფორმები, რომლებიც განგრძობით დაუსრულებელ მოქმედებას გამოხატავენ. ინგლისურენოვან თარგმანში აუცილებელია ევიდენციალობის გამომხატველი რომელიმე დამხმარე ლექსემის, ნაწილაკის ან სინტაგმის, დართვა, როგორებიცაა: *თურმე, როგორც ჩანს* და ა. შ.

შდრ.: ინგლისურენოვანი თარგმანი: "As it turned out this guy has built houses all by himself".

ადმირატივი სემანტიკური კატეგორიაა, რომლის მნიშვნელობაც გულისხმობს, რომ ინფორმაცია მთქმელისთვის ახალია და არ არის ინტეგრირებული სამყაროს მისეულ სურათში (DeLancey 1997:49); მას „გაკვირვების მოდალობასაც" უწოდებენ (Ницолова 2007:165). ქართველურ ენებში ის ყოველთვის საანალიზო მწკრივის ფორმით გამოიხატება:

მაგალითები:

(2)

ქართული: ამ ბიჭს რუსეთიდან ჩამოსვლის შემდეგ რა კარგი სახლები უშენებია!

მეგრული: თე ბოშის რუსეთიშე დიკნაველს მუ ჯგირ ცუდეეფი უშენებუ!

სვანური: ალ ჭყინტს რუსეთხ̈ან ნაჴ̈ადუნღო მ̈ად ხოჩა ქორ̈ალ ოთგ̈ალა!

წარმოდგენილ მაგალითებში **მთქმელი თავად არის ინფორმაციის მფლობელი** – იგი ხედავს აშენებულს, შესაბამისად, ინფორმაცია ასახავს ობიექტურ ვითარებას და არის სრული; ადმირატივის გადმოსაცემად ქართველურ ენებში დამატებითი ლექსიკური საშუალება სავალდებულო არ არის, მის როლს ინტონაცია ასრულებს. იმ ენებში, სადაც საანალიზო მწკრივი არ მოიპოვება, თარგმანში გამოიყენება ზმნური ფორმა **აღტაცების გამომხატველ შორისდებულთან ერთად** და წინადადების ბოლოს დაისმის ძახილის ნიშანი: შდრ.: ზემომოყვანილი საერთო კონტექსტის (წინადადებათა) თარგმანი ინგლისურ ენაზე: "Wow! What nice houses this guy has built since he came from Russia!"

ექსპერიენციაც ქართველურ ენებში პერფექტული ზმნური ფორმების სემანტიკური მახასიათებელია, რომლითაც მთქმელი გამოხატავს, რომ კონკრეტული მოქმედება განხორციელდა წარსულში თუნდაც ერთხელ (ან არასოდეს!); აქცენტირებულია თავად მოქმედების ფაქტი და მას „გამოცდილების პერფექტსაც“ უწოდებენ. **ქართულსა** და **მეგრულში** ეს მნიშვნელობაც პირველი ევიდენციალური პერფექტის უპრევერბო ფორმებით გამოიხატება და მნიშვნელობათა გასარჩევად, **უნახაობაა** თუ მხოლოდ **ექსპერიენცია**, კონტექსტია საჭირო.

მაგალითები:

(3)

ქართული: ამ ბიჭს ამგვარი ჩუქურთმიანი სახლები ადრეც უშენებია (=აქვს ნაშენები)

მეგრული: თე ბოშის თეჯგურა დოფიგურელი ცუდეეფი ადრე ხოლო უშენებუ (=აქვს ნაშენები)

შდრ.: ინგლისური თარგმანი: "This guy had built such ornamented houses earlier".

განსხვავებული ვითარებაა **სვანურში**, სადაც უპრევერბო ფორმა, ევიდენციალობის მარკერის გარეშე, ერთმნიშვნელოვნად ექსპერიენციას გამოხატავს ისე, რომ კონტექსტის გათვალისწინება სავალდებულო არაა, ვინაიდან ევიდენციალობის (ე. წ. უნახაობის) გამოხატვის უნარი ამგვარ ზმნურ ფორმებს საერთოდ არ გააჩნიათ; როგორც ჩანს, იმიტომ, რომ ევიდენციალობა სვანურში მორფემით გამოხატული კატეგორიაა და მოცემულ შემთხვევაშიც საანალიზო ფორმა სპეციალურ (-ენ-) სუფიქსს დაირთავს; ეს უკანასკელი კი ერთდროულად გამოხატავს ორივე სემანტიკას – უნახაობას და ექსპერიენციულობას;

შდრ. სვანურის მაგალითები, რომლებიც ინგლისურ თარგმანშიც განსხვავებულია:

(4)

ალ ჭყინტს ამკ̆ალი ჩუქურთმიან̆ ქორწ̆ლ ათხ̆დი ხოგ̆ლა.

„ამ ბიჭს ასეთი ჩუქურთმიანი სახლები აქამდეც უშენებია (=აქვს ნაშენები)".

"This guy had built such ornamented houses earlier".

(5)

ალ ჭყინტს ამკ̆ალი ჩუქურთმიან̆ ქორწ̆ლ ათხ̆დი ხაგ̆ნა.

„ამ ბიჭს ასეთი ჩუქურთმიანი სახლები აქამდეც უშენებია (=აქვს თურმე ნაშენები/ნაშენები ჰქონია)".

„As it turned out this guy had built such ornamented houses earlier".

ამრიგად, ქართველურ ენებში ევიდენციალური პერფექტი I რთული დროა, რომლითაც გამოიხატება არაერთი სემანტიკური კატეგორია. არამონათესავე ენებზე მისი თარგმნა არა მხოლოდ ვრცელი კონტექსტის გათვალისწინებას, არამედ მორგებული მოდალური ლექსემებისა თუ სხვა დამხმარე საშუალებების გამოყენებას მოითხოვს.

დასკვნები

ქართველურ ენებში, დიაქრონიული და სინქრონიული დონეების გათვალისწინებით, განხილულ იქნა ევიდენციალობის არამოდალიზებული და მოდალიზებული სახეობები კომპლექსურად – გრამატიკულად და ლექსიკურად.

შესავალი:

ევიდენციალობის კატეგორიის სტატუსი სალიტერატურო (ქართული) და არასალიტერატურო (სვანური, მეგრული, ლაზური) ენებისთვის განისაზღვრა დიფერენცირებულად:

1. **ქართულ სალიტერატურო ენაში** ზმნური ევიდენციალობა **ფუნქციური, სემანტიკური** კატეგორიაა;
2. **არასალიტერატურო ქართველურ ენებში** ზმნური ევიდენციალობა **მორფოსინტაქსური** კატეგორიაა, რადგან იგი გადმოიცემა:
   ა. სპეციალური მწკრივებისა და მარკერის საშუალებით სვანურში: **-VC-/-C- – -უნ-, -ენ-, -ინ-, -ნ-**;
   ბ. სპეციალური მწკრივებისა და მარკერის საშუალებით მეგრულში: **CV- – -V ნო- – -ე**;
   გ. სპეციალური მწკრივების საშუალებით ლაზურში.
3. **ოთხივე ქართველურ ენაში** ევიდენციალობა **მორფოსინტაქსური** კატეგორიაა *სხვათა სიტყვის* სპეციალური მარკერების მიხედვით:

ა. ქართულში: **-მეთქი** (I), **-თქო** (II), **-ო** (III)
ბ. სვანურში: **-ჳჯ-/-იჯ-** „-მეთქი“ / „-თქო“(I-II), **-როქუ** „-ო“ (III), **ესერ** „ო“ (III) – ცალკე მდგომი ნაწილაკი.
გ. მეგრულში: **-მაქი** „-მეთქი“ (I), **-შო** „-თქო“ (II), **-ა** „-ო“ (III)
დ. ლაზურში: **-მა** „-მეთქი“ (I), **-შო** „-თქო“(II), **-ა** „-ო“ (III)

ევიდენციალობის გენეზისი – ჩასახვისა და განვითარების გზა ქართველურ ენათა სისტემაში აიხსნება არა უცხო ენის (თურქულის) გავლენით, არამედ საანალიზო ენათა შინაგანი ტენდენციების გათვალისწინებით:

ა. ოთხივე ქართველურ ენაში პერფექტული ევიდენციალური მწკრივების წარმოშობა უძველეს ფორმაციას – სტატიკურ ზმნებს უკავშირდება;
ბ. ძველ ქართულ სალიტერატურო ძეგლებში V-VI საუკუნეებიდან დასტურდება როგორც ზმნური ევიდენციალობის მწკრივები, ასევე, სინტაქსური კონსტრუქციები *სხვათა სიტყვის* მარკერით;
გ. არასალიტერატურო ქართველურ ენებში გამოიყოფა ევიდენციალობის გამომხატველი მორფემა და სპეციალური მწკრივები.

ევიდენციალობის გამოხატვის მორფოლოგიური საშუალებები:

ევიდენციალური მწკრივების ტერმინთა რეინტერპრეტაცია ქართველურ ენებში განხორციელდა ფორმობრივ-ფუნქციური და სემანტიკური პრინციპებით. ქართველური ენების მწკრივთა სისტემაში სალიტერატურო ენისგან განსხვავებული ***ევიდენციალური ზმნური ფორმების*** ადგილი განისაზღვრა ფორმისა და სემანტიკის მიხედვით, რამაც, ამ მწკრივთა განაწილებისას, უზ-

რუნველყო მორფოლოგიურ-სინტაქსური პრინციპების დაცვა და მათი ფუნქციურ-სემანტიკური დანიშნულების წარმოჩენა. ამის გათვალისწინებით, განსხვავებული მწკრივების ადგილი ლაზურში I-სა და II სერიაშია, ხოლო სვანურსა და მეგრულში – I სერიაში; მეგრულში ასევე I სერიაში გაერთიანდა აქამდე სისტემის გარეთ დარჩენილი ევიდენციალურ-ეპისტემიკური მწკრივები, რომელთა აგებულება არის არა აღწერითი, არამედ რთული.

ევიდენციალობის მორფოლოგიური მარკერი გამოიყოფა მხოლოდ სვანურსა და მეგრულში. აქედან, სვანურში ევიდენციალობის მორფოლოგიური გამოხატვა უფრო შორს წასულ და სრულყოფილ პროცესს წარმოადგენს, რადგან ევიდენციალობის მორფოლოგიური ნიშანი **-VC-/-C- – –ულ-, -გნ-, -ინ-, -ნ-** დასტურდება არა მხოლოდ სალიტერატურო ენისაგან განსხვავებულ არამოდალიზებულ (უნახაობის) იმპერფექტულ, არამედ მოდალიზებულ (ეპისტემიკურ) ზმნურ პარადიგმებსა და ქართულისებურ პერფექტულ ფორმებშიც. მეგრულში ევიდენციალობის კონფიქსი (**CV- – -V ნო- – -ე**) ქართულისგან განსხვავებულ მხოლოდ არამოდალიზებულ იმპერფექტულ მწკრივებში დასტურდება. ევიდენციალობის მორფოლოგიური მარკერის გაჩენა ადასტურებს, რომ ქართველური ენები მორფოლოგიურად მდიდარი სტრუქტურისაა. ამგვარი სწრაფვა წარმოაჩენს ამ ენებში ენობრივი ფაქტებისა და მოვლენების, კონკრეტულად კი ევიდენციალური ფორმების, გრამატიკულ კატეგორიად სისტემატიზაციასა და კლასიფიკაციას. ყოველივე ეს საფუძვლიანად ადასტურებს ამ ენათა მისწრაფებას ევიდენციალური შინაარსის გრამატიკულად გაფორმებისკენ და ამ კატეგორიის ავთენტურობას მოცემულ ენებში.

სვანურში ევიდენციალობის მორფემა არქაულია, მისი ფუნქციის დიფერენციაცია კი მწკრივთა მიხედვით მოგვიანებით უნდა მომხდარიყო; მნიშვნელობა, რომელსაც ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეს სუფიქსი ანიჭებს სხვადასხვა მწკრივს, არის **უნახაობა** – არამოდალიზებულ ევიდენციალურ მწკრივებში, ხოლო **საეჭვოობა-სავარაუდოობა** – მოდალიზებულ ევიდენციალურ ზმნურ ფორმებში.

მეგრულში ევიდენციალობის მორფემა გამოიყოფა სინქრონიულ დონეზე ორგანული წარმოების ევიდენციალურ იმპერფექტულ მწკრივებში, რომელთა ჩამოყალიბება უკავშირდება ანალიზურ ფორმათა სტრუქტურულ-სემანტიკურ ტრანსფორმაციას. ევიდენციალობის **ნო- – -ე** კონფიქსში **ნო-**, თავდაპირველი ფუნქციით, წარსული დროის მიმღეობის მაწარმოებელია და ევიდენციალურ ფორმებში **უნახაობის** სემანტიკას გამოხატავს; **-ე** ნაშთია „ყოფნა“ მეშველი ზმნისა (ორე(ნ) → ე /„არის“→„ა“), რომელსაც მთლიანად ფორმის მადინამიკურებელი ფუნქცია აქვს.

მოდალიზებული (ეპისტემიკური) ევიდენციალური მწკრივების ფორმაწარმოება და სემანტიკა განხილულია სვანურსა და მეგრულში[76]. არამოდალიზებულებისგან განსხვავებით, ისინი **საეჭვო-სავარაუდოობას, ალბათობას** გამოხატავენ. **სვანურში** ეპისტემიკურ-ევიდენციალური მწკრივი სულ ექვსია: ორი პერფექტული და დანარჩენი – არაპერფექტული, რომელთა საშუალებით გადმოიცემა ეპისტემიკური მნიშვნელობის ახლანდელი, მომავალი, წარსული დროის მოქმედებები. **მეგრულში**, მონოგრაფიის ფარგლებში, პირველად გამოიყო ახ-

76 ქართულში მოდალიზებული (ეპისტემიკური) მწკრივები არ დასტურდება. ლაზურის მოდალიზებული მწკრივები კი ამ ეტაპზე არ გაანალიზებულა, თუმცა ეს საერთო დასკვნებზე ვერ ახდენს გავლენას.

ლანდელი და წარსული დროის ორი ეპისტემიკურ-ევიდენციალური მწკრივი.

ევიდენციალობისა და ეპისტემიკის ურთიერთმიმართება სვანურისა და მეგრულის მიხედვით შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

ა. **არამოდალიზებული** (არაეპისტემიკური) ევიდენციალური ფორმებით გამოხატულ ინფერენციულ ინფორმაციასა და მთქმელს შორის დისტანცია გაცილებით მცირეა, ვიდრე ეპისტემიკური მოდალობის ფორმებით გადმოცემულ ინფორმაციასა და მთქმელს შორის;

ბ. **არამოდალიზებული** ევიდენციალური ფორმებით გადმოცემული ინფორმაციის შესახებ სანდოობას ან საეჭვოობას მთქმელი არ აფასებს;

გ. **მოდალიზებული** ევიდენციალური ფორმებით გადმოცემისას კი ინფორმაციის დადასტურებულობის, ასევე, მთქმელის დარწმუნებულობის დაბალი ხარისხი აისახება ამ ზმნათა სემანტიკაში.

სვანურისა და მეგრულის მონაცემების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ **ყველა ეპისტემიკური ზმნა ევიდენციალურია, მაგრამ ყველა ევიდენციალური ზმნა ეპისტემიკური არ არის.** სხვაგვარად: ეპისტემიკა მხოლოდ მოდალობაა, რომელიც მჭიდრო კავშირშია ევიდენციალობის კატეგორიასთან, მაგრამ არ არის ევიდენციალობისათვის სემანტიკურად სავალდებულო ფაქტორი.

გრამატიკული დრო ქართველურ ენათა ზმნურ ევიდენციალურ ფორმებში გადმოიცემა *აწმყო-წარსულის, წარსული-ნამყო წინარეწარსულის* კომბინაციებითა და სპეციფიკური მყოფადით,

რომელიც მეგრულში პოტენციალისის ნიუანსის მქონე **ნო- პრეფიქსიანი ზმნისწინიანი ფორმებით** გვხვდება.

ევიდენციალობის გამოხატვის სინტაქსური საშუალებები:

პირობით-შედეგობითი ჰიპოტაქსური კონსტრუქციის სემანტიკას განსაზღვრავს შედეგობითი წინადადება. თუ ინფერენციული ევიდენციალობის ფაქტორს გავითვალისწინებთ, მივიღებთ ორ ჯგუფს; მათგან, პირველი იქნება დამყარებული მთქმელის ფონურ ცოდნა-გამოცდილებაზე, ხოლო მეორე – რეალურ ფაქტებზე. პირველი ან ევიდენციალურია, ან ეპისტემიკური მოდალობისა, ხოლო მეორე – არც ევიდენციალური და არც ეპისტემიკური მოდალობისა. ქართველურ ენებში ერთგვარი ვითარებაა პირობით-შედეგობით ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში მთავარი და დამოკიდებული კომპონენტების აზრობრივ ურთიერთმიმართებათა კანონზომიერების მიხედვით.

რიტორიკულ სემანტიკას გამოხატავენ ცალკეული კონსტრუქციები, რომლებიც ინფორმაციის ინფერენციულ წყაროს ემყარებიან. რიტორიკულ შეკითხვას ახლავს დაეჭვების ელფერი და სპეციფიკური **ინტონაციით** გადმოიცემა. სწორედ ეს გამოარჩევს რიტორიკულ წინადადებას ჩვეულებრივი კითხვითი წინადადებისაგან. რიტორიკული შეკითხვა ევიდენციალურია თუ არა, მეტ-ნაკლებად მაინც არის კონტექსტზე დამოკიდებული, თუმცა, ამ ტიპის წინადადებათა სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ, ძირითადად, მისი მთავარი სემანტიკური მახასიათებელი ინფერენციული ევიდენციალობაა.

სხვათა სიტყვა ევიდენციალობის გამოხატვის ერთ-ერთი გრამატიკული საშუალებაა, რომელიც ქართველურ ენებში მარკირებულია სამივე პირში. *სხვათა სიტყვის* შემცველი მეტყველების აქტის შეფასება *მთქმელის, ინფორმაციის მიმღები-განმმეორებელი-გადამცემის, ინფორმაციის მიმღების* მიხედვით აფართოებს ევიდენციალობის კვლევის არეალს, რადგან,

ტრადიციულად მიღებული **მთქმელის** პოზიციის გარდა, გათვალისწინებულია **მსმენელისა** და **შუამავლის** პოზიციაც. ნათქვამის ევიდენციალობა ირკვევა იმის მიხედვით, თუ ვის მიემართება ნათქვამი და ინფორმაციის რა წყაროს ეყრდნობა იგი. ამის შედეგად:

I პირისგან გადმოცემული ინფორმაცია -მეთქი ნაწილაკით:

ა. თავად **I პირისთვის არაევიდენციალურია;**

ბ. **II და III პირებისთვის,** ორსავე რიცხვში, **ევიდენციალურია.**

I პირისგან გადმოცემული ინფორმაცია -თქო ნაწილაკით:

ა. **II პირისთვის,** ორსავე რიცხვში, **ევიდენციალურია;**

ბ. **III პირისთვის,** ორსავე რიცხვში, **ევიდენციალურია.**

I პირისგან III პირის ნათქვამის გადმოცემა -ო ნაწილაკით:

ა. **I და II პირებისთვის,** ორსავე რიცხვში, **ევიდენციალურია;**

ბ. **ყველა პირისთვის,** განზოგადებულად, **ევიდენციალურია.**

სხვათა სიტყვიანი მეტყველების აქტის ამგვარი შეფასება ვრცელდება ოთხივე ქართველურ ენაზე, თუმცა, კონსტრუქციის აგებისა და სპეციალური ნაწილაკების განაწილების თვალსაზრისით, ქართველურ ენებში ყოველთვის ერთნაირი ვითარება არ არის; კერძოდ, **ევიდენციალურ პირდაპირ ნათქვამში** კონსტრუქცია ყოველთვის **პირველი პირისეულია** (ნათქვამი უცვლელადაა წარმოდგენილი ავტორის მიერ) **ქართულში, მეგრულსა და ლაზურში,** ხოლო **სვანურში** ეს მოვლენა უნიფიცირებულია და კონსტრუქცია ყოველთვის **მესამეპირისეულია,** რაც პირდაპირი ნათქვამის აგებულებას აახლოებს ირიბ ნათქვამთან.

ირიბი ნათქვამით გადმოცემულ კონსტრუქციაში ინფორმაციის უშუალო მფლობელი (წყარო) მთქმელისთვის III პირია და კონსტრუქციაც შესაბამისია – **მესამეპირისეულია ყველა ქართველურ ენაში,** თუმცა III პირის გამოხატვის სემანტიკური ვარიაციის მიხედვით **ქართული** და **სხვა ქართველური ენები განსხვავდებიან** ერთმანეთისგან:

ა. **ქართულ ენაში** III პირი გაუდიფერენცირებელია და არ არის გამოხატული მისი აქტიურობა-ინაქტიურობა;

ბ. **სვანურში, მეგრულსა** და **ლაზურში** III პირის აღნიშვნა დიფერენცირებულია მისი აქტიურობა-ინაქტიურობის მიხედვით. რაკი მთქმელი დაინტერესებულია, რომ ირიბ ნათქვამში მოქმედი წარმოაჩინოს, ეს ენები – ირჩევენ უკუქცევითობის სემანტიკის III პირის ნაცვალსახელს. ამით **ესენი ემსგავსებიან ერთმანეთს** და **განსხვავდებიან სალიტერატურო ქართულისაგან**.

რაც შეეხება ჰიპოტაქსური სტრუქტურის ირიბ ნათქვამს, **სვანურში, მეგრულსა** და **ლაზურში** ერთნაირი ვითარებაა: მაქვემდებარებელ კავშირთან ერთად ცალკეულ შემთხვევებში მოცემულია „სხვათა სიტყვის" ნაწილაკი, რაც **პირდაპირ** და **ირიბ ნათქვამებს შორის შუალედური,** ანუ **გარდამავალი საფეხურის მაჩვენებელია**. ასეთ შემთხვევებს, შესაძლებელია, *სხვათა სიტყვის* შერეული ტიპიც ეწოდოს. **ქართულ სალიტერატურო ენაში** სინქრონიულ დონეზე ირიბი ნათქვამი ჩვეულებრივი ჰიპოტაქსური კონსტრუქციით გადმოიცემა, „სხვათა სიტყვის" ნაწილაკების გარეშე.

სვანურში ვერბალური ინფორმაცია გარკვეულ მწკრივებთან გამოიხატება -უ/-უღუ (-მცა) ნაწილაკიანი კონსტრუქციითაც, რაც ასევე არქაული მოვლენა უნდა იყოს: სალი-

ტერატურო ენაში -მცა ნაწილაკიანი ზმნური ფორმები აღარ გამოიყენება, ამდენად, კონსტრუქციაც შესაბამისი სახით აღარ არსებობს. სვანურში კი ქართული -მცა-ს შესატყვისი ნაწილაკი -უ /-ოღუ (რომლის არქაულობას იდიომატიკაც ადასტურებს) და მისი ალომორფები მეტად აქტიურნი არიან და კონსტრუქცია მათი მონაწილეობით უკვე გულისხმობს ინფორმაციის ირიბ („სხვა“) წყაროს. შესაბამისად, ასეთი კონსტრუქციები *სხვათა სიტყვის* სპეციალური ნაწილაკების გარეშეც მხოლოდ ირიბევიდენციალურ სემანტიკას გადმოსცემენ.

ევიდენციალობის გამოხატვის ლექსიკური საშუალებები და თარგმანთან დაკავშირებული საკითხები:

ქართულ სალიტერატურო ენაში უნახავ მოქმედებას ორი მწკრივი გადმოსცემს, ხოლო არასალიტერატურო ქართველურ ენებში ამგვარ მწკრივთა რაოდენობა გაცილებით მეტია. მონათესავე ენობრივ სისტემებს შორის სხვაობა კარგად ჩანს ზმნურ ფორმათა სალიტერატურო ენაზე გადატანისას. **სვანური, მეგრული** და **ლაზური** არამოდალიზებული ევიდენციალური იმპერფექტული მწკრივები ქართულად საუღლებელი ზმნის **უწყვეტლის ფორმითა** და **„თურმე“** ნაწილაკის საშუალებით გადმოიცემა.

მოდალიზებული ევიდენციალური (ეპისტემიკური) მნიშვნელობები ოთხივე ქართველურ ენაში **ლექსიკური საშუალებით**, ანუ აღწერითად გადმოიცემა, ხოლო არასალიტერატურო ქართველურ ენებში (სვანური, მეგრული, ლაზური) დამატებით დასტურდება ამ სემანტიკის ორგანული წარმოების ზმნური ფორმები, რომლებიც სალიტერატურო ქართულზე გადმოტანისას ცალკეულ მწკრივებთან ერთად იყენებენ სათანადო მოდალურ ლექსემებს.

ზმნური ფორმის *ევიდენციალური პერფექტი* რთული დროა, რომლითაც გამოიხატება არაერთი სემანტიკური კატეგორია. გრამატიკული და სემანტიკური შესაძლებლობების გამო, ის ერთგვარი „საერთო ბაზაა" არაერთი სემისა თუ კატეგორიისათვის, როგორებიცაა: **ევიდენციალობა, ადმირატივი, ექსპერიენცია**; არამონათესავე ენებზე მისი თარგმნა არა მხოლოდ ვრცელი კონტექსტის გათვალისწინებას, არამედ მორგებული მოდალური ლექსემებისა თუ სხვა დამხმარე საშუალებების გამოყენებას მოითხოვს.

Summary

This part embraces papers presented by the authors of the book at local and international conferences as well as other materials reflecting important arguments discussed in the present work. The papers presented here have been jointly reworked by the authors for the purpose of the monograph.

1. The Category of Evidentiality in the Kartvelian Languages: Problems, Research History, Perspectives[77]

Abstract

The given paper focuses on the problems related to the category of evidentiality in the Kartvelian languages, research history and future perspectives. The analysis of any linguistic category, above all, implies the study of its origin, especially if the category under analysis is universal. Scholars argue whether the category of evidentiality has been borrowed by the Kartvelian languages or it is the expression of the inner potential of these languages. As the verb plays a key role in the expression of evidentiality, the paper analyzes the morphological means of expression of evidentiality in the Kartvelian languages:

77 This research has been presented as a paper at the international conference: *"Historical Linguistics of the Caucasus", Paris, April 14, 2017* http://immocal.ifeaistanbul.net/paris2017conf/ It was also published in the international electronic journal INTERNATIONAL JOURNAL OF MULTILINGUAL EDUCATION, № 9, 2017 pp. 12-22: http://www.multilingualeducation.org/en/article/33

In the given book, we offer a slightly altered version of this paper.

perfect tenses characteristic of all Kartvelian languages, imperfect tenses existing in non-written Kartvelian languages (Svan, Megrelian and Laz), specific perfect tenses of the Svan language. Based on Svan and Megrelian material, markers of evidentiality have been identified. The research has yielded a preliminary conclusion on the authenticity of the category of evidentiality in the Kartvelian languages.

Key words: Evidentiality, Tense, Perfect, Imperfect, Kartvelian

I. Introduction

The research focuses on the category of evidentiality in Kartvelian (South Caucasian) languages – Georgian, Megrelian, Laz and Svan. Out of these languages only Georgian has an alphabetic writing system and a literary tradition of sixteen centuries. Megrelian, Svan and Laz languages are linguistically independent language systems, however, according to their social function, they are equal to dialects. The literary Georgian language embraces old and modern Georgian and has its dialects both in Georgia and outside its borders. In order to achieve reliable results, the above-mentioned facts should be envisaged when dealing with a research of Kartvelian languages.

The given paper has been prepared within the project "The Category of Evidentiality in the Kartvelian Languages" (№ 217300) financed by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. The research focuses on **problematic issues and novelties related to evidentiality, it analyzes the history of research regarding the topic, imeplement the analysis of the linguistic means used to express the category of evidentiality and outlines future perspectives.**

The category of evidentiality expresses the subjective attitude of the speaker to the context, i.e. whether the information is directly perceived by the speaker (or is equal to direct perception) and is therefore ideally reliable, or, whether the information has been obtained from some other source and, therefore, is far from "ideal knowledge" (DeLancey 1979). The interest towards evidentliality is also due to the fact that this category is found in languages of different structures; Among them are Kartvelian languages: Georgian, Megrelian, Laz, Svan. See Aikhenvald 2004. It should be mentioned that the linguistic means used to express evidentiality may be diverse in non-related as well as related languages.

II. Research History and Topic

Evidentiality is a universal category expressed by morphological, syntactic and lexical means. According to

E. Kordi's classification, markers of evidentiality in languages of different types are as follows:

1. Specific grammatical forms for which these meanings are unique or essential;
2. Polysemantic grammatical forms used in their secondary meanings;
3. Lexical means in certain syntactic constructions (Kordi 2007:256).

All the three above-mentioned markers of evidentiality are used in the Kartvelian languages.

Research of evidentiality on the material of the Kartvelian languages, based on corresponding methodology, was launched at the end of the 20th century by Georgian and foreign authors; research outcomes have been published in articles and monographs (Boeder 2000; Sumbatova 2007; Topadze Gäumann 2011; Margiani-Subari 2012). However, it should be mentioned that much earlier than the above-mentioned period Georgian scholars (A. Shanidze, Arn. Chikobava, V. Topuria, G. Rogava, Z. Chumburidze, I. Kobalava, G. Kartozia, Z. Sarjveladze, I. Chantladze, D. Pkhakadze and others) wrote articles and monographs focusing on issues directly linked to the grammatical expression of evidentiality, namely:

- *The formation of tenses related to the unseen (=unseen actions/states);*
- *Constructions with indirect speech particles and conditional clauses.*

Note: *the list of works of the above-mentioned scholars is provided in the references.*

Analysis of any linguistic category, above all, aims at identifying the **origin** of this category, especially when the category under analysis is universal. Scholars have diverse opinions regarding the **origin** of evidentiality in the Kartvelian languages: some think that evidentiality is a phenomenon specific for the Kartvelian languages, while others regard that evidentiality appeared in the Kartvelian languages as a result of the influence of the Turkish language. **In order to study the history properly and, above all, to solve the given problem, it is necessary to undertake a complex study of the category of evidentiality in the Kartvelian languages**. This will help understand whether the category of evidentiality in the Kartvelian languages is an expression of the inner potential of these languages or is a result of the external influence.

III. Morphological Expression of Evidentiality in the Kartvelian Languages

"Evidentiality, in a broad sense, is a textual category, whereas **evidentiality of the verb** is just one of the means, albeit central, of expression" (Nicolova 2007:122). The verb is the very language unit in non-written Kartvelian languages (Svan, Megrelian and Laz), for which evi-

dential meaning is unique and essential (i.e. non-written languages, unlike the literary one, have different evidential tenses).

Evidential Perfect

According to the traditional opinion, **on the contemporary stage of language development, the perfect tense is one of the main means of expressing the evidentiality of the verb.**

Both in literary and non-written Kartvelian languages there are evidential perfect tenses: **Evidential I and Evidential II.**

The above-mentioned tenses fulfill the same function in old Georgian texts. On the synchronic level, their chief meaning is evidentiality, whereas their initial function – resultative – is, in fact, overshadowed. Georgian does not have a special morpheme to denote the category under analysis.

In this regard, mention should be made of the following:

On the synchronic level the evidentiality of the above-mentioned tenses is undoubted, however, opinions vary regarding the function of these tenses in Old Georgian, namely, whether they expressed evidentiality at least to a certain extent. A. Shanidze, Z. Sarjveladze and G. Ninua give a positive answer to the above question: "In Old Georgian the verb was capable of expressing the meaning of unseen action. However, this capacity of the verb was more developed in Middle and Modern Georgian" (Sarjveladze, Ninua 1985:85).

The above-mentioned opinion is shared by M. Beridze (2009) and M. Topadze Gäumann (2011). We argue that the meaning of unseen action existed in the Old Georgian verb. For instance:

(1) „...შენი ადგილი *დაგიტევებიეს* და სხუად *წარსრულ ხარ*"
šeni adgili *dagiṭevebies* da sxuad çarsrul xar[78]
'As it turned out, you have left your place and gone somewhere else'
("The Martyrdom of Shushanik", Old Georgian Hagiographic Literature 1963:15; (Tthis example is also provided in the work of Z. Sarjveladze and G. Ninua);

(2) „და რამეთუ *მოეძღუანა* წმიდასა მას ეპისკოპოსსა საზრდელი..."
da rametu *moeʒɣuana* çmidasa mas episkʰopossa sazrdeli ...
'As it turned out, the Bishop had provided food for her'...
(ibid, 23);

(3) „...მამა გრიგოლს აქეთ *წამოუყვანებია*"
mama grigols aket *çamouqvanebia*
'Father Gregory seems to have brought her here'
("The Life of Gregory of Khandzta", ibid, 297).

78 For transliteration there is used TITUS Bitstream Unicode http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/framee.htm?%2Findex.htm

IV. The Way of Formation of Perfect Tense Verb Forms

It is important to analyze the means of formation of perfect tense verb forms. In this way we can evidently see how language aspires to the natural development of the semantics of **unseen actions**. A quote of A. Arabuli proves the above opinion: In Georgian "the main function of Evidential I is to show result. However, it gradually developed the function (co-function) of evidentiality, unseen action or state". The scholar underlines that "the development of the model of unseen action or state on the basis of perfect verb forms can be witnessed in languages of various groups, therefore, it can be considered as universal and logical" (Arabuli 1984: 139-149).

Perfect tense verb forms are obtained from the reinterpretation and inversion of ancient forms – stative verbs:

Georgian:

(4) Stat. Present: *უწერია uçeria* –'it is written for him/her';

(5) Evidential I: *უწერია uçeria* –'it has turned out that he/she has written it';

(6) Stat. Aorist: *ეწერა eçera* –'it was written for him/her';

(7) Evidential II: *ეწერა eçera* –'it turned out that he/she had written it'.

Perfect forms have been developed similarly
in the **Svan** language:

(8) Stat. Presernt: *ხოირა xoira* – 'it is written for him/her';

(9) Evidential I: *ხოირა xoira* – 'it has turned out that he/she has written it';

(10) Stat. Aorist: *ხოირან xoiran* – 'it was written for him/her';

(11) Evidential II: *ხოირან xoiran* – 'it turned out that he/she had written it'.

The same is true for **Megrelian,**
except of the Evidential II:

(12) Stat. Present: *უჭარუ(ნ) uč̣aru(n)* –'it is written for him/her';

(13) Evidential I: *უჭარუ(ნ) uč̣aru(n)* –'it has turned out that he/she has written it';

(14) Evidential I: *უჭარუ(ნ) uč̣aru(n)* – 'it has turned out that he/she has written' it →

(15) Evidential II: *უჭარუ-დ-უ uč̣aru-d-u* –'It turned out that he/she had written' it.

The same is true also for **Laz** except
of the Evidential II:

(16) Stat. Present: *უჭა(რ)უნ uč̣a(r)un* –'it is written for him/her';

(17) Evidential I: *უჭა(რ)უნ uča(r)un* – 'it has turned out that he/she has written' it;

(18) Evidential I: *უჭა(რ)უნ uča(r)un* – 'it has turned out that he/she has written' it →

(19) Evidential II: *უჭა(რ)უ-ტ-უ uča(r)u-t-u* –'It turned out that he/she had written' it.

V. Extra Evidential Perfect Tenses in Svan

The Svan language, being a non-written language, is both archaic and innovative. This can be proved by the existence of evidential perfect tenses that are not found in other Kartvelian languages, these tenses are: **Conditional-Resultative I** and **Conditional-Resultative II**; the origin of these tenses is similar to that of evidential perfect verbs in other Kartvelian languages. These forms are interpreted and inverted forms of continuous future and continuous conditional forms of stative verbs:

(20) Stative passive: *ხეირი xeiri* 'it will be written for him/her' > dynamic active: *ხეირი xeiri* 'he/she has probably written it' (cf: *ხოირა xoira* 'it has turned out that he/she has written it');

(21) Stative passive: *ხეიროლ xeirol* 'it would be written for him/her' > dynamic active: *ხეიროლ xeirol* 'he/she had probably written it' (cf. *ხოირან xoiran* 'it turned out that he/she had written it').

VI. Evidential Imperfect

It is widely known, and it has also been proved by the material analyzed in this paper, that perfect tenses traditionally develop the semantics of unseen actions. It should also be noted that in non-written Kartvelian languages the neutral imperfect forms have developed opposite evidential forms, namely,

In the Svan language

There are evidential tenses with present tense stems, termed Evidential I and Evidential II (Topuria 1967:130) (these are not perfect Evidential I and Evidential II characteristic of the Kartvelian languages; simply, the homonymous terms existing in the scholarly literature need to be specified. The activities within the project are also aimed at the specification of terms):

Evidential I is formed by adding suffixes *-უნ/-un* and *-ა/-a* to the present superessive version form of the verb. However, in certain contexts, they may also bear the semantics of objective version:

(22) Evidential I: *ხ-ურ-უნ-ა x-ă-ir-un-a*
IndO3-SPRS-to write-EVD-PM
'it turned out that he/she was writing above something / it turned out that he/she was writing it for him/her';

In the Svan language, grammaticalization of evidential forms is most obvious as compared to other Kartvelian languages. This can be proved by the existence of a special marker of evidentiality in the verb form (Margiani-Subari 2012:47-48).

In the first and second person, Evidential II is formed by means of an auxiliary verb, whereas in the third person the auxiliary verb may be omitted:

(23) *ლე+მ+იარ-უნ lə+m+ijr-un*
to write-EVD
'it turned out that he/she had been writing to him/her'.

Despite the difference in the structure of the tenses under analysis, they have a common present stem.

In Megrelian

There are two groups of present-stem tenses opposed by seen and unseen actions (Rogava 1953:30; Kobalava 2001:133-134):

(24) Present: *ჭარუნს čarunʂ* 'he/she is writing' – Evidential III *ნოჭარუე(ნ) nočarue(n)* 'it has turned out that he/she is writing it';

ჭარ-უნ-ს ჭar-un-s – ნო-ჭარუ-ე-(ნ) no-ჭaru-e-(n)
to write-THM-PRS.S3.SG – EVD>-to write-<EVD-(PRS.S3.SG)

(25) Imperfect: *ჭარუნდუ ჭarundu* 'he/she was writing' – Evidential IV *ნოჭარუედუ noჭaruedu* 'it turned out that he/she had been writing it'
ჭარ-უნ-დ-უ ჭar-un-d-u – ნო-ჭარუ-ე-დ-უ no-ჭaru-e-d-u
to write-THM-EM-IMPF.S3.SG – EVD>-to write-<EVD-EM-IMPF.S3.SG

We argue that in the above-mentioned forms denoting unseen actions/states *ნო- / no- – -ე / -e* should be considered as markers of evidentiality.

In Laz

There are non-inversive evidential tenses, the formation of which varies throughout dialects (Kartozia 2005:102-103). For instance,
Past Continuous Evidential

In Vitsean-Arkabian and Atinian-Artashenian dialects:
(26) *ჭარუპტუ-დორენ ჭarupṭu-doren* 'it turned out that he/she had been writing';
ჭარ-უპ-ტ-უ-დორენ ჭar-up-ṭ-u-doren
to write-THM-EM-IMPF.S3.SG-CLTC

Khofian dialect:

(27) *ჭარუპტ-ერენ čarupṭ-eren* 'it turned out that he/she had been writing'
ჭარ-უპ-ტ-Ø-ერენ čar-up-ṭ-Ø-eren
to write-THM-EM-IMPF.S3.SG-CLTC

VII. Preliminary results and Conclusions

1. Like the majority of languages, in the Kartvelian languages **there are evidential perfect forms.** Non-written Kartvelian languages have developed other forms as well, namely, **Evidential forms of imperfect verbs**;
2. In the Svan language all evidential verbs (apart from the forms that have originated from stative verbs, which, naturally, retained the model of stative verbs!) are marked by suffix *-უნ /-ი-*. And in Megrelian, *ნ- – -უ / ი- – -ე* circumfix also seems to be the marker of evidentiality in tenses denoting unseen actions/states. The existence of a special morpheme that denotes certain grammatical category proves that the category is authentic for the given language.

Thus, based on the preliminary data and conclusions, we argue that the category under analysis may be organic and authentic for the Kartvelian languages.

References:

Aikhenvald 2004 – Aikhenvald A. Y. Evidentiality. Oxford: Oxford University Press, 2004.

Arabuli 1984 – Arabuli A. Formation and Meaning of the Third Series in Old Georgian, Publishing house "Mecniereba", Tbilisi, 1984 (in Georgian).

Beridze 2009 – Beridze M. *Towards some questions of expressing perfectiveness in Georgian,* "Kartvelological Library", 11, Guram Kartozia-75, Publishing house "Sezani", Tbilisi, 2009, pp. 93-104 (in Georgian).

Boeder 2000 – Boeder W. *Evidentiality in Georgian.*– L. Johanson & B. Utas. Evidentials: Turkic, Iranian and Neighbouring Languages. Empirical Approaches to Language Typology. 24. Mouton de Gruyter, Berlin / New York, 2000, pp. 275-328.

Chantladze 1998 – Chantladze I. Kartvelological Papers, Publishing house "Kartuli ena", Tbilisi, 1998 (in Georgian).

Chikobava 1962 – Chikobava Arn. *On the Principle of Grouping the Tenses of the Georgian Verb,* Iberian-Caucasian Linguistics. Volume XIII, Publishing house of the

Academy of the Georgian SSR, Tbilisi, 1962, pp. 93-108 (in Georgian).

Chumburidze 1968 – Chumburidze Z. Future in the Kartvelian Languages, Publishing house of Tbilisi State University, Tbilisi, 1986 (in Georgian).

DeLancey 1997 – DeLancey S. *Mirativity: the grammatical marking of unexpected information.* Linguistic Typology 1 (1), 1997, pp. 33-52

Kartozia 2005 – Kartozia G.The Laz Language and its Place in the System of Kartvelian Languages, Tbilisi, Publishing house "Nekeri", 2005 (in Georgian).

Kobalava 2001 – Kobalava I. *Subjunctive Mood in Megrelian,* ISSUES OF LINGUISTIC, 4, Publishing house of Tbilisi State University, Tbilisi, 2001, pp. 111-143 (in Georgian).

Kordi 2007 – Корди Е. *Категория эвиденциальности во французском языке,* Эвиденциальность в языках Европы и Азии, Издательство "Наука", Санкт-Петербург, 2007, с. 253-291.

Margiani-Subari 2012 – Margiani-Subari K. Category of Evidentiality in Svan, Publishing house "Global printi+", Tbilisi, 2012 (in Georgian).

Nicolova 2007 – Ницолова Р. *Модализованная эвиденциальная система болгарского языка, Эвиденциальность в языках Европы и Азии,* Издательство "Наука", Санкт-Петербург, 2007, с. 107-196.

Old Georgian Hagiographic Literature 1963 – Old Georgian Hagiographic Literature, Book I (V-X Centuries), Edited by I. Abuladze, Publishing house of the Academy of the Georgian Soviet Socialist Republic, Tbilisi, 1963 (in Georgian).

Pkhakadze 1984 – Pkhakadze D. The Functions of Resultative I in Georgian, Publishing house of Tbilisi State University, Tbilisi, 1984 (in Georgian).

Rogava 1953 – Rogava G. *Tense and Mood in the Fourth Series Verb-Forms in the Kartvelian Languages,* Iberian-Caucasian Linguistics.Volume V, Publishing house of the Academy of the Georgian Soviet Socialist Republic, Tbilisi, 1953, pp. 17-32 (in Georgian).

Sarjveladze, Ninua 1985 – Sarjveladze Z., Ninua G. *The Expression of Unseen Actions in Old Georgian Literary Monuments,* "Macne", Series of Language and Literature,

№1, Publishing house "Mecniereba", Tbilisi, 1985, pp. 79-85 (in Georgian).

Shanidze 1980 – Shanidze A. The Basics of the Grammar of the Georgian Language, collected works in 12 volumes, volume № III, Tbilisi University Press, 1980 (in Georgian).

Sumbatova 2007 – Сумбатова Н. *Категория эвиденциальности в сванском языке,* Эвиденциальность в языках Европы и Азии, Издательство "Наука", Санкт-Петербург, 2007, с. 316-350.

Topadze Gäuman 2011 – Topadze Gäuman M. *The Expression of evidentiality between lexicon and grammar, A case study from Georgian,* Linguistic Discovery 9, 2, Dartmouth, 2011.

ემპირიული მასალა:
ძველი ქართული ენა
ახალი ქართული ენა
სვანური ენა
მეგრული ენა
ლაზური ენა

ძველი ქართული ენა[97]

V-X საუკუნეების ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიული ძეგლებიდან:

დანართი № 1

ვერბალური ევიდენციალობა უნანილაკო პირდაპირი ნათქვამი ავტორის სიტყვასთან ერთად

(1) „ხოლო მე აღვდეგ და მივედ და ვარქუ მცველსა მას: „მე ხოლო მარტოჲ შემიტევე და ვიხილო წყლულებაჲ იგი მისი". ხოლო მან მრქუა მე: „*ნუუკუე* ცნას და მომკლას მე" („მარტკლობაჲ შუშანიკისი" , აგიოგრ. ძეგლ., I, 18).

(2) „ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა მას: „*თუ* შენ სხუად სახედ ყრმებრ არარაჲ ჰქმენ, ღმერთმან მოგიტევნეს შენ" („მარტკლობაჲ შუშანიკისი", აგიოგრ. ძეგლ., I, 26).

(3) „ჰრქუა მას ნეტარმან ჰაბო: „*უკუეთუმცა* უმეცრებასა და უგუნურებასა შინა ვიყავ, არამცა ღირს ვიქმენ შემდგომად ქრისტჱსა!" („მარტკლობაჲ ჰაბო ტფილელისაჲ", აგიოგრ. ძეგლ., I, 70).

---

97 ძველი ქართული ენის დანართები შეადგინა გრანტის ძირითადმა წევრმა, ახალგაზრდა მკვლევარმა მაია მადუაშვილმა.

(4) „და მეშინის მე შენთჳს, ***ნუუკუე*** კუალად განგდრიკონ შენ სარწმუნოებისაგან ქრისტჱსისა ნეფსით, გინა უნებლებით, და ესოდენი შრომაჲ შენი წასწყმიდო“ („მარტჳლობაჲ ჰაბო ტფილელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 61).

(5) „და მე ვარქუ წმიდასა შუშანიკს: მიბრძანე და მოგბანო სისხლი ესე პირსა შენსა და ნაცარი, რომელი თუალთა შენთა შთაცუეულ არს და სალბუნი და წამალი დაგდვა, რაჲთა, ***ჰეა*** ღამე-***თუ***-განიკურნო!“ („მარტჳლობაჲ შუშანიკისი“, აგიოგრ. ძეგლ., I, 18).

(6) „და მოჰგუარეს მას საჴედარი და წარვიდა, და ეტყოდა და ჰრქუა მათ: „არა ***თურე*** ღირს ვიყავ ლოცვასა თქუენსა“ და წარვიდა მწუხარე“ („ცხორებაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ “, აგიოგრ. ძეგლ., I, 327).

(7) „რამეთუ მასმიეს მე **პავლჱს მოციქულისაგან**: არა დამონებულ არს ძმაჲ გინა დაჲ, არამედ განეყენენ“ („მარტჳლობაჲ შუშანიკისი“, აგიოგრ. ძეგლ., I, 14).

(8) „კაც ეწოდა, რამეთუ ***თქუა წინაწარმეტყუელმან***: „კაცი არს და ვინ იცნას იგი“ („მარტჳლობაჲ ჰაბო ტფილელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 54).

(9) „ვითარცა ***წამებს უფალი და იტყჳს***: „მოვიდოდიან აღმოსავალით და დასავალით და ინაჴიდგმიდენ წიაღთა აბრაჰამისთა, ისაკისთა და იაკობისთა“ („მარტჳლობაჲ ჰაბო ტფილელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 55).

(10) „რამეთუ ევსენა მას ***სიტყუაჲ იგი ღმრთისაჲ***, რომელსა ***იტყჳს***: „ნეტარ იყვნეთ თქუენ, რაჟამს გდევნიდენ და გყუედრიდენ, და თქუან ყოველი სიტყუაჲ ბოროტი თქუენდა მომართ სიცრუვით ჩემთჳს“ („მარტჳლობაჲ კოსტანტი-კახისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 167).

(11) „ვითარცა ***თქუა იერემია წინაწარმეტყუელმან*** გოდებათა შინა მისთა: „სიტყჳთა გმობისაჲთა შეაწუხეს სული წმიდაჲ და საქმითა ბილწებისაჲთა გარდარეულად განარისხეს შემოქმედი თჳსი, რომლისათჳს მსგავსად უსჯულოებისა მათისა მოიწია რისხვაჲ ღმრთისაჲ დადგრომად“ („მარტჳლობაჲ გობრონისი“, აგიოგრ. ძეგლ., I, 174).

(12) „და ***ესაია იტყჳს***: „ვინ ცნა გონებაჲ უფლისაჲ, ანუ ვინ თანამზრახველ ეყო მას“ („მარტჳლობაჲ გობრონისი“, აგიოგრ. ძეგლ., I, 178).

(13) „ხოლო მან მოიწჳსენა ***სიტყუაჲ იგი სახარებისაჲ,*** რომელი ***თქუა*** უფალმან ჩუენმან ***იესუ ქრისტემან***: „რომელმან არა დაუტევოს მამაჲ თჳსი, და დედაჲ თჳსი, დანი და ძმანი, ცოლი და შვილნი, და არა აღიღოს ჯუარი თჳსი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირსი“ („მარტჳლობაჲ ყრმათა კოლაელთაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 184).

(14) „მაშინ აღესრულა ***სიტყუაჲ იგი სახარებისაჲ***: „მისცეს ძმამან ძმაჲ სიკუდიდ და მამამან შვილი; და აღდგენ მამა-დედანი შვილთა მათთა ზედა და მოჰკლვიდენ მათ“ („მარტჳლობაჲ ყრმათა კოლაელთაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 185).

(15) „ვითარცა ***იტყჳს იაკობ მოციქული***: „უკუეთუ ვინმე ნაკლულევან არს თქუენგანი სიბრძნითა, ითხოვენ, და მოსცეს მას ღმერთმან ნიჭთა განმყოფელმან“ („ცხორებაჲ იოანე ზედაზნელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 193).

(16) „ვითარცა ***მოციქული იტყჳს:*** „ჴორცთა გული უთქუამს სულისათჳს, და სულსა – ჴორცთათჳს, და მჴდომ არიან ურთიერთას“ („ცხორებაჲ იოანე ზედაზნელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 204-205).

(17) „ვითარცა ***იტყჳს პავლე მოციქული***: „ერჩდით წინამძღუართა თქუენთა, რამეთუ იგინი იღჳძებენ სულთა თქუენ-

თათჳს“ („ცხორებაჲ შიოჲსი და ევაგრესი“, აგიოგრ. ძეგლ., I, 224-225).

(18) „აჰა მოიწია ჟამი ***წინაწარმეტყუელისა დავითის თქუმულისაჲ,*** რომელსა ***იტყჳს:*** „ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა, არამედ უბრალოჲ ჴელითა და წმიდაჲ გულითა“ („ცხორებაჲ გრიგოლ ხანცთელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 250).

(19) „ვითარცა ***თქუა სოლომონ:*** „ნათელი მართალთა ზედა მარადის“ („ცხორებაჲ გრიგოლ ხანცთელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 317).

(20) „და კუალად ***მოციქული იტყჳს:*** „იესუ ქრისტე, გუშინ და დღეს და იგი თავადი უკუნისამდე“ („ცხორებაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 320).

(21) „რამეთუ ***სიტყუაჲ წინაწარმეტყუელისაჲ*** სრულ იქმნა, რომელი ***იტყჳს***: „უფალმან მიაგოს უსჯულოებაჲ მათი“ („ცხორებაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 337).

დანართი №2

უნაწილაკო პირდაპირი ნათქვამი ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში

მოცემულ შემთხვევაშიც გვაქვს მინიშნება ნათქვამის წყაროზე. რაც შეეხება ნათქვამის ტიპს, ახალი ქართულისაგან განსხვავებით, კავშირის გამოყენება არ ცვლის კონსტრუქციას (სხვათა სიტყვა უცვლელადაა გადმოცემული). შესაბამისად, ვფიქრობთ, აქ საქმე გვაქვს პირდაპირ ნათქვამთან ირიბის ელემენტებით, უფრო ზუსტად კი, უნაწილაკო, კავშირიან პირდაპირ ნათქვამთან:

(1) „ვითარცა ***თქუა წმიდამან მოციქულმან პავლე***, მოძღუარმან ეკლესიათამან, *ვითარმედ*: „ტაძარნი ხართ ღმრთისანი და სული წმიდაჲ დამკჳდრებულ არს თქუენ შორის“ („მარტჳლობაჲ ჰაბო ტფილელისა“, აგიოგრ. ძეგლ., I, 49).

(2) „და აღასრულა ***სიტყუაჲ იგი წინაწარმეტყუელისა მიერ თქუმული, ვითარმედ:*** „იწყლა იგი ცოდვათა ჩუენთათჳს და წყლულებითა მისითა ჩუენ განვიკურნენით“ („მარტჳლობაჲ ჰაბო ტფილელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 53).

(3) „რამეთუ ესმინა ***მცნებაჲ იგი პავლჱსი მოციქულისა***, რომელი მიწერა კორინთელთა მიმართ, ***ვითარმედ:*** „ნამეტნავი ეგე თქუენი იყავნ ნაკლულევანთა მათთჳს, რომელნი არიან იერუსალჱმს, რაჲთა მათიცა იგი ნამეტნავი იყოს თქუენისა მის ნაკლულევანებისათჳს“ („მარტჳლობაჲ კოსტანტი-კახისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 166).

(4) „რამეთუ ესმინა ***სიტყუაჲ იგი მჴსნელისა და მაცხოვრისაჲ, ვითარმედ:*** „ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშჳდ ვარ და მდაბალ“ („მარტჳლობაჲ კოსტანტი-კახისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 166).

(5) „და არცა გულისჴმა-ყო ***წინაჲსწარმეტყუელისა დავითის თქუმული*** იგი, ***ვითარმედ***: „სიტყჳთა უფლისაჲთა ცანი დაემტკიცნეს, და სულითა პირისა მისისაჲთა ყოველი ძალი მათი“ („ცხორებაჲ იოანე ზედაზნელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 196).

(6) „რამეთუ **პავლე იტყჳს, ვითარმედ**: „მრავლითა ჭირითა გჳღირს შესლვად სასუფეველსა ცათასა“ („ცხორებაჲ შიოჲსი და ევაგრესი“, აგიოგრ. ძეგლ., I, 226).

(7) „და არა გასმია ***წმიდათა წერილთაგან, ვითარმედ***: „მოთმინებითა თქუენითა მოიპოვნეთ სულნი თქუენნი?“ („ცხორებაჲ დავით გარესჯელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 231).

(8) „ვინათგან *იტყჳს მოციქული, ვითარმედ*: „მაჭირვებელთა თქუენთა ჭირი და თქუენ ჭირვეულთა ლხინი“ („მარტჳლობაჲ აბიბოს ნეკრესელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 244).

(9) „არამედ თავით თჳსით ***დანიელ წინაწარმეტყუელისა სიტყუასა იტყჳნ, ვითარმედ:*** „პური გულის-სათქუმელი არა ვჭამო“ („ცხორებაჲ გრიგოლ ხანცთელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 250).

(10) ***„სიტყვისაებრ იაკობ მოციქულისა, ვითარმედ:*** „ერთი-ერთისათჳს ილოცევდით, რაჲთა განიკურნნეთ, რამეთუ ფრიად შემძლებელ არს ლოცვაჲ მართლისაჲ შეწევნად“ („ცხორებაჲ გრიგოლ ხანცთელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 281).

(11) „და ვითარ იხილა ბოროტმან მან მჴეცმან შუენიერებაჲ ყრმათა მათ წმიდათაჲ, ჰგონებდა ვითარმედ: ***„ნუუკუე*** შემდგომად ჟამთა სრულებისა ჰასაკისა მათისა განძლიერდენ და აღდგენ ბოროტის ყოფად მის ზედა“ („მარტჳლობაჲ დავითისი და ტირიჭანისი“, აგიოგრ. ძეგლ., I, 186).

დანართი № 3

ნაწილაკიანი პირდაპირი ნათქვამი ავტორის სიტყვასთან ერთად

(1) „ვითარცა ***იტყჳს პავლე მოციქული***: მე ვარო ნარჩევი მოციქულთაჲ“ („მარტჳლობაჲ ევსტათი მცხეთელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 44).

(2) „უკუეთუ ურჩ ვექმნე ბრძანებასა თქუენსა, ***წერილ არს:*** „შვილი ურჩი წასაწყმედელსა მიეცესო“, და თუ ვისწრაფო მორჩილებად, მისთჳსცა ***იტყჳს***: „უდარჩსსა შენსა ნუ გა-

მოეძიებო და უძლიერჱსსა შენსა ნუ განიკითხავო“ („მარტჳლობაჲ ჰაბო ტფილელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 47).

(3) „ვითარცა ***ესაია იტყჳს***: „უკუეთუ ისმინოთ ჩემი*ო*, კეთილსა ქუეყანისასა სჭამდეთ, უკუეთუ არა ისმინოთ, მახჳლმან შეგჭამნეს თქუენ“ („მარტჳლობაჲ გობრონისი“, აგიოგრ. ძეგლ., I, 174).

(4) „ვინაჲთგან ***პავლე მოციქულმან*** ძირად და მოქმედად სიბოროტისად თქუა: „და ნუ დაითრვობით ღჳნითაო, რომლისაგან არს სიბილწე“ („ცხორებაჲ იოანე ზედაზნელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 203).

(5) „ვითარცა ***იტყჳს მოციქული***: „მოუკლებელად ილოცევდითო“ („ცხორებაჲ გრიგოლ ხანცთელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 248).

(6) „რამეთუ ***დავით იტყჳს***: „აღუთქუთ და აღუსრულეთ უფალსა ღმერთსა თქუენსაო“ („ცხორებაჲ გრიგოლ ხანცთელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 255).

(7) „ამისთჳსცა ***ქრისტემან უბრძანა*** პეტრე მოციქულსა: „არა თუ შჳდგზის ოდენ შეუნდო ძმათა დღესა შინა, არამედ სამეოცდაათჯერ შჳდგზისო“ („ცხორებაჲ გრიგოლ ხანცთელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 257).

(8) „წმიდაო მამაო, ***მოციქული იტყჳს***: „სრულმან სიყუარულმან შიში განდევნოსო“ („ცხორებაჲ გრიგოლ ხანცთელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 271).

(9) „ვითარცა ლევიტელთათჳს ***უფალი ბრძანებს***: „ნაწილი მათი მე ვარო“ („ცხორებაჲ გრიგოლ ხანცთელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 276).

(10) „ვითარცა ***თქუა მოციქულმან***: სულები წინაწარმეტყუელთაჲ წინაწარმეტყუელთა დაემორჩილენო“ („ცხორებაჲ გრიგოლ ხანცთელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 299).

დანართი № 4

ნაწილაკიანი პირდაპირი ნათქვამი ჰიპოტაქსურ წინადადებაში

(შუალედური საფეხური პირდაპირსა და ირიბ ნათქვამს შორის)

(1) „ჩუენსა რჩულსაცა ჰგმობს და ჩუენ გუაგინებს და ***იტყჳს, ვითარმედ*** მე ქრისტეანე ვარო“ („მარტჳლობაჲ ევსტათი მცხეთელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 31).

(2) „***სიტყჳსაებრ უფლისა, ვითარმედ***: „ნუ თუალხუმით შჯით, არამედ საშჯელი სამართალი საჯეთო“ („ცხორებაჲ გრიგოლ ხანცთელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 276).

(3) დედაკაცმან ***თემესტია***, მერისა დეკანოზმან, ***თქუა: ვითარმედ:*** „ორმეოც წელ დეკანოზობასა ჩემსა და მატოის მღდელობასა საცეცხურნი მან ჴელისა ჩემისაგან არა ოდეს მიმიხუნაო“ („ცხორებაჲ გრიგოლ ხანცთელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 284).

(4) რამეთუ ***ოპიზელი ბერი*** ერთი ***იტყოდა, ვითარმედ***: „სიჭაბუკესა ჩემსა სამ გზის ოპიზით განძებულ ვიქმენ მამისა გრიგოლისგან უკეთურებისაგან სლვათა ჩემთაჲსაო“ („ცხორებაჲ გრიგოლ ხანცთელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 303).

(5) ***თქმულ არს, ვითარმედ***: „არარაჲ ეგრეთ განარისხებს ღმერთსა, ვითარ მეტი შუებაჲო“ („ცხორებაჲ გრიგოლ ხანცთელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 311).

დანართი № 5

ინფერენციული ევიდენციალობა

ა) ჰიპოტაქსური წინადადებები

(1) „***უკეთუმცა*** ღმრთეებაჲ ჴორცითა არა დაეფარა, კაციმცა ვერ მიეახლა ღმერთსა, რამეთუ მზე ქმნული ღმრთისაჲ არს და თვალნი ვერვინ შეუდგნის და სიმრგულჱ მზისაჲ ვერვინ განიცადის“ („მარტჳლობაჲ ევსტათი მცხეთელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 38).

(2) „ხოლო ერთმან მათგანმან ჰრქუა: ჩუენ მოვწყდებით, ***უკუეთუ*** ეგე ეგოს ცოცხალი“ („მარტჳლობაჲ ევსტათი მცხეთელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 45).

დანართი № 6

რიტორიკული წინადადებები

(1) „და ***უკუეთუ*** არა ისმინო ჩემი, სიკუდილითა მოჰკუდე შენ პირითა მახჳლისაჲთა და ჴორცნი შენნი მივსცნე საჭმელად მფრინველთა ცისათა, და ვინ არს, რომელმან განგარინოს შენ ჴელთაგან ჩემთა?“ („მარტჳლობაჲ კოსტანტი-კახისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 168).

(2) „***უკუეთუ*** ვინმე ეძიებს ნადირთა, რად კადნიერ და ურცხჳნო ქმნილ არს? ***დალათუ*** სხუაჲ საჭირო რა ვის უჴმს, ჩუენ ვითარ არა მეცნიერ ვართ?“ („ცხორებაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ“, აგიოგრ. ძეგლ., I, 325).

ახალი ქართული ენა

დანართი № 7

ავტორისეული წინადადება ევიდენციალობის თვალსაზრისით – ნიმუშები:

ჩვეულებრივ ევიდენციალურია ავტორისეული წინადადება ან ცალკეული სიტყვა. ამ შემთხვევაში ინფორმაციის წყარო ნაწარმოების ავტორი ან ნაწარმოების რომელიმე პერსონაჟია. თვალსაჩინოებისათვის წინადადების ევიდენციალურ ნაწილს გამუქებულად წარმოვაჩენთ:

ა) ავტორისეული წინადადება ჩვეულებრივ წინადადების თავშია და მის შემდეგ ტირე იწერება:

(1) **დევიწვით, ბატონო, დევიწვით! . . ყანები გაოხრდა, შენი ჭირიმე!** – ამოიოხრა ეკვირინემ [დ. კლდ.] (კიზირია 1974:11).

(2) **დევილუპე წმინდათ დევილუპე!** – იძახოდა პლატონი [დ. კლდ.] (კიზირია 1974:11).

(3) **ორშიმო რომ გამიტყდა, რითი ამევილო?** – აწრიალდა პლატონი [დ. კლდ.] (კიზირია 1974:11).

(4) **ჩვენი ოჯახი რომ წეილო, გულს არ დაგვაკლტება,** – უპასუხა ბაბალემ [ე. ნინ.] (კიზირია 1974:12).

(5) **მგონია, ბესიას წამალმა დუუამა სატკივარი,** – სთქვა თამარამ [ე. ნინ.] (კიზირია 1974:13).

(6) **მარტო თქვენზეა იგი ამბავი, თუ მთელი მილეთის გლეხობაზედ?** – ჰკითხა იმავე გლეხმა [ე. ნინ.] (კიზირია 1974: 14-15).

(7) **როგორია ე სამინიჰტრო სკოლა?** – დაეკითხა ერთი ახალგაზრდა [შ. არაგვ.] (კიზირია, 1974:16).

(8) **მამიდა, წავალ ლეტიასთან სათამაშოდ,** – მოუთმენლად ჩაჰკითხა ნათელამ [გ. წერ.] (კიზირია 1974:17).

(9) **მიბრძანე, ბატონო,** – დაიწყო დურმიშხანმა [დ. ჭონქ.] (კიზირია 1974:18).

(10) **ვჳერ მითხარი, ეგება კინტრად არ ღირს?** – უპასუხა თეიმურაზმა [ნ. ნაკ.] (კიზირია 1974:20).

(11) **თოლები სადა გაქვს?** – გაიკვირვა პირველმა [ა. ყაზბ.] (კიზირია 1974:20).

(12) **ხუჩაბათს შენი წოული ვარ, ყარამან,** – მიაძახა მან [ნ. ნაკ.] (კიზირია 1974:20).

(13) **შენ მართალი ხარ,** – უპასუხა დამ [ილია] (კიზირია 1974:42).

(14) **შენ გინდა გადაარჩინო?** – გაკვირვებით წამოიძახა მათიამ [ა. ყაზბ.] (კიზირია 1974:42).

(15) **ვინ არის სარქალი?** – ბატონურად იკითხა გირგოლამ [ა. ყაზბ.] (კიზირია 1974:43).

(16) **რას აკეთებ?** – დაეკითხნენ ქალები ერთ ყმაწვილს [ნ. ლორთქ.] (კიზირია, 1974:44).

(17) **რას იტყვით, ბიჭებო?!** – უთხრა ფიცხელამ თაგვებს [ვაჟა] (კიზირია 1974:44).

(18) **რამდენს დღეზე გამოიჩეკება წიწილები კვერცხებიდან?** – ვკითხე დედასა [ი. გოგებ.] (კიზირია 1974:44).

(19) **შენ ვილას მეტიჩარა ხარ?** – შეჰყვირა ოთარაანთ ქვრივმა [ილია] (კიზირია, 1974, 47).

(20) **სად მიხვალ კაცო?** – ვეკითხები [ვაჟა] (კიზირია 1974:62).

(21) **ბიჭოს! შენ ალარ ჰხუმრობ,** – დაუძახა გიორგიმ [ილია] (კიზირია 1974:62).

(22) **მოჰკალით დათვი?** – კითხულობს ერთი [ვაჟა] (კიზირია 1974:62).

(23) **აქამდის გათავხედდი, რომ კარებზე მიხტებიო?** – შემოსძახა ქორმა [ვაჟა] (კიზირია 1974:63).

(24) **რად სტირის, დედი, ჰა, – რად სტირის ბატკანი?** – შეეკითხა თინა დედას [ი. ევდ.], (კიზირია 1974:69).

(25) **კირილე მოდი აქ,** – დაიჭექა ჩემს უკან უჩამ [ა. ბელ.] (კიზირია 1974:104).

(26) **წამო,** – ბრძანების კილოზე უთხრა როსტომ ჯორჯიაშვილმა [მ. ჯავახ.] (კიზირია, 1974:104).

(27) **თითო ხარი შევაბათ ოჯახიდგან, ერთიორი ურემი გავმართოთ, საგძალი წავიღოთ, პანტაც მოვკრიფოთ და ლხინიც ვნახოთ,** – დაუმატა ერთმა ბიჭმა [ე. გაბ.] (კიზირია 1974:104).

(28) **გაფრენილან, თორემ ორმოცი იყო,** – სთქვა სულელმა თავის გასამართლებლად [ილია], (კიზირია, 1974:111).

(29) **ხომ სტიროდი სიზმარში?** – ეხლა დარეჯანმა ჰკითხა [ილია] (კიზირია 1974:145).

(30) **ჰო, შენი ჭირიმე, გაბრიელ!** – მიპასუხა იმან [ილია] (კიზირია 1974:146).

(31) **დიაღ, ბატონო!** – მიუგო მგელმა [ვაჟა] (კიზირია 1974:147).

(32) **არა, მე უფრო კარგად ვიცი,** – იძახოდა სხვა [ვაჟა] (კიზირია 1974:147).

(33) **ვითამაშეთ და ქორმაც მე გამიტაცა-მეთქი** – ვუპასუხე ძიძას სიცილით [აკაკი] (კიზირია, 1974:149).

(34) **ძალიან ხელგამომავალი ბიჭიაო,** – ამბობდა ხოლმე ამისი დედა [ილია] (კიზირია 1974:149).

(35) **წადი, საცა შენი სთქვა, იქ ჩემიც ნუ დაგავიწყდებაო,** – უთხრა გიორგიმ [ილია] (კიზირია 1974:149).

(36) **ეი, ძმობილო!** – გაღმიდან კაცმა იძახა [ვაჟა] (კიზირია 1974: 153).

(37) **ბიჭოს!** – თქვა გულში პეტრემ [ილია] (კიზირია 1974:153).

(38) **ბიჭოს, ეს სად მოვსულვარო,** – გულწრფელად გაუკვირდა . . . გვადის [ლ. ქიაჩ.] (კიზირია, 1974:153).

(39) **– ღვიყ! ღვიყ!** – ჰყარა ტლინკები ჯორმა [ა. ბელ.] (კიზირია 1974:154).

(40) **– მიაუუ, მიაუუ!** . . მოკრძალებით კნაოდა ხატაურა [შ. არაგვ.] (კიზირია 1974:154).

(41) **ტრახ!** . . და ამაყი ნაძვის ხე უღონოდ აკოტრიალდა [ჭ. ლომთ.] (კიზირია 1974:154).

(42) **გამარჯობა ძამიკო!** – შეუძახა შორი-ახლოდან კაჭკაჭმა [ვაჟა] (კიზირია 1974:157).

(43) **დედილო, სამი ბიჭი წავაქციე,** – მიაძახა მაგდანას ზურამ [მ. ჯავახ.] (კიზირია 1974:157).

(44) **ეს სააბედო სოკო ხმელს წიფელს ავაჭერიო,** – ამბობს მეორე [ვაჟა] (კიზირია 1974:161).

(45) **გიორგის დედააა ავად?** – იკითხა ექთანმა [ა. ბელ.] (კიზირია 1974:174).

ბ) ავტორისეული წინადადება ჩასმულია
წინადადების შუაში და ორივე მხრიდან
ტირეებით გამოიყოფა:

(46) – **ძროხებიზა წევიდენ,** – უპასუხა მისმა მეუღლემ და შემდეგ უთხრა მანას, – **აწი, შვილო, შენც წადი ძროხებიზა, აგერ ხედავ, მზე ჩავიდა** [ე. ნინ.] (კიზირია 1974:13).

(47) **ჰაი, მამა!** – დაიძახა პატარა მიხამ, – **აბა აქ შემომხედე, როგორი. . . პერანგი მაცვია!** [ნ. ლომ.] [კიზირია 1974:44].

(48) **გაგონილაა,** – იძახდა, – **ასრე აგდება რჯულისა?** [ვაჟა] (კიზირია1974:146).

(49) – **მაშ შენ მოჩვენება არა ხარ?** – შეკივლა გლახამ, – **არა!** [ილია] (კიზირია, 1974:147).

გ) ავტორისეული წინადადება გვხვდება
წინადადების ბოლოში, ხოლო მის წინ მდგომი
ნაწილის შემდეგ ორწერტილი იწერება:

(50) მეზობელი ეტყოდა სიმონას ხოლმე: **ქავჯან, გაიქე, დედაშენს უთხარი: ერთი პური გვასესხე-თქო** [ნ. ლომ.] (კიზირია 1974:149).

(51) ფრიდონ თქვა: **„ვიტყვი სიტყვასა, ვეჭვ, ჩემი არ დამცდარია: ჩვენ ცოტანი ვართ, ქალაქი დიდთაგან საომარია. . .“** (შოთა).

(52) ავთანდილ უთხრა: **„ჰე ფრიდონ, მოყვასნი ვერ გიჩივიან. . .“** (შოთა).

(53) ტარიელ უთხრა: **„მე თქვენი ვცან გმირთა მეტი გმირობა, . .“** (შოთა).

სვანური ენა

წარმოდგენილი მასალა მოპოვებულია სვანეთში, მესტიის მუნიციპალიტეტში, გრანტის ფარგლებში განხორციელებული ლინგვისტური ექსპედიციების შედეგად.

აღწერილი სიტუაციები ჩაწერილია სვანურ ენაზე. წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილია გადმოქართულებული ვერსიები; **სვანურად დატოვებულია მხოლოდ ევიდენციალურ-ეპისტემიკური და ნეიტრალური საოპოზიციო სემანტიკის ფრაზები.** ამგვარი არჩევანი განპირობებულია შესაბამისი სიტუაციების შინაარსის უკეთ გაგების მიზნით.

დანართი № 8

ევიდენციალურ-ეპისტემიკური მწკრივები

ევიდენციალურ-ეპისტემიკური აწმყო ↔ აწმყო

აჴნუნი ↔ აჴნი / „ხნავს ალბათ“ ↔ „ხნავს“

სიტუაცია № 1

პეტრემ ცას ახედა, კარგი ამინდია და ლოგიკურად დაასკვნა: „დღეს პავლე ყანას **ხნავს ალბათ**“ /ლაპდი პავლე დაბს **აჴნუნი**.

შდრ.:

სიტუაცია № 2

პეტრე მიუახლოვდა პავლეს კარ-მიდამოს და ხედავს, პავლე ყანას ხნავს და ამბობს: „შეხედე, პავლე ყანას **ხნავს**“ / ლოხსგი, პავლე დაბს **აჴნი**.

ითურუნი ↔ ითური / სწავლობს ალბათ ↔ სწავლობს

სიტუაცია № 3

მამამ შვილი მოისაკლისა და დედას ეკითხება: ბავშვი რას აკეთებს იქითა ოთახში ამდენ ხანს? ბეფშუ იმ ხაშდბა ეჩხჴნ ამზუმხჴნს? დედა, რომელმაც გამოცდილებით იცის, რომ ასეთ

დროს შვილი მეცადინეობს, პასუხობს: „გაკვეთილებს **სწავლობს, ალბათ**“ / გაკუეთილაარს **ითურუნი**.

შდრ.:

სიტუაცია № 4

იმავე სიტუაციაში, თუ დედამ ეს-ესაა შეამოწმა შვილი, პასუხი იქნება: „გაკვეთილებს **სწავლობს**“ / გაკუეთილაარს **ითური**.

ევიდენციალურ-ეპისტემიკური იმპერფექტი I
↔ იმპერფექტი (უწყვეტელი)

აშხბუნრლ ↔ აშხებდა / „კერავდა ალბათ“ ↔ „კერავდა“

სიტუაცია № 5

ბებია უყვება შვილიშვილს ძველ დროზე, როცა ფეხსაცმელიც კი შინაურ პირობებში იკერებოდა. შვილიშვილი ეკითხება: „ფეხსაცმელს ყველა ვერ **კერავდა, ალბათ**, ხომ?“ / ჭიშხლელდისგს მაგ დეშ **აშხბუნრლ**, მადია?

შდრ.:

სიტუაცია № 6

ბებია უყვება შვილიშვილს ძველ ამბებს:

„მაშინ ფეხსაცმელს ყველა სხვადასხვანაირს **კერავდა**“ /ეჩქა ჭიშხლელდისგს მაგ მრშ-მრშს **აშხებდა**.

ითურუნრლ ↔ ითორდა
„სწავლობდა ალბათ“ ↔ „სწავლობდა“

სიტუაცია № 7

ნინოს უყვებიან მისთვის უცნობი ადამიანის წარმატებების შესახებ და იგი ასკვნის: „ის კარგად **სწავლობდა ალბათ** და იმიტომ **გამოვიდა ალბათ** ამისთანა კაცი“ / ეჯა ხოჩამდ **ითურუნრლ** ი ეჯღა **ახფასრლ** ამგუაი მარე.

შდრ.:

სიტუაცია № 8

დედა უყვება შვილს საკუთარი ძმის შესახებ, რომელიც წარმატებული კაცია: „გიორგი ყოველთვის კარგად **სწავლობდა** და იმიტომ **გამოვიდა** ამისთანა კაცი“ / გიორგი ჩიგარ ხოჩჳმდ **ითორდა** ი ევჯლა **ჳხფას** ამგუ̈ჱ მჳრე.

ევიდენციალურ-ეპისტემიკური იმპერფექტი II ↔ იმპერფექტი (ხოლმეობითი)

ქ'ჳდჭოდჳნნა ↔ ქაიჭუ̈დჳნდა
„ნაიკითხავდა ალბათ“ ↔ „ნაიკითხავდა“

სიტუაცია № 9

ბავშვი, რომელმაც წიგნი მეგობარს ათხოვა, ახლა კი სჭირდება, ამბობს:

„ანა ამდენ ხანს **ალბათ წაიკითხავდა** ჩემს წიგნს და გამოვართმევ“ / ანა ამზუმ ხჳნს **ქ'ჳდჭოდჳნნა** მიშგუ ლჳირს ი ქახუ̈ებში.

შდრ.:

სიტუაცია № 10

დედა იხსენებს ნიჭიერი შვილის ბავშვობას: „ანა ერთხელ **წაიკითხავდა** გაკვეთილს და ზეპირად იცოდა“ /ანა ეშხუ̈ნ **ქაიჭუ̈დჳნდა** გაკუ̈ეთილს ი ზეპირდ ხოხალდა.

აშყუ̈დინა ↔ ქ'აშყუ̈დიდა
„გარეცხავდა ალბათ“ ↔ „გარეცხავდა“

სიტუაცია № 11

ლელა ამჩნევს, რომ მისი შალის ზედატანი დაპატარავებულია, ფიქრობს: „დედა ცხელი წყლით **გარეცხავდა ალბათ**, დაპატარავებულა („შემდგარა“)“ / დედა ჳთუ ლეცშუ̈ **აშყუ̈დინა**, სგ'ომჩედ.

შდრ.:

სიტუაცია № 12

ლელა ხედავს, რომ მისი ზედატანი გაურეცხავია და დარწმუნებით ამბობს: „დედას ეს ვერ დაუნახავს, თორემ **გარეცხავდა**“/ დედას ალი დეშ ოსწონა, ოდო **ქ'აშყუდიდა.**

ევიდენციალურ-ეპისტემიკური მყოფადი ↔ ნეიტრალური მყოფადი

ქალაჰუედნეხ ↔ ქახაჰუდიხ / „მისცემენ ალბათ“ ↔ „მისცემენ“

სიტუაცია № 13

გიორგი, რომელმაც ხელფასი ვერ აიღო, ამბობს, რომ, სავარაუდოდ, ხვალ მისცემენ: „დღეს ხელფასი არ იყო, მაგრამ ხვალ მაინც **მომცემენ, ალბათ**“ / ღ̈ადი ხელფ̈ას მ̈ამ ღ̈ასუ̈, მარე მგხ̈არ ეშ̈ი **ქალ̈ამჰუედნეხ**.

შდრ.:

სიტუაცია № 14

გიორგის ხელფასის დღე ხვალ არის და ის დარწმუნებით ამბობს: „ხვალ ხელფასს **მომცემენ**“ / მგხ̈არ ხელფ̈ასს **ქამაჰუდიხ.**

ევიდენციალური პერფექტი III ↔ ევიდენციალური პერფექტი I (I თურმეობითი)

ხეჯ̈იდი ↔ ხოჯ̈იდა / „მოუტანია ალბათ“ ↔ „მოუტანია“

სიტუაცია № 15

ტექსტის ჩამწერს უყვებიან ამბებს ცნობილი მონადირის – ტარიელის შესახებ, რის საფუძველზეც ის გამოთქვამს ვარაუდს: „რამდენჯერ **მოუტანია, ალბათ,** ტარიელს ჯიხვები სახლში!“ / მახუ̈ან **ხეჯიდი** ტ̈არიელს ღუაშ̈არ ქორთე!

შდრ.:

სიტუაცია № 16

ტარიელის თანამედროვე მთქმელი ადასტურებს ტექსტის ჩამწერის ვარაუდს და აზუსტებს: „როგორ არა, ტარიელს

ჯიხვებიც ბევრი **მოუტანია** და სხვა ნანადირევიც“ / მაჲ მრდე, ტარიელს ღუაშარი ხუჲჲ **ხოჯრდა** ი იშგენ ნათხუიარი.

ხერგრუი ↔ ხორგრუა / „შეურიგებია ალბათ“ ↔ „შეურიგებია“

სიტუაცია № 17

ბებია გიოს უყვება ბაბუამისის სანაქებო მედიატორობის ამბებს, რის საფუძველზეც გიო ასკვნის: „ილია ბაბუას მტრებიც ბევრჯერ **შეურიგებია ალბათ**“ / ბაბა ილიას ამხუარი ხუჲჲნ **ხერგრუი** ჩუ .

შდრ.:

სიტუაცია № 18

ბებია უდასტურებს შვილიშვილს, რომ მისი ვარაუდი ბაბუას შესახებ სწორია: „კი, ილიას მოსისხლე მტრებიც **შეურიგებია** ბევრჯერ“ / ჲდუ, ილიას ნადგარიალ ამხუარი ხუჲჲნ **ხორგრუა**.

ევიდენციალური პერფექტი IV ↔ ევიდენციალური პერფექტი II (II თურმეობითი)

ხემბაურლ ↔ ხომბუჲნ / „მოეყოლა ალბათ“ („მონაყოლი ექნებოდა“) ↔ „მოეყოლა“ („მონაყოლი ჰქონდა“)

სიტუაცია № 19

ტექსტის ჩამწერი ვარაუდობს, რომ რესპონდენტს ეხსომება მამის მონაყოლი ამბები ძველ დროზე და სთხოვს: „მამაშენს **მოეყოლა ალბათ** (ექნებოდა მონაყოლი) მედიატორობის საქმეები, ისინი გაიხსენე“ / ისგუ მუს **ხემბაურლ** ლიმრრეუი გოშარ, ევჯიარ ლაბშყადუინ.

შდრ.:

სიტუაცია № 20

რესპონდენტი ადასტურებს, რომ მამას მართლაც ბევრი რამ მოეყოლა, მაგრამ მას კარგად არ ახსოვს: „მამაჩემს მართლაც

ბევრი **მოეყოლა** (ჰქონდა მონაყოლი) ამისთანები, მაგრამ მე არ მახსოვს კარგად“ / მიშგუ მუს გაცხაჲდ ხუჲჲი **ხომბუჲნ** ამკაჲლიაჲრ, მარე მი მამ მაშყიდ ხოჩაჲმდ.

ხეშკაჲდრლ ↔ ხოშკაჲდა / „გაუჭედავს ალბათ“ ↔ „გაუჭედავს“

სიტუაცია № 21

ლევანი მუზეუმში სვანი ოქრომჭედლის ნამუშევრებს ათვალიერებს და ამბობს: „რამდენი კარგი რამე **გაეჭედა ალბათ** (ექნებოდა ნაჭედი) ამ მჭედელს, მაგრამ ყველაფერი ვერ მოაღწევდა ალბათ“ / მახუჲჲი ხოჩერება **ხეშკაჲდრლ** ალ მგშკიდს, მარე მაჲგ მაჲმ ანჰირნა.

შდრ.:

სიტუაცია № 22

ოქრომჭედლის მეუღლე ჰყვება: „ჩემს ქმარს ერთი სახელმწიფოს საფასური ბეჭდები **გაუჭედავს** (აქვს განაჭედი)“ /მიშგუ ჭაჲშს ეშხუ საჲხენნიფიშ ნაფაჲს მგსკდაჲრ ჟი **ხოშკადა**.

მეგრული ენა

წარმოდგენილი მასალა მოპოვებულია სამეგრელოში, გრანტის ფარგლებში განხორციელებული ლინგვისტური ექსპედიციების შედეგად.

აღწერილი სიტუაციები ჩაწერილია მეგრულ ენაზე. წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილია გადმოქართულებული ვერსიები; **მეგრულად დატოვებულია მხოლოდ ევიდენციალურ-ეპისტემიკური და ნეიტრალური საოპოზიციო სემანტიკის ფრაზები.** ამგვარი არჩევანი განპირობებულია შესაბამისი სიტუაციების შინაარსის უკეთ გაგების მიზნით.

დანართი № 9

ევიდენციალურ-ეპისტემიკური მწკრივები
მოქმედებათა თანადროულობა ახლანდელ დროში

ევიდენციალურ-ეპისტემიკური აწმყო ↔ აწმყო

ჭარუნდას იცის ↔ ჭარუნს / „წერს ალბათ“ ↔ „წერს“

სიტუაცია № 1

აბიტურიენტი როცა შედის მისაღებ გამოცდაზე, გარკვეული პერიოდის შემდეგ იწყება წინასაგამოცდო პროცედურა. შემდეგ კი უშუალოდ საგამოცდო პროცესი. თეორიულად ეს ცნობილია ყველასთვის, მათ შორის აბიტურიენტის მშობლისთვისაც. მიუხედავად იმისა, რომ მშობელმა იცის, რას უნდა აკეთებდეს ამ წუთებში მისი შვილი, დაბეჯითებით მაინც ვერ ამბობს, რადგან ბევრი გაუთვალისწინებელი რამ შეიძლება მოხდეს: იქნებ ცუდად გახდა, იქნებ გამოცდის დაწყება დააგვიანეს და ა. შ. **მშობელი ვერ ხედავს შვილს** და, აქედან გამომდინარე, **პასუხიც სავარაუდოა:** „ახლა ჩემი გოგო **წერს ალბათ**“/ასე ჩქიმ ძღაბი **ჭარუნდას იცის.**

შდრ.:

სიტუაცია № 2

როცა აბიტურიენტი შინ მეცადინეობს, ვთქვათ, წერს და **მშობელი ხედავს** ამას, მაშინ კითხვაზე, „შენი შვილი რას აკეთებს“, მშობლის **პასუხი დამაჯერებელია**: „ახლა ჩემი გოგო **წერს**“/ასე ჩქიმ ძღაბი **ჭარუნს** .

მიახედას იცის, ხანტუნდას იცის ↔ მიახე, ხანტუნს

„ზის (შიგნით) **ალბათ“, „ხატავს ალბათ“ ↔ „ზის“** (შიგნით), **„ხატავს“**

სიტუაცია № 3

მეექვსეკლასელი ბიჭი გაკვეთილების შემდეგ სკოლის ბიბლიოთეკაში რჩება. იქ ზის, ხატავს, წიგნს კითხულობს და ა. შ.

ერთხელ, როცა ჰკითხეს დედამისს, სად არისო, უპასუხა: „ის ბიბლიოთეკაში **ზის ალბათ** და **ხატავს ალბათ**“ / ინა ბიბლიოთეკას **მიახედას იცი** დო **ხანტუნდას იცი.**

შდრ.:

სიტუაცია № 4

როცა ეს ბიჭი შინ არის, სასწავლო მაგიდასთან ზის, ხატავს, წიგნს კითხულობს და ა. შ. და დედამისს ეკითხებიან, სად არისო, მისი პასუხი ასეთია: „სახლში **ზის** და **ხატავს**“ / ცუდეს **მიახე** დო **ხანტუნს .**

მიშან იცუაფუ ↔ მუნა / „მოდიან ალბათ“ ↔ „მოდიან“

სიტუაცია № 5

დედამ და-ძმა კლასელის დაბადების დღეზე გაუშვა და დააბარა, ექვს საათზე შინ იყავითო. მეზობელმა, ცხადია, არ იცოდა ამ შემთხვევის შესახებ და ბავშვები მოიკითხა. დედამ საათს დახედა, ექვსის ნახევარი იყო. შვილები, დაახლოებით, ერთი საათის სავალზე იმყოფებოდნენ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ისინი გზაში, სახლისკენ მომავლები, უნდა ყოფილიყვნენ; თუმცა, შემაფერხებელი შეიძლება იყოს არაერთი გარემოება. **დედა ვერ ხედავს შვილებს**, ამიტომ თავს იზღვევს და **პასუხიც სავარაუდოა**: „ისინი ახლა აქეთ **მოდიან ალბათ**“ / თინეფი ასე აშო **მიშან იცუაფუ.**

შდრ.:

სიტუაცია № 6

დედამ და-ძმა კლასელის დაბადების დღეზე გაუშვა. მეზობელმა, ცხადია, არ იცოდა ამ შემთხვევის შესახებ და ბავშვები მოიკითხა. დედამ გაიხედა იქითკენ, საიდანაც შვილები უნდა მოსულიყვნენ, დაინახა ისინი და მეზობელს უთხრა: „ესენი აგერ **მოდიან**“ / თინეფი ამარ **მუნა .**

მიკოხედან იცია, ბარჩაჲანდან იცია ↔ მიკოხენა, ბარჩაჲანა „სხედან ალბათ", „მასლაათობენ ალბათ" ↔ „სხედან", „მასლაათობენ"

სიტუაცია № 7

მეზობელმა ქალაქელი გოგო მოიყვანა რძლად. სანამ მოიყვანდა, გოგოს ნიშნობა გადაუხადეს მშობლებმა თბილისში. აქედან წავიდა მამა-შვილი. დედა სახლში დარჩა, დიდი ოჯახი აქვთ და ვერ დატოვა. ხუთ საათზე იყო სუფრა დანიშნული. ჩვენ, მეზობლები, აქ მივედით და გაშალა ამ ქალმა, ბიჭის დედამ, სუფრა; ვადღეგრძელებთ, ვხუმრობთ და ვართ ერთ ამბავში. ამ დროს ქალმა შეხედა საათს (ექვსია დაწყებული) და თქვა: „ისინი ახლა სუფრას **უსხედან ალბათ** და **მასლაათობენ ალბათ**, ნეტა ერთი(ხელ) შემახედა" / თინეფი ასე სტორს **მიკოხედან იცია, ბარჩაჲანდან იცია,** აკა, ართი მემოჯინუნი.

შდრ.:

სიტუაცია № 8

მეზობელმა ქალაქელი გოგო მოიყვანა რძლად. გოგოს მშობლებმა თბილისში გადაიხადეს ქორწილი. მერე ბიჭის ოჯახმა მოიპატიჟა სიძე-პატარძალი სოფელში. სტუმრიანობა გაგრძელდა რამდენიმე დღე. მეზობელმა ოჯახის დიასახლისს დაუძახა, ჩაის საკრეფად წავიდეთო. დიასახლისმა უპასუხა: „ისინი (სტუმრები) სუფრას **უსხედან** და ვერ წამოვალო" / თინეფი (სუმარეფი) ასე სტორს **მიკოხენა** დო ვამალინენია.

მოქმედებათა თანადროულობა წარსულ დროში

ევიდენციალურ-ეპისტემიკური იმპერფექტი I ↔ იმპერფექტი (უწყვეტელი)

ოცოთანდუკო იცუაფუდუ ↔ ოცოთანდუ/„ისროდა ალბათ" ↔ „ისროდა"

სიტუაცია № 9

აქ ახლოს ქორწილი ჰქონდათ. სიძის მეგობრები ქალაქიდან ჩამოვიდნენ. ერთი მეზობელი გვყავს, უყვარს თავის გამოჩენა, ჩვიდმეტი წლიდან იარაღს ატარებს, მამამისი ადრე პოლიციაში მუშაობდა. ღამით სროლის ხმა გაიგეს მეზობლებმა და მეორე დღეს თქვეს: „იმ ღამეს ქორწილში რევოლვერს ის **ისროდა ალბათ**“/ თიმსერს კამპანიას ლივერს თინა **ოცოთანდუკო იცუაფუდუა.**

შდრ.:

სიტუაცია № 10

მეზობელი შვილიშვილის შეძენას აღნიშნავდა. დიდი სუფრა გაშალა, სტუმარიც ბევრი ჰყავდა და მეზობლებიც მრავლად იყვნენ. გვიანობამდე დარჩნენ. დათვრნენ. ერთი მეზობელი გვყავს, უყვარს თავის გამოჩენა, ჩვიდმეტი წლიდან იარაღს ატარებს, მამამისი ადრე პოლიციაში მუშაობდა. მეორე დღეს სუფრის ამბებს რომ ჰყვებოდნენ, მეზობლებმა თქვეს: „იმ ღამეს ქორწილში რევოლვერს ის ბიჭი **ისროდაო** “/ თიმსერს კამპანიას ლივერს თინა **ოცოთანდუა.**

მითორდუკონი იცუაფუდუა ↔ მითორდუ /„იმყოფებოდა ალბათ“ ↔ „იმყოფებოდა“

სიტუაცია № 11

ჩემს მეზობელს ძალიან უყვარდა ნადირობა; დილით ადრე წავიდოდა, საღამოს გვიან მოვიდოდა, ხანდახან ღამითაც რჩებოდა. მარტო არ იყო, თანასოფლელი ბიჭებიც იყვნენ და ეზარებოდათ სახლში წამოსვლა, დილით ისევ უნდა წასულიყვნენ; განსაკუთრებით მაშინ, როცა გარეულ იხვებზე ან მწყრებზე ნადირობდნენ. ამიტომ, ტყეში ანთებდნენ ცეცხლს და იქ ილხენდნენ. ერთხელ, კვირა დღეა, დილით ძალიან ადრე ვემზადებით ბანძაში წასასვლელად და

ჩამოიარა ვიღაცამ. დედაჩემმა იცნო და თქვა: „ის წუხელ მთელი ღამე ტყეში **იმყოფებოდა ალბათო**“ / თინა თეი სერს ტყას **მითორდუკონი იცუაფუდუა**.

შდრ.:

სიტუაცია № 12

ჩემს მეზობელს ძალიან უყვარდა ნადირობა; დილით ადრე წავიდოდა, საღამოს გვიან მოვიდოდა, ხანდახან ღამითაც რჩებოდა. მარტო არ იყო, თანასოფლელი ბიჭებიც იყვნენ და ეზარებოდათ სახლში წამოსვლა, დილით ისევ უნდა წასულიყვნენ; განსაკუთრებით მაშინ, როცა გარეულ იხვებზე ან მწყრებზე ნადირობდნენ. ამიტომ, ტყეში ანთებდნენ ცეცხლს და იქ ილხენდნენ. ერთხელ, კვირა დღეა, ბაზარში მივდივართ, მოდის ამ ბიჭის დედა და ჰკითხეს, სად არისო? უპასუხა: „ახლა მოვიდა და დაიძინა, წუხელ მთელი ღამე ტყეში **იმყოფებოდაო**“/ასე მორთუა დო ქჷდირულუა, ღუმა თელი სერს ტყას **მითორდუა.**

ლაზური ენა

ევიდენციალური პერფექტი I-ისა (I თურმეობითი) და **ევიდენციალური პერფექტი II-**ის (II თურმეობითი) **მწკრივები** ლაზურში ძირ-ფუძეთა ჩვენებითა და სქოლიოში მოცემული კომენტარებით წარმოდგენილია გ. კარტოზიას წიგნის მიხედვით (კარტოზია 2015:99-102).

დანართი №Ქ 10

ხოფურ-ჩხალური დიალექტი

ა. ევიდენციალური პერფექტი I
(I თურმეობითი)

ბახ-:
მიბახაფუნ „მიცემია“ (კარტ. I, 105_{25}).

ბლ-:
ქოდულუბლაფუნან „ჩაუყრიათ“ (კარტ. II, 306_{11}).

გნ-:
მიგნაფუნ „გამიგია, გამიგონია“ (ყიფ. ჭან. 4_{36}, 7_{28}; კარტ. II, 84_{27}, 86_{6}); შემიგნეფუნ „id.“ (ჩიქ. I, 153_{9}; კარტ. I, 153_{20}); შემიგნაფუნ „id.“ (კარტ. II, 78_{8}).
მიგნაფუნან „გაგვიგია, გაგვიგონია“ (ყიფ. ჭან. 4_{20}; კარტ. II, 306_{15}).

გურ-:
ქოდუგურაფუნან „დაუსწავლიათ“ (კარტ. II, 306_{15}).

დგ-:
ქოდუდგიმუნან „დაუდგამთ“ (კარტ. II, 306_{13}).

დვ-:
ჰოგდუდვალუნან „დაურქმევიათ“ (კარტ. II, 314_{9}.
ქოდუდვალუნან „დაუდვიათ“ (კარტ. II, 306_{17}).
ნაუდვაფუნ „მიუდვიათ“ (კარტ. I, 43_{20}).

ზოპ-:
უზოპინუნან „უთქვამთ“ (აჭარ. 104_{26}).

თქვ-:
მითქუნ „მითქვამს“ (კარტ. II, 40_{11}); მითქვაფუნ „id.“ (კარტ. I, 46_{24}).
უთქუნ „უთქვამს“ (კარტ. I, 46_{24}).

კიდ-:

დაუკიდუნან „აუშენებიათ, აუგიათ“ (კარტ. II, 311_{35}).

რდ-:

მირდაფუნ „გამიზრდია“ (კარტ. I, 88_{22}).

ფაშ-:

დუფაშაფუნან „დაუშლიათ, დაუხსნიათ“ (კარტ. II, 306_{16}).

ღ-:

ჰაგღუმალღუნ „ჩამოუტანია“ (კარტ. II, 311_{36}); ქამუშუმალუნან „გამოუღიათ“ (კარტ. II, 306_{16}).

ყვ-:

უყოფუნ „გაუკეთებია“ (კარტ. II, 314_{3}, 314_{12}). უყოფუმუნ „id“ (კარტ. II, 314_{13}). დუყოფუმუნ „გაუკეთებიათ“ (კარტ. II, 306_{10}).

ყონ-:

უყოუნან „წაუყვანიათ“ (ჩიქ. I, 101_{13}).

მენდუყონაფუნ „წაუყვანია“ (ყიფ. ჭან. 18_{10}).

შენახ- // შინახ-:

ქოშუუნახუნ „შეუნახავს“ (ყიფ. ჭან. 17_{4}).

შვ-:

უშუმუნან „უსვამთ, დაულევიათ“ (ყიფ. ჭან. 18_{24}).

***ჩურ->ნჩვირ-:**

მინჩვიუნ „მიცურავია“ (კარტ. II, 305_{37}).

ძირ-:

მიძი(რ)უნ „მინახავს“ (ყიფ. ჭან. 8_{14}, 8_{19}; ჩიქ. I, 19_{15}, 38_{8}, 101_{17}, 159_{3}; კარტ. I, $46_{10(2)}$, 46_{23}, 79_{31}, 92_{16}, 92_{20}; კარტ. II, 19_{38}, 43_{29}, 60_{4}); მიძირამუნ „id.“ (ჩიქ. I, 120_{30}; კარტ. I, 30_{20}).

მიძიუნან „გვინახავს“ (კარტ. II, 30_{14}).

გიძიუნ „გვინახავს“ (კარტ. II, 19_{37}, 240_{4}); გიძირამუნ „id“ (ასათ. 102, 55_{57}).

უძი(რ)უნ „უნახავს“ (კარტ. I, 80_{31}; კარტ. II, 54_{13}, 246_{3}[98]); (ქ)უძირამუნ „id.“ (კარტ. I, 137_{33}; კარტ. II, 311_{36}).
ქუძირამუნან „უნახავთ“ (კარტ. II, 311_{8}).

***ნკ->ნწკ-:**

გომინწკიმუნ „გამიხსნია, გამიღია“ (კარტ. I, 46_{1}).

***ჭ->ნჭ-:**

ⴒუნჭაფუნან „აუწევიათ“ (კარტ. II, 312_{33}).

ჭარ-:

უჭარუნ „უწერია“ (ჩიქ. I, 107_{22}); დუჭარუნან „დაუწერიათ“ (კარტ. II, 313_{27}).
უჭა(რ)უნ (მასალები) „უწერია“.

ჭკომ-:

მიჭკომუნ „მიჭამია“ (ჩიქ. I, 19_{27}; (კარტ. I, 64_{3}); მიჭკომაფუნ „id.“ (კარტ. II, 244_{24}); გიჭკომუნ „გიჭამია“ (ჩიქ. I, 159_{2}); უჭკომუნ „უჭამია“ (ჩიქ. I, 82_{23}).

ჭოფ-:

ოუჭოფუნ „დაუჭერია“ (ყიფ. ჭან. 17_{3}).
უჭოფუნ
უჭოფუნან

ხვენ- // ხონ-:

მიხონუნ[99] „გამიკეთებია“ (ასათ. 181, 102_{256}); მიხონაფუნ „id.“ (კარტ. II, 33_{2}); დოგიხვენუნ „გაგიკეთებია“ (კარტ. II, 40_{26}).

ხთ- //ხტ-:

---

98 ხასან ჰელიმიშის ლექსებში ნახმარი თურმეობითების ფორმები [იხ. აგერ. მიჭკომაფუნ (კარტ. II, 249_{32}] ხოფური კილოს მაგალითებშია მითვლილი, თუმცა თავისუფლად შეიძლებოდა ვინურ-არქაბულადაც მიგვეჩნია, რადგან ამ ავტორის ლექსებში ხოფურის გვერდით ვინურ-არქაბული ფორმებიც უხვად გვხვდებოდა.

99 დაბეჭდილია: მიხონუ.

მიხთიმუნ „წავსულვარ, მივლია“ (ასათ. 42, 7_{23}, 72, 34_{37}); მიხთიმუნან „წავსულვართ, გვივლია“ (ასათ. 135, 84_{29}); უხტიმუნ „წასულა“ (ყიფ. ჭან. 1_{17}); გომიხთიმუნ „გამივლია“ (კარტ. I, 49_{18}); ქაჲუხთიმუნ „ასულა“ (კარტ. II, 306_{24}); ქეშუხტიმუნ „ამოსულა“ (ყიფ. ჭან. 23_{24}); მინდუხტიმუნ „წასულა“ (ყიფ. ჭან. 1_{17}); მომიხთიმუნ „მოვსულვარ“ (კარტ. II, 21_{22}); მუხთიმუნ „მოსულა“ (კარტ. II, 249_{32}); (ქო)მუხთიმუნან „მოსულან“ (კარტ. II, 306_{13}, 311_{34}).

ხირ-:

ქანუხირაფუნან „მოუპარავთ“ (კარტ. II, 310_{10}).

***ჯირ->ნჯირ-:**

მინჯიუნ „მიძინია“ (კარტ. I, 130_{22}).

ბ. ევიდენციალური პერფექტი II
(II თურმეობითი)

ბირ-:

უბირაფუტუ „ემღერა“ (ჩიქ. I, 32_{19}).

თქვ-:

მითქვაფუტუ „მეთქვა, ნათქვამი მქონდა“ (ჩიქ. I, 158_{27}).

კიდ-:

დუკიდაფუტეს „აეშენებინათ“ (ჩიქ. I, 146_{19}).

სვ-:

ნუსუმუტუ „გაესვა“ (ჩიქ. I, 38_{2}).

ძირ-:

უძიამუტუ „ენახა“ (ჩიქ. I, 82_{10}).

***წკ->ნწკ-:**

გუნწკიმუტუ „გაეხსნა“ (ჩიქ. I, 99_{12}).

ვიწურ-არქაბული დიალექტი
ა. ევიდენციალური პერფექტი I
(I თურმეობითი)

ბრიწ-:
ოკოგიბრიწუნ „გაგიგლეჯია“ (კარტ. I, 194_{36}, 195_{29}).

გნ-:
მიგნაფუნ „გამიგია, გამიგონია“ (კარტ. II, 100_{14}); მიგნაფუნან „გაგვიგია, გაგვიგონია“ (კარტ. II, 164_{21}).

თქვ-:
უთქვალუნ „უთქვამს“ (ჟღ. 148_{11}).

სთერ-:
მისთერუნ „მითამაშია“ (ყიფ. ჭან. 68_{22}).

***ჩურ-> მჩვირ-:**
მიმჩვუინ „მიცურავია“ (კარტ. II, 326_{32}).

ძირ-:
მიძირუ(რ) „მინახავხარ“ (დიუმ. I, 122_{5}; ჟღ. 99_{26}); მიძირუნ „მინახავს“ (ყიფ. დამ. 15, VI_{30}; ყიფ. ჭან. 44_{6}, 44_{25}; ჟღ. 33_{18}, 79_{13}); (ქო)გიძი(რ)უნ „გინახავს“ (ყიფ. დამ. 15, VI_{80}; 79_{12}, 159_{27}; კარტ. II, 148_{20}); უძირუნ „უნახავს“ (დიუმ. I, 115_{27}; ჟღ. 79_{8}); უძირუნან „უნახავთ“ (ყიფ. დამ. 9, I_{9}; დიუმ. I, 89_{15}).

ჭკომ-:
მიჭკომუნ „მიჭამია“ (ყიფ. ჭან. 31_{22}; ჟღ. 25_{18}; კარტ. II, 138_{15}); მიჭკომუნან „გვიჭამია“ (კარტ. II, 125_{37}); უჭკომუნ „უჭამია’ (კარტ. I, 195_{7}; კარტ. II, 138_{12}).

ხ-:
გემიხუნან „დავმჯდარვარ, შევმჯდარვარ“ (კარტ. I, 156_{15}).

ხენ-:
მიხენუნ „გამიკეთებია“ (ჩიქ. II, 28_{27}).

ხთ-:

გომიხთიმუნ „გამივლია“ (კარტ. I, 156_{15}); ემიხთიმუნ „ავსულვარ“ (დიუმ. I, 101_{23}); მეკუხთიმუნ „გაუვლია“ (დიუმ. I, 27, 1_{333}); (ქო)მუხთიმუნ „მოსულა“ (ჟღ. 148_{11}; კარტ. I, 174_{12}).

ბ. ევიდენციალური პერფექტი II
(II თურმეობითი)

გნ-:

უგნუტტუ „გაეგო, გაეგონა“ (კარტ. I, 202_{25}).

ზდ-:

ენუზდიმუტტუ „აეწია“ (დიუმ. I, 32_{9}).

ღოდ-:

მიღოდინუტტუ „გამეკეთებინა (=გამიკეთებია)“ (ჩიქ. II, 56_{21}, 56_{36}).

ძირ-:

მიძირუტტუ „მენახა“ (ჟღ. 33_{11}); მიძიამუტტეს „გვენახა (=გვენახეთ)“ (კარტ. II, 156_{38}); უძირუტტუ „ენახა“ (დიუმ. I, 83_{27}; ჟღ. 32_{26}, 131_{4}).

ხენ-:

მიხენაფუტტუ „მექნა“ (=მიქნია)“ (კარტ. I, 187_{12}).

ხთ-:

გამუხთიმუტტუ[100] „გამოსულიყო“ (დიუმ. I, 31_{6};
გჲუხთიმუტტეს „ჩა(მო)სულიყვნენ“ (კარტ. I, 202_{24}); მუხთიმუტტუ „მოსულიყო“ (დიუმ. II, 155, LI_{5}).
ინვერსიული თურმეობითი II ვიწურ-არქაბულში ზოგჯერ დორენ//რენ „არის“ მეშველი ზმნით არის გართულებული[101]:

---

100 დაბეჭდილია: გამუხთინუტტუ.

101 დ ო რ ე ნ ვიწურ-არქაბულში ნამყო უსრულისა და აორისტის ფორმებს ერთვის და არაინვერსიულ თურმეობითებს აწარმოებს, როგორც ჩანს,

უძირუტუდორენ „ენახა“ (დიუმ. II, 144, XXXVIII$_3$); გ̈უხთიმუტუდორენ „ჩასულიყო“ (დიუმ. II, 144, XXXIX); მუხტიმუტუდორენ „მოსულიყო“ (ყიფ. დამ. 14, VI$_{27}$); უგნაფუტესრენ „გეგონათ, გაეგოთ“ (კარტ. II, 317$_{27}$).

ათინურ-ართაშენული დიალექტი
ა. ევიდენციალური პერფექტი I
(I თურმეობითი)

გნ-:

მიგნაფუნ „გამიგია, გამიგონია“ (კარტ. II, 328$_{13}$); მიგნაფუნან „გაგვიგია, გაგვიგონია (კარტ. II, 328$_{11}$).

გურ-:

დოგიურაფუნ „გაგვიგია, გაგვიგონია (კარტ. II, 217$_{23.}$ 221$_{24}$).

ზიტ-//ძიტ-: მიძიტაფუნ „მისწავლია“ (მარი, 95$_3$); მიზიტაფურან „გვითქვამს“ (ყიფ. ჭან. 72$_{15}$).

ლ-:

მომილვაფუნ[102] „მოვსულვარ“ (მარი, 85$_1$).

ეს მეშველი ზმნა გამოყენების არეს იფართოებს: ინვერსიული თურმეობითების გარდა, აწმყოს ფორმებსაც დაერთვის. შდრ. მბახუმსდორენ „სცემს, ურტყამს“ (კარტ. II, 320$_{20}$); რენდორენ „არის“ (ჟღ. 24$_{15}$); (ქო) ენდოე „id.“ (კარტ. II, 120$_{12}$, 125$_6$, 133$_9$, 323$_8$); ისაღენდორენ „გაცოცხლდება“ (ჟღ. 11$_{18}$); მულუნდოე „მოდის“ (კარტ. II, 125$_7$); გულუნდონ „დადის“ (კარტ. II, 101$_{17}$); იქომსდორენ „იქმს, აკეთებს“ (ჟღ. 11$_{19}$); გილუნდო(რ)ენ „გაქვს, გქონია“ (ჟღ. 14$_{25}$; კარტ. II, 317$_{29}$); ულუნდოე „აქვს, ჰქონია“ (კარტ. II, 319$_2$, 323$_3$); მიონუნდოენ „მყავს“ (კარტ. II, 105$_2$); მეჩამანდორენ „აძლევენ“ (დიუმ. II, 133, XXXI$_{12}$); მოლოგიძინდორენ „გიდევს, დგებია“ (ჟღ. 24$_{14}$); ვა ნახონდინენოე „ვერ უძლებს“ (კარტ. II, 319$_2$); ითქვენდოენ „ითქმის“ (კარტ. II, 159$_{19}$); კიამსდოენ „ყივის“ (კარტ. II, 152$_{31}$).

102 დაბეჭდილია: მომილვაყუნ. ამავე ფორმას უჩვენებს ნ. მარი ნამყო სრულისათვის გრამატიკაშიც (Марр 1910, 68), მაგრამ ყ რომ აქ ბეჭდვისმიერი შეცდომაა, აშკარაა: ათინურ-ართაშნულს გლოტალიზებული ველარული სპირანტი არა აქვს.

ძირ-//ზირ-:

მიძირუნ „მინახავს“ (ყიფ. ჭან. 91_{26}); მიზირამუნან „გვინახავს“ (კარტ. II, 211_{27}); უძირამუნ „უნახავს“ (ჩიქ. II, $98_{1,2}$); უზირამუნან „უნახავთ“ (კარტ. II, 206_{36}).

ჭკომ>შკომ-:

მიშკომაფუნ „მიჭამია“ (ჩიქ. II, 99_{13}).

ხენ-:

მიხენაფუნ[103] „მიქნია, გამიკეთებია“ (მარი, 84_{1}).

ბ. ევიდენციალური პერფექტი II
(II თურმეობითი)

გნ-:

მიგნაფურტუ[104] „გამეგო, გამეგონა“ (ჩიქ. II, 137_{23}).

ზიტ->ძიტ-:

უძიტაფურტუ „ესწავლა“ (ყიფ. ჭან. 72_{34})

ლ-:

ულვაფუტუ „წასულიყო“ (ჩიქ. II, 92_{31}).

ძირ->ზირ-:

უზირამუტუ „ენახა“ (კარტ. II, 206_{33}); უზირამუტეი „ენახათ“ (კარტ. II, 205_{16}).

103 დაბეჭდილია: მეხინაფუ

104 დაბეჭდილია: მიგინაფურტუ

ქართული ტექსტის საძიებელი

ა. ქართულ ენაზე შესრულებულ ნაშრომთა ავტორები

არაბული – 26, 62, 65, 73, 74, 76, 87, 101, 138, 169, 180, 181, 182, 183, 266
ბასილაია – 204, 205
ბერიძე – 26, 61, 88, 183
გერსამია – 82, 158, 160
გეწაძე – 26
გოგოლაშვილი და სხვები – 101
გუდავა – 96, 213
დადიანი – 161, 167, 227,
დანელია – 94, 95, 107, 109, 123, 126, 132, 155, 156, 212, 213, 228
თოფურია – 26, 79, 102, 103, 116, 117, 118, 119, 120, 121, 137, 139, 143, 148, 149, 160, 245
იოსელიანი – 24, 25, 31
კაკაბაძე – 28, 44, 50, 78, 80, 109, 133
კარტოზია – 28, 44, 50, 78, 80, 109, 110, 111, 132, 133, 226, 227, 229
კარტოზია და სხვები – 94, 126, 211, 213
კაჭარავა – 227
კვანტალიანი – 206
კვაჭაძე –194,195, 196, 197, 204, 205, 206, 208, 218, 221, 225, 232, 234, 244, 266
კიზირია –196, 218, 219, 222, 281
ლომია – 211, 213, 274
მარგველაშვილი – 27, 78, 108, 109, 156, 159, 160, 162
მარგიანი/მარგიანი-სუბარი – 18, 24, 27, 38, 77, 98, 99, 103, 116, 120, 122, 137, 154, 158, 279
მაჭავარიანი გ. – 96, 122, 140, 142
მაჭავარიანი მ. – 271
მელიქიშვილი დ. – 26, 42, 75, 91, 112, 120, 129, 130, 134
მელიქიშვილი ი. – 26, 93
ნათაძე – 26

ნინუა – 35, 61, 88
ონიანი – 26, 79, 96, 102, 103, 116, 142, 143, 259
როგავა – 26, 27, 80, 95, 101, 104, 105, 106, 107, 108, 116, 123, 124, 125, 126, 131, 185, 187, 188, 281
სარჯველაძე – 35, 61, 88, 125
სოსელია – 229,230
ფეიქრიშვილი – 26
ფენრიხი – 125
ფხაკაძე 26, 60
ქავთარაძე - 26, 34, 60, 62, 63, 73
ქაჯაია – 94, 157
ქირია – 161
ქირია და სხვები – 94, 95, 112, 113
ქობალავა – 26, 27, 80, 82, 93, 107, 108, 109, 130, 131, 157, 161, 162,163,167,168,180, 181, 182, 185,187, 188, 189, 280, 281
შაბაშვილი – 26, 126, 127, 183
შანიძე – 25, 26, 31, 32, 55, 61, 72, 74, 88, 101, 130, 142, 149, 181, 184, 185,194, 218, 221, 222
შარაშენიძე – 127
შარაძენიძე – 245
შეროზია – 27, 28, 132, 133, 134, 165, 166, 169,188, 189, 190, 191
ჩანტლაძე – 147, 233, 245, 246, 247, 270, 273
ჩანტლაძე და სხვები – 237, 239, 241, 243, 248, 249, 252, 253, 255, 261, 264
ჩიქობავა – 26, 60, 80, 94, 95, 96, 101, 104, 105, 107, 109, 110, 123, 132, 139, 140, 155, 161,181, 227, 230
ჩუხუა – 132, 133
ცაგარელი – 76
ცანავა – 212, 213, 228,
ჭუმბურიძე – 27, 28, 78, 102, 103, 108, 109, 116, 142, 143, 157, 159, 160, 162,163,165, 170,171
ხუბუა –164, 168, 186, 212, 281
ჯორბენაძე – 94, 97, 128, 129, 130, 131, 145, 146
ჯორბენაძე და სხვები – 159, 163

ბ. უცხო ენაზე შესრულებულ ნაშრომთა ავტორები

Aikhenvald – 17, 19, 30, 39, 55, 203, 207
Aksu – 262
Aronson – 29, 30, 72
Blass – 203
Boas – 16
Boeder – 18, 24, 33, 35, 36, 54, 55, 56, 60, 62, 216, 234, 235, 248, 272
Bybee – 74, 75
Chafe – 17
Deeters – 76
De Haan – 39
DeLancey – 16, 291
Dendale – 22
Dixon – 17
Dumézil – 109, 110, 132, 133
Filmore – 181
Friedman – 17, 18, 30
Givón – 17
Gudjedjiani – 242
Guentchéva – 17, 30
Harris 26
Hewitt – 235
Izrovski – 56, 58,183
Jakobson – 16, 29
Johanson – 63
Jorbenadze – 110
Kurdadze et al – 124
LaPola – 267
Lazard – 17
Nichols – 17
Palmaitis – 241, 242
Palmer – 17, 55, 58, 183
Sapir – 16
Slobin – 262
Qipshidze – 284
Topadze/Topadze Gäumann – 18, 24, 29, 33, 36, 37, 39, 54, 55, 57, 61, 63, 88, 195, 216, 217
Tuite – 235, 274
Tournadre – 267
Willet – 17, 55, 58, 99, 183
Бородич – 63
Есперсен – 180, 182
Касевич – 181
Кашкин – 183
Кибрик – 18
Кизирия – 110
Кипшидзе – 93, 94, 96, 104, 105, 109, 110, 155, 161, 164,165, 227, 228
Клепикова – 31

Кобрина – 29, 30
Козинцева – 17, 20, 22, 23, 30, 31, 74, 75, 88
Корди – 17, 19, 22, 56, 58, 207
Марр – 76, 96, 101, 109, 110
Молошная – 30
Ницолова – 17, 20, 63, 64, 87, 262, 291
Плунгян – 20, 70
Сумбатова – 18, 24, 37, 62, 99
Ханзен – 18
Храковский – 23, 99